




# გნათობა

7

03 ლ 06 0



1953

# მნათობი



ქრველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული  
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

წელიწადი ოცდამეათე

7



ივლისი

19 ს ა ს ე მ გ ა მ ი 53  
თბილისი





## საინფორმაციო ცნობა

### საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

ამ დღეებში შედგა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, მოისმინა და განიხილა რა ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის — ან. გ. მ. მაღენკოვის მოხსენება ლ. პ. ბერიას დანაშაულებრივი ანტიპარტიული და ანტისახელმწიფოებრივი მოქმედების შესახებ, რომლის მიზანი იყო საბჭოთა სახელმწიფოს ძირის გამოთხრა უცხოეთის კაპიტალის ინტერესებისათვის და რომელიც გამოიხატა ვერაგული ცდებით დაეყენებინა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრო საბჭოთა კავშირის შთაფრობასა და კომუნისტურ პარტიაზე მალლა, მიიღო გადაწყვეტილება — გამოყვანილ იქნას ლ. პ. ბერია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან და გაირიცხოს იგი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებიდან, როგორც კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის მტერი.

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

იმის გამო, რომ ამ ბოლო დროს გამოიჩინა ლ. პ. ბერიას დანაშაულებრივი ანტისახელმწიფოებრივი მოქმედება, რომლის მიზანი იყო საბჭოთა სახელმწიფოს ძირის გამოთხრა უცხოეთის კაპიტალის ინტერესებისათვის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, განიხილა რა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ცნობა ამ საკითხზე, და ა დ გ ი ნ ა:

1) მოიხსნას ლ. პ. ბერია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის პოსტიდან და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტიდან.

2) საქმე ლ. პ. ბერიას დანაშაულებრივი მოქმედების შესახებ განსახილველად გადაეცეს სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს.

## პარტიის, მთავრობის, საბჭოთა ხალხის ურყევი ერთიანობა



ურყევი ძლიერებითა და შემოქმედებითი ძალებით აღსავსე საბჭოთა ქვეყანა მტკიცე რწმენით მიდის წინ კომუნიზმის მშენებლობის გზით. ახორციელებს რა XIX ყრილობის გადაწყვეტილებებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ თავისი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით უზრუნველყო მძლავრი აღმავლობა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. საბჭოთა ხალხი, რომელიც ახორციელებს კომუნისტური მშენებლობის დიად ამოცანებს, კიდევ უფრო მკიდროდ დაირაზმა პარტიისა და მთავრობის გარშემო. განუხრელად მტკიცდება ჩვენი სამშობლოს ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერება, მნიშვნელოვანი წარმატებებია მიღწეული მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის, ყველა საბჭოთა ადამიანის ცხოვრების შემდგომი გაუმჯობესების დარგში.

ჩვენ გვაქვს მძლავრი სოციალისტური ინდუსტრია, ყოველმხრივ განვითარებული მძიმე მრეწველობა — სოციალისტური ეკონომიკის საფუძველთა საფუძველი. განუხრელად ვითარდება ჩვენი მანქანათმშენებლობა, უზრუნველყოფს რა სახალხო მეურნეობის ყველა დარგს თანამედროვე ტექნიკით. დიდი წარმატებებია მიღწეული მოწინავე საბჭოთა მეცნიერების განვითარებაში. მაღალ დონეს მიაღწია ჩვენმა მსუბუქმა და კვების მრეწველობამ. ახლა მას შესაძლებლობა აქვს დააკმაყოფილოს ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილებანი ფასების შემცირების პოლიტიკის საფუძველზე, რომელსაც პარტია ახორციელებს. ომისშემდგომ წლებში აღდგენილი სოფლის მეურნეობა უფრო მეტად, ვიდრე ომამდე, უზრუნველყოფილია უახლესი ტექნიკით.

ყველა ეს წარმატება ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასისა და გლეხობის მტკიცე კავშირის შედეგია, სსრ კავშირის ხალხთა მზარდი მეგობრობისა და საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის განუხრელი განმტკიცების შედეგია, კომუნისტური პარტიის მიერ შემუშავებული პოლიტიკის თანმიმდევრულად განხორციელების შედეგია.

საბჭოთა მთავრობას, რომელიც მტკიცედ და თანმიმდევრულად ახორციელებს მშვიდობის პოლიტიკას, არაერთხელ განუცხადებია, რომ საერთაშორისო ცხოვრების ყველა გადაუტრეკელი, სადავო საკითხი შეიძლება გადაიჭრას დაინტერესებულ ქვეყნებს შორის მოლაპარაკების გზით. ამ განცხადებას ერთსულოვნად დაუჭირა მხარი და მოიწონა ყველა ხალხმა. ახალ სამშვიდობო ინიციატივას, რომელიც საბჭოთა მთავრობამ გამოიჩინა, მოჰყვა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის შემდგომი განმტკიცება, ჩვენი ქვეყნის ავტორიტეტის ზრდა, მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის მსოფლიო მოძრაობის სერიოზული აღმავლობა.

სულ სხვა სურათითა იმპერიალისტურ ბანაკში. იქ არის კაპიტალიზმის საერთო კრიზისის შემდგომი გაწვევები, ალვირახსნილი ექსპანსიული დაჯიშვები დიქტატის პოლიტიკა ამერიკის იმპერიალიზმის მხრივ, წინააღმდეგობათა ზრდა კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის, ფართო მშრომელი მასების სულ უფრო მზარდი გაღატაკება.

ამრიგად, მსოფლიო განვითარების მთელი მსვლელობა მოწმობს ერთი მხრივ დემოკრატიისა და სოციალიზმის ძალების განუხრელ ზრდას, მეორე მხრივ იმპერიალისტური ბანაკის ძალების საერთო შესუსტებას. ყოველივე ეს დიდ შესწოთებას იწვევს იმპერიალისტებში და განაპირობებს რეაქციული იმპერიალისტური ძალების მკვეთრ აქტივიზაციას, მათს გაფაციცებულ მისწრაფებას — ძირი გამოუთხარონ მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის საერთაშორისო ბანაკის და, უწინარეს ყოვლისა, მისი წამყვანი ძალის — საბჭოთა კავშირის მზარდ ძლიერებას. იმპერიალისტები დემოკრატიისა და სოციალიზმის ქვეყნებში ეძებენ დასაყრდენს სხვადასხვა გარეწართა და გახრწნილ ელემენტთა სახით. აქტიურებენ თავიანთ აგენტურის ძირგამომთხრელ საქმიანობას.

დღეს „პრაქტიკა“ ქვეყნდება ცნობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ. ამ ცნობაში ნათქვამია: „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, მოისმინა და განიხილა რა ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის — ანტ. გ. მ. მალენკოვის მოხსენება ლ. პ. ბერიას დანაშაულებრივი ანტიპარტიული და ანტისახელმწიფოებრივი მოქმედების შესახებ, რომლის მიზანი იყო საბჭოთა სახელმწიფოს ძირის გამოთხრა უცხოეთის კაპიტალის ინტერესებისათვის და რომელიც გამოიხატა ვერაგული ცდებით დაეყენებინა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრო საბჭოთა კავშირის მთავრობასა და კომუნისტურ პარტიაზე მალა, მიიღო გადაწყვეტილება — გამოყვანილ იქნას ლ. პ. ბერია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან და გაირიცხოს იგი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებიდან, როგორც კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის მტერი“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, განიხილა რა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ცნობა ამ საკითხზე, დაადგინა:

1) მოიხსნას ლ. პ. ბერია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის პოსტიდან და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტიდან.

2) საქმე ლ. პ. ბერიას დანაშაულებრივი მოქმედების შესახებ განსახილველად გადაეცეს სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს.

ამეამად მხილებულმა ხალხის მტერმა ბერიამ სხვადასხვა კარიერისტული მაქინაციებით მოიპოვა ნდობა, გაძვრა ხელმძღვანელობაში. თუ წინათ მისი დანაშაულებრივი ანტიპარტიული და ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობა უაღრესად ფარული და შენიღბული იყო, ამ ბოლო დროს, გათავხედდა და აიშვა რა თავი, ბერია თანდათან აჩენდა თავის ნამდვილ სახეს — პარტიისა და საბჭოთა ხალხის ბოროტი მტრის სახეს. ბერიას დანაშაულებრივი საქმიანობის ისეთი აქტივიზაცია აიხსნება ჩვენი სახელმწიფოსადმი მტრული საერთაშორისო რეაქციული ძალების ძირგამომთხრელი ანტისაბჭოთა საქმიანობის სა-

ერთო გაძლიერებით. აქტიურდება საერთაშორისო იმპერიალიზმის დაპყრობით-  
დება მისი აგენტურაც.

თავისი საზიზღარი მაქინაციები ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით ბერია იმით დაიწყო, რომ ცდილობდა დაეყენებინა შინაგან საქმეთა სამინისტრო პარტიასა და მთავრობაზე შალლა, გამოეყენებინა შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები ცენტრში და ადგილებზე პარტიისა და მისი ხელმძღვანელობის წინააღმდეგ, სსრ კავშირის მთავრობის წინააღმდეგ, შინაგან საქმეთა სამინისტროში მუშაეებს აწინაურებდა მისდამი პირადი ერთგულების ნიშნით.

როგორც ახლა გამორკვეულია, ბერია სხვადასხვა მოგონილი საბაბით ყოველნაირად აფერხებდა უმნიშვნელოვანესი გადაუღებელი საკითხების გადაჭრას სოფლის მეურნეობის დარგში. ამას იმისათვის სჩადიოდა, რომ ძირი გამოეთხარა კოლმეურნეობებისათვის და შეექმნა სიძნელეები ჩვენი ქვეყნის სურსათით მომარაგებაში.

ბერია ცდილობდა სხვადასხვა ვერაგული ხერხით ძირი გამოეთხარა სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობისათვის, რომელიც მრავალერიაანი სოციალისტური სახელმწიფოს საფუძველთა საფუძველი და მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების ყველა წარმატების მთავარი პირობაა, შულნი დაეთესა სსრ კავშირის ხალხებს შორის, გაეაქტიურებინა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ელემენტები მოკავშირე რესპუბლიკებში.

იძულებული იყო რა შეესრულებინა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის პირდაპირი მითითებანი საბჭოთა კანონიერების განმტკიცების შესახებ, უკანონობისა და თვითნებობის ზოგიერთი ფაქტის ლიკვიდაციის შესახებ, ბერია განზრახ აფერხებდა ასეთ მითითებათა განხორციელებას, ხოლო მთელ რიგ შემთხვევებში ცდილობდა დამაზიზღებინა ისინი.

უღვაწე ფაქტები ცხადყოფენ, რომ ბერიამ დაჯარგა კომუნისტის სახე, გადაიქცა ბურჟუაზიულ გადაგვარებულად, ნამდვილად საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტი გახდა. ეს აგენტიურისტი და უცხოეთის იმპერიალისტური ძალების დაქირავებული აგენტი აწყობდა გეგმებს, რომ ხელში ჩაეგდო ხელმძღვანელობა პარტიისა და ჩვენი ქვეყნისადმი, რათა ფაქტიურად დაენგრია ჩვენი კომუნისტური პარტია და პარტიის მიერ მრავალი წლის მანძილზე შემუშავებული პოლიტიკა შეეცვალა კაპიტულანტური პოლიტიკით, რომელსაც საბოლოო ანგარიშით კაპიტალიზმის რესტავრაცია მოჰყვებოდა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ დროზე მიღებულ გადაწყვეტ ღონისძიებათა მეოხებით, რომელნიც ერთსულოვნად და სავსებით მოიწონა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, — ბერიას დანაშაულებრივი ანტიპარტიული და ანტისახელმწიფოებრივი ზრახვები მხილებულ იქნა. ბერიას დანაშაულებრივი ანტიურის ლიკვიდაცია კიდევ და კიდევ გვიჩვენებს, რომ უცხოეთის იმპერიალისტური ძალების ყოველგვარ ანტისაბჭოთა გეგმებს ამსხვრევდა და კვლავაც დაამსხვრევს პარტიის, მთავრობის, საბჭოთა ხალხის ურყევი ძლიერება და დიდი ერთიანობა.

ამასთანავე ბერიას საქმიდან უნდა გამოვიტანოთ პოლიტიკური გაკვეთილები და გაგვეთოთ საჭირო დასკვნები.



ჩვენი ხელმძღვანელობის ძალა მისი კოლექტიურობა, დარაზმუღობა და ურყეველი ერთიანობაა. ხელმძღვანელობის კოლექტიურობა ხელმძღვანელობის ერთიანობას უზღვევს. ეს პრინციპი ჩვენს პარტიაში. ეს პრინციპი სავესებით შეესაბამება მარქსის ცნობილ დებულებებს იმის შესახებ, რომ პიროვნების კულტი მავნე და შეუწყნარებელია. „პიროვნების ყოველგვარი კულტისადმი სიძულვილის გამო, — წერდა მარქსი, — მე ინტერნაციონალის არსებობის დროს არასოდეს არ ვანებებდი გამოქვეყნებინათ მრავალი მომართვა, რომლებშიც აღიარებული იყო ჩემი დამსახურება და რომლებითაც თავს მამულებდნენ სხვადასხვა ქვეყნიდან, — მე არც კი ვუპასუხებდი როდისმე მათზე, ზოგჯერ თუ დავტუქსავდი ხოლმე მათ გამო. კომუნისტების ფარულ საზოგადოებაში ენგელსისა და ჩემი პირველი შესვლა იმ პირობით მოხდა, რომ წესდებიდან ამოვლოთ ყველაფერი, რაც ხელს უწყობს ცრუმორწმუნეობითს ქედმოხრას ავტორიტეტების წინაშე“. მხოლოდ კოლექტიური პოლიტიკური გამოცდილება, კოლექტიური სიბრძნე ცენტრალური კომიტეტისა, რომელიც ეყრდნობა მარქსისტულ-ლენინური თეორიის მეცნიერულ საფუძველს, უზრუნველყოფს პარტიისა და ჩვენი ქვეყნისადმი სწორ ხელმძღვანელობას, პარტიის რიგების ურყევი ერთიანობასა და დარაზმულობას, ჩვენს ქვეყანაში კომუნისტების წარმატებითს მშენებლობას.

ყოველ მუშაკს, რა პოსტიც უნდა ეკავოს მას, შეუწელებელ კონტროლს უნდა უწყევდეს პარტია. პარტიული ორგანიზაციები რეგულარულად უნდა ამოწმებდნენ ყველა ორგანიზაციისა და უწყების მუშაობას, ყველა ხელმძღვანელი მუშაკის საქმიანობას. საჭიროა აგრეთვე სისტემატური და შეუწელებელი კონტროლი ეწეოდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების საქმიანობას. ეს პარტიული ორგანიზაციების არა მარტო უფლება, არამედ პირდაპირი მოვალეობაა.

პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მთელ მუშაობაში ყოველი დონისძიებით უნდა გავაძლიეროთ კომუნისტებისა და ყველა მშრომელთა რევოლუციური სიფხიზლე. სანამ კაპიტალისტური გარემოცვა არსებობს, იგი ზხანის ჩვენში და კვლავაც შემოგზანის თავის აგენტებს ძირგამომხრელ საქმიანობისათვის. ეს უნდა გვახსოვდეს, არასოდეს არ უნდა გვაიწყებოდეს და მუდამ გაღესილი გვქონდეს იარაღი იმპერიალისტური დაზვერებისა და მათი დაქირავებული აგენტების წინააღმდეგ.

მთელი სიმტკიცით უნდა დავიცვათ პარტიული პრინციპები მუშაკთა შერჩევისა მათი პოლიტიკური და საქმიანი თვისებების მიხედვით.

ჩვენი პარტიის ძალა და უძლეველობაა მისი მკიდრო და ურღვევი კავშირი მასებთან, ხალხთან. ამოცანა ის არის, რომ განვამტკიცოთ და გავაფართოოთ ეს კავშირი, გულისხმიერად ვეკიდებოდეთ მშრომელთა საჭიროებებს, ყოველდღიურად ვზრუნავდეთ მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის — ყველა საბჭოთა ადამიანის ცხოვრების გაუმჯობესებისათვის.

პარტიის წმიდა მოვალეობაა შემდგომ განამტკიცოს სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობა, გააძლიეროს ჩვენი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფო, აღზარდოს საბჭოთა ადამიანები პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, მტკიცედ და შეურიგებლად იბრძოლოს ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ყველა და ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ.

რამავენ რა ჩვენი ხალხის შემოქმედებითს ძალებს, პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ისე უნდა წარმართონ

ეს ძალები, რომ ჩვენი რეზერვები და შესაძლებლობანი მთლიანად გვეფუძვინოთ პარტიის XIX ყრილობის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის.

საჭიროა მტკიცედ გავაუმჯობესოთ მასებში პარტიული პროპაგანდისა და პოლიტიკურ-აღმზრდელი მუშაობის საქმე. შევისწავლოთ მარქსისტულ-ლენინური თეორია არა როგორც მედავითნეებმა, არა დოგმატურად, მივალწიოთ იმას, რომ შევითვისოთ არა ცალკეული ფორმულირებანი და ციტატები, არამედ არსი მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ყოველსმძლე, მსოფლიოს გარდამქმნელი რევოლუციური მოძღვრებისა — ასეთია ჩვენი პროპაგანდის ამოცანა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას ერთსულოვნად და მხურვალედ იწონებს მთელი პარტია, მთელი ჩვენი ქვეყანა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის საოლქო და საქალაქო კომიტეტების გაერთიანებულმა პლენუმმა, რომელიც გუშინ გაიმართა ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის პარტიულ აქტივთან ერთად, თავისი დიდი და მრისხანე აღშფოთება გამოთქვა ბერიას გამცემლური საქმიანობის გამო და სრული ერთსულოვნებით მოიწონა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება. ასეთივე გადაწყვეტილებანი მიიღო პარტიის კიევის საოლქო და საქალაქო კომიტეტების გაერთიანებულმა პლენუმმა აქტივთან ერთად, აგრეთვე მთელმა რიგმა სხვა პარტიულმა ორგანიზაციებმა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, რომელიც 50 წლის წინათ შექმნა გენიალურმა ლენინმა, გახდა გიგანტური ძალა, გამოიწრთო ბრძოლებში ლენინის ხელმძღვანელობით, ლენინის მოწაფისა და მისი საქმის განმგრძობის დიდი სტალინის და მათი თანამებრძოლების ხელმძღვანელობით.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, მისი საბრძოლო დროშის გარშემო მკვიდროდ დარაზმული საბჭოთა ხალხი ახორციელებს თავის დიად ისტორიულ საქმეს. პარტიის, მთავრობისა და ხალხის მკვიდრო ერთიანობით ჩვენი ქვეყანა მტკიცე რწმენით განაგრძობს წინსვლას ძლევაშოსილი კომუნისტური მშენებლობის სახელოვანი გზით.

„პრავდის“ 10 ივლისის მოწინავე

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ოპოზიციური წელი (1903—1953)



ორმოცდაათი წლისთავი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მეორე ყრილობის გახსნის დღიდან — 1903 წლის 30 ივლისიდან — ღირსშესანიშნავი თარიღია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, ჩვენი ქვეყნის ხალხთა ცხოვრებაში, მთელი საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში. ამ ყრილობაზე საფუძველი ჩაეყარა მუშათა კლასის მებრძოლ, რევოლუციურ მარქსისტულ პარტიას, ახალი ტიპის პარტიას, რომელიც პრინციპულად განსხვავდება II ინტერნაციონალის რეფორმისტული პარტიებისაგან. „ბოლშევიზმი, — წერდა ვ. ი. ლენინი, — როგორც პოლიტიკური აზროვნების მიმდინარეობა და როგორც პოლიტიკური პარტია, 1903 წლიდან არსებობს“.

მეორე ყრილობაზე წარმატებით დაგვირგვინდა დიდი ლენინის ჰემმარტად ტიტანური ბრძოლა რუსეთში რევოლუციური პროლეტარული პარტიის შექმნისათვის. მრავალი წლის მანძილზე, გასული საუკუნის 90-იანი წლების დამდეგიდან ვ. ი. ლენინმა, რომელიც გამოვიდა როგორც მარქსისა და ენგელსის მოძღვრების ერთგული მიმდევარი, შემოქმედებითად განავეითა რა მარქსიზმი ახალ ისტორიულ პირობებში, უღმობელი ბრძოლა გააჩაღა მარქსიზმის აშკარა და ფარული მტრების წინააღმდეგ, მუშათა მოძრაობაში ოპორტუნიზმის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ, პროლეტარიატის ძალების ორგანიზებისა და რევოლუციური მარქსიზმის დროშის ქვეშ დარაზმვისათვის.

რევოლუციის გენიის ლენინის მიერ შექმნილმა და გამოქვედილმა ბოლშევიკურმა პარტიამ 1917 წლის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე მიიყვანა ჩვენი ხალხი, მოაწყო პროლეტარიატის დიქტატურა, შეგნებული ისტორიული შემოქმედებისათვის დარაზმა ჩვენი სამშობლოს მშრომელთა მრავალმილიონიანი მასები, უზრუნველყო სოციალისტური საზოგადოების აშენება და მტკიცედ მიჰყავს საბჭოთა ხალხი წინ, კომუნისმისაკენ. კომუნისტური პარტიის დიდი დამაარსებლისა და ბრძენი ბელადის ლენინის სახელი განუყრელად არის დაკავშირებული ჩვენი პარტიის მთელ ისტორიასთან, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის წარმოშობასა და განვითარებასთან. ლენინის სახელი მთელი მსოფლიოს მშრომელთა დროშა გახდა მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის საქმისათვის, ხალხთა ნათელი მომავლისათვის ბრძოლაში.

მუშათა და გლეხთა საქმისათვის, სოციალიზმისათვის თავისი თავდადებული ბრძოლით, საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნისათვის თავისი დაუცხრომელი მოღვაწეობით საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ მთელი საბჭოთა ხალხის უსაზღვრო სიყვარული და ნდობა დაიმსახურა. სსრ კავშირის მშრომელნი მრავალი წლის ისტორიული გამოცდილებით დარწმუნდნენ, რომ ყველა პოლიტიკური პარტიიდან, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში არსებობდნენ,



მხოლოდ კომუნისტური პარტია არის ნამდვილი სახალხო პარტია, რომელიც მშრომელთა საარსებო ინტერესებს გამოხატავს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ ნახევარი საუკუნის მანძილზე გმირული ბრძოლის, ძნელი განსაცდელისა და მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებათა სახელოვანი გზა გაწვლილ. გენიალური ლენინის, ლენინის მოწაფისა და მისი საქმის განმგებლობის დიდი სტალინის და მათი თანამებრძოლების ხელმძღვანელობით ბრძოლებში გამოწრთობილი ჩვენი კომუნისტური პარტია ახლა არის წამყვანი, ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალა საბჭოთა საზოგადოებისა, რომელიც კომუნიზმს აშენებს.

კომუნისტური პარტიის მთელი ისტორია მოასწავებს მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი, ყოვლისმძლე მოძღვრების გამარჯვებას. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის უმდიდრესი ისტორიული გამოცდილება ყველა ქვეყნის კომუნისტური და მუშათა პარტიებისათვის არის შთამაგონებელი მაგალითი მათს თანმიმდევრულ ბრძოლაში საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნისათვის.

## I. რსდმპ მუორე ყრილობის ისტორიული მნიშვნელობა

1. რუსეთში მარქსისტული პარტია იქმნებოდა საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გარდატეხის მომენტში, როცა კაპიტალიზმი თავისი განვითარების უმაღლეს და უკანასკნელ, იმპერიალისტურ ფაზაში შევიდა, როცა მან პრაზიტულ, ლაბობად და მომაკვდავ კაპიტალიზმად იწყო გადაქცევა, როცა პროლეტარული რევოლუცია უშუალო პრაქტიკის საკითხი გახდა. რუსეთი იმ პერიოდში იმპერიალიზმის ყველა წინააღმდეგობის საკვანძო პუნქტი იყო. რუსეთის ცარიზმისა და დასავლეთის იმპერიალიზმის ინტერესები უაღრესად მჭიდროდ იყო გადახლართული ერთმანეთში. პარტიის მეორე ყრილობის წინ ვ. ი. ლენინი წერდა: „ისტორიამ ახლა ჩვენს წინაშე დააყენა უახლოესი ამოცანა, რომელიც ყველაზე უფრო რევოლუციურია რომელიც გნებავთ სხვა ქვეყნის პროლეტარიატის ყველა უახლოეს ამოცანათა შორის. ამ ამოცანის განხორციელება, არა მარტო ევროპის, არამედ აგრეთვე (შეგვიძლია ვთქვათ ახლა) აზიის რეაქციის უაღრესად ძლიერი დასაყრდენის დანგრევა რუსეთის პროლეტარიატს საერთაშორისო რევოლუციური პროლეტარიატის ავანგარდად გახდიდა“. ეს განსაზღვრავდა რუსეთში მზარდი უდიდესი სახალხო რევოლუციის ხასიათს, თავისებურებასა და საერთაშორისო მნიშვნელობას.

რუსეთში მარქსისტული მოძრაობის დასაწყისი განეკუთვნება გასული საუკუნის ოთხმოციან წლებს, როცა 1883 წელს პლეხანოვის მეთაურობით შეიქმნა „შრომის განთავისუფლების“ მარქსისტული ჯგუფი. მაგრამ „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფმა „მხოლოდ თეორიულად დააარსა სოციალ-დემოკრატია და პირველი ნაბიჯი გადადგა მუშათა მოძრაობისაკენ“. რუსეთში რევოლუციური პროლეტარული პარტიის ჩანასახი იყო პეტერბურგის ლენინური „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი“ (1895), რომლის საქმიანობა მიზნად ისახავდა მარქსიზმის ფართო შეერთებას მუშათა მოძრაობასთან.

1898 წლის მარტში გაიმართა რსდმპ პირველი ყრილობა, რომელმაც გამოაცხადა რუსეთში მარქსისტული პარტიის შექმნა. მაგრამ რუსეთში მარქსის-



ტული მოძრაობა პირველი ყრილობის შემდეგ კვლავ რჩებოდა ცალკეული დაქსაქსული სოციალ-დემოკრატიული წრეებისა და ჯგუფების სტადიონზე, რომლებიც შეკავშირებული არ იყვნენ მებრძოლი მარქსისტული პროგრამისა და ცენტრალიზებული ორგანიზაციის ერთიანობით. ამასთან სოციალ-დემოკრატიული წრეების მნიშვნელოვან ნაწილს ღრღნიდა „ეკონომიზმის“ (ოპორტუნიზმის, რომელიც უარყოფდა მუშათა კლასის პოლიტიკურ ბრძოლას და მის ხელმძღვანელ როლს) ეანგი.

პარტიის მეორე ყრილობის პერიოდში წყდებოდა უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური საკითხი: რა გზით წავა რუსეთის ახალგაზრდა მუშათა მოძრაობა — წავა იგი შთაგონებული სოციალისტური იდეოლოგიით, ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ გაბედული, თანმიმდევრული რევოლუციური ბრძოლის გზით, პროლეტარიატის დიქტატურისათვის ბრძოლის გზით, იმ გზით, რომლისკენაც მას მოუწოდებდნენ ლენინი, „ისკრელები“, ბოლშევიკები, თუ იგი დაექანება ბურჟუაზიული იდეოლოგიისადმი დამორჩილების, რეფორმიზმის, ცარიზმთან და კაპიტალიზმთან შეგუების გზაზე, იმ გზაზე, რომელზეც მუშათა მოძრაობის გადაცდენას ცდილობდნენ მენშევიკები და მათი წინამორბედი „ეკონომისტები“. პარტიის II ყრილობაზე ლენინისა და ლენინური „ისკრის“ იდეოლოგიური პრინციპების გამარჯვებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი პარტიისა და რევოლუციის განვითარებისათვის, მთელი საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობისათვის.

2. ათეული წელი, რაც წინ უძღოდა პარტიის მეორე ყრილობას, რუსეთის მუშათა მოძრაობის ისტორიაში აღინიშნა ლენინის შეურიგებელი ბრძოლით ლიბერალური ნაროდნიკობისა და „ლეგალური მარქსიზმის“, კუსტარულობისა და წრეობანას, „ეკონომისტთა“ ოპორტუნიზმის წინააღმდეგ, რომელნიც ილაშქრებდნენ პროლეტარიატის რევოლუციური პარტიის შექმნის წინააღმდეგ, სტიქიურ მუშათა მოძრაობაში სოციალისტური შეგნების შეტანის წინააღმდეგ.

მარქსისტული პარტიისათვის ბრძოლაში, „ეკონომისტთა“ განადგურებაში, დაქსაქსული სოციალ-დემოკრატიული წრეების გაერთიანებაში, რსდმპ მეორე ყრილობის მოწინააღმდეგეების გადამწყვეტი როლი შეასრულა ლენინის მიერ შექმნილმა საერთაშორისულმა მარქსისტულმა პოლიტიკურმა განეთმა „ისკრამ“. ლენინის გეგმით გაზეთი პარტიული ძალების გაერთიანების, პარტიული კადრების შეკრებისა და აღზრდის ნათელი, მარქსისტული პროგრამის, რევოლუციური ტაქტიკის, ერთიანი ნებისა და რკინისებური დისციპლინის მქონე სრულიად რუსეთის მებრძოლ ცენტრალიზებულ პროლეტარულ პარტიად მათი დარაზმვის ცენტრი გახდა. პარტიის შექმნის ეს ლენინური გეგმა ემყარებოდა რევოლუციური ბრძოლის საარსებო ამოცანებს და ოსტატურად განაზოგადებდა მარქსისტების ორგანიზაციულ გამოცდილებას. ამ გეგმის გამარჯვებამ საფუძველი ჩაუყარა დარაზმულ, მებრძოლ, გამოწრთობილ კომუნისტურ პარტიას, რომელიც ნიმუში გახდა საერთაშორისო რევოლუციური მუშათა მოძრაობისათვის.

რუსეთის მზარდი მუშათა მოძრაობის ამოცანები მტკიცედ მოითხოვდნენ მარქსისტული თეორიის შემოქმედებით განვითარებას, მუშათა მოძრაობის მტკიცედ შეერთებას სოციალიზმთან. მარქსის საქმის დიდმა განმგრძობმა ლენინმა შეიმუშავა მარქსისტული პარტიის იდეოლოგიური საფუძველები, დიდად აამაღლა რევოლუციური თეორიის მნიშვნელობა. ლენინმა დაამტკიცა, რომ მოწინავე მებრძოლისა და მშრომელთა ნამდვილი ბელადის როლის შეს-



რულება შეუძლია მხოლოდ პარტიას, რომელიც მოწინავე თეორიით ხელმძღვანელობს, მთელი ძალით გაუსვა ხაზი მეცნიერულ სოციალურ-ეკონომიკურ რევი მუშათა მოძრაობის შეერთების მნიშვნელობას.

3. რსდმპ მეორე ყრილობის ისტორიული მნიშვნელობა ის არის, რომ მან შექმნა რუსეთში ნამდვილი მარქსისტული პარტია იმ იდეურ და ორგანიზაციულ საწყისებზე, რომლებიც ლენინურმა „ისკრამ“ წამოაყენა და შეიმუშავა. მარქსისა და ენგელსის გარდაცვალების შემდეგ ყრილობამ საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ისტორიაში პირველად მიიღო რევოლუციური პროგრამა, რომელშიც ძირითად ამოცანად წამოყენებული იყო პროლეტარიატის დიქტატურისათვის ბრძოლა.

ლენინი და მისი თანამოაზრეები, თანმიმდევრული ისკრელები, ყრილობაზე შეურიგებელ ბრძოლას ეწეოდნენ ოპორტუნისტული ელემენტების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობდნენ ხელი შეეშალათ იმისათვის, რომ პროგრამაში შეტანილი ყოფილიყო მარქსიზმის უმნიშვნელოვანესი დებულება პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ. ლენინმა მთელი სიმტკიცითა და ურყევობით დაიცვა დებულება პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ. პარტიის პროგრამაში ყრილობის მიერ პროლეტარიატის დიქტატურის პუნქტის შეტანა ლენინის მომხრეთა ისტორიული გამარჯვება იყო.

წამოაყენა რა პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვებისათვის ბრძოლის ამოცანა, ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა გლეხობის, როგორც მუშათა კლასის მოკავშირის, რევოლუციური ბრძოლის უდიდეს მნიშვნელობას და მიაღწია იმას, რომ პარტიის პროგრამაში შეტანილ იქნა რევოლუციურ-დემოკრატიული მოთხოვნები გლეხთა საკითხზე.

ლენინმა გადაკრიტ გაილაშქრა ბუნდელებისა და პოლონელი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ, რომლებიც იმის წინააღმდეგი იყვნენ, რომ პროგრამაში შეტანილი ყოფილიყო პუნქტი ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ, დაიცვა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპები.

პარტიის მეორე ყრილობაზე გაიმარჯვა რევოლუციური ბრძოლის დიადმა იდეებმა, რომლებსაც ლენინი იცავდა თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის პირველი დღეებიდანვე. აკრიტიკებდა რა, როგორც მიუღებელს, პროგრამის პროექტს, რომელიც პლენარემა მოამზადა, პროექტს, რომელშიც გამოტოვებული იყო დებულება პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ, ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ რუსეთის პროლეტარიატის პარტიას უნდა ჰქონდეს პროგრამა „პრაქტიკულად მებრძოლი პარტიისა“ და არა აკადემიური სახელმძღვანელო. ამიტომ, აღნიშნავდა ლენინი, პარტიამ „თავის პროგრამაში სავსებით გარკვეულად უნდა დასდოს ბრალი რუსეთის კაპიტალიზმს, გამოუცხადოს ომი რუსეთის კაპიტალიზმს“. კომუნისტური პარტია ამ გზას, ლენინურ გზას დაადგა.

მუშათა კლასის პარტიის რევოლუციური პროგრამა, რომელიც რსდმპ მეორე ყრილობამ მიიღო, გამოხატავდა როგორც პროლეტარიატის უახლოეს ამოცანებს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ეტაპზე (პროგრამა-მინიმუმი), ისე მის ძირითად ამოცანებსაც, რომლებიც ნავარაუდვეი იყო სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის (პროგრამა-მაქსიმუმი). ეს პროგრამა ჩვენი პარტიის საბრძოლო ხელმძღვანელი დოკუმენტი იყო პარტიის თვით VIII ყრილობამდე (1919 წელი).

4. მეორე ყრილობაზე გააფთრებული ბრძოლა გაჩაღდა პარტიის აშენების ორგანიზაციული პრინციპების გარშემო. ლენინი და მისი თანამოაზ-

რენი იცავდნენ ძირითად მარქსისტულ დებულებებს პარტიის, როგორც მეშაბა კლასის მოწინავე, შეგნებულ, ორგანიზებული რაზმის როლის შესახებ, მისა, რომელიც შეიარაღებულია რევოლუციური თეორიით, საზოგადოების განვითარებისა და კლასობრივი ბრძოლის კანონების ცოდნით, რევოლუციური მოძრაობის გამოცდილებით. მხოლოდ ასეთ უაღრესად შეგნებულ და ორგანიზებულ, დარაზმულ და ცენტრალიზებულ, ერთიანი ნების მქონე პარტიას შეუძლია წაიყვანოს მეშაბა კლასი გამარჯვებისაკენ და წარმატებით უხელმძღვანელოს მის ბრძოლას ხელისუფლების მოპოვებისათვის.

მენშევიკები კი პროლეტარიატის დიქტატურისათვის ბრძოლის წინააღმდეგი იყვნენ, ამიტომაც მათთვის საჭირო არ იყო სოციალური რევოლუციის მებრძოლი პარტია. მენშევიკებისათვის ხელსაყრელი იყო მხოლოდ რეფორმისტული, ორგანიზაციულად გაუფორმებელი შემთანხმებლური ორგანიზაცია II ინტერნაციონალის ოპორტუნისტული პარტიების ტიპისა. პროგრამული ოპორტუნისმი (პროლეტარიატის დიქტატურის უარყოფა) წარმოშობდა ორგანიზაციულ ოპორტუნისმს (უარის თქმა პროლეტარიატის ცენტრალიზებულ, დისციპლინის, მებრძოლ, რევოლუციურ პარტიაზე).

პარტიაში ერთიანობის შესანარჩუნებლად, — გვასწავლიდა ლენინი, — საჭიროა რკინისებური პროლეტარული დისციპლინა, პარტიული ცხოვრების მტკიცე ნორმები, რომლებსაც წესდება აწესრიგებს და რომლებიც თანაბრად სავალდებულოა პარტიის ყველა წევრისათვის, როგორც ხელმძღვანელების, ისე რიგითი წევრებისათვის. უდიდესი მნიშვნელობა აქვს ლენინის მიერ მეორე ყრილობაზე წამოყენებულ დებულებას პარტიის წევრის მაღალი წოდების შესახებ, იმის შესახებ, რომ პარტიის თვითეული წევრი პასუხისმგებელია პარტიისათვის და პარტია პასუხისმგებელია თავისი თვითეული წევრისათვის. პარტიის ამოცანა, აღნიშნავდა ლენინი, ის არის, რომ „დავიცვათ ჩვენი პარტიის სიმტკიცე, სიმკვიდრე, სიწმინდე. ჩვენ უნდა ვეცადოთ სულ უფრო და უფრო ავამაღლოთ პარტიის წევრის წოდება და მნიშვნელობა“.

ლენინის მიერ შემუშავებული პარტიული ცხოვრების მტკიცე ნორმები, ხელმძღვანელობის პრინციპები ითვალისწინებდნენ პარტიის წესდების მოთხოვნათა უსასტიკეს დაცვას, დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპების თანმიმდევრულ განხორციელებას, პარტიის რიგითი წევრების აქტიუობის ყოველი ღონისძიებით განვითარებას, პარტიული ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხების კოლექტიურად განხილვას. პარტიული ორგანიზაციებისა და საერთოდ მთელი პარტიის ნორმალური საქმიანობა, როგორც გვასწავლიდა ლენინი, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ზუსტად იქნება დაცული ხელმძღვანელობის კოლექტიურობის პრინციპი, რომელიც პარტიას უზრუნველყოფს მიღებულ გადაწყვეტილებებში შემთხვევითობისა და ცალმხრივობის ელემენტებისაგან. პარტია წარმოადგენს ცოცხალ, თვითმოქმედ, განუწყვეტლივ განვითარებაში მყოფ ორგანიზმს.

ვ. ი. ლენინმა მარქსიზმის ისტორიაში პირველად შემუშავა მოძღვრება პარტიის, როგორც პროლეტარიატის ხელმძღვანელი ორგანიზაციის, როგორც პროლეტარიატის ხელში ძირითადი იარაღის შესახებ, ურომლისოდაც შეუძლებელია მოვიპოვოთ პროლეტარიატის დიქტატურა, ავაშენოთ სოციალიზმი და კომუნისმი.

ლენინის ბრძოლამ ყრილობაზე ოპორტუნისტული ელემენტების წინააღმდეგ პროგრამულ და ორგანიზაციულ საკითხებზე მიიღწა გააულო რსდმპ რე-

ვოლუციურ ნაწილსა — ბოლშევიკებსა და ოპორტუნისტულ ნიწილს. — მენ-  
შევიკებს შორის.

რევოლუციური მარქსისტული პარტიის — სოციალური რევოლუციონისა და პროლეტარიატის დიქტატურის პარტიის შექმნის გენიალური ლენინური გეგმის გამარჯვებამ ცხადყო, რომ ლენინის სახით რუსეთისა და საერთაშორისო პროლეტარიატს ჰყავს მარქსიზმის დიდი თეორეტიკოსი, მარქსისა და ენგელსის საქმისა და მოძღვრების განმგრძობი, რევოლუციის გამოჩენილი სტრატეგი, რომელიც გამჭრიახად ხედავს მუშათა მოძრაობის განვითარების პერსპექტივებს, მთის არწივი, რომელმაც არ იცის შიში ბრძოლაში.

5. ლენინის შეურიგებელ ბრძოლას მეორე ყრილობაზე და შემდგომ პერიოდში ოპორტუნისტების წინააღმდეგ, ბოლშევიზმის იდეური და ორგანიზაციული პრინციპების დასაცავად დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა. მენშევიკების იდეური და ორგანიზაციული გეზის — მარქსიზმისადმი მტრული გეზის უღმობელი მხილება ლენინის მიერ ლანკრის ძლიერი ჩაცემა იყო რევოლუციონისტებისათვის, მარქსიზმისაგან განდგომილებისათვის, მთელი საერთაშორისო ოპორტუნისტებისათვის, მას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა რევოლუციური მოძრაობის განვითარებისათვის ყველა ქვეყანაში. რსდმპ მეორე ყრილობა მობრუნების პუნქტი იყო მსოფლიო მუშათა მოძრაობაში.

## II. კომუნისტური პარტია პროლეტარიატის ღიბთაბურთისათვის ბრძოლაში

6. ისტორიული მოვლენების მთელმა მსვლელობამ რსდმპ მეორე ყრილობიდან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე თვალნათლივ დაადასტურა, რომ კომუნისტური პარტია ერთადერთი წამყვანი რევოლუციური ძალა იყო ჩვენს ქვეყანაში. რუსეთის სამი რევოლუციის ისტორიამ ცხადყო, რომ ჩვენმა პარტიამ მოკლე ვადაში (1903 — 1917 წლებში) ისეთი გვიანტური პოლიტიკური მუშაობა გასწია, რომელსაც გამოცდილების სიმდიდრით, მარქსისტული თეორიის ღრმა დამუშავებით და რევოლუციის მსვლელობაში მისი შემოქმედებითი გამოყენებით მსოფლიოში ბაღალი არა ჰყოლია; გვიჩვენა კომუნისტური პარტიის სტრატეგიისა და ტაქტიკის დიდი ძალა და სიცოცხლისუნარიანობა, მარქსისტულ-ლენინური თეორიის ძლიერება და უძლეველობა.

ბოლშევიკების პოლიტიკური ჯგუფი ლენინის მეთაურობით, რომელიც მეორე ყრილობაზე შეიქმნა და რომელიც ფორმალურად ერთიანი რსდმპ შემადგენლობაში იმყოფებოდა 1912 წლამდე, ახორციელებდა თანმიმდევრულ რევოლუციურ ხაზს, რომელიც შეესაბამებოდა პროლეტარიატის, გლეხობის, რუსეთის ყველა ხალხის ძირეულ ინტერესებს. ბოლშევიკები შეურიგებელ პრინციპულ ბრძოლას ეწეოდნენ რუსეთისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში ყველა ჯგუფის ოპორტუნისტის წინააღმდეგ.

7. ლენინის დიდი დამსახურება ის არის, რომ მან რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის განვითარების პერიოდში გენიალურად დაასაბუთა პარტიის ბოლშევიკური ტაქტიკა, მუშათა კლასის ტაქტიკა, შეიმუშავა კომუნისტური პარტიის პოლიტიკური (ტაქტიკური) საფუძვლები. მან განავითარა იდეა პროლეტარიატის ჰეგემონიისა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში და ცხადყო, რომ იმ დროისათვის შექმნილ ისტორიულ

ვითარებაში რევოლუციის გამარჯვების აუცილებელ პირობას წარმოადგენდა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი პროლეტარიატის ხელმძღვანელობის შენარჩუნების პირობით. ლენინმა რუს მარქსისტებს მისცა ნათელი პეტიცია ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გადაზრდისა სოციალისტურ რევოლუციად. მან გაამდიდრა მარქსიზმი პროლეტარული რევოლუციის ახალი თეორიით და საფუძველი ჩაუყარა კომუნისტური პარტიის ამ რევოლუციურ ტაქტიკას, რომლის დახმარებითაც პროლეტარიატმა უღარიბეს გლეხობასთან კავშირით 1917 წლის ოქტომბერში დაამხო ბურჟუაზიის ხელისუფლება ჩვენს ქვეყანაში და დაამყარა ნამდვილად სახალხო ხელისუფლება — მუშათა და გლეხთა დემუტატების საბჭოების ხელისუფლება, საბჭოების ხელისუფლება.

რსდმპ-ში ორი გეზის — რევოლუციური, ბოლშევიკური გეზისა და ოპორტუნისტული, მენშევიკური გეზის ბრძოლა, რომელიც პარტიის შექმნის პერიოდში იდეოლოგიურ და ორგანიზაციულ საკითხებზე გაჩაღდა, განსაკუთრებით გამწვავდა რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში (1905 — 1907), როცა პირველ პლანზე წამოწეულ იქნა ტაქტიკის საკითხები. ბოლშევიკები ადგნენ სახალხო რევოლუციის გაშლისა და მისი გამარჯვების, ცარიზმისა და მემამულეთა უღლისაგან მშრომელთა განთავისუფლების, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდის გეზს. მენშევიკები, პირიქით, იცადნენ რა ლიბერალური ბურჟუაზიის ჰეგემონიას რევოლუციაში, ადგნენ რევოლუციის შეკვეცის გეზს. ისინი ჩაეშენენ შემთანხმებლობის ჭაობში და გადაიქნენ ბურჟუაზიის აგენტურად მუშათა მოძრაობაში.

8. რუსეთის პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ ბოლშევიკები არ შეუშინდნენ გაზრდილ სიძნელეებს. სტალინის რეაქციის შავნელ წლებში მეფის რეპრესიების თარეშის და შავრანმელთა ტერორის პირობებში ბოლშევიკების პარტია განამტკიცებდა თავის რიგებს, უნარიანად იყენებდა ლეგალურ და არალეგალურ შესაძლებლობებს მასებთან კავშირის განსამტკიცებლად. მაშინ როცა ბოლშევიკები ადგნენ ახალი რევოლუციის მომზადების გეზს, მენშევიკები, პირიქით, სულ უფრო შორდებოდნენ რევოლუციას, პროლეტარიატის არალეგალური რევოლუციური პარტიის ლიკვიდაციისაკენ მიჰყავდათ საქმე, აშკარა ლიკვიდატორები გახდნენ. ბოლშევიკების ერთმა ნაწილმა ხელი აიღო მარქსისტულ პრინციპებზე და აყენებდა პარტიას მასებისაგან იზოლირებულ სექტანტურ ორგანიზაციად გადაქცევის გზაზე, კერძოდ, მოითხოვდა სახელმწიფო სათათბიროდან მუშათა დემუტატების გამოწვევას. პარტიის ეს ნაწილი, „ოტზოვისტები“, როგორც მათ მაშინ უწოდებდნენ, ლენინმა ამხილა, როგორც „პირშებრუნებული ლიკვიდატორები“.

რეაქციის მძიმე პირობებში მხოლოდ ბოლშევიკებმა, ლენინებმა, შეინარჩუნეს ერთგულება მარქსიზმისადმი, ერთგულება პარტიის პროგრამაში წამოყენებული პრინციპებისადმი და მოიგერიეს ყველა ეიროში მოწინააღმდეგეებისა, რომლებიც ცდილობდნენ განეიარაღებინათ რუსეთის პროლეტარიატი, გაენადგურებინათ მისი პარტია, ძირი გამოეთხარათ და სახელი გაეტეხათ რევოლუციური მარქსიზმის თეორიული საფუძვლებისათვის. ლენინს ეკუთვნის ის უდიდესი დამსახურება, რომ მან პარტიისათვის ამ ძნელ დროს დაიცვა და განავითარა პარტიის თეორიული საფუძვლები — დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი, რომელიც კომუნისმის თეორიული საძირკველია. იღუვრმა მარქსისტულ-ლენინურმა წრთობამ, რევოლუციის პერსპექტივების სწორმა გა-

გებამ ხელი შეუწყო ლენინის გარშემო დარაზმულს პარტიის ძირითად ბირთვს დაეცვა პარტია და შეენარჩუნებინა მისი ძირითადი კადრები. *ეროვნული*

9. 1912 წელს პრალაში გაიმართა სრულიად რუსეთის VI მმართველობის ფორენცია, რომელმაც რსდმპ-დან განდევნა მენშევიკი-ლიკვიდატორები, რითაც საფუძველი ჩაუყარა ბოლშევიკების საბოლოოდ ჩამოყალიბებას დამოუკიდებელ პარტიად. პროლეტარული პარტიის გაწმენდას ოპორტუნისტებისაგან, მენშევიკი ლიკვიდატორებისაგან გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა პარტიის შემდგომი განვითარებისათვის, მისი რიგების ერთიანობის განმტკიცებისა და პროლეტარიატის დიქტატურის წარმატებით მოპოვებისათვის.

ლენინის და ლენინური ხელმძღვანელი ბირთვის გარშემო გაერთიანებული ბოლშევიკების დაუცხრომელი ბრძოლა ახალი ტიპის პარტიის შექმნისათვის სრული გამარჯვებით დაგვირგვინდა.

10. დაწყებულმა ახალმა მძლავრმა რევოლუციურმა აღმავლობამ (1912 — 1914 წლები) ცხადყო, რომ მუშები ემზადებოდნენ ახალი რევოლუციისათვის, რომ ისინი ახალ ბრძოლებში მიჰყავდა კლასობრივ ბრძოლაში ნაცად და გამოწრთობილ კომუნისტურ პარტიას.

პარტიული რიგების განმტკიცებასა და მასებთან პარტიის კავშირის გაფართოებაში, რევოლუციური მუშების ახალი თაობის აღზრდაში, ლიკვიდატორების, ტროცკისტების, ოტზოვისტებისა და სხვა ოპორტუნისტების წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი როლი შეასრულა ჩვენი პარტიის ლეგალურმა ყოველდღიურმა გაზეთმა „პრადამ“, რომელიც 1912 წლის გაზაფხულზე შეიქმნა პეტერბურგის მუშების ინიციატივით.

11. იმპერიალისტური ომის (1914 — 1918 წლები) მძიმე ხანაში ბოლშევიკების პარტია აღმოჩნდა რევოლუციური პროლეტარული პარტიის ამოცანების სიმალღეზე, სოციალიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საქმის ერთგული. II ინტერნაციონალის პარტიებმა უღალატეს სოციალიზმის საქმეს და დაეშვნენ სოციალ-შოვინიზმის პოზიციებზე.

განუხრელად ხელმძღვანელობდნენ რა ომის, ზავისა და რევოლუციის საკითხებზე მარქსისტულ-ლენინური თეორიით, ბოლშევიკები თანმიმდევრულად იბრძოდნენ იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევისათვის, რუსეთში იმპერიალისტთა ხელისუფლების დამხობისათვის, ყველა ქვეყანაში იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ ბრძოლის მხარდაჭერისათვის.

შემოქმედებითი მარქსიზმის საგანძურში შესანიშნავი წვლილი იყო ვ. ი. ლენინის კლასიკური ნაშრომი „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“. პირველად მარქსისტულ ლიტერატურაში ლენინმა ამ შრომაში მოგვცა იმპერიალიზმის, მის ძირითად წინააღმდეგობათა და კანონზომიერებათა ყოველმხრივი ღრმა ანალიზი, ცხადყო, რომ იმპერიალიზმი არის კაპიტალიზმის განვითარების უმაღლესი და ამავე დროს უკანასკნელი სტადია, რომ „იმპერიალიზმი პროლეტარიატის სოციალური რევოლუციის წინააღმდეგ“.

ლენინმა მეცნიერულად დაამტკიცა, რომ კაპიტალიზმი, რომელიც XIX საუკუნის დამლევამდე თავისი აღმავლობის პერიოდში იმყოფებოდა, იმპერიალიზმის ეპოქაში გადაიქცა მომაკვდავ კაპიტალიზმად, რომელსაც კაცობრიობისათვის მოაქვს უმაგალითო უბედურება და ტანჯვა. ლენინმა უშისრად ამახილა თანამედროვე მონოპოლისტური კაპიტალიზმის განუყოფრებელი წყლულები, რომლებმაც განსაკუთრებული ძალით იჩინა თავი უკვე პირველი მსოფლიო ომის პერიოდში. თუ რსდმპ მეორე ყრილობის პერიოდში ლენინი პარტიის



პროგრამაში მკაცრ ბრალდებას უყენებდა რუსეთის კაპიტალიზმს, პირველი მსოფლიო ომის წლებში ლენინმა უდიდესი მეცნიერული სიზუსტით და რევოლუციური მგზნებარებით წარუდგინა ბრალდება მსოფლიო იმპერიალიზმს, რომელსაც კაცობრიობა მიჰყავდა ახალი სისხლისმღვრელი ომებისა და ეკონომიური კატასტროფების უფსკრულისაყენ.

თავის შესანიშნავ ნაშრომში „კატასტროფის მუქარა და როგორ ვებრძოლოთ მას“, რომელიც დაწერილია 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის წინ, ლენინი გვაფრთხილებდა:

„ომმა ისეთი უსახლგრო კრიზისი შექმნა, ისე დაძაბა ხალხის მატერიალური და მორალური ძალები, ისეთი ლახვარი ჩასცა მთელ თანამედროვე საზოგადოებრივ ორგანიზაციას, რომ კაცობრიობა ასეთი არჩევანის წინაშე აღმოჩნდა: ან დაიღუპოს ან თავისი ბედი მიანდოს ყველაზე რევოლუციურ კლასს ფრიად სწრაფი და ფრიად რადიკალური გადასვლისათვის წარმოების უფრო მაღალ წესზე“.

ლენინის ისტორიული დამსახურება ის არის, რომ მან იმპერიალიზმის ანალიზის დროს, ეყრდნობოდა რა კაპიტალიზმის ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობის მის მიერ აღმოჩენილ კანონს, გააკეთა დიდი მეცნიერული აღმოჩენა: ჩამოაყალიბა და დაასაბუთა გენიალური დასკვნა, რომ შესაძლებელია იმპერიალიზმის მსოფლიო ფრონტის ჯაჭვის გარღვევა მის ყველაზე სუსტ რგოლში, დასკვნა, რომ შესაძლებელია სოციალიზმის გამარჯვება თავდაპირველად რამდენიმე ან თუნდაც ერთ, ცალკე აღებულ, კაპიტალისტურ ქვეყანაში. ეს იყო სოციალისტური რევოლუციის ახალი, დამთავრებული თეორია. მან გაამდიდრა მარქსიზმი და წინ წასწია იგი, რევოლუციური პერსპექტივა დაუსახა ცალკეული ქვეყნების პროლეტარებს, გაშალა ინიციატივა თავისი, ეროვნული ბურჟუაზიის წინააღმდეგ შეტევის საქმეში, განუმტკიცა მათ პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების რწმენა.

რუსეთის მუშებმა, რომლებსაც სათავეში ედგა კომუნისტების პარტია, მსოფლიოში პირველმა წარმატებით გამოიყენეს მსოფლიო კაპიტალიზმის დასუსტება 1914 — 1918 წლების მსოფლიო ომის მსვლელობაში, დაამხეს ცარიზმი და უზრუნველყვეს ჯერ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვება; რუსეთის მეორე რევოლუციამ გაიმარჯვა. გატეხეს რა შემთანხმებელი პარტიების — მენშევიკებისა და ესერების წინააღმდეგობა, ბოლშევიკებმა აიღეს გეზი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციიდან სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლისა.

12. 1917 წლის თებერვლიდან ოქტომბრამდე გასულ პერიოდში კომუნისტური პარტია ჩვენს ქვეყანაში ასრულებდა უძნელეს ამოცანას — მუშათა კლასში, რევოლუციის მსვლელობაში შექმნილ მუშათა და ჯარისკაცთა დემოკრატიების საბჭოებში უმრავლესობის მოპოვების ამოცანას, სოციალისტური რევოლუციის მხარეზე მილიონობით მშრომელთა მიზიდვის, გამარჯვების მოსაპოვებლად, იმპერიალიზმების ხელისუფლების დასამხობად მშრომელ გლეხობასთან მუშათა კლასის კავშირის განმტკიცების ამოცანას.

ცნობილ აპრილის თეზისებში ლენინმა მოახდინა ახალი აღმოჩენა, რომელმაც გაამდიდრა მარქსისტული თეორია, — იგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ პროლეტარიატის დიქტატურის საუკეთესო პოლიტიკური ფორმაა არა პარლამენტარული დემოკრატიული რესპუბლიკა, როგორც წინათ მარქსისტებს მიანდოთ, არამედ საბჭოების რესპუბლიკა. ამ გენიალურ აღმოჩენას უდიდესი

მნიშვნელობა ჰქონდა 1917 წლის ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების უზრუნველყოფისათვის, ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა რევოლუციის გამარჯვებისათვის.

ჩვენს ქვეყანაში ბურჟუაზიის ბატონობის დამხობისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამკვიდრებისათვის ბრძოლის მსვლელობაში კომუნისტების პარტია მართო ხელმძღვანელობდა მშრომელთა მასებს, ამსხვრედა რა საზიზარო კაპიტულანტების — ტროცისტების, ზინოვიეველებისა და რევოლუციის სხვა შტრეიკბრეხერების ყველა ცდას — გადაეცდინათ პარტია ლენინური გზიდან. კაპიტალიზმის ბედი რუსეთში იმ გარემოებამ გადაწყვიტა, რომ პარტიამ ერთიან მძლავრ რევოლუციურ ნაკადად გააერთიანა საერთო დემოკრატიული ბრძოლა მშვიდობისათვის, გლახთა დემოკრატიული მოძრაობა მემამულური მიწათმფლობელობის, ლიკვიდაციისათვის ისე, რომ მემამულეთა მიწა გლახებს გადასცემოდა, ჩვენი ქვეყნის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და პროლეტარიატის სოციალისტური მოძრაობა ბურჟუაზიის დამხობისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისათვის. რაც შეეხება შემთანხმებელ, წვრილბურჟუაზიულ პარტიებს, ყველა მათგანმა (მენშევიკებმა, ესერებმა, ანარქისტებმა) რევოლუციის მსვლელობაში თავი გამოიამჟღავნეს, როგორც ანტიხალხურმა პარტიებმა, რომლებიც ისწრაფოდნენ კაპიტალისტური წყობილების შენარჩუნებისა და განმტკიცებისაკენ.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება პროლეტარული რევოლუციის ლენინური თეორიის გამარჯვება იყო. დაამხო რა კაპიტალისტებისა და მემამულეთა ხელისუფლება, დაამხო რა იმპერიალისტების ხელისუფლება რუსეთში და დაამყარა პროლეტარიატის დიქტატურა, ჩვენმა პარტიამ განახორციელა რსდმპ II ყრილობის მიერ მიღებული პროგრამა.

განახორციელა რა ძლევამოსილი სოციალისტური რევოლუცია, კომუნისტურმა პარტიამ იხსნა ჩვენი ქვეყანა ეროვნული კატასტროფისაგან, გაათავისუფლა იგი მსოფლიო იმპერიალიზმზე დამოკიდებული ნახევრადკოლონიური ქვეყნის მდგომარეობისაგან და საბჭოთა ხალხი გამოიყვანა კაცობრიობის ისტორიაში ჯერ არნახულ სოციალისტური გარდაქმნების ფართო გზაზე.

ისეთი რევოლუციის გამარჯვების მოსაწყობად, როგორიც იყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, საჭირო იყო მოწინავე რევოლუციური თეორიით შეიარაღებული, უდიდესი სიმამაცისა და გამირობის მქონე პარტია, რომელიც მზად იქნებოდა ყოველგვარი მსხვერპლი გაეღო ხალხისა და სამშობლოს ინტერესებისათვის, პარტია, რომელსაც უძლიერესი კავშირი ექნებოდა მშრომელთა ფართო მასებთან. სწორედ ასეთი პარტია იყო კომუნისტების მძლავრი პარტია, რომელიც შექმნა და გამოზარდა დიდმა ლენინმა.

### III. კომუნისტური პარტია სოციალიზმის აშენებისათვის ბრძოლაში

13. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციით კაცობრიობის ისტორიაში დაიწყო ახალი ერა — კაპიტალიზმის ნგრევის ერა, სოციალიზმისა და კომუნისმის გამარჯვების ერა. რუსეთში საბჭოთა რევოლუციის გამარჯვება მოასწავებდა ძირეულ მობრუნებას კაცობრიობის ბედში, მსოფლიო ისტორიაში — ძველი, კაპიტალისტური სამყაროდან ახალი, სოციალისტური სამყაროსაკენ.



ოქტომბრის რევოლუციამ სასიკვდილო კრილობა მიაყენა კაპიტალიზმს, შეარყია და დაასუსტა იმპერიალიზმის საფუძველი, გააადვილა საერთაშორისო პროლეტარიატის ბრძოლა კაპიტალის წინააღმდეგ. ჩვენი კომუნისტური პარტია ეროვნული ძალიდან საერთაშორისო, ინტერნაციონალური ძალა, მსოფლიო რევოლუციური და მუშათა მოძრაობის «დამკერელი ბრიგადა» გახდა.

პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების შემდეგ კომუნისტური პარტიის, როგორც მმართველი პარტიის, წინაშე დაისახა მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს აშენებისა და დაცვის ამოცანები.

კომუნისტური პარტიის ბელადმა, საბჭოთა მთავრობის მეთაურმა ვ. ი. ლენინმა შეიმუშავა მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამა ეკონომიურად ჩამორჩენილი რუსეთის გადაქცევისა მოწინავე მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ. ეს პროგრამა ითვალისწინებდა ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ ინდუსტრიალიზაციას, მძიმე მრეწველობის ყოველი ღონისძიებით განვითარებას, მთელი სახალხო მეურნეობის ელექტროფიკაციას, ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის სოციალისტურ საწყისებზე გარდაქმნის კოოპერაციული გეგმის განხორციელებას, კულტურული რევოლუციის განხორციელებას.

ძლედა რა უდიდეს სიძნელეებს — სამეურნეო ნგრევასა და შიმშილს, იგერიებდა რა უცხოელი ინტერვენტების გააფთრებულ იერიშებს (ეგრეთწოდებულ „14 სახელმწიფოს ლაშქრობას“ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ) და შინაური კონტრრევოლუციის ამბოხებებს, კომუნისტურმა პარტიამ ჩვენი ქვეყნის ხალხები მიიყვანა ინტერვენტებსა და თეთრგვარდიელებზე სრულ გამარჯვებამდე.

ისტორია არასოდეს არ დაივიწყებს უდიდეს გმირობას, რომელიც მუშებმა და გლეხებმა გვიჩვენეს ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის წლებში, იცავენ რა თავიანთ ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკას. ვერც შიმშილმა და ნგრევამ, ვერც სათბობის, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის უქონლობამ, ვერც ტიფის ეპიდემიებმა და სხვა უბედურებამ, ვერც კულაკთა აჯანყებებმა, მოწყობილმა იმპერიალისტ მტაცებელთა აგენტების მიერ, რომლებიც ოცნებობდნენ დაენაწილებინათ რუსეთი და გადაექციათ იგი იმპერიალისტურ სახელმწიფოთა კოლონიად, — ვერაფერმა ვერ გატეხა ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ურყევი მისწრაფება ექსპლოატატორულ კლასებზე გამარჯვებისადმი, ახალი, სოციალისტური ცხოვრების მშენებლობისადმი.

ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკისათვის ყველაზე ძნელ მომენტში, 1919 წლის აპრილში, ლენინი უდიდესი რწმენითა და შიარსმჭკრეტელობით ამბობდა: „ვერასდროს ვერ დაამარცხებენ იმ ხალხს, რომლის მუშათა და გლეხთა უმრავლესობამ გაიგო, იგრძნო და დაინახა, რომ ისინი იცავენ თავიანთ, საბჭოთა ხელისუფლებას — მშრომელთა ხელისუფლებას, რომ იცავენ იმ საქმეს, რომლის გამარჯვება მათი და მათი შვილებისთვის უზრუნველყოფს კულტურის მთელი სიკეთით, ადამიანის შრომის ყველა ქმნილებით სარგებლობის შესაძლებლობას“.

ისტორიამ დაგვანახვა, თუ რაოდენ მართალი იყო ლენინი.

დაიცვა რა პროლეტარიატის დიქტატურა შინაური და გარეშე კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლებში, გაანადგურა რა უცხოელი ინტერვენტები და თეთრგვარდიელები, პარტიამ გააჩალა გიგანტური აღმშენებლობითი მუშაობა ახალი ეკონომიური პოლიტიკის საფუძველზე, ხალხის დაუშრეტელი

შემოქმედებითი ძალები წარმართა სოციალიზმის მშენებლობის ლენინური გეგმის განსახორციელებლად. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენს ქვეყნის მშრომელები პირველნი წავიდნენ სოციალიზმის მშენებლობის გაუქვალავი გზებით, თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრების გზას უკაფავდნენ მთელ კაცობრიობას.

14. როცა დასასრულს უახლოვდებოდა სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის პარტიისა და მუშათა კლასის გმირული მუშაობა, მთელი ძალით დადგა საკითხი ჩვენი ქვეყნის განვითარების პერსპექტივების შესახებ.

თუ პარტიის მეორე ყრილობის პერიოდში ბოლშევიკები მენშევიკების წინააღმდეგ იბრძოდნენ მუშათა მოძრაობაში რევოლუციური ხაზის გამარჯვებისათვის, ახლა, პროლეტარიატის გამარჯვებული დიქტატურის პირობებში დადგა სსრ კავშირში სოციალიზმის ბედის საკითხი. პარტიისა და ხალხის მტრებმა — ტროცისტებმა, ბუხარინელებმა, ბურჟუაზიულმა ნაციონალისტებმა, — რომლებიც მენშევიკურ ნაბოლარებს წარმოადგენდნენ, კაპიტულანტური პოზიცია დაიკავეს. ისინი ცდილობდნენ პარტია და ჩვენი ქვეყანა ლენინური გზიდან გადაეცდნათ პროლეტარული რევოლუციის მონაპოვართა ლიკვიდაციის გზაზე, კაპიტალიზმის რესტავრაციის გზაზე. კომუნისტურმა პარტიამ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, ვ. ი. ლენინის საქმის დიდი განმგარპობის ი. ბ. სტალინის მეთაურობით, გაანადგურა გამცემელები და კაპიტულანტები, დაიცვა ლენინიზმი და დაადგა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების მტკიცე ეურსს. ამასთან კომუნისტური პარტია ემყარებოდა საზოგადოების ეკონომიური განვითარების ობიექტურ კანონებს, საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარების მომწიფებულ მოთხოვნილებებს, ხალხის ინტერესებს. პარტია ემყარებოდა ლენინის დებულებას, რომ ჩვენს ქვეყანაში არის ყველაფერი, რაც კი აუცილებელი და საკმარისია სრული სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის.

15. ომამდელი ზთოწლებების მანძილზე საბჭოთა ხალხმა წარმატებით განახორციელა ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის გეგმა, რომელიც შემუშავებული იყო პარტიის მიერ. ამ გეგმის განხორციელების შედეგად ჩვენმა სამშობლომ გააყეთა გიგანტური ნახტომი წინ, ჩამორჩენილი აგარული ქვეყნიდან გადაიქცა მძლავრ ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო სოციალისტურ სახელმწიფოდ.

ჩვენს ქვეყანაში საბოლოოდ ლიკვიდირებულია ექსპლოატატორული კლასები, სამუდამოდ მოსპობილია ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია. საბჭოთა ხალხმა, რომელსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს, ისტორიაში პირველმა ააშენა ახალი საზოგადოებრივი წყობილება — სოციალიზმი. სოციალიზმის გამარჯვებამ მოსპო უმუშეგრობა და მოუტანა ხალხს მატერიალური კეთილდღეობის ძირეული გაუმჯობესება, შექმნა საჭირო პირობები მშრომელთა შეძლებული და კულტურული ცხოვრებისათვის. ჩვენს ქვეყანაში განხორციელდა ნამდვილი კულტურული რევოლუცია. ხელმძღვანელობდა რა ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკით, კომუნისტურმა პარტიამ გაათავისუფლა რუსეთის ხალხები მრავალსაუკუნოვანი სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან, მიიღწია წინათ ჩაგვრული ხალხების ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილობის დაძლევა, დარაზმა ჩვენი სამშობლოს ყველა ერი ერთიან ძმურ ოჯახად, შექმნა მძლავრი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფო — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების

კავშირი. სოციალიზმის გამარჯვების ბაზაზე განვითარდნენ და განმტკიცდნენ საბჭოთა საზოგადოების ისეთი მძლავრი მამოძრავებელი ძალები, როგორც არის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა, საბჭოთა პატრიოტიზმი.

საბჭოთა ხალხის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებანი განმტკიცებულია სსრ კავშირის კონსტიტუციით — გამარჯვებული სოციალიზმის კონსტიტუციით და გაშლილი სოციალისტური დემოკრატიით. კომუნისტური პარტიის XVIII ყრილობამ (1939 წ.) განსაზღვრა სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის გზით საბჭოთა საზოგადოების შემდგომი წინსვლის პროგრამა. სსრ კავშირში სოციალიზმის აშენება შედეგია ლენინის ანდერძის შესრულებისა, შედეგია კომუნისტური პარტიის დიდი მთავარი წინააღმდეგობის და წარმართველი მოღვაწეობისა, მისი ბრძნული ხელმძღვანელობისა, შედეგია მუშების, გლეხების, ინტელიგენციის გმირული შრომისა, რომლებიც ერთსულოვნად უჭერენ მხარს პარტიის პოლიტიკას.

ჩვენი პარტია იმარჯვებდა და იმარჯვებს ლენინიზმისადმი ერთგულებით. იგი ასწავლის ჩვენს კადრებს, ყველა კომუნისტს ბეჯითად დაეუფლონ რევოლუციურ თეორიას, თანმიმდევრულად განახორციელონ ლენინის მიერ შემუშავებული პარტიული ცხოვრების ნორმები, პარტიული ხელმძღვანელობის ბოლშევიკური პრინციპები. თავის გამოსვლაში 1941 წლის 22 აპრილს ი. ბ. სტალინმა ლენინის სიდიადეზე და ლენინის ანდერძის მნიშვნელობაზე თქვა:

„ეს მან, ლენინმა, გვასწავლა ვიმუშაოთ ისე, როგორც უნდა მუშაობდნენ ბოლშევიკები, არ ვიცოდეთ შიში და არ ვჩერდებოდეთ არავითარი სიძნელის წინაშე“.

16. ჩვენი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების ძალისა და სიცოცხლისუნარიანობის უაღრესად სერიოზული შემოწმება იყო საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომი. ომის დღეებში პარტია გამოვიდა როგორც ფაშისტი დამპყრობთა წინააღმდეგ საყოველთაო-სახალხო ბრძოლის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი. თავისი ორგანიზატორული მუშაობით პარტიამ საერთო მიზნისაკენ წარმართა საბჭოთა ადამიანების მთელი ძალღონე, ჩვენი ქვეყნის მთელი ძალები და სამუშაოებიანი დაუქვემდებარა მტრის განადგურების საქმეს. პარტიამ დარაზმა მუშათა კლასი, გლეხობა, ინტელიგენცია სიძნელეთა თავგანწირულად გადალახვისათვის, მოაწყო მძლავრი შრომითი აღმავლობა, ფრონტის სამსახურში ჩააყენა სახალხო მეურნეობა, ერთიან საბრძოლო ბანაკად გადააქცია ჩვენი ქვეყანა. ომის წლებში კომუნისტური პარტია კიდევ უფრო შეუსისხლხორცდა ხალხს, კიდევ უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა მშრომელთა ფართო მასებს. ომის უდიდესი განსაცდელის დღეებში, გადალახა რა სერიოზული სიძნელენი და დაბრკოლებანი გამარჯვების გზაზე, პარტიამ კვლავ ცხადყო, რომ იგი არის ერთიანი, მეზობლი ორგანიზაცია, რომლისთვისაც უცხოა მერყეობა და უთანხმოება თავის რიგებში.

განადგურეს რა ფაშისტი აგრესორები, საბჭოთა ხალხმა, მამაცმა საბჭოთა არმიამ, რომლებსაც სახელოვანი კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს, დაიცვეს თავიანთი სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, იხსნეს ევროპისა და აზიის ხალხები ფაშისტური დამონების საფრთხისაგან. მეორე მსოფლიო ომში ფაშისტზე სოციალიზმის გამარჯვების შედეგად გაიზარდნენ და

განმტკიცდნენ სოციალიზმისა და დემოკრატიის ძალები, შესუსტდა იმპერიალიზმისა და რეაქციის პოზიციები. კაპიტალიზმის სისტემას ჩამოქცეულდნენ ევროპისა და აზიის მთელი რიგი ქვეყნები, რომლებშიც დამკვიდრდა სახალხო-დემოკრატიული რეჟიმი. სოციალიზმისა და დემოკრატიის საქმის უდიდესი გამარჯვება იყო ჩინეთში სახალხო რევოლუციის გამარჯვება და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნა. განუზომლად გაძლიერდა და განმტკიცდა საბჭოთა კავშირის პოზიციები, ბევრად გაიზარდა საბჭოთა კავშირის ავტორიტეტი და მისი გავლენა მთელ საერთაშორისო განვითარებაზე.

17. ომისშემდგომ წლებში საბჭოთა ხალხს უდიდესი ღონისძიებანი დასჭირდა იმისათვის, რომ მოეშუშებინა ომით მიყენებული მძიმე ჭრილობები და აღმოეფხვრა მისი შედეგები. კომუნისტური პარტიის მიერ შთაგონებულმა და დარაზმულმა ჩვენი ქვეყნის მშრომლებმა უმაგალითოდ მოკლე ვადაში აღადგინეს სახალხო მეურნეობა და წინ წასწიეს საბჭოთა ეკონომიკის, ტექნიკისა და კულტურის ყველა დარგი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობამ შეაჯამა საბჭოთა ხალხის ბრძოლისა და გამარჯვების დიადი შედეგები და დასახა ჩვენი ქვეყნის შემდგომი წინსვლის პროგრამა. ყრილობა იყო ახალი მკაფიო დადასტურება პარტიის ურღვევი მონოლითურობისა და დარაზმულობისა, პარტიისა და ხალხის უალრესად მჭიდრო ერთიანობისა, პარტიის იმ განუხრელი გადაწყვეტილებისა, რომ ჩვენი ქვეყნის ხალხები მიიყვანოს კომუნისმის გამარჯვებამდე.

ახორციელებს რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, პარტიამ უზრუნველყო ახალი აღმავლობა სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში. სსრ კავშირში სოციალისტური ეკონომიკის უდიდესი წარმატებანი და კულტურის აყვავება შესაძლებელი გახდა მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის მტკიცე კავშირის, ჩვენი ქვეყნის ხალხთა მზარდი მეგობრობის მეოხებით, საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის განუხრელი განმტკიცების მეოხებით. ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ თანმიმდევრულად ხორციელდება კომუნისტური პარტიის მიერ შემუშავებული პოლიტიკა, რომელიც ემყარება მასების შემოქმედებითს აქტივობას და სარგებლობს მთელი საბჭოთა საზოგადოების მზარდაქერით.

საბჭოთა კავშირი, ურყევი ძლიერებითა და შემოქმედებითი ძალებით აღსავსე, წარმატებით მიდის წინ, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გზით.

#### IV. კომუნისტური პარტია კომუნისმის მშენებელი საბჭოთა საზოგადოების მარკანიზაციული და შთაგონებელი ძალი

18. კომუნისტური პარტია წარმატებით ასრულებს ხალხის მასების ბელადისა და ორგანიზატორის როლს იმით, რომ იგი წარმოადგენს მებრძოლ კავშირს თანამოაზრე კომუნისტებისას, რომლებიც დარაზმული არიან შეხედულებათა ერთიანობით, მოქმედებისა და დისციპლინის ერთიანობით. კომუნისტური პარტიის მთელი მოღვაწეობა გამსჭვალულია ხალხისადმი, მშრომელთა რევოლუციური ენერჯიისადმი ღრმა რწმენით. ჩვენი პარტია იმ აზრს ეყრდნობა, რომ მუშები და გლეხები, რომლებიც ცხოვრების ყველა სიკეთეს

ქმნიან, ისტორიის ნამდვილი შემოქმედნი არიან, რომ „მხოლოდ ის გამმარჯვებებს და შეინარჩუნებს ხელისუფლებას, ვისაც რწმენა აქვს ხალხსა და მათს წინაშე“ (ლენინი). პარტიის ძალა მისი ურდევები კავშირი ხალხთან. ხალხის ძალა მისი დარაზმულობა პარტიის გარშემო.

ჩვენი პარტიის მთელი ისტორია — ეს არის მარქსიზმ-ლენინიზმი მოქმედებაში. ხელმძღვანელობდა რა მარქსისტულ-ლენინური თეორიით, ობიექტური ეკონომიური კანონების ცოდნით, კომუნისტურმა პარტიამ შეიმუშავა მეცნიერულად და პრაქტიკულად შემოწმებული პოლიტიკა, რომელიც ასახავს საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარების მოთხოვნილებებს, ხალხის ძირეულ ინტერესებს, გამოვიდა როგორც მასების რევოლუციური ენერჯის, რევოლუციური შემოქმედების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი. განაზოგადა რა სსრ კავშირში სოციალისტური მშენებლობის უმდიდრესი გამოცდილება და თანამედროვე საერთაშორისო განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოცდილება, ი. ბ. სტალინმა შემოქმედებითად განავითარა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება ახალი ისტორიული პირობების შესაბამისად და მთელ რიგ საკითხებში გაამდიდრა რევოლუციური თეორია ახალი დებულებებით.

19. ახლა კომუნისტური პარტია წყვეტს კომუნისტური მშენებლობის, მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს შემდგომი განმტკიცების, ყველა საბჭოთა ადამიანის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის განუწყვეტლივ ამაღლების უმნიშვნელოვანეს ამოცანებს.

ჩვენ ყველაფერი გვაქვს, რაც საჭიროა სრული კომუნისტური საზოგადოების ასაშენებლად. დაუშრეტელია ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრენი. ჩვენ გვაქვს მძლავრი სოციალისტური ინდუსტრია, ყოველმხრივ განვითარებული მიწვე მრეწველობა — სოციალისტური ეკონომიკის საფუძველთა საფუძველი. სსრ კავშირის მსუბუქ და კვების მრეწველობას შეუძლია დააკმაყოფილოს ქალაქისა და სოფლის მშრომელთა მზარდი მოთხოვნილებანი. ჩვენს საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს, რომლებიც უზრუნველყოფილი არიან თანამედროვე მოწინავე ტექნიკით, შესაძლებლობა აქვთ სწრაფი ტემპით გადიდონ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობა და საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობა.

მაგრამ ჩვენში დღემდე კიდევ არ არის გადაჭრილი ზოგიერთი გადაუდებელი სამეურნეო საკითხი, არის ჩამორჩენილი საწარმოები და მრეწველობის ცალკე დარგებიც კი, უყურადღებოდ მიტოვებულია ზოგიერთი კოლმეურნეობა და მთელი სასოფლო სამეურნეო რაიონები. პარტიული, საბჭოთა, პროდუქციური და კომკავშირული ორგანიზაციები მოწოდებულნი არიან მობილიზაცია უყონ საბჭოთა ხალხის შემოქმედებითს ძალებს და დარაზმონ ისინი სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში არსებული რეზერვებისა და შესაძლებლობათა გამოყენებისათვის საბრძოლველად, რათა წარმატებით შესრულდეს პარტიის XIX ყრილობის მიერ დასახული ამოცანები.

20. კომუნისტური პარტია დაუცხრომლად ზრუნავს მშრომელების მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის. საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობისათვის, მთელი საბჭოთა ხალხის ბედნიერებისათვის ზრუნვა კანონია ჩვენი პარტიისათვის.

სოციალისტური ეკონომიკის განვითარებაში მიღწეულმა წარმატებებმა

გამოიწვია საბჭოთა ხალხის მატერიალური და კულტურული დონის სწრაფი ამაღლება. ეს თავის გამოხატულებას პოულობს ნაციონალისტური შეწყვეტის განუწყვეტელ ზრდაში, მასობრივი მოხმარების საქონლის ფასების სისტემატურ შემცირებაში, მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასისა და გლახთა შემოსავლის გადიდებაში. საბჭოთა სახელმწიფო წლითიწლობით ადიდებს ასიგნობებს საბინაო მშენებლობისათვის, ჯანმრთელობის დაცვისათვის, სახალხო განათლებისათვის. მაგრამ ყოველივე ეს იმას როდი ნიშნავს, რომ შეიძლება დაეკმაყოფილდეთ არსებული მიღწევებით. ამიტომ პარტია ახალ და ახალ ღონისძიებებს ახორციელებს ბინების, სკოლების, საავადმყოფოების მშენებლობის გასაჩაღებლად და მთელი ამ საქმის ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად.

მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების განვითარებისათვის პარტიის მუდმივმა ზრუნვამ უზრუნველყო ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური საბჭოთა კულტურის აყვავება. კომუნისტურ პარტიას თავის უპირველეს მოვალეობად მიაჩნია კვლავაც განუწყვეტლივ გააუმჯობესოს ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა და აამალოს მათი კულტურული დონე.

21. საგარეო პოლიტიკის დარგში პარტიის მთავარი საზრუნავი ის არის, რომ უზრუნველყოს საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შრომა, შეინარჩუნოს მშვიდობა და აღარ დაუშვას ახალი ომი. კომუნისტურ პარტიას მიაჩნია, რომ მშვიდობის პოლიტიკა ერთადერთი სწორი პოლიტიკაა, რომელიც შეესაბამება საბჭოთა ხალხისა და ყველა სხვა მშვიდობისმოყვარე ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს.

მთელ თავის საგარეო პოლიტიკაში ჩვენი პარტია ეყრდნობა ლენინის მითითებას, რომ შესაძლებელია ორი სისტემის — სოციალისტური და კაპიტალისტური სისტემების ხანგრძლივი თანაარსებობა და მშვიდობიანი შეჯიბრება. ინტერვენტების ძირითადი ძალების განადგურების შემდეგ ლენინი აღნიშნავდა: „ჩვენ... ბრძოლით მივიღეთ ისეთი პირობები, როდესაც შეგვიძლია ვიარსებოთ კაპიტალისტური სახელმწიფოების გვერდით, რომელნიც იძულებულნი არიან ახლა სავაჭრო ურთიერთობა დაამყარონ ჩვენთან... ჩვენ გვაქვს არამარტო შესვენება, — ჩვენ გვაქვს ახალი ხანა, როდესაც ჩვენი ძირითადი საერთაშორისო არსებობა კაპიტალისტური სახელმწიფოების ქსელში მოპოვებულია“.

ლენინი უკვე მაშინ ამბობდა, რომ მთელი რიგი ბურჟუაზიული ქვეყნები ეკონომიურად დაინტერესებული არიან საბჭოთა რუსეთთან ვაჭრობით: „ბურჟუაზიულ ქვეყნებს რუსეთთან ვაჭრობა სჭირდებათ: მათ იციან, რომ ეკონომიური ურთიერთობის ამა თუ იმ ფორმის გარეშე ნგრევა მათ ქვეყნებში უფრო და უფრო შორს წავა, როგორც იგი დღემდე მიდიოდა; მიუხედავად ყველა მათი უბრწყინვალესი გამარჯვებისა, მიუხედავად მთელი ამ დაუსრულებელი ტრაბახისა, რომლითაც ისინი ავისებენ მთელი მსოფლიოს გაზეთებსა და ღებუშებს, მათი ეკონომიკა მაინც დაშლას განიცდის...“.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია განუხრელად ხელმძღვანელობდა და ხელმძღვანელობს ლენინის ამ ღებულებებით.

ჩვენ ორი სისტემის ხანგრძლივი თანაარსებობისა და მშვიდობიანი შეჯიბრების მომხრენი ვართ, იმიტომ რომ მტკიცედ გვწამს მეურნეობის სოციალისტური სისტემის, სოციალისტური წყობილების უპირატესობა, მტკიცედ გვწამს



ჩვენი შინაგანი ძალები და მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის მთელი ბანაკის ძალები, რომლებიც განუწყვეტლივ იზრდება.

ამასთან ერთად არ შეიძლება არ გაეთვალისწინოთ, რომ ზმუწრისა და ზმუწრის ბანაკში, რომელსაც წინააღმდეგობანი ღრწნიან, იზრდება მერყეობა ეკონომიკაში, აგრეთვე მმართველი წრეების პოლიტიკაში, მერყეობა, რომელიც იქამდე მიდის, რომ ეშინიათ მშვიდობისა, ეშინიათ ორი სისტემის მშვიდობიანი შეჯიბრებისა, კარგავენ კაპიტალისტური სისტემის შემდგომი სიმტკიცის რწმენას. ამას მოწმობს გამოჩენილი ევროპელი და ამერიკელი ეკონომისტების მიერ გამოთქმული ზოგიერთი აზრები. ისინი აღიარებენ სოციალისტური და დემოკრატიული ბანაკის ეკონომიკის სწრაფ და განუხრელ ზრდას და ამასთან ერთად წინააღმდეგობათა გამწვავებას, ეკონომიურ სიმწლეუთა გაღრმავებას კაპიტალისტურ ბანაკში. ეს გარემოებანი განაპირობებენ რეაქციული იმპერიალისტური ძალების მკვეთრ აქტივიზაციას, იმპერიალისტთა სხვადასხვაგვარი პროვოკაციების, ავანტიურებისა და დივერსიების გაძლიერებას სოციალისტური და დემოკრატიული ბანაკის წინააღმდეგ. ყოველივე ეს კიდევ უფრო საჭიროს ხდის ჩვენი საბჭოთა საშობლოს ჯეროვანი თავდაცვის უზრუნველყოფისათვის ყოველი ღონისძიებით ზრუნვას.

ამასთან ერთად პარტიას თავის წმიდა მოვალეობად მიიჩნია მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის მძლავრი ბანაკის შემდგომი განმტკიცება, დიდ ჩინელ ხალხთან, სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყნის მშრომელებთან საბჭოთა ხალხის მეგობრობისა და სოლიდარობის შემდგომი განმტკიცება.

22. ჩვენი პარტია ერთადერთი პარტიაა ჩვენს ქვეყანაში. მას განუყოფლად ეკუთვნის ხელმძღვანელი როლი საბჭოთა საზოგადოებაში. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა საბჭოთა წყობილების სიმტკიცისა და ურყეობის და ჩვენი ხალხის ყველა წარმატების გადამწყვეტი პირობაა. ამასთან ერთად უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი პარტიის მონოპოლიური მდგომარეობა, განსაკუთრებით კაპიტალისტური გარემოების პირობებში, გვავალებს მაღალ რევოლუციურ სიფიზლეს კლასობრივი მტრის ხრიკების მიმართ.

მმართველ პარტიას, როგორც არაერთხელ გვაფრთხილებდა ლენინი, უტმასნებიან სხვადასხვა კარიერისტები. აგრეთვე არ შეიძლება დაევიწყოთ, რომ ხალხის მტრები, ბურჟუაზიული გადაგვარებულნი, საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტები, რომლებიც მოხერხებულად ინიღბებიან კომუნისტებად, ცდილობდნენ და ცვლავაც შეეცდებიან გაძვრნენ პარტიის რიგებში ძირგამომთხრელი მტრული საქმიანობისათვის. ამიტომ კომუნისტებისა და ყველა მშრომელის რევოლუციური სიფიზლის შემდგომი გაძლიერება პარტიული ორგანიზაციების პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა.

23. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მთელმა ნახევარი საუკუნის ისტორიამ ცხადყო ლენინის მიერ შემუშავებული პარტიული ხელმძღვანელობის პრინციპებისა და პარტიული ცხოვრების ნორმების უდიდესი მნიშვნელობა. პარტია გვასწავლის, რომ განუხრელად ვახორციელებდეთ პარტიული მშენებლობის ამ კანონებს, სასტიკად ვიცავდეთ პარტიული ხელმძღვანელობის უმაღლეს პრინციპს — ხელმძღვანელობის კოლექტიურობას, პარტიის წესდების მოთხოვნებს. საჭიროა პარტიის პრობანდისტული მუშაობის პრაქტიკაში აღმოვფხვრათ ისტორიაში პიროვნების როლის საკითხის მკდარი, არამარქსისტული გაშუქება, რაც გამოიხატება მარქსიზმ-ლენინიზმისათვის უცხო თეო-

რის — პიროვნების კულტის იდეალისტური თეორიის პროპაგანდით. პიროვნების კულტი ეწინააღმდეგება ხელმძღვანელობის კოლექტიურობის პრინციპს, ამცირებს პარტიის, მისი ხელმძღვანელი ცენტრის როლს, ასუსტებს პარტიულ მასებისა და საბჭოთა ხალხის შემოქმედებითს აქტივობას და საერთო არა აქვს რა ხელმძღვანელი ორგანოებისა და ხელმძღვანელი მოღვაწეების წარმმართველი საქმიანობის მაღალი მნიშვნელობის მარქსისტულ-ლენინურ გაგებასთან. პარტია ემყარება იმას, რომ მხოლოდ კოლექტიური გამოცდილება, კოლექტიური სიბრძნე ცენტრალური კომიტეტისა, რომელიც ეყრდნობა მარქსისტულ-ლენინური თეორიის მეცნიერულ საფუძველს და ხელმძღვანელი კადრების ფართო ინიციატივას, უზრუნველყოფს სწორ ხელმძღვანელობას პარტიისა და ჩვენი ქვეყნისადმი, პარტიის რიგების ურყევ ერთიანობას და დარაზმულობას, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის წარმატებით მშენებლობას.

შინაპარტიული დემოკრატიის განვითარებისა და კოლექტიური ხელმძღვანელობის გაუმჯობესების მძლავრ საშუალებას ნაკლოვანებებისა და ავადმყოფური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში წარმოადგენს თვითკრიტიკა და განსაკუთრებით, ქვემოდან კრიტიკა. კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაბედულად განაღებით პარტია ავითარებს კომუნისტებისა და ყველა მშრომელის შემოქმედებითს აქტივობას, წარმართავს მათს ღონისძიებებს არსებულ ნაკლოვანებათა და სიძნელეთა გადასალახავად, იბრძვის საერთო აღმავლობისათვის კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე.

24. პარტიის განსაკუთრებული ზრუნვის საგანია კომუნისტების მარქსისტულ-ლენინური აღზრდა. პარტიის წევრთა და წევრობის კანდიდატთა იდეური დონის განუწყვეტელი ამაღლება ცხოვრების ყველა დარგში მათი ავანგარდული როლის ამაღლების, პარტიული მასების აქტივობის განვითარების გადამწყვეტი პირობაა.

ჩვენი პარტიის პროპაგანდისტულ მუშაობაში ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, საპიროა აღმოვფხვრათ მედავითნური, დოგმატური მიდგომა მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლისადმი. ემყარება რა იმას, რომ მარქსისტული-ლენინური თეორია არის არა დოგმა, არამედ სახელმძღვანელო მოქმედებისათვის, პარტია კომუნისტებისაგან მოითხოვს მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითი ხასიათის გაგებას, არა ცალკე ფორმულირებებისა და ციტატების შეთვისებას, არამედ მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ყოვლისმძლე, მსოფლიოს გარდამქმნელი რევოლუციური მოძღვრების არსის შეთვისებას. სწორედ ამას გვასწავლის ჩვენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მთელი ისტორია.

ამ დებულებათა დავიწყება, მარქსისტულ-ლენინური თეორიისადმი გულგრილი დამოკიდებულება გარდუვალად იწვევს გონებაზეზღუდულ საქმოსნობას, მუშაობაში პერსპექტივის დაკარგვას. პარტიის ძირითად პოლიტიკურ ამოცანებთან, კომუნიზმის გამარჯვებისათვის მის ბრძოლასთან მიმდინარე პრაქტიკული საქმეების დაკავშირების უუნარობა გარდუვალად იწვევს იმას, რომ



ასეთი მენამცეცე საქმოსნები მარცხს განიცდიან თავინთ პრაქტიკულ მუშაობაშიც.

25. სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის პირობებში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მშრომელთა კომუნისტურ აღზრდას. არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ ჩვენს საზოგადოებაში ჯერ კიდევ აღმოფხვრილი როდია კაპიტალიზმის ნაშთები ადამიანთა შეგნებაში. ჩვენ აგრეთვე დაზღვეული არა ვართ იმისაგან, რომ ჩვენთან შემოაღწევენ უცხო შეხედულებანი, იდეები და განწყობილებანი კაპიტალისტური გარემოცვისა და იმ ადამიანთა მხრიდან, რომლებიც დაავადებულნი არიან ბურჟუაზიული ნაშთებით, მათ შორის ნაციონალისტური ნაშთებით. კომუნისტური პარტია სახავს მასებში პოლიტიკურ - აღმზრდელი მუშაობის მთელი საქმის მნიშვნელოვანი გაუმჯობესების ამოცანას, კომუნიზმის დიადი საქმის უძლეველობის რწმენის, პარტიისა და სოციალისტური სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით კომუნისტებისა და მთელი ხალხის აღზრდის ამოცანას.

პარტიას თავის წმიდა მოვალეობად მიაჩნია აღზარდოს მშრომელები საბჭოთა პატრიოტიზმისა და სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობის სულისკვეთებით, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ყველა ქვეყნის მშრომელებთან ძმური კავშირის დამყარების სულისკვეთებით. საჭიროა გადაჭრით ვიბრძოლოთ ბურჟუაზიული ნაციონალიზმის გამოვლინებათა წინააღმდეგ, გახრწნილი ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ.

26. საშინაო პოლიტიკის დარგში პარტიას ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნია კვლავაც დაუცხრომლად იზრუნოს საბჭოთა ადამიანების მუდმივად მზარდ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილებისათვის. სახალხო მეურნეობის ზრდის ბაზაზე განუზრელად ამაღლდება სოციალისტური საზოგადოების მშრომელთა ცხოვრების დონე, ხოლო მათი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებანი სულ უფრო უხვად და მრავალმხრივ დაკმაყოფილდება.

საგარეო პოლიტიკის დარგში პარტია კვლავაც თანმიმდევრულად განახორციელებს მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების პოლიტიკას, ყველა ქვეყანასთან თანამშრომლობისა და ურთიერთინტერესთა დაცვის პრინციპებზე მათთან საქმიანი კავშირის განვითარების პოლიტიკას. მხოლოდ ხალხთა შორის ხანგრძლივი მშვიდობა ქმნის საჭირო პირობებს სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი განუწყვეტელი განვითარებისათვის, ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ბედნიერი და შეძლებული ცხოვრების უზრუნველყოფისათვის.

27. კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში მძლავრი იარაღია ჩვენი საბჭოთა სახელმწიფო, რომელსაც გრანტიის საფუძველი ჩაუყარა დიდმა ლენინმა. კომუნისტური პარტია ამოცანად ისახავს მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს შემდგომ განმტკიცებას, მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის, ხალხთა მეგობრობის განმტკიცებას, მტრების აგრესიული მოქმედებისაგან ჩვენი სამშობლოს აქტიური თავდაცვის ყოველი ღონისძიებით

გაძლიერებას. საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცება ჩვენი ქვეყნის მშრომელთა პატრიოტული მოვალეობა და ამასთანავე წმიდა ინტერნაციონალური მოვალეობაა.

\* \* \*

ხალხთან მჭიდრო ერთიანობით ჩვენი პარტია მტკიცედ მიდის ახალი გამარჯვებისაკენ. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმმა, რომელიც ამას წინათ გაიმართა, ახალი ძალით ცხადყო ჩვენი კომუნისტური პარტიის ურყევი ერთიანობა, მისი საბრძოლო მზადყოფნა საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში მის წინაშე მდგომი ამოცანების შესრულებისათვის.

ლენინიზმის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ, კომუნისმის გამარჯვებისაკენ!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ინსტიტუტი.

პლატონი მაიაკოვსკი

მარცხენა მარში



მობრუნდით, ნაბიჯით გასწითი  
სიწყნარე, ხმას ნულარ აუწყევთ!  
ორატორებო, დასცხრით!

სიტყვა

აქვს

ამხანაგ მაუზერს.

ადამ და ევას ადათ-წესს

ვებრძოლოთ. შეემთხვეს მარცხი!

ჯაგლაგ ისტორიას ვამარცხებთ,

მარცხნივ!

მარცხნივ!

მარცხნივ!

ლურჯხალათიანსო!

შეიძლებთ —

დაჰქროდეთ ვრცელ ზღვათა გაღმაც.

თუ არა —

ჯაგმნოსანთ რეიდზე

გემის ბასრ შვერილზე რად ხართ?!

რომ გვიღრენ კბილების ღრქენით, —

ბრიტანელთ ლომო, დასცხრით!

ვერ სძლიო კომუნა ჩვენი.

მარცხნივ!

მარცხნივ!

მარცხნივ!

ქალაქთა

და ზღვათა გაღმაც —

მზიური ქვეყანა ვრცელია.

წინ, მარშით იაროს ხალხმა,

მით უფრო,

სასურველია!

დეე, მოსყიდულ ბანდებით

მტერი გარს გვერტყას მკაცრი — ,

რას გვიზამს ანტანტის თანდები,

მარცხნივ!

მარცხნივ!

მარცხნივ!

თვალეზ ვინ უსწორებს სიძველეს?

ვით ჩაჰქრეს არწივის თვალეზი?!

ძველი დრო —

კისერს რომ იგრძელებს —

დავცეთ

მუშური ძალებით!

წინ სწვედეს მამაცურ მკერდსა!

დროშები სწვედებოდნენ ზეცას!

ვინ არის, რომ იწვეს მარჯვნივ?

მარცხნივ!

მარცხნივ!

მარცხნივ!

## ს ი მ ვ ა რ უ ლ ი



სამყარო  
 ვარდებით  
 ისევ გადაჭრელდა,  
 კვლავ გაზაფხულია —  
 თბილი, მოალერსე.  
 და კვლავ დგას საკითხი,  
 დღემდე გადუჭრელი  
 ისევ სიყვარულზე  
 და ისევ ქალებზე.  
 ჩვენ გვიყვარს კაზმული სიმღერა,  
 პარადი,  
 მიტინგზეც ენაზე  
 მრავალჯერ ვყოფილვართ.  
 და ზშირად მყვირალა  
 სიტყვებით ვფარავდით  
 ჩვევას —  
 შემორჩენილს დამპალი ყოფიდან.  
 ჰა, ერთი ლოზუნგებს  
 კრებაზე გაპყვირის,  
 ცოლთან კი  
 ღრიალებს სხვანაირ არიას:  
 ჩხუბობს,  
 რომ კიტრს არ აქვს  
 მარილი წაყრილი  
 და წვენიც ნახევრად აუდუღარია.  
 ცხოვრობს საყვარელთან  
 ფართოდ და განცხრომით,  
 ეხვევა უცნაურ  
 ქალს კაფე-შანტანის.  
 მწარედ საყვედურობს ცოლს:  
 ყველგან მარცხვენო,  
 ისიც დუმს მორჩილი  
 და ბევრისამტანი.  
 ყველას ეტმასნება,  
 თუკი აქვს ფეხები,  
 დღეში ზუთ ქალს იცვლის,  
 ასეა ნაჩვევი.  
 ერთცოლიანობა  
 მას არ შეეხება,  
 ძირსო მეშჩანობა

და გადმონაშთები.  
 ასე  
 ყვავილიდან ყვავილზე  
 დაფრინავს,  
 ლალად დაფრთხილობს  
 ვით ნორჩი კრიჰინა,  
 ერთი ბოროტება  
 აწუხებს ამქვეყნად —  
 მოალიმენტე რომ  
 ბევრი გაიჩინა.  
 მზად არის, თუნდ მოკვდეს,  
 ოღონდაც დაზოგოს,  
 თუნდაც გაუმართონ  
 სამჯავრო ურიცხვი;  
 ის იტყვის,  
 მე სხვა ვარ,  
 არ ვიცნობ ამ გოგოს,  
 მე სხვა ვარ,  
 საერთოდ მე ვარ საჭურისი.  
 თუ უყვართ,  
 თუნდ იყოს წმინდა მონაზონი,  
 ტირანობს ქმარი  
 და ეკვებზე ლალადებს.  
 რევოლვრის ყალიბით  
 სიყვარულს გაზომილს  
 გასწირავს  
 და ტყვიას  
 ახლის მოლაღატეს.  
 მეოთხეს  
 ბრძოლა აქვს  
 ათასჯერ განცდილი,  
 სატრფოს უფრთხილდება  
 თუ მოსდის ლანრობით;  
 აშინებს  
 კაპასი ცოლის  
 ფეხსაცმელი,  
 რომლის მსგავსს ყოველდღე  
 ყიდის მოს-ვაჭრობა.  
 სხვა ისარს ტრფობისას  
 გატყორცნის სხვაგვარად,



ვითომდა  
 ბავშვია და კკუით  
 ღარიბი.  
 სატრფოს რომანტიკულ ბადეში  
 გახლართავს  
 და აინტერესებს  
 მოგების ტარიფი.  
 ამგვარი პირობით  
 ქალი რომ გამოგყვეს,  
 მისთვის ეს როდია  
 ნანატრი სამოთხე.  
 ჭაბუკს აეკიდა  
 ვინმე ქალბატონი,  
 ის შრომობს,  
 ქალს კი სურს სხვა  
 თვალისიერი,  
 მას ვერ შეაკავებ,  
 წავა და დატოვებს  
 და უკან გაჰყვება  
 ყოველ მოსეირნეს.  
 იჯექ და  
 თუნდ ღეარე  
 ცრემლები ნილოსად,  
 გახდი სასაცილო  
 სასიძო შენითვე.  
 აწი თუნდ იტირე  
 სევდიან კილოზე  
 — მითხარით, ჩემთვის თუ  
 სხვებისთვის შევირთე? —  
 მშობლებს ჰყავთ ბავშვები  
 ასეთი ხარისხის  
 — რით ვართ დედ-მამაზე  
 ნაკლები შეილები? —  
 სიყვარულს მისდევენ  
 სპორტული ხალისით  
 თუმცა არ გამხდარან  
 ჯერ კომკავშირლები.  
 შეგხვდებით სოფელიც —  
 გაჩენის დღიდანვე  
 უძრავი ცხოვრება  
 ძველყოფას გაგონებს.

ისე თხოვდებიან.  
 და ცოლებს ~~ბრძანებენ~~  
 თითქოს ყიდულობენ ~~ბიზნეს~~  
 მსხვილფეხა საქონელს.  
 და გეტყვით პირდაპირ,  
 დაფარვის გარეშე,  
 თუ ასე გაგრძელდა,  
 მერწმუნეთ, ოდესმე,  
 რომ ველარ გაარჩევს  
 მამას და ქალიშვილს  
 თვითონ ქორწინების  
 უებრო კოდექსიც.  
 მე შეშხან ოჯახებს არ ვიცავ,  
 ისინი  
 ამოწვი,  
 ვით მიმიე წარსულის  
 ნარჩენი  
 სად დედას სჩვევოდა  
 ბატონით სისინი,  
 მამას აწუხებდა  
 შვილები სარჩენი.  
 ჩვენ მჭიდროდ გვაცხოვრებს  
 გამირული კომუნა,  
 და საცხოვრებლებში  
 გვსურს ერთად შეესაზღდეთ.  
 მაშ ხმა ავიმალლოთ  
 მტკიცედ და დროულად  
 წმინდა სიყვარულის  
 საქმეთა შესახებ.  
 არ მიქორწილია —  
 მერწმუნეთ ამაში,  
 არც მღვდელი  
 არ გვწერს ჯვარს  
 ათასგვარ ქარაგმით.  
 უნდა აერთებდეს ცხოვრებას ქალ-ვაჟის  
 ყველასთვის ძვირფასი  
 სიტყვა —  
 ამხანაგნი!



## პარიზის კაფეში



- ჩვეულებრივად  
ვამბობთ იგავად,  
თითქოს ყველა გზას  
რომში მივყავართ.
- მონპარნასელი  
არ იტყვის ასე, —  
ის დაიფიცავს, თუ გნებავთ ხატზე —  
რომიც,  
რემულიც,  
ფხიზელიც, ლოთიც,  
რომ „როტონდა“-ში  
ან „დომ“-ში მოდის.
- პარიზში კაფე  
ყოველ მგზავრს  
ახსოვს,
- ასი გზით არის  
მასთან მიკრული.
- მეც იქ შევედი,  
გაეძახე გარსონს:  
— მოიტა გროგი  
ამერიკული!
- ჯერ სიტყვებს,  
ტუნჩებს,  
თვალებს და  
ლოყებს
- კაფეს ხმაურმა აზრი წაჰგვარა,  
შემდეგ  
სიტყვებმა  
ხმა გაიბოხეს,
- იწყეს ფრაზებად  
შეკერა  
ამგვარად:
- მაიაკოვსკიმ,  
წელან ენაზე,  
აქ გაიარა,
- კოკლი რომ არის...  
თქვენ არ გინახავთ?
- მართლა? მითხარით —  
ნეტა ვინ ახლდა?
- თვითონ ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე...  
ვინმე კი არა!
- რომელი?  
— ხომ ვთქვი: დიდი მთავარი
- დიდი მთავარი?  
ეს ტყუილია!
- ის ჩეკისტია,  
გამბედავი და ონავარი,  
აქ ამფეტეზებად  
მოგზავნილია.
- მერე რა უნდა ააფეთქოს?  
— ბულონი თუნდა!
- უთხრეს, წადიო, მიშკა... —  
აქ — კი აყვირდა ერთი:
- აგიკილიათ  
ტყუილის გუდა, —  
მას ჰქვია პაულე,  
იწამეთ ღმერთი!
- ვიცნობ პაულეშას  
და მის ცოლსაც  
დიდი ხანია,  
თავადის ქალმა სიყვარულით მას  
გაუღიმა.
- მაიაკოვსკის?  
ის უცოლოა!  
— ცოლიანია,
- იმპერატრიცა  
შეირთო იმან!
- ვინა?  
რას ამბობთ?
- ის ხომ დახვრიტეს,  
როცა იმისი ჩამოდგა რიგი?
- ჰორს ნუ აპყვებით  
თუნდ მეჰორე  
ძლიერ აყვირდეს, —
- მაიაკოვსკიმ  
ტრილიონად  
დაიხსნა იგი.
- უცებ გაისმა  
ხმა სიმართლის თანაზიარის:



— მიაკოვსკი,  
რათ არ იცით,  
პოეტი არი!

— პო, მართალია! —  
ამბობს ვიღაც, —  
ეს ზომ მეც მახსოვს:

ჩვიდმეტში  
ჩეკამ არც ეს საქმე დააგვიანა, —  
კონფისკაცია უყო ნეკრასოვს,  
მიაკოვსკის  
ჩააბარა შემდეგ მთლიანად.  
ფიქრობთ — თვითონ წერს?  
მობარუღით იოლად მიდის,  
ასოც არა აქვს  
საკუთარი  
ნაქურდალ ლექსში.  
გაშლის ნეკრასოვს,  
ამოიწერს  
და ყველგან ყიდის, —  
ას მანეთს მაინც  
აიღებს დღეში. —  
ეი, სადა ხართ,  
მაჰანკლებო,  
დღემდე რად გაცდით!

მომეშველენით,  
დროთა დენა, ეხედავ, სწრაფია!  
დასაშვებია —  
ბერდებოდეს უცოლოდ კაცი.  
ვისაც  
ესოდენ ბრწყინვალე აქვს

და შენ,  
პარიზო,  
საუკუნეთ დედაქალაქო!  
განა შეგშვენის  
ემიგრანტთა იქცე ქაობად?  
კორიკანები  
ერთი დარტყმით  
უნდა ალაგმო,  
რომ დაიშრიტოს  
უვიცობის საცოდაობა..  
დაფიქრებული  
გამოვედი  
და დაღვრემილი.  
გადავაფურთხე:  
რა უმსგავსი სიბრიყვე ხარჯეს!  
ყველას გამჭოლი  
ზომ არა აქვს ყურების მილი —  
ზოგს შეიძლება  
შიგ რამე ჩარჩეს!  
ახლა ვთხოვ ყველას:  
ჩემ შესახებ თუ სადმე ითქვა,  
რომ ჩერჩილისთვის  
ჩემი გული  
ძგერს უტკბილესად,  
და ან კულიჯის  
ნათესავ ქალს  
მე ცოლად ვირთავ,  
არ დაიჯეროთ,  
გვედრებით უმორჩილესად!

მიმართვა პროლეტარულ პოეტიზმისადმი



ამხანაგებო,  
ნილაბი და  
პოზა რად გვინდა,  
ნება მომეცით,  
ვით უფროსმა,  
ნაცადმა უფრო,  
შენ, ბეზიმენსკი,  
სვეტლოვ,  
3. „მნათობი“ № 7.

უტკინ, მოგმართით მშვიდად,  
გულისხმიერად,  
გულახდილად  
რომ გესაუბროთ.  
ჩვენ იმდენს ვღაობთ,  
იმდენს ვყვიროთ,  
ძლივს გვიძლებს ყელი.  
ჩვენ ესტრადებზე



შეჯახებამ  
 დაგვღალა მეტად.  
 მე მინდა გითხრათ  
 საქმიანი  
 სიტყვა გულწრფელი:  
 მოდით, გავმართოთ  
 მზიარული  
 სადილი ერთად!  
 კომპლიმენტები  
 ნახეზივით  
 ძირს დავიფინოთ,  
 ვინც კბენას ფიქრობს  
 მას მოეხერხოთ  
 კბილი საჩქაროდ,  
 რაც დააროგა  
 ლუნაჩარსკიმ,  
 ყველა დაფნები  
 ჩვენს ამხანაგურ,  
 ჩვენს საერთო  
 სუფში ჩაყვართო.  
 ასე ვთქვათ: —  
 ყველას,  
 თავთავისი  
 სიმართლე ახლავს.  
 როგორი ხმაე აქვს,  
 ყველა კაცი  
 ისეთ ხმით მღერის.  
 გავინაწილოთ  
 ჩვენ დიდების  
 ქათამი ახლა  
 და ყველას მივცეთ  
 თანასწორი  
 თითო ნაჭერი.  
 ჩვენ ერთმანეთის  
 კიცხვას, მტრობას,  
 თავი ვანებოთ.  
 მივცეთ ჩვენს სიტყვებს  
 მეტი სითბო  
 და სილამაზე.  
 და პირადად მე,  
 როცა სიტყვის  
 მეჭნება ნება,  
 წინ წამოვდგები  
 და ხმამაღლა  
 წარმოვთქვამ ასე:  
 — საეარქელში მკდრომს

თქვენ მაღარებთ  
 აკადემიკოსს *კრეწნული*  
 თითქოს ვფიქრობდე, *მინდროთევა*  
 მე ერთს მესმის  
 ლექსის საზღვარი,  
 სინამდვილეში  
 ერთი რამ მსურს:  
 მე მინდა იყოს —  
 კარგი პოეტი  
 მრავალი და  
 სხვადასხვაგვარი.  
 „ნაპოსტოველის“  
 სახელს ზოგი  
 იყენებს ფართოდ,  
 რომ დაამტკიცოს,  
 თითქოს იგი  
 სხვებზე წინ არი.  
 პროლეტარულნი  
 აქაო და  
 ჩვენ ვართო მარტო...  
 მაშ მე ვინა ვარ —  
 ვინმე ვაჭარი?  
 მუშა ვარ, ძმებო,  
 ოსტატი ვარ  
 მე არსებობთად,  
 ფილოსოფია  
 აბეზარი  
 არ მიყვარს, არა.  
 ხელს დავიმკლავებ:  
 ვიმუშაოთ?  
 დავარტყათ ცქვიტად? —  
 ინებეთ! მზად ვარ,  
 ნუ აყოვნებთ,  
 გამოდით ჩქარა!  
 უნდა ვფიზილობდეოთ,  
 სამუშაო  
 ბევრია მეტად, —  
 ვწეროთ ბეჯითად,  
 ჩვენ დავიცვათ მგოსნის ღირსება.  
 ოფლი ვიღინოთ,  
 გავისარჯოთ,  
 ვიმრომოთ ერთად,  
 გადიდდეს რიცხვი  
 და ამაღლდეს  
 ლექსის თვისება.  
 კომუნით ზომავს





ლექსის ხარისხს  
 დღეს ჩემი თვალი,  
 კომუნის ტრფობას  
 მიტომ ვუძღვენ  
 მე ჩემი სიყრმე, —  
 კომუნა არის,  
 ჩემი აზრით,  
 დიდი მწვერვალი,  
 კომუნა არის,  
 ჩემი აზრით,  
 უღრმესი სიღრმე.  
 პოეზიაში  
 მეგობრობას  
 არა აქვს წილი,  
 აქ პროტექციით  
 რითმას ვერვინ  
 ვერ გაასაღებს.  
 თავი ვანებოთ  
 ორდენების  
 განაწილებას,  
 თავი ვანებოთ,  
 ნუ მივაკრავთ  
 ნურავის დამლებს.  
 კი არ ვტრაბახობ,  
 რომ აზრს ვამბობ  
 ბრძნულსა და სვიანს,  
 მაგრამ მე ასე  
 წარმოვიდგენ  
 კომუნის წესებს:  
 მოხელეობას  
 იგი მოსპობს  
 ძირფესვიანად,  
 და გამრავლებს  
 კარგ სიმღერებს,  
 პოემებს, ლექსებს.  
 ჩვენ ორი რითმა  
 თუკი ვინმეს  
 კარგი ვუნახეთ —  
 გამოვაცხადებთ  
 იმ მოლექსეს  
 წამსვე გენიად.  
 წითელ ბაირონს  
 მას დაეარქმევთ,  
 უზომოდ ვაჭებთ,  
 ან ვალიარებთ,  
 დიდ ოსტატად,

წითელ ჰინედ,  
 ერთი რამეა,  
 რომ მაშინებს,  
 მალონებს დიდად,  
 არ დაწვრილმანდეს  
 ჩვენი სული,  
 არ წაგზდეთ ისე, —  
 ქუჩური ლექსი,  
 ქარაფშუტა,  
 ნამღერი ფლიდად  
 არ მოგვეჩვენოს  
 ჩვენ სიმღერად  
 კომუნისშისა.  
 ჩვენი გულეები  
 ერთად სცემენ  
 განუყოფელნი,  
 სულით ერთნი ვართ,  
 ეს თქვენთვისაც  
 ცხადზე ცხადია.  
 თუ თქვენთან არ ვართ  
 და თქვენ ჩვენთან  
 არ იმყოფებით,  
 ეშმაკმა იცის,  
 რას ვაკეთებთ,  
 მაშ რა გეწადია?  
 თუ წაგეჩხლებთ,  
 შეგედავეთ  
 და შეგახურეთ,  
 კალამი-მუშტი  
 ცხარ კამათში  
 თუ წაგიშინეთ,  
 როგორც იტყვიან,  
 მე ეს სისხლით  
 დავიმსახურე,  
 რადგანაც თქვენზე მეტი რითმა  
 ვაშალაშინე.  
 ამხანაგებო,  
 არ შეგეფერის  
 ქცევა ვაპრულად.  
 — ეს პოეზია  
 ჩემი არის —  
 ჩემი დუქანი!  
 მე რაც შევქმენი,  
 ყველაფერი  
 თქვენია სრულად —  
 ჩემი რითმები,

ჩემი თემა,  
 დიქცია, ბანი!  
 ნეტა სახელზე  
 ცვალებადი  
 სხვა რამ იქნება?  
 როცა მოვკვდები,  
 მას საფლავში  
 ჩამაყოლებენ?  
 ამხანაგებო,  
 მე ვაფურთხებ  
 ფულს და დიდებას  
 და სხვა წვრილმანებს,  
 რასაც ქვეყნად  
 ბევრნი ჰმონებენ!  
 ვინემ ვიყოფდეთ  
 ჩვენ პოეტურ  
 ძალაუფლებას,  
 სჯობს მოვიმარჯვოთ  
 სიტყვა ტკბილი

და სიტყვა-შური,  
 ჩვენ მოვახმაროთ  
 დღეს კომუნის  
 ფუძის აგებას  
 ჩვენი გვარების  
 წაუწერლად,  
 სიტყვა-აგური.  
 ამხანაგებო,  
 დავირაზმოთ,  
 ვიაროთ ერთად.  
 ჩვენ არ გვჭირდება,  
 ვინც ბუზლუნა  
 ნილაბს ატარებს,  
 თუ ლანძღვა გვინდა —  
 მტერი ჯერ ზომ  
 ბევრია მეტად  
 ჩვენი წითელი  
 ბარიკადის  
 იჭითა მხარეს.

### პორიკანა



ჩვენი პეტრე  
 სოროკინი  
 სხვა ცხოვრებას  
 ეწევა:  
 ღვინოს არ სვამს,  
 არ ნებღებობს,  
 არც პაპიროსს  
 ეწევა.  
 მხოლოდ  
 ერთი რამ წყურვილი  
 სწევას,  
 სურვილიც დიღია:  
 ვით საყურე,  
 ვით ყურმილი.  
 ტელეფონზე  
 ჰკიღია.  
 თხისებრ ხტება,  
 როცა შეყრებს  
 ახალ ჭორებს  
 საკვებად:

ნაცნობს ეძებს,  
 რომ უამბოს,  
 ქუჩის ხმაურს  
 გაჰყვება.  
 ბოლოს თქვენთან  
 მოვარდება  
 სულისმოთქმით,  
 ქაჭანით,  
 წვრილმანია  
 მისი თემა  
 და საუბრის  
 საგანი.  
 იცი?! — ჩემად  
 ყურში გეტყვის,  
 თან ხელს გართმევს  
 ალერსით:  
 თურმე თავის  
 მდივანს ეტრფის  
 ბრიუკინი  
 ალექსი!



ჩვენი ტრესტის  
 ან — ტესტოვი  
 ანჟინერი  
 პირველი,  
 მას ფეხშიმედ  
 ცოლი დახვდა, —  
 საქმე  
 გასაკვირველი:  
 რახანია  
 როზენელთან  
 მის ცოლს...  
 ნუთუ სწორია,  
 მთელი ქუჩა  
 და ქალაქი  
 ჰყვება  
 ამ ისტორიას!  
 სულ სველია  
 კაცის ენა,  
 არასდროს არ  
 გაშრება,  
 ისიც იცის —  
 მეზობლისას  
 ქვაბში  
 რა იხარშება.

ვინ სად წავა  
 და წამოვა  
 თავის ხასით,  
 „ხახალით“!  
 რით იყიდა  
 ივანოვამ  
 რედიკული  
 ახალი?  
 როს ასეთ კაცს  
 სურვილს კითხავთ,  
 ის ერთს ნატრობს  
 ყველგანა:  
 რომ კარების  
 ქუჭრუტანად  
 იქცეს  
 მთელი ქვეყანა.  
 რომ შიგ იჯდეს  
 სანახევროდ,  
 თვალი ყველგან  
 წვდებოდეს,  
 უყურებდეს  
 სხვების საწოლს  
 და სიამით  
 სტკებოდეს.

ამბავი კოზნიცკსტროისა და კოზნიცკელი ადამიანებისა



ამ ადგილზე მოიტანენ 1000000 ვაგონ  
 საღმუნებლო მასალას. აქ იქნება გი-  
 განტი მეტალურგიისა, ქვანახშირის გი-  
 განტი და ქალაქი ასიათასიანი მოსახლე-  
 ვებით.

ს ა უ ბ რ ი დ ა ნ .

ზეცაზე  
 ღრუბლები მიჰქრიან  
 და ელვის  
 იელვებს  
 დანა,  
 ფორანი  
 გამოჩნდა ფიქრით,  
 ფორნის ქვეშ მუშები წვანან.  
 მათ წვიმა  
 უსველებს ფერდებს,  
 მათ წვიმა

ელვრებათ  
 მალლით,  
 „აქ ნახავთ,  
 ოთხი წლის  
 შემდეგ  
 იქნება  
 ქალაქი — ბალი!“  
 წვიმა გუბეებად დამდგარა,

1 ხ ა ხ ა ლ ი — საყვარელი.



მუშებს ასველებს  
წყალი

ტალახში  
ჩამჯდარან  
ამგვარად,  
სხედან და  
უნთიათ კვარი.  
ქარი  
თავშესაფარს  
ეძებს  
და ისმის  
გაყინულ ბაგით:  
„აქ ნახავთ,  
ოთხი წლის  
შემდეგ  
იქნება  
ქალაქი — ბალი!“  
მათ  
სახსრებს სინესტე უშეშებს,  
წვეთები  
ითვლიან  
წამებს.  
წყვედიადში  
დამსხდარან  
მუშები,  
სხედან და  
სველ პურსა  
კამენ.  
ჩურჩული  
შიშშილსაც სძლევს და  
წვიმასაც!  
არ უშვებს  
მალლით:  
„აქ ნახავთ,  
ოთხი წლის  
შემდეგ  
იქნება  
ქალაქი—ბალი!  
მალე  
დინამიტი გასკდება,  
დაფრთხება  
დათვების ზროვა.  
იქცევა  
წიალი  
შახტებად,

ვეება „გიგანტი“  
მოვა.  
შრომა  
გაჩაღდება  
დიადი,  
ბუნებას  
გმირულად  
შეები,  
გაქრება  
ციმბირის  
წყვედიადი  
მარტენის  
ლუმელთა  
მზეებით.  
გვექნება  
სახლები  
ახალი,  
ბაღებად  
იქცევა  
ტაიგა,  
ცხოვრება ნათელი,  
მალალი  
შორს ჩამოიტოვებს  
ბაიკალს“ ...  
მუშები  
საუბარს  
ისმენენ  
დალლილ,  
მეოცნებე სახით,  
ხანდახან  
მომწვდება  
ისევე  
სიტყვები:  
„ქალაქი — ბალი!“  
მე მჯერა,  
ქალაქი  
იქნება,  
მჯერა,  
აყვავდება  
ბალი,  
რადგანაც  
ასეთი ფიქრებით  
ცხოვრობს  
საბჭოეთში  
ხალხი!



სიმღერა საბჭოთა პასპორტზე



მე ბიუროკრატიზმს  
 მგელივით  
 დაეხრავდი.  
 მანდატებს ხომ პატივს  
 არა ვცემ სრულიად.  
 ეშმაკმა წაიღოს  
 ყოველი ქაღალდი  
 და ისიც, ვინც მისი  
 მტერის მოყვარულია;  
 ამას კი...  
 ვაგონში  
 მოძრაობს  
 მოხელე  
 და თავაზიანი  
 პასპორტებს ამოწმებს.  
 ვიდრემდის მკითხავდეს:  
 საიდან მოხვედი?  
 მეც წიგნაკს  
 აღისფერს  
 ჯიბიდან ამოვწევ.  
 ზოგიერთ პასპორტს რომ  
 ღიმილით ხვდებიან,  
 ზოგს ფურთხის ღირსადაც  
 არ თვლიან, მგონია.  
 ინგლისურს ნახავენ  
 და გაბრწყინდებიან, —  
 ორთავა ლომების  
 პატივი ჰქონიათ!  
 როცა ამერიკელს  
 ამოაქვს პასპორტი,  
 დგებიან,  
 თვალბში  
 უელავთ ვარსკვლავი.  
 და ისე იღებენ,  
 ისეთი მადლობით,  
 თითქოსდა  
 აჩუქეს მათ გადასაყრავი!

პოლონურს უშვებენ,  
 როგორც თხა — აფიშას,  
 უკვირთ და ფიქრობენ:  
 საიდან?  
 რას ნიშნავს  
 ამ გეოგრაფიულ  
 სიახლის გაჩენა?  
 თუ გაჩნდა,  
 რუკაზე  
 როდემდის  
 დარჩება?  
 ისე, რომ  
 სქელ გოგრებს  
 არც მიიბრუნებენ,  
 ისე, რომ  
 სრულიად არაფერს  
 არ გრძნობენ,  
 იღებენ დანიის პასპორტებს,  
 უვნებელთ,  
 და კიდევ  
 მრავალგვარ შვედების  
 პასპორტებს.  
 და უცებ  
 თითქოსდა  
 დათუთქა მდუღარემ,  
 ბატონი მოხელე  
 შეირბა  
 მწუხარედ,  
 სახე მოედრიცა,  
 გაშედა,  
 გახედა, —  
 როდესაც  
 ჩემს  
 წითელ  
 პასპორტს  
 დახედა.



აილო, ვით ბომბი,  
 ვით ზღარბი ტიალი,  
 ვით სამართებელი,  
 ორივე მხრივე ნალესი,  
 ვით გველი,  
 ოცთავა და ორმეტრიანი,  
 რომელსაც  
 სიკვდილი  
 უელავს თვალებში!  
 მზიდველმა მაშინვე  
 იღუმალ მანიშნა:  
 — შენ, ძმაო,  
 მუქთადაც  
 წაგიღებ ჩემოდანს...  
 ჟანდარმი უმზერდა  
 მაძებარს თავისას,  
 ჯაშუში კი ჟანდარმს  
 უმზერდა ქვემოდან.  
 როგორი ხალისით  
 და სიამოვნებით,  
 მყის ფეხქვეშ გამსრესდა  
 დასი ამ მონების,  
 მისთვის, რომ  
 ხელში მაქვს,  
 პასპორტი ამგვარი

და მიყვარს მე მისი  
 ჩაქუჩი, ნაგველი  
 მე ბიუროკრატიზმს  
 მგელივით  
 დაეზრავდი.  
 მანდატებს ხომ პატივს  
 არა ვცემ სრულიად.  
 ეშმაკმა წაიღოს  
 ყოველი ქალაღი  
 და ყველა, ვინც მისი  
 მტერის მოყვარულია;  
 ამას კი...  
 ჯიბიდან,  
 ვით ძვირფას საუნჯეს,  
 ვიღებ და ვგუგუნებ,  
 კვლავ  
 ხელეზგაშლილი:  
 იკითხეთ  
 და  
 გშურდეთ,  
 მე ვარ მოქალაქე  
 საბჭოთა კავშირის!

## მაიაკოვსკი



ბრძნული თვალებით დინჯად ზომავს დროსა და მანძილს,  
განიერ შარვლით, ფართო შუბლით და ფიქრთა ჯვართ  
ასე დგას იგი გიგანტური დარბაზის თვალწინ...

ღელავს დარბაზი, როგორც გული უზარმაზარი,  
როგორც მზის გული, პლანეტას რომ თავს დასტრიალებს,  
როგორც უძირო ოკეანე, სუნთქვა მთა-ბარის.

თითქოს სახურავს, კედლებსა და ადამიანებს  
ფოლადის ფრთებით მიაქროლებს, და სადაც არის,  
თვითონ უშორეს ქალაქებსაც აახშიანებს...

ყველა ვარსკვლავი ციურ წყობის გეგმიდან გადის,  
მათ უერთდება, ვინც უკეთეს წყობას ამყარებს —  
ახლად იწყება მშენებლობა მსოფლიოს თაღის!

მატარებელთა ხმაურისგან მიწა ზანზარებს,  
მოდის ტრაქტორი, რომ ჯეჯილად იქცეს სამარე.  
ხალხების ხელში გადადიან სასახლეები...

აგერ, მანქანამ ჩაიქროლა, შიგ ბრაზით სავსე  
ზის ყალბი წვერით და ცისფერი სათვალეებით  
ბატონი, ერთდროს გაქიმული მსოფლიო ტაბტზე.

აგერ გუგუნებს... დარბაზშია სრული დუმილი.  
პოეტმა ხელით შემოხაზა ქვეყნის მიზანი.  
სადღაც მღერიან: „ასეთია ხალხთა სურვილი!“.

აგერ, ვარსკვლავი აკიაფდა ხუთქიმიანი,  
შარავანდელით მან დაჩრდილა ყველა ცთომილი,  
თითქოს ეთერში ლაპარაკობს ადამიანი,

მოდის ფოლადის ნიაღვარი, სიტყვა წრთობილი,  
ამდენი დროშა და სიმართლე არ არის არსად!  
პარტიზანები, მეომრები ძლევამოსილი.

უსმენენ... იგი იღიმება. ლენინის მსგავსად  
თვალი მოხუჭა, — ჰერეტს პოეტი ქვეყნის მწვერვალებს,  
დახუნძულ ბალებს მასთან ერთად შესცქერის მასა.

უსწორდებიან ქალაქები ლაქვარდს ელვარეს,  
ყოველი სიტყვა ნაბიჯია, ტყვია, ხალასი.  
დიდი ქვეყანა უსმენს თავის პოეტს მგზნებარეს,  
და მისი პირით ლაპარაკობს მთელი დარბაზი.



## ვლადიმერ მაიაკოვსკის



შენი სოფელი. მტრედთა გოგმანი...  
ბაღნა-ბაღები... გზები... ურმები...  
აღმათ ბილილებს, მამის მოტანილს,  
მოჰქონდათ ტყის და ნეშოს სურნელი.

აღმათ უცქერდი გაფრენილ მერცხალს,  
ცაზე ცულივით მოქნეულ მთვარეს  
და მოლივლივე ბაღდადის ზეცამ  
ლაყვარდის ფერი მისცა შენს თვალებს.

აღმათ გზიბლავდნენ მთანი მაღალნი  
ზარბაზნის კვამლით ჯანღიანები,  
და ზეცის შვერდზე წყვილი ვარსკვლავი,  
ცხრაასხუთელის ნატყვიარვით.

გზიბლავდა ბრძოლის ცეცხლის დანთება,  
მთები ქარიშხლით გააფთრებული  
იქნება მთებმა, გოლიათებმა  
გამოგაყოლეს ძალა მთებური.

ვერ ეტეოდი კავკასიაში  
მთათა ჯებირსაც შეურიგალი,  
მებთა გუგუნში, ზვავთა ზრიალში  
იზადებოდი ლექსის გრიგალი.

ქარიშხლის გუგუნს ღელვით უსმენდი,  
ქარიშხალივით სივრცე გწყუროდა,  
თითქოს უცდიდა ვრცელი რუსეთი  
მაგ შენი სულის უსასრულობას.

განა არ გყავდა სატრფო გულისა,  
ვარსკვლავი ბედის თანაზიარი,  
არა გზიბლავდა ან ქართული ცა,  
ან ყვავილების წელი შრიალი,

რომ მხოლოდ ბრძოლის სიმღერა  
გვითხარ, გვითხარ,  
ბორკილთა ლეწვის სიმღერა დიდი,  
როდესაც ლექსად ამბობდი სიტყვას,  
გვეგონა გულსაც ქვემეხად სცილიდი.

ეგ დაღეწილი სტრიქონი მიყვარს,  
გულზე რომ შეუქად გადაგვიქროლებს,  
ვინ თქვა კალამი?.. მქუხარე სიტყვა  
ვერ ეტეოდა, ლეწდა სტრიქონებს.

ვერ მოგერიო ლერწმის ღეროთა  
ზიზილ-პიპილა ლექსის ცდუნება,  
შენი გამირული ლექსიც შევლოდა  
შვისკენ სამყაროს შემობრუნებას.

ბიოგრაფიული სახსრები

## ბაიაკოვსკი ჩვენს სოფელში



ის ჩვენს სოფელში ყოველდღე დადის  
ახოვან ტანით, ღია თვალებით,  
ირგვლივ იფრქვევა რითმის ნაკადი,  
მიწას აჩნდება ნატერფალები.

ეაღვრება ბავშვებს, ყვავილებს,  
ვენახის კვირტებს ეაღვრება...  
ღიმილს, სიხარულს გაინაწილებს  
და წმინდა განცდით გული ევსება.

ღიმი, პატარა ერთგულად შრომობს,  
ხედავს და იგი არ გაოცდება.  
ამბობს: იხარე, დიდო სამშობლოვ,  
ხალხო, ასრულდა შენი ოცნება!

მოაგონდება ბავშვობის წლები:  
ლექსები ჭურთან, ფაცერი წყალში,  
კბილა ბიჭები, ჯოხის ცხენები,  
გაშლილ მინდორზე ცეკვა-თამაში.

თვალწინ იშლება პირველი წიგნი,  
პეპლების ფრენა, ალერსი დედის,  
სახლთან შრიალი მუხათა რიგის  
და საბურავზე ლულუნი მტრედის.

მოაგონდება ველები, მთები  
და ხანისწყალი — ბროლის ნაკადი,  
დების სიმღერა აღმონადები,  
მეტყვევ მამის ძველი ნაბადი.

მოგონებები შორს გადატყორცნის,  
ფიქრებს მიენდო, ფიქრი იზიდავს,  
ის ქუთაისში მხურვალედ კოცნის  
თავის მეგობრებს გიმნაზიიდან.

კაბუკი დედავს, ოცნებით იწვის,  
თითქოს ქიდაობს, ცურავს, ერთობა,  
ახსოვს გაფიცვა ცხრაასხუთი წლის  
ამაყად თქმული: მშობა, ერთობა!

წიგნივით ფურცლავს შორეულ დღეებს,  
ახლა ყველაფერს აღადგენს, ეძებს.  
ბარიკადებზე ჰქუხდა სიმღერებს  
და ევლოშვილის მგზნებარე ლექსებს.

ის ჩვენს სოფელში ყოველდღე არის,  
დრო-ჟამის მტვერი ხელს ვერ შეახებს.  
ღიღ ქანდაკებად ცენტრში დამდგარი  
მზერას მოავლებს ყანებს, ვენახებს.

კოლმეურნეებს შეუქმებს გარჯას,  
ტოტებს ურხევენ ძველი ცაცხვები,  
ტანაშოლტილი ალგები დგანან  
მის სიმაღლესთან, ოდნავ დარცხვენით.

უყვარს სამშობლო: მისი მშვენიება,  
იცის, მარჯვენით მონაქარგია.  
ამბობს: ცხოვრების ასე შენება  
რა ძვირფასია!  
ო, რა კარგია!

## მანიაკოსკის



რა ძალა იდგა,  
რა გრიგალი,  
შენს უკვდავ ხმაში,  
როს განახლების სიხარულით შენს ხალხს უსმენდი,  
შენი თვალეზი ცეცხლს აფრქვევდა წვიმაშიც, ქარშიც  
და გულს გიგზნებდა მომავალი დიდი რუსეთის.

არად მიგაჩნდა შენ სიცოცხლე ბრძოლის გარეშე,  
შენ ხომ სამშობლოს მოღალატეს რისხვით ამხელდი!  
შენ ბრძოლის ველზე გრიგალივით გაითარეშე,  
დაისადგურე ჩვენს გულებში, — განა წახვედი?

აი, ამ ცის ქვეშ  
თეთრ არყების შრიალს რომ ვისმენ,  
ვხედავ ჩემს ირგვლივ:  
შენი სიტყვის შუქი გროვდება.  
და ეს ველეზი,  
ეს ბუნება,

ეს ლურჯი სივრცე —  
მე მაგონებენ შენი სულის უსაზღვროებას!  
ვიცი, გზიბლავდა დარიალი  
და გრგვინვა თერგის.  
ბაღდადის ზეცა,

საქართველოს მაღალი მთები.  
თვალწინ რომ გედგა:  
ხალხთა ძმობის უკვდავი ნერგი  
განათებული შენი დიდი ოცნების ფრთებით.

შენ პოეზიის უქრობელი ცეცხლით იწვოდდი,  
და სიყვარულით ფეთქდა შენი სისხლი მდუღარე.  
ნეტავ შეგეძლოს, შენებურად როგორც იცოდი, —  
დღეს ვოლგა-დონზეც გეთქვა შენი სიტყვა მქუხარე.

აქ, ამ ველეზში, დაიგრგვინა შენმა ხმამ რიხით,  
როს ტაიგაშიც მზე დაადგა ღიმილით ყინვას,  
და ვით ყუმბარას,

მტერს უშენდი  
მომავლის ფიქრით,



შენს გაუტეხელ,  
 შენს საოცარ ძარღვმაგარ სიტყვას.

მეტი რა გითხრა! —  
 მე ამ სიტყვას ვამბობ და ვღელავ,  
 მე დღესაც მესმის შენი ფიქრის ლაღი შრიალ-  
 შენი სიკვდილი გულზე დაღად გვაჩნია ყველას  
 და თვალწინ გვიდგას შენი სახე ქარიშხლიანი...

შენ კვლავ ჩვენთან ხარ,  
 შენი წმინდა ოცნებით ისევ,  
 და ვხედავ ირგვლივ:  
 შენი სიტყვის შუქი გროვდება.  
 და ეს ველები,  
     ეს ბუნება,  
             ეს ლურჯი სივრცე  
 მე მაგონებენ შენი სულის უსაზღვროებას.

## დაუსხრომელი გული

ბიოგრაფიული მოთხრობა



ლურჯ სივრცეში მიფრინავდნენ მტრედები, გორის ციხეს თავს ევლებოდნენ, ერთმანეთში ირუოდნენ, შორეულ ცის კიდურში უჩინარდებოდნენ.

მაღალი ციხე, წიაღიდან ამოვარდნილ კლდე-გორაკზე ამართული, შუაგულ ქალაქში მაღლა აზიდული, ამაყად დასცქეროდა მის გარშემო გაფანტულ ერთსართულიან სახლებს, ხევულ ქუჩებს, ბაღებსა და ვენახებს.

ლუჩაქივით გაშლილი ნისლი ჯერ კიდევ მაღალ ქონგურებს ევლებოდა. მთელი გულმკერდით სუნთქავდნენ მთები.

მაღე ციხის თავზე მზის პირველი სხივი აბზინდა. გაიშალა, ნება-ნება დაცურდა ციხის კედელზე, შენობებს მოეფინა, ეკლესიის ჯვრებზე გაბრწყინდა. ქუჩებზე გრძელი ჩრდილები ყორნის ფრთებივით გაიშალა.

თბილი ნიაგით გათბა ქალაქი. მიუყჩებულ ქუჩაზე დგრიალით გაირბინა პირველმა ეტლმა. ცოტა ხანიც და ქუჩებში მოსწავლეთა ხმაური გაისმა. მხრებზე ჩამოკიდებული აბგებით, სწრაფი ნაბიჯით მიდიოდნენ ისინი სკოლისაკენ. ხტუნვითა და სირბილით მიუახლოვდნენ სასულიერო სკოლის ახლად აგებულ ორსართულიან აგურის შენობას. ფართო, მრავალფანჯრიან დერეფანში შეცვივდნენ.

კლასებში შევიდნენ. მერხებზე დასხდნენ. აბგებიდან წიგნების ამოლაგების დროს ერთ მოსწავლეს ატამი ამოუვარდა, იატაკზე გაგორდა. ვიღრე ის

ასაღებად დაიხრებოდა, მეორემ მოასწრო, პატრონი მივარდა, მაგრამ საპობი ატმის კურკა-ლა შერჩა ხელში.

ატყდა სიცილი და კისკისი. დამარცხებულს დასცინოდნენ:

— რა დაგემართა, ბიჭო! ეგ რა გიყო კვინიკაძემა, ჰა?

— მაგას კაცის გული ვერ მოითმენს!

— ე, კურკა რაღად გიჭირავს ხელში, ვერ გადააგდებ?

მოსწავლემ კურკა შორს ისროლა. ბრაზმორეული, თვალებით უმზერდა ამხანაგს, მაგრამ ვერაფერს უბედავდა. იცოდა, კრივში ვერ აჯობებდა. გულმოსული აცრემლდა.

ამ დროს კლასში ზედამხედველი — მღვდელი დადიანიძე შევიდა. სიწყნარე ჩამოვარდა.

— რა გატირებს, რა მოგივიდა? — შეეკითხა მღვდელი ატირებულ მოსწავლეს.

— ატამი წაართვეს, მამაო! — მის მაგიერ უპასუხა რამდენიმე მოსწავლემ.

— ვინ წაართვა?

— ვინ და . . . კვინიკაძემა! — წამოიძახა ერთმა.

— არა, მამაო! — ფუნზე წამოხტა მკვირცხლი კვინიკაძე. — ეი არ წავართვი, აბგიდან ამოუვარდა!

— მერე? შენ აიღე და აღარ მიეცი? — უთხრა მკაცრად ზედამხედველმა. — დღეს გაკვეთილების შემდეგ სკო-

ლაში დარჩები! გესმის? უსადილოდ! —  
თქვა და ანაფორის შრიალით კლასი-  
დან გავიდა.

როცა მასწავლებელი კლასიდან გა-  
ვიდა, ისევ ატყდა ფრიამული და ყვი-  
რილი. ახლა კვინიკაძეს მიუბრუნდნენ,  
გაჰვიღეს, დასცინეს:

— იიი!... კვინიკაძე!.. ბეზ ახედა!  
ბეზ ახედა! — ახია შენზე! რატომ არ  
მიეცი თავისი ატამი?

— მერე, რა იყო! რა მოხდა! მოვი-  
დეს ჩემთან სახლში და მთელ კლასთ  
ატამს მივცემ!

კლასში მასწავლებელი შევიდა. ხმა-  
ური ერთბაშად შეწყდა, როგორც შე-  
წყდება ხოლმე ჩიტების ჭიკჭიკი, როცა  
აღალი გამოუქროლებს.

მასწავლებელმა ილურიძემ მორიგეს  
ლოცვის წაკითხვა დააცადა. მერე მოს-  
წავლევებისაკენ მიბრუნდა. „დასხე-  
დით!“ — თქვა და გრძელი დაკაშმული  
საკლასო დღიური მაგიდაზე დადო.  
გადაშალა, გვარები ამოიკითხა:

— აქა ვარ!

— აქა ვარ!

— აქა ვარ!

სათითაოდ წამოდგებოდნენ და  
მკვირცხლად უპასუხებდნენ მოსწავ-  
ლები.

გვარების ამოკითხვა რომ მოათავა,  
ილურიძემ მორიგეს შეეკითხა:

— დავითაშვილი რატომ არ არი?

— არ ვიცი, მასწავლებლო, გუშინ  
კი იყო და! — მიუგო მორიგემ.

ილურიძემ მერხებისაკენ გაიარა.

მის წვერს ჰალარა შეჰპარვოდა. სუსტ  
ნესტობიანი, ჰარხალივით აწითლებუ-  
ლი ცხვირი და წარბების ქვეშ მიმალუ-  
ლი ჰროლა თვალები, თითქოს სასტიკ  
გამომეტყველებას აძლევდა მის ნაოჭიან  
შუბლს. ხოლო როცა უღვაშებში ჩაფ-  
ლულ ტუჩებს კეთილი ღიმი მოეფინე-  
ბოდა, მიშხიდველი ხდებოდა მისი შავ-  
გერემანი სახე.

— კვინიკაძე, გამოდი!

— რაღა კვინიკაძე გამოიძახა? — ჩა-  
იხურჩულეს მოსწავლევებმა. —  
კვინიკაძე დაფასთან მივაქვით, მიშხა-  
ფებისაკენ გაიხედა, გაუღიმა და თვა-  
ლით ანიშნა — მიშველეთო!

ამ დროს კლასში თოთხმეტი წლის  
შავგერემანი, გამხდარი, სუსტი აგებუ-  
ლების მიხა დავითაშვილი შევიდა.  
მისი ფერმკრთალი სახე და სიღრმეში  
წასული შავი თვალები განცვიფრებას  
გამოხატავდნენ. შავი, ჩაცვენილი ლო-  
ყები, გრძელი ნაზი ცხვირე, გრუზა შა-  
ვი თმა, ვიწრო შუბლი და გაცრეცილი  
ნიკაძე, — ავადმყოფურ შთაბეჭდილე-  
ბას სტოვებდა.

იღლიაში ქუდამოხრილი, მხარზე აბ-  
გაგადაკიდებული, კარებთან შეჩერდა.  
თავჩაღუნულმა ექრიალა თვალებით  
მოსწავლევებს გახედა.

— რატომ დაიგვიანე? Несчастный! —  
გაუწყრა ილურიძე.

დავითაშვილმა თავი დახარა.

— წადი, დაეგდე!

დავითაშვილი ნელი ნაბიჯით გაემარ-  
თა მერხისაკენ. ვიწრო წელზე ქამარი  
მაგრად ჰქონდა შემოკერილი, ძალზე  
გამხდარი იყო, — თონის ორკაბა ფინხს  
მოგაგონებდა. განიერი შარვალი გე-  
გონებოდა საცაა ჩამოუვარდებო. და-  
ბლვერილმა, მოლუშული წარბებით  
გაიარა მერხების რიგი და თავის ადგილ-  
ზე დაჯდა, ამხანაგს მიუბრუნდა:

— გოგია, დიდი ხანია „ნესჩასტ-  
ნი“ მოვიდა?

— არა! ესეცაა ჩაათავა გვარების  
ამოკითხვა. სად იყავი? რათ დაიგვიან-  
ე?..

— ჩემი ძმა ჩამოვიდა სოფლიდან, იმ-  
დენი ხილი ჩამოიტანა, რო... გაკვეთი-  
ლების შემდეგ ჩემთან წამოდი. გაჭმევ!

— კარგი! ახლა გაჩუმდი! მასწავლე-  
ბელი გვიცქერის!

— კვინიკაძე! — მიუბრუნდა მას-  
წავლებელი კვინიკაძეს, — გამოიყვანე  
ამოცანა?



• ეპოქისული  
• ზინტონირება

ამ ხნის განმავლობაში ამხანაგებმა ქალღმერთმა გამოყვანილი ამოცანა კვინიკაძეს მასწავლებლის შეუმჩნეველად გადაუგდეს, ისიც დასწვდა, აიღო, გაშალა. წერდა დაფაზე და თან ამხანაგებს გადახედავდა — სწორეა თუ არაო...

ილტრიძე ცნობილი იყო სასწავლებელში თავისი განსაკუთრებული აზირებული ხასიათით. კეწნიანი და მუდამ დამწუხრებული დაიარებოდა მერხებს შორის. უცხად გაჯავრდებოდა. ერთი შეცდომისათვის მოსწავლეს გაუწყობდა, „ნესჩასტნი“ უწოდებდა, დღიურში ერთიანს ჩაუწერდა. ამ სიტყვის ხშირი ხმარებისათვის მოსწავლეებმა მას „ნესჩასტნი“ შეარქვეს.

მათ იცოდნენ მისი კეთილი ხასიათი: მისი გაჯავრება მალე გაივლიდა. გაკვეთილის დამთავრების შემდეგ გარს შემოეხვეოდნენ, შეეხვეწებოდნენ და ხშირად ერთიანს ოთხიანზე გადაუკეთებდა.

ზარი დარეკეს თუ არა, მაგიდის გარშემო შეიკრიბნენ მოსწავლეები, რომლებმაც იმ დღეს ერთიანები მიიღეს. დაუწყეს თხოვნა.

— მასწავლებელო! მასწავლებელო!.. შენი ჭირიმე, მასწავლებელო! გეხვეწებით! გადაგვისწორე! ღმერთმანი გაკვეთილი ვიცოდით!..

— აბა, რას მიჭარავთ! არც ერთმა გაკვეთილი არ იცოდით!..

— მასწავლებელო! ღმერთმანი ამოცანა სწორედ გამოვიყვანე! ერთი შემეშალა მხოლოდ! გადამისწორე რა!

ილტრიძეს მოსწონდა მათი ქოჩორა თავები, მოციმციმე თვალები, მათი ხეწენა და მუღარა. უღვაშებში ჩამალული ტუჩებით იღიმებოდა. „ნესჩასტნი!“ — იტყოდა, და მაგიდაზე დღიურს გადაშლიდა. ნიშნებს გადაასწორებდა.

კმაყოფილი მოსწავლეები განზე გადგებოდნენ, გზას დაუთმობდნენ. უკან მისდევდნენ, აცილებდნენ.

დილით გოგია გლურჯიძემ მიხა დავითაშვილს ბინაზე გაუარა. ჭურის პირად, დაბალქერიან სახლის ფანჯარაზე დაუკაკუნა. მიხა ამ დროს ჩაის სვამდა. ოთახიდან გასძახა: „ახლავე მოვალო“... ორი წუთიც არ გასულა, მხარზე აბგაგადაკიდებული გლურჯიძეს მიუახლოვდა.

— ბიჭო, რომ იგვიანებ ხოლმე, არ ვარგა. ჰოდა, ამიტომ გამოგიარე! — უთხრა გოგიამ.

გლურჯიძე დაბალი ტანისა იყო, დაძარღვული კისერი და თეთრი მოვლვარე კბილები ჰქონდა. შავი ციმიმა თვალები ყოველთვის უბრწყინავდა, მოლიმარი და მხიარული ერთი შეხედვითვე მიგიზიდავდა. ქამრით შემოკრული ლურჯი ხალათი ეცვა, ჩაშვებული შარვალი და ტყავის ჩუსტები. წინ წამოწეულ მუცელთან ორი წიგნი ჰქონდა ქამარში ჩარტობილი.

ერთმანეთს მხრებზე ხელი გადაადგეს და გზას გაუდგნენ..

შემოდგომის წყნარი დილა, ჯერ კიდევ თბილი მზის სხივები, სივრცეში გაფანტული სურნელება და ლიახვის ნაპირებიდან მოვარდნილი მოუსვენარი ნიავი ბავშვების ცხოველ ბუნებას აღიზიანებდა. გარშემო სიწყნარე იყო. ხოლო იშვიათი შეძახილი მეტრამისა — „მამო, შე ვერანავ!“ — და შოლტის ტკაცუნის ჰაერს გააპობდა, კომპოსტოთი დატვირთული, ჩელტებიანი ურემი გარემოს აახმაურებდა.

ორი მეგობარი — ერთი გამხდარი და სუსტი, მეორე ჩასკენილი და ჯანსაღი — აუჩქარებელი ნაბიჯით ჭურის პირად მიდიოდა. გზაში მათ ზოგი უსწრებდა, ზოგი უკან რჩებოდა.

— რამდენი ვერსი იქნება აქედან შენს სოფლამდის? — შეეკითხა გოგია მიხას.



— მატარებლით მივდივარ ხოლმე!  
რა ვიცი, რამდენი იქნება!

— ნეტავი შენა! მე ვერ მატარებ-  
ელში არც კი ვმჯდარავარ!

დერეფანში შევიდნენ. ვერ ადრე  
იყო: ყველა ეზოში გასულიყო და თამა-  
შობდა. მიხა და გოგიაც იქ გავიდნენ.

გაფანტულ მოსწავლეთაგან ზოგი  
წრე-ლახტს უვლიდა, ზოგი ახტურმას  
თამაშობდა, ზოგიც სალაობას.

გარშემო აურზაური, ქრიამული, ძახი-  
ლი და ყვირილი ისმოდა. შორიდან კი  
ლიახვის ტალღების ხმაური სიერცეში  
შეიჭრებოდა, როგორც მებრძოლთა ყი-  
ვინა.

— ერთი დახე, დახე! — შესძახა უც-  
ხად განცვიფრებულმა მიხა დავითა-  
შვილმა.

— რა იყო?

— ვერ დაინახე, პეტა კაპანაძემ რა  
ჰქნა?

— ვერა!

— აგერ, იმ კუთხეში, ახტურმას რომ  
თამაშობდნენ, უცხათ გაქანდა, მიმა-  
ვალ გოლა მგალობლიშვ-ლს თავზე  
ისე გადაახტა, რომ იმან ვერც კი შე-  
ნიშნა, სანამ მისი მხრებიდან ქორივით  
არ გადმოფრინდა პეტა.

— პეტას სიმარდეში ვერავინ აჯო-  
ბებს! — უთხრა გლურჯიძემ.

გაისმა ზარის ხმა. მოსწავლეები სკო-  
ლისაკენ გაეშურნენ.

ყველა შირბოდა, — ვინ ასკინკილაო-  
ბით, ვინ მუჯლუგუნის კერით, ზურგზე  
შებტომით, ყვირილით და ძახილით. შე-  
სასვლელ კარებში, როგორც მდინარე  
წისქვილის ღარში, ისე შემშვიდროვდ-  
ნენ, მერე შეხეფების მსგავსად აქეთ-  
იქით გაიფანტნენ. კლასებში შეცვივდ-  
ნენ.

დერეფანში ინსპექტორი ბუტირსკი  
დადიოდა. დაგვიანებულებს უწყრებო-  
და.

ეზოში თამაშობის დროს კიდევ შე-  
იძლებოდა ქართულად ლაპარაკი, მაგ-

რამ კლასში რუსულად უნდა მიემარ-  
თათ ერთმანეთისათვის.

ამისათვის კლასის შორიგეს სელში  
ეკავა ფიცრის ფირფიტა. ყური ჰქონდა  
გამახვილებული. ქართულად ლაპარაკს  
გაიგონებდა თუ არა, ფირფიტას მის-  
ცემდა. ის თავის მხრივ ცდილობდა —  
სხვა ვინმესთვის გადაეცა. ვისაც ფირ-  
ფიტა შერჩებოდა, მას უსადილოდ  
ტოვებდნენ.



გაკვეთილების შემდეგ კვირაში ორ-  
ჯერ სკოლის ბიბლიოთეკას აღებდნენ.  
რუსულ წიგნებთან ერთად თაროებზე  
ეწყო: ქართული სახარება, კატექიზმო,  
სამოციქულო და წმინდანების ცხოვრე-  
ბის აღწერა. ქართულ ენას უქანასკნე-  
ლი გაკვეთილი ჰქონდა დათმობილი. ას-  
წავლიდნენ ი. გოგებაშვილის „ღედა  
ენას“. და „ბუნების კარს“. ეს წიგნები  
ახალისებდა ბავშვების გონებას, იზი-  
დავდა მათ და მშობლიურ ენასა და ბუ-  
ნებას აყვარებდა.

კატექიზმოს გაკვეთილის წინ, ვიდრე  
მასწავლებელი შევიდოდა, მოსწავლეე-  
ბი მერხებს შორის დადიოდნენ. წიგნს  
გადაშლიდნენ, წაიკითხავდნენ: — „Что  
такое вера? — Вера есть уповаемых  
извещение, вещей обличение невидимых.  
Мероуе веры дакиявдннн, тва-  
ლებს დახუჯავდნენ, ხმაპალა გაიძახო-  
დნენ „Вера есть упо... упо... упоае-  
мых, упоаемых“... რამდენჯერმე გაი-  
მეორებდნენ — „вещей обличение“  
თვალს გაახელდნენ, წიგნში ჩაიხედავ-  
დნენ; წამოიძახებდნენ: — вещей об-  
личение невидимых“. გაცხარებული  
თუ გაბრაზებული თუთიყუშოვით მთელ  
წინადადებას გაიმეორებდნენ.

როცა რუსული ენის მასწავლებელი  
ლავროვი კლასში შემოვიდოდა, მერ-

ხებზე სრული სიწყნარე ჩამოვარდებოდა.

— А, ну-ка! Хуциев!..

— А, ну-ка! Давидов!..

მერხებისაკენ გაივლიდა. წაბლისფერი გრძელი თმა კისერთან ჰქონდა გაკრეპილი რუსულად, წვერი გააპარსული, ხოლო ფართო უღვაშები ნიკაპამდე სწვდებოდა. მისი სათვალე მუდამ პრიალეზდა. წარბების ქვემოდან გამოიყურებოდნენ მუდამ დამცინავი, ცისფერი თვალები.

მოულოდნელად შუა გაკვეთილის დროს დაიძახებდა:

— ამოიღეთ რვეულები! კარნახი გვექნება... იცოდეთ, თუმცა რუსულად გამოითქმება, „дежурный“, — მაგრამ იწერება „дежурный“!.. გამოითქმება „ласковой“, იწერება „ласковый“!.. და ასე შემდეგ.

კარნახი არ უყვარდათ. უკვირდათ: „რატომ ქართულ ენაში არ გვაქვსო მსგავსი რამ — იწერებოდეს ერთნაირად და გამოითქმებოდეს სხვანაირად. ან რატომ არის ანბანში სამნაირი ასო „ე“. რატომ იწერება ზოგან ზ-იატი და ზოგან ჩვეულებრივი ე — „ჰ“ ან მაგარი ნიშანი ბოლოში რისთვისაა“?

რუს კლასიკოსებს სკოლაში მხოლოდ ნაწყვეტებით, ნაწილობრივ სწავლობდნენ. მთლიანი გაცნობა პუშკინის, ლერმონტოვის, გოგოლისა და სხვების ნაწერებისა აკრძალული იყო.

— აბა, დავიდოვო, სოჭვი გაკვეთილად მოცემული ლექსი! — მიმართა ლავროვმა მოსწავლეს.

დავითაშვილი წამოდგა: „Ветка Палестины“.

Скажи мне, ветка палестины.

Где ты росла, где ты цвела!..“

არაჩვეულებრივი აჩქარებით, თითქმის ყვირილით გაჰკიოდა მიხა ლექსს.

— ვისი ლექსია, დავიდოვო, „Ветка Палестины“? — შეეკითხა ლავროვი.

— ლერმონტოვის!

— თქვენც თუ გყავთ ქარბელებს — ისეთი პოეტი, ~~ქარბელებს~~ მკინია, როგორც ლერმონტოვისა და დავითაშვილი ღუმს.

— ბიჭო! უთხარი შოთა რუსთაველი, გურამიშვილი, ბარათაშვილი, აკაკი, ილია! — კარნახობენ მერხებიდან ამხანაგები.

— Ну! სოჭვი, გყავთ ვინმე?

— შოთა რუსთაველი! გურამიშვილი. ბარათაშვილი, აკაკი, ილია! უბასხა დავითაშვილმა.

— ვინ არიან ეგენი? ვის გაუგონია? აბა, რა პოეტები არიან, მე თუ არ გაგიგონია! — ყვიროდა ლავროვი.

მოსწავლეები დუმდნენ. გული უბოროტდებოდათ. მწვავე ტკივილით, შეურაცხყოფილი სახით, ერთმანეთს გადახედავდნენ.

თვითმპყრობელური იდეებით გამსჭვალული მოსწავლეები არ ინდობდა ახალგაზრდების სათუთ გრძნობას. მას ეგონა ასე უფრო მიადრეკდა თავის მიზანს. მაგრამ სინამდვილეში საწინააღმდეგო ხდებოდა.



— ბიჭო გოგი! წაიკითხე „ოთხი ძმა“? — შეეკითხა მიხა დავითაშვილი გლურჯიძეს.

— წაეკითხე, მამ! იცი, როგორია? — მალააწულ მარჯვენა ხელის ცერს უჩვენებს, — აი! მას უკან თავბრუ მაქვს დახვეული! სოფელში რომ წავალ, გლუხებს მოვეუყვები ამ ამბავს. მაშინ ნახონ იმათა!.. „ჰაი დედასა?.. — რა მართალია, ბიჭო, ყველაფერი იტყვიან.

— მეცა! მივალ თუ არა სოფელში, შევერებ ჩენი მეზობლის ბიჭებსა და წაუყვითხავ „ოთხ ძმას“!

— ნეტავ მალე დავითხოვდნენ საშობაოდ.

მიდიოდნენ მხრებზე მკლავებგადაკობილები. მოციმციმე, შექმთრქვევი

თვალეებით შორს იცქირებოდნენ. გახშირებული გულისცემით სუნთქავდნენ.

ოქონის შესახვევთან ერთმანეთს დაემშვიდობნენ. ერთი ზევით წავიდა, მეორემ იქვე შეუხვია მოსახვევში.

გლურჯიქემ თარიოდე ნაბიჯი გაიარა. უცხად გამოტრიალდა. მიხას დაეწია.

— რა გინდა, გოგია? — შეეკითხა მიხა.

— იცი, რა? მოდი, დღეს ციხეზე ავიდეთ, მოხვალ?

— კარგი, მოვალ!

— არ დაიგვიანო! მშვენიერი ამინდია! ქარი არა ქრის, აბა, ნახვამდის!

გოგია ისევ თავის გზას გაუდგა. მიდიოდა ჩიკორივით მრგვალი, მხიარული, სიცოცხლით სავსე.

•  
••

მიხა დავითაშვილმა გორის ციხის აღმართი აირბინა. ციხის გრძელი და ფართო მინდორი გადასჭრა. მდეუების ქვაზე შედგა. გორის საქალაქო სკოლის მოსწავლეებს, რომლებიც ადრე მოსულიყვნენ, უკვე ქამრები შემოეხსნათ და წრე-ლაბტის შეჯიბრებაში ჩაბმულიყვნენ. მიხა უმზერდა მათს მკვირცხლ თამაშს, ქამრების მარჯვედ ქნევას, ფეხმარდი ბიჭების წრის გარშემო რბენას, სიცოცხლით სავსე მზვინავ თვალებს.

მაღე მოეწყინა. ციხის კედელზე აცოცდა. თავის სოფელ წრომისკენ გაიხედა. ხანძარწყაიდებულმა მთების ელვარებამ მიიპყრო მისი ყურადღება. ცისკიდური აღისფერად იწოდა, მთაგრეხილის მწვერვალები ნაკვერჩხლებივით ღვივოდნენ. ანაზღეულად ცის კიდურს ნაცრისფერი ფარდა ჩამოეფინა, მიდამოს ღეჩაქივით გამჭვირვალე ლილისფერი დაედო...

— ეი! შენ! ციხის დარაჯო რამდენი ხანია დაგეძებ! — შემოესმა ნაცნობი ხმა. გაიხედა. გოგია იცნო. კედლიდან ჩამოხტა.

— შენ ალბათ მზის ჩასვლით ტყებობოდი, არა?

— პირველად არ ვხედავ მზის ჩასვლას, მაგრამ აქედან მის ცქერას არაფერი სჯობდა!

— მოდი, წრე-ლაბტის თამაშობაში ჩავერიოთ! არ გინდა, მიხა?

— არ მინდა, არა ვარ მაგის გუნებაზე!

ციხის მეორე მხარეს გაიარეს.

ერთი ძალზე შავი, ლოყებჩაცვენილი, ჩაზნექილი მხრებით — გვერდმრუდედ მიაბიჯებდა. მეორე მსხვილი, დაეღაფლოყებიანი ხშირქოჩრიან თავზე ჩამოთხატული ქუდივით, საკინძეგახსნილი ხალათით — ბაჯბაჯით მიადგამდა ფეხს.

ორივენი ფიქრებს მისცემოდნენ.

— დასავლეთისკენ რომ იცქირებოდი, შენი სოფელი იქით არის, არა? — სიჩუმე დაარღვია გოგიმ.

— ჰოლდე?

— იქ მგონი ძველისძველი ეკლესია უნდა იყოს!

— მერე შენ საიდან იცი?

— გამოგონია! დილია?

— ჰოლდე! იმოდენაა, რომ ორი ოქონა ჩაეტევა შიგა!..

— მარდლა?

— მაშა! განიერი, თაღებიანი, მაღალგუმბათიანი, ფართო ქვიტკირის გალავნითა! ალვის ზესავით აზიდული სამარეკლოთი... კედლებში ჩატანებული აქვს ვიწრო ოთახები, შეუმჩნეველი და ფარული. ამ ოთახებში შესასვლელს კი ვერ იპოვი, კარები კი არა აქვს! ნაპირიდან უნდა გამოთვალო კედლის ქვები. ეს მნათემ იცის მხოლოდ. ქვას გამოიღებ და შეხვალ ბნელ ოთახში. კი არ შეხვალ, შეძერები... ჰოლდე, ამ ოთახებში წინათ, მტრის შემოსევისას, ეკლესიის განძეული ინახებოდა, პური და სხვა სიმდიდრე. თუ გინდა, წამოდი ჩემთან, მესტუმრე და ნახავ!

დასავლეთის მხარეს ჩასასვლელ კიბეებს მიადგნენ. შორეული ჩხრიალი

ლიახვისა, ვერხვების ფოთოლთ შრიალი და ჩიტების ყრიაპული შეესმათ. შედგნენ.

— შენ ხომ თბილისის სასწავლებლიდან გადმოხვედი აქა, ერთი მითხარი, თუ ძმა ხარ, როგორია თბილისი? — შეეკითხა გოგია, როცა გამობრუნდნენ.

— ჯერ არ გინახავს?

— აქი გითხარი, ჯერ მატარებელში არც კი ვმჯდარავარ!

— ოჰ! იქ ისეთი საქმე შემემთხვა, მოგონებაც კი არ მინდა!

— რა მოგივიდა ისეთი, მითხარი!

მიხა ცოტახანს შეჩერდა, წარბები მოკუმუნხა, სახე მოელუშა.

— ძალიან ცუდი ამბავი!

გოგიმ შეამჩნია, რომ თქმა ეძნელებოდა. თხოვნა აღარ გაუშეორებია. ძალიან კი სურდა, გაეგო. ორიოდ ნაბიჯი დუმილით გაიარეს.

— ერთ საღამოს ავჭალის ქუჩაზე მივდიოდი, — დაილაპარაკა მიხამ, — ერთი მათხოვარი შემხვდა. ძალიან შემეხვეწა მშვიერი ვარ და ორი კაპიკი მარჩქეო. არაფერი მქონდა, ჯიბეში ხელი მიინც ჩაეყავი. შიგ გახვრეტილი გროვიც არ ჰყოფდა. „სოფლიდან ჩამოვედი სამუშაოს საქმენელადო, — აგერ ორი კვირაა, აქა ვარ და ასე უსაქმოდ დავეხეტებო, — სოფელში დაბრუნება მინდა და გზის ფულიც არა მაქვსო.“ —

გლებური ფარაჯა ეცვა. დაგლეჯილი და ჭუჭყიანი ნაბდის ქული ეხურა. ძალიან შემეცოდა. მინდოდა, როგორმე დავხმარებოდი. შორიახლო თორანის პურს აცხობდნენ. გამომცხვარი პურის სუნნი ჩვენამდის აღწევდა. ჯარეთ თახახზე ეწყო გრძელი შოთი პურები დაბრაწული ყუებით და საკენეტი წვეროებით. ერთმა აზრმა გამიელვა თავში და... გავიქეცი, თახახზე აყუდებულ შოთ-პურს ხელი ვტაცე, გლებს დავწვიე. პური მივეცი. მე კი მეორე ქუჩისაკენ მოვეტრცხლე. თურმე მომდევდნენ, დამეწიენ, წამავლეს ხელი, ყური

ამიწიეს, სილაც გამაწიეს და... მერე აღარც კი მახსოვს... სიბრაზისაგან ვტიროდი, ხელიდან დასხლტომას ეცდილობდი, მაგრამ შებოჭილი ვიყავი უმრავი ხალხი შემოგვესია. ზოგი იძახდა: „დაარტყი დაჰკარ, არ დაინდო! ახია მაგაზე!“ ზოგს ვეცოდებოდი: „მაგან პური ხომ თავისთვის არ მოიტაცა! გლახას მისცაო!.. გაუშვით ხელი რას ერჩით მაგ ბავშვსაო!“.. „მერე რა, სულერთი არ არის, თავისთვის მოიტაცა თუ სხვისთვისაო!“ სხვები ამბობდნენ: „ახლავე რომ ქურდობას იწყებს, შემდეგ რას იზამსო“; „სცემეთ, ახია მაგაზეო“ „პოლიციას გადაეცითო!“ ეს რომ გავიგონე, ძალიან შემეშინდა, ტირილი დავიწყო.

— ერთ კაცს შევეცოდე.. ევროპული კოსტუმში ეცვა. წვერ-ულვაში ჰქონდა. აცრემლებული თვალებით შევხედემისი ლმობიერი და მართალი თვალები ვიგრძენი. გულზე მომეშვა. მივენდებოდი ჩემი თავი ძალით გამოსტაცა ხელიდან მეტურეს. ჰკითხა: „რა ღირდა შენი პურიო?“ ორი შატრი ჩაუღო ხელში და განზე გამიყვანა. ხელი არ გამიშვა, ჩემ სახლამდის მიმაცილა და წავიდა.

დიდხანს ვიდებო ვაბრუებული. გაწითლებული თვალებით ხომ ვერ შევიდიოდი შინ! მეორე დღეს გარეთ ვედარ გავედი, მეგონა — ყველამ იცოდა ჩემი შეურაცხყოფა. თავი მოვიავდმყოფე.

ამბავი დამითავრა. გოგი გაოცებული შესცქეროდა, თითქოს ზღაპარი უამბესო, ისე იყო მოჯადოებული. გაურკვეველ ფიქრებში შეცურდა. გონებაში ესახებოდა სოფლიდან ქალაქში ლუკმაპურის საშოვნელად წასული გაღატაკებული გლები, მისი გაჭირვება, შიშოლი, დაუნდობელი ქალაქი. შესცქეროდა მიხას და გული გამალეებით უცემდა.

— ბიჭო! რა ყოფილხარ შენა? ჰა? მე კი მეგონა, ჭიასაც ვერ გააღვიძებდი! ეს ამბავი რატომ აქამდის არ გვითხარი?

— მაგის მოგონება ყოველთვის მიძნელდება. არავეისთვისაც არ მითქვამს! მარტო შენ გითხარი!

— მერე, მანდ ხომ დასაძრახისი არაფერია!

ბინდებოდა. წრე-ლახტის მოთამაშეები იშლებოდნენ.

მწუხრი ეფინებოდა გორის ქუჩებს.



გოგი გლურჯიძეს უყვარდა მიხა, რადგან ის იყო გულისხმიერი, მეგობრის მოყვარული, სინდისიერი და პატიოსანი. პატივს სცემდა და რიდიც ჰქონდა მისი. გოგიამ იცოდა, რომ მიხას არ შეეძლო მეგობრობა ისეთ მოწაფეებთან, რომელთაც ფარისევლობას, სიცრუეს, ორპირობას, მლიქვნელობას და თავდრეკობას შეამჩნევდა. სძულდა და ეზიზღებოდა მუხანათობა და ამხანავის ღალატი.

წიგნს რომ წაიკითხავდნენ, ერთმანეთს აზრს გაუზიარებდნენ, გაარჩევდნენ.

არსენ კალანდაძის წიგნის მაღაზიაში, იყიდებოდა ბარათაშვილის, ილიას, აკაკის, ყაზბეგის, ვაჟას, ნინოშვილის, ვოგებაშვილის, ლომოურის, მგალობლიშვილის და სხვათა ნაწერები. სკოლაში მიმავალი მოსწავლეები მაღაზიას ჩაუვლიდნენ, განიერ ფანჯრებთან შეჩერდებოდნენ. ათვალეირებდნენ გამოფენილ ახალ წიგნებს: რუკებს სასკოლო ნივთებს, სურათებს.

შემოდგომაზე, როცა სწავლა იწყებოდა, მოსწავლეები ახალ სახელმძღვანელოებს, რვეულებს, ფანქრებს, რუკებსა და კალმებს ყიდულობდნენ. მაშინ მაღაზია იესებოდა თვალუფუნა ბავშვებით, — ისმოდა მათი ქრიამული, გულს ახარებდა მათი მხიარული და მკვირიცხლი სახეები. ყველას უხაროდა იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“

„ბუნების კარის“, „Родное слово“-ს შექმნა.

არც ერთი სახელმძღვანელო, არც ერთი წიგნი მათ ისე არ იზიდავდა, როგორც „დედა ენა“. მრავალჯერ გადაფურცლავდნენ, სურათებს დააქერდებოდნენ, თვალს ველარ მოაშორებდნენ. პატარა მარტივეშინაარსიან მოთხრობებს ბავშვები იზებირებდნენ, ერთმანეთს მოუყვებოდნენ. მოსწონდათ, ბუზი რომ გაქანებულ ეტლს დააჯდა და გაიძახოდა: „ერთი შემომხედეთ, რა კორიანტელი დავაყენო“. საბძელმა რომ ქარს უთხრა — „შენი არც შემოტანილი მინდა, არც გატანილიო!“ „ან გლუხი რომ შეეკითხა თივით დატვირთული ურმით მიმავალ გლუხს“ — „რა მოგაქვსო?“ „— შეშაო!“ „რის შეშა! თივა გიძევს ურემზეო!“ „აბა, თვითონვე, რომ კარგად ხედავ, რალას მეკითხებო!“ ანდა: „თხა და გიგო“, „ორი სახნისი“, „მკვებარა ქოთანო“, და სხვ. ამისთანა პაწაწა მოთხრობები სამუდამოდ ამახსოვრდებოდათ პატარა მკითხველებს.

ცოცხლად ჰქონდათ ბავშვებს წარმოდგენილი, ვანო რომ მდინარეზე პიარის დასაბანად მივიდა, ჩიტები დაინახა და შესძახა:

ჰე, ჩიტებო, ჩიარებო!  
მალხაზო და ნაყარებო!  
სად ყოფილხართ, რა ვინახავთ,  
დედაჩემი არ ვინახავთ?..

იაკობ გოგებაშვილი ცხოველი სურათებით და მარტივად გადმოცემული ამბებით ბავშვებს აყვარებდა თავის ქვეყანას, თავის სამშობლოს...

„ბუნების კარში“ ბავშვებს ხიბლავდა წიგნის ბოლოში დართული „საქართველოს რუკა“. უბრალო და პატარა იყო რუკა, მაგრამ რა აღფრთოვანებაში მოდიოდნენ, როდესაც თავიანთი სოფლის სახელს ამოიკითხავდნენ.

შუქმოფენილი თვალებით, მხიარულად ხტოდნენ, თითქოს საჩუქარი მიიღესო.

მიხა დავითაშვილი ყოველთვის შეჩერდებოდა კალანდაძის მალაზიასთან და გამოფენილ წიგნებსა და სურათებს ათვლიერებდა. იმ დღეს მისი ყურადღება საქართველოს გეოგრაფიულმა რუკამ მიიტყვია. მთელი მისი არსება მიიზიდა ნაცნობმა მთებმა და მდინარეებმა, სოფლებმა და შარაგზებმა, მტკვარმა და მისმა სოფელმა — წრომმა.

მალაზიაში შევიდა. ფასი იკითხა. ჯიბიდან ამოალაგა უხალთუნიანები. დაითვალა. ორი შაური დააკლდა. სახე მოელეშა, თვალბში შუქი ჩაუქრა. მუკში მოგროვილი ფული ისევ ჯიბეში ჩაიღო. ბარბაქით კარებისაკენ წავიდა.

— რაშია, ბიძია, საქმე? — შეეკითხა შიმავალ დავითაშვილს არსენა.

მიხა მობრუნდა. შეხვდა. ისევ კარს მიაშურა.

— მოიცა, მოიცა! ბიძია! ფული ხომ არ დაგაკლდა?

მიხამ თავი დაუქნია.

— რამდენი გაკლია, ბიძია?

— ორი შაური!

— მერე, მაგისტვის მოიწყინე, შეკაცო? ძალიან კარგად გიცნობ! ჩემთან ხშირად დაიარები, ვიცო, წიგნების კითხვა გიყვარს. საქართველოც, ხომ? კაი ბიჭი ხარ! ჰოდა, ეგ ორი შაური მიპატრიებია! აჰა, წაიღე! — უთხრა კალანდაძემ და რუკა გაუწოდა.

მიხა ისევ დაბნეული იდგა. ძლივს მიხვდა, რაც უთხრეს. ჯიბიდან უხალთუნები ამოიღო. მრგვალად დახვეწილი რუკა ხელში მოიმარჯვა. ქუჩაში გავიდა, მოკურცხლა.

უხაროდა. გულში თითქოს კოცონი დაუნთესო, მოლიმარი სახით მარდად მირბოდა ქუჩაზე. სიხარული ვინმესთვის უნდა გაეზიარებინა. ზედაუბნისაკენ გაიქცა ამხანაგებთან. ოქონის შესახვევი გაირბინა, საკრებულო ტაძრის გვერდით მოედანი გაიარა. ხელში რუკა ისე ეკავა, როგორც მეწინავეს დროში. შორიდანვე მოესმა სიმღერა, მიდამოს

რომ ეფინებოდა. გაარჩია გლურჯიძის მოძახილი, ბანის გუგუნი. ჯგუფად ზღვნი. ყელი მოედერებინათ. დაჭიმული ძარღვებით, თითქოს ერთმანეთს ხმის აწევამი ეჯიბრებინათ, ძალზე ხმაძალდა მღეროდნენ.

მიხა ჯგუფს მიუახლოვდა. გაარჩია: სიკო ალიმბარაშვილი, ვანცა ყიფშიძე, კოტე ჩუტკერაშვილი, სანდრო ციხითათრიშვილი, დათა პაპიტაშვილი, გლურჯიძე, პეტა კაპანაძე და სხვები.

სიმღერით ისე იყვნენ გართული, რომ მიხა დავითაშვილის მისვლა ვერ შენიშნეს.

მიხა გოგიას მიუახლოვდა. ხელი მოჰკიდა.

— მოდი აქ, რა გაჩვენო!

გოგიამ ხელში რუკა შეამჩნია,

— ეს რა არის? — შეეკითხა.

— წამოდი შინ და გაჩვენებ!

— მითხარი, მაინც რა არის?

— საქართველოს გეოგრაფიული რუკა ვიყიდე!

— მართლა?

— ჰოდე! აი, ნახე!

მიხამ რუკა გაშალა. მაშინდა შენიშნეს დანარჩენებმაც. უცბად მისცივდნენ მას. ყველამ ხელი წაატანა. გარს შემოეხვივნენ.

გაშლილ, აფერადებულ რუკას ხან ერთი და ხან მეორე მხარე აებურცებოდა. ყველა ნაცნობი სოფლის სახელს დაეძებდა.

— წავიდეთ ჩვენსა, — თქვა კოტე ჩუტკერაშვილმა.

— ჩემი სახლი უფრო ახლო არ არის? ჩემთან წავიდეთ! — შესძახა ვანცამ.

ვიწრო შესახვევები გაიარეს და ვანცას ბინაში მივიდნენ.

— სად იყიდე, ბიჭო? — შეეკითხნენ.

— არსენ კალანდაძესთან!

— რა მიეცი?

— თოთხმეტი შაური! — უპასუხა.

მიხამ. ისიც უამბო, ორი შაური რომ დააკლდა, არსენამ რომ აპატია.



— ბიჭოს! ბიჭოს! რა კარგი კაცი ყოფილა! ხედავ?

ყველა თავის სოფელს ეძებდა.

— აი ჩემი ბერშუეთი! — წამოიძახა გოგიაძე.

— აგე, გორი!

— თბილისი!

— მტკვარი! ლიახვი! ეი, რა ლამაზია ჩვენი სამშობლო!..

— აბა ერთი, ლავროვსაც ჰკითხე? — თქვა მიხა დავითაშვილმა.

— ბიჭებო! იცით, რა ვქნათ? — წამოიძახა გლურჯიძემ.

— აბა, თქვი, რა!

— მოდი, ეს რუკა, ლავროვის გულის გასახელებად, კლასში დავეიდოთ! ვნახოთ, რას იტყვის!

— მართლა! ეე! რა კარგი იქნება?

— ბიჭო — და, გული რომ გაუსკდეს? — გაიხუმრა ვილაძემ.

— გული კი არა და!..

დიდხანს უმზირეს კიდევ საქართველოს რუკას, მერე დაახვიეს და ისევ მიხას მისცეს.

გარეთ რომ გავიდნენ, თითქოს თბილი და ფიანდაზებით მოფენილი ოთახიდან ცივსა და ნაგვიან ქუჩაზე მოხვდნენ.

ბინდებოდა. მოღრეცილ ბოძებზე ანთებული ფარნები მკრთალ სინათლეს ჰფენდნენ ღირღალ ქუჩებს.

• •

გორის სასულიერო სასწავლებელში უცხო ენათაგან ძველ ბერძნულს ასწავლიდნენ. ამ მკვდარ ენას ვერ გამოაცხვლებდა ბერძნული ენის ის მასწავლებელი, რომელიც იმ წელს ოზურგეთიდან გორში გადმოიყვანეს.

მოსწავლეებს სჩვევიათ ზოგიერთი მასწავლებლის აბუჩად აგდებდა. პირველსავე გაკვეთილზე, როცა მასწავლებელმა მოსწავლე დაფასთან გაიყვა-

ნა, შეცდომები დაუშვა. მასწავლებელმა უთხრა: „Смарай“. მოსწავლემ კარ იცოდა, რას ნიშნავდა ეს სიტყვა. პირდაღებული უცქეროდა. მერხებზე სიცილი გაისმა. მოსწავლე გაშტერებული იდგა. ვერც ის გაეგო, რისთვის იცინოდნენ ამხანაგები, ვერც ის, რას ნიშნავდა „Смарай“!.. ხან მასწავლებელს შეხედავდა, ხან მოსწავლეებს. ისინი სიცილს უმატებდნენ. მასწავლებელმა კვლავ შეუტია: „Смарай! რა პირი დაგილია!“.

მოსწავლეებმა ანაზღეულად ატეხეს ყვირილი: „სმარაი! სმარაი!“ მოწაფე უფრო დაიბნა. მასწავლებელი დაფასთან მივიდა. ჩვარი გამოართვა. ერთი ხელის მოსმით წაშალა დაწერილი. უთხრა: „გაიგე, რას ნიშნავს Смарай, ა, ბიჭო!..“

მერხებიდან კვლავ გაიძახოდნენ: „სმარაი! სმარაი!“. ამის შემდეგ მასწავლებელს „სმარაი“ შეარქვეს.

„სმარაი“ გაკვეთილზე ყველა თავის აჩემებულ საქმეს აკეთებდა: ვინ ბზრიას თლიდა, ვინ კოჭებს ლენავდა, ვინ კიდევ ხატავდა. როცა მასწავლებელი მერხებისაკენ წავიდოდა, ერთმანეთს გადასცემდნენ: „ბიჭო, „სმარაი“ მოდი-სო“, — და ყველა გასწორდებოდა.

მიხა დავითაშვილს ის თავიდანვე აუხიარდა. არ მოსწონდა მისი ცელქობა, მოუსვენრობა, ბერძნული ენის აბუჩად აგდება.

ერთხელ, ერთმა მოსწავლემ დიდი დასვენების დროს ეზოში კალია დაიჭირა. ფრთები შემოაცალა, ფეხზე მელანში დასველებული ბამბა მიიბა. როცა კლასში „სმარაი“ შევიდა და ფანჯრისკენ წავიდა, მოწაფემ მეტესეულად მასწავლებლის „დღიურზე“ მელნიანი კალია დასვა. ნელი ტატიო მილოლადა კალია გადაშლილ ფურცელზე და მოსწავლეთა გვარებზე შავ ხაზებს ტოვებდა, ნიშნებზე ზოლებს ავლებდა. თავშეკავებულად იცინოდნენ



მოსწავლეები, კალია კი მოლოდინად, ფურცელს თხუზნიდა „სმარაი“ ფანჯარასთან იდგა და მოსწავლეებს უყვიროდა.

— აწმყო კი არ არის, აორისტია! აორისტი! დაგდე! გაკვეთილი არ იცი! გაბრაზებული „სმარაი“ ორიანის დასაწერად მაგიდისაკენ წამოვიდა... მაგიდას რომ მიუახლოვდა, უცბად გაოცებული შედგა. გაფართოებული თვალებით შესცქეროდა მცოცავ კალიას. შემდეგ კოპებშეკრულმა მოსწავლეებისკენ მიიხედა, დაეთაშვილს დააცქერდა.

— ეს სულ შენი საქმეა, დაეთაშვილო! ენახოთ, ენახოთ. რა დღე დაგადგება!

— არა, არა, მასწავლებლო, მაგისი ბრალი არ არის! — ერთხმად წამოიძახეს მოსწავლეებმა.

— მაშ ვისი ბრალია, მითხარით?

ხმა არავის ამოუღია. „სმარაიმ“ კალია გადააგდო. კლასიდან გავიდა. „დღიური“ გაშლილი წაიღო. სკოლის ზედამხედველთან მიიტანა.

იმ დღეს ყველა უსადილო დატოვეს, მაგრამ მოსწავლეებმა დამნაშავე მანც არ გასცეს. იმ თვეში ყველას დაუკლეს ნიშნები ყოფაქცევაში.

•  
•

ლოზბიერი, გონიერი, გულკეთილი ზედამხედველი ბელიაევი მოსწავლეებს ძალიან უყვარდათ. მაღალი ტანის, აბრეშუმისფერი გრძელი წვერებით, ფართო შუბლით, წაბლისფერი თმით, ნამღეილი ტიპიური რუსი ინტელიგენტი მკვეთრად გამოირჩეოდა სხვა მასწავლებლებისაგან.

პირველივე შეხედვით მოგიზიდავდათ, მოგზიბლავდათ. მასწავლებლებიც დიდ პატივს სცემდნენ მას. მუდამ გულისხმიერი, წინარი და გშვიდი ნელი

ნაბიჯით გაივლიდა მისწავლეთა ეკვილ-ხვილით გაყრუებულ დერეფანში და სამასწავლებლო ოთახში შევიდოდა.

წირვა-ლოცვის დროს მოსწავლეთა რიგების უკან იდგა, თავისი ჩამოვარცხნილი გრძელი წვერებით, ყველა ღილზე შეკრული სერთუკით მლოცველების ყურადღებას იქცევდა.

მოსწავლეებს უხაროდათ, როცა ბელიაევი ეკლესიაში შემოვიდოდა. მისაბეზრებელსა და გაჭიანურებულ წირვაზე დგომა შემაწუხებელი, დამალავი და გულის გამღევი იყო. უნებართვოდ გარეთ გასვლა არ შეიძლებოდა. ინსპექტორი კი ამის ნებას იშვიათად იძლეოდა, ამიტომ მოსწავლეები ბელიაევთან მიდიოდნენ. ის უარის ნიშნად თავის გრძელ წვერს გაიქნედა და თვალით ბავშვს გასასვლელ კარებისაკენ უჩვენებდა.

წირვის დროს მასაც მოეწყინებოდა. სათვალეს მოიხსნიდა. ჯერ დაორთქლავდა, მერე თეთრი სუფთა ცხვირსახოციით დიდხანს წმენდდა. გახედავდა, კიდევ გაწმენდდა, ცხვირზე გაისწორებდა, აქეთ-იქით გაიხედავდა.

ყველა მოსწავლეს იცნობდა. იცოდა მათი ხასიათი, ნიჭი, სწავლისადმი სიყვარული და ყოფაქცევა.

ბავშვებსაც უყვარდათ ბელიაევი ყველა მასწავლებელზე მეტად. როცა დერეფანში გაივლიდა, გამოუდგებოდნენ, სალამს მისცემდნენ, შეჯგუფებულნი უკან მისდევდნენ. ისიც ხან ერთს გაუღიმებდა და ხან მეორეს. მოსწავლეები კარებამდე მიაცილებდნენ, მერე ხმაურით უკან გამოიქცეოდნენ.

ბელიაევი მესამე და მეოთხე კლასში „საეკლესიო წესებს“ ასწავლიდა. მის გაკვეთილზე ყველა წყნარად იჯდა. ცდილობდნენ, მისთვის ესიაომოვნებინათ. ყველანი სწავლობდნენ მის საგანს.

იგიც იშვიათად თუ გაუჯავრდებოდა, ან დასჯიდა მოსწავლეს.



მიხა დავითაშვილმა მეორე დღეს საქართველოს რუკა კლასში მიიტანა და სხვა გეოგრაფიული რუკების გვერდით კედელზე მიაკრა. მოწაფეები სოფლებსა და მდინარეებს ეძებდნენ, ზტობდნენ, ხარობდნენ.

— ბიჭებო, ლავროვს გული გაუსკდება!

— ეპ! როგორ დაფეთდება, რომ ნახავს!

— ნეტავ რას იტყვის?

— ეი, კი არ ჩამოგვალღებინოს და!

— მერე, იმას ვინ ჰკითხავს!..

— აბა, გაბედოს! — იძახოდნენ გაზარებული ბავშვები.

როცა ლავროვი კლასში შევიდა სრული სიწყნარე და დუმილი სუფევდა. იგი კოშპერული შუბლითა და მიმპარავი ნაბიჯით მივიდა მაგიდასთან. გადაშალა „დღიური“ და მოსწავლეს გამოუძახა, თვითონ კი მერხებისაკენ წავიდა. მას აოცებდა, მოსწავლეები რომ ასე წყნარად ისხდნენ. გულისყურით თვალს ადევნებდნენ ყოველ მის მოძრაობას. როცა რუკებისკენ გაიარა ოცდაათი ბავშვის გული ძალზე აძგერდა. საქართველოს გეოგრაფიულ რუკასთან შედგა. მოსწავლეებს სული შეეხუთათ. ლავროვს ქართული წარწერები თვალში ეცა. ერთბაშად წელში გასწორდა. გაფითრდა. ერთ ადგილს ტკეპნიდა... მოულოდნელად რუკას მიაფურთხა და სწრაფად მობრუნდა.

მოსწავლეებმა ერთმანეთს შეხედეს. შრაზმორეული, ათრთოლებული, აძგერებული გულით შესცქეროდნენ მას, აჩქარებული ნაბიჯით მერხების შუა რომ დადიოდა.

ისე მოეჩვენათ, თითქოს გაიელვა, ამას ქუხილი უნდა მოჰყოლოდა.

ლავროვი მოტრიალდა, მივიდისაკენ წავიდა და... უცბად აღსწანმწკასმა... სათვალე ჯერ სივრცეში აპრიალდა, მერე იატაკზე დაეცა და დაიმსხვრა.

დაბნეული, თმააწეწილი, გონება დაკარგული ლავროვი მაგიდასთან მიიჭრა დღიური აიღო. კლასიდან გავარდა.

— უპ! აგაშენა ღმერთმა! — შესძახეს მოსწავლეებმა და ყველამ მიიხედა მისკენ, ვინც სილა გააწნა.

— მოხვდა თუ არა?

— წავიდეს ახლა და იჩივლოს! — კბილების კრაჭუნით ამბობდნენ მოსწავლეები.

ხოლო, როცა დამსხვრეული სათვალის ჩარჩოს შეხედეს, — ორი ცარიელი რკალი, მიცვალეზულის ღიად დარჩენილ თვალებს რომ წააგავდა, — შიშმა და ძრწოლამ აიტანა მათი კუნთები, — დაუსჯელად ხომ არ ჩაივლიდა მოწაფის საქციელი!...

კედლიდან იმ დღესვე მოხსნეს საქართველოს გეოგრაფიული რუკა. მოწაფე სკოლიდან დაითხოვეს. მთელი კლასი დასაჯეს. ყოფაქცევაში ნიშნები დაუკლეს.



იმ დღეს ინსპექტორი ბუტირსკი დაფეთიანებული დარბოდა, — ხან ერთ კლასში შევარდებოდა, ხან მეორეში. ქართულად ლაპარაკს თუ ყურს მოჰკრავდა, ყვიროდა: „Не говорите на этом собачьем языке“ — იტყოდა და უცბად გატრიალდებოდა. უღვაშებს იგრებდა, ნიკაბს თითებით ისრესდა.

შეხედებოდა დერეფანში მიმავალ მოსწავლეს, უმიზეზოდ დაუყვირებდა, ტუქსავდა. მთელი დღე სკოლაში სულისშტმხუთველი, მძიმე სულისკვეთებით სავსე განწყობილება სუფევდა.

ინსპექტორი ბუტირსკი საქართველოში წარჩინებისათვის ჩამოვიდა. როცა სკოლაში წინ ვერ წაიწია, ბერად აღი-

კვება, არქიმანდრიტობა მიიღო და თბილისის სასულიერო სკოლის უფროსად დაინიშნა. იგი გორში მასწავლებლებსაც სძულდათ. ყველამ იცოდა, რომ ის სკოლის ზედამხედველთან — ბელიაევთან — ცუდ განწყობილებაში იყო, რომ მის შესახებ საქართველოს ეგზარქოსთან ანონიმურ წერილებს გზავნიდა. აბეზღებდა, ცილს სწამებდა, მისი ადგილი რომ დაეკავებინა.

დაბალი, ჯმუხი ტანის ბუტირსკი, გულანჩხლი და ღვარძლიანი, მუდამ შფოთვის გუნებაზე იყო. თბისებური მოკლე და ცანცარა წვერებით თუთუნისაგან გაყვითლებული უღვაშებით, ფორმის სურთუკით, უცოლშვილო, მართო მყოფი ყოველ საღამოს მიდიოდა მოსწავლეების ბინაზე. თუ რომელიმე მოსწავლეს შინ არ ნახავდა, ყოფაქცევაში ნიშანს უკლებდა. გაცრეცილი სახე ჰქონდა. აბურცული ლოცვები, შემწვარი კარტოფილის მსგავსი პაჭუცხვირი პირველშეხვედვისთანავე არ მიგიზიდავდათ.

ქართული ენა და ქართველები სძულდა.

ცხრაასხუთმა წელმა მოუღო ბოლო.



საერბულო ტაძარში ქალაქიდან ჩამოსული ეპისკოპოსი კირიონი წირავდა. უამრავი ხალხი მცირე მოედანზე იდგა, რაჟი საყდარში არ ეტეოდა.

მლოცველებით გაჭედილი კარლია ეკლესიიდან მოჩანდა ანთებულ კელებტრები. მბრწყინავ ფოლონებში გახვეული დეკანოზები, არქიმანდრიტები, მღვდლები და მთავარდიაკვნები პირმოთენ სახით, თითქოს წმინდანებს უნდა წაბაძონო, ეპისკოპოსის მარჯვენა და მარცხენა მხარეზე იყვნენ ჩამწკრივებულნი. საგალობელზე გუნდი გალობდა. თბილისიდან ჩამოსული პროტოდაიკონის — კარგარეთელის — ჩახ-

ველება კედლებს ახუნსარებდა. ჩაწეული ხმები, ვედრება და ღრმადისა შეფისა და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის მლოცველებს მუხლზე აჩოქებდა. კარიბჭეზე ეფინებოდა საცეცხლურის კვამლი და საკმეგლის სუნი.

მოედანზე გაბნეული ხალხი, — ჩოხოსანი აზნაურები, „კოკარდიანი ჩინოვნიკები“, ხელოსნები, მასწავლებლები, ლეჩაქიანი თუ ევროპულად გამოწყობილი ქალები, მოხუცი თუ ახალგაზრდა, ჯგუფად იდგნენ და მუსაითობდნენ. მოუსვენარი მოსწავლეები მათ შორის დაძვრებოდნენ; თუ მასწავლებლებს დაინახავდნენ, მათ ლაპარაკს შორიბაზლოს ყურს უგდებდნენ. მოსწავლეებს ხომ ძალიან ახალისებთ და ენატრებათ სკოლის გარეშე მასწავლებლის ნახვა, მასთან შეხვედრა...

— ბიჭო, მიხა, აქეთ წამო! აგერ ჩვენი სოფრომი, ნიკო ლომოური, ილუარიძე, ზაქარია დაეითაშვილი... ხედავ? აი ის ვინაა — ჩოხიანი, ჭადარაშერეული, ზომ არ იცი? — შეეკითხა გოგია გლურჯიძე მიხას.

— ეგა ბიჭო, ჩემი ბიძაა! შიო დაეითაშვილი! არ გაგიგონია?

— თჳ! როგორ არა! ვიცი, ვიცი! სოფრომის მეგობარია! ეგეც იმათთან ერთად ხომ იმ ჯგუფში მუშაობდა, ხელოსნებს რომ ეძახდნენ...

— გუშინ ჩამოვიდა ქალაქიდან. ალბათ საქმე აქეთ რამე! ხვალვე დაბრუნდება. მოდი ერთი, ყური დაეუგდოთ, რას ლაპარაკობენ. — თქვა მიხამ. ორივე ჯგუფის ახლო გაჩერდა ისე, რომ მათ არ შეემჩნიათ.

როცა ხალხოსნებმა ვერ დაინახეს, რომ ისტორიის ნამდვილ მამოძრავებელ ძალას კლასობრივი ბრძოლა წარმოადგენდა, როცა ზერ მოაწყეს გლეხობის აჯანყება და მათი იდეა დამარცხდა, ვერ განჭვრიტეს რევოლუციური მნიშვნელობა მუშათა მოძრაობისა, ვერ

შეამჩნიეს, როგორ იზრდებოდა და მტკიცდებოდა მარქსიზმი მათთან ბრძოლაში, — მაშინ დამარცხებულმა ხალხოსნებმა კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობას მოჰკიდეს ხელი.

გორის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი სოფრომ მგალობლიშვილი ყველას ძლიერ უყვარდა. მოსწავლეებმა იცოდნენ, რომ ის მეფის მთავრობის საწინააღმდეგო ფარული საზოგადოების წევრი იყო, რისთვისაც ორჯერ დაატუსაღეს და ისევ გამოუშვეს.

სოფრომი დიდი პატივისცემით და სიყვარულით სარგებლობდა როგორც მოსწავლეთა, ისე მასწავლებელთა შორის. შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებდა სასულიერო სასწავლებლის უხეში რეჟიმისა და კონსერვატორული მიდრეკილების წინააღმდეგ; უყვარდათ სოფრომი მისი მოკრძალებული ხასიათისათვის, მისი მამობრივი მოპყრობისა და უბრალოებისათვის. ის უნერგავდა მოსწავლეებს სამშობლოსა და ხალხის სიყვარულს, უღვივებდა საზოგადოების ინტერესებისათვის თავგანწირვის გრძნობას.

სოფრომ მგალობლიშვილის უშუალო მონაწილეობით გორში დაარსდა დრამწრე, მოეწყო ლექციების კითხვა, საღამოები, კონცერტები, წარმოდგენები და „ქართული ისტორიისა და ლიტერატურის შემსწავლელი საზოგადოება“.

ამ საზოგადოების შესახებ შიო დავითაშვილი თავის მოგონებაში შემდეგს გვიამბობს: „საზოგადოება იმდენად გათამამდა, რომ 1882 წელს ჯუზეზე გარიბალდის გარდაცვალების გამო იტალიაში სამძიმრის დებეშა გაგზავნა. დებეშას ხელს აწერდა 82 ქალი და კაცი. გავიდა ხანი და ერთ იტალიურ გაზეთში გარიბალდის დასაფლავების ამბავში მოხსენებული იყო, რომ სამძიმრის დებეშა მოვიდა რომელიღაც პა-

ტარა ქალაქ გორიდან, რომელიც გეოგრაფიულ რუკაზე აღნიშნულიც არ არისო“...

ორი შწერალი ედგა მაშინ სათავეში გორის კულტურულ და საზოგადოებრივ მოძრაობას: სოფრომ მგალობლიშვილი და ნიკო ლომოური. მათი თითქოს უბრალო და სადა სახე გლენჯაკის სახეს მოგაგონებდათ, ხოლო შთაგონებით გახსნილი, გაბრწყინებული შუბლი, მართალი გამოხედვა, მშვიდი დინჯი, დაირბაისლური ქართული მეტყველება და შექმოფენილი ღიმილი, გამცნობდა მათ ქართველი პატრიოტის სულისკვეთებას, მის ნაღვლიან გულისცემას და მაშინ უნებლიეთ იხიბლებოდით ამ ორი ადამიანის ჭეშმარიტი კეთილშობილური ზრახვებით.

ორივე კარგად იცნობდა სოფლის ცხოვრებას. ისინი, როგორც რეალისტები, კარგად ხედავდნენ, რომ მშრომელი ადამიანი ყველასაგან დაჩაგრული იყო, რომ სოფლად უვიცობა, სიცრუე და უზნეობა სუფევდა, ჩავკრა და ყვლევა ბატონობდა, რომ გლეხს სისხლს სწოვდნენ თვითმყრობელობა და თავადაზნაურობა, ჩარჩები და ვაჭრები, ბოჭაულეები და ჩაფრები, მამასახლისები და გზირები. მაგრამ მშრომელი ხალხისადმი გულმხურვალე სიყვარულის მიუხედავად, მათ ვერ შეძლეს ხალხისათვის დაენახვებინათ ამ მძიმე მდგომარეობიდან გამოსასვლელი გზა.

ორივე, სოფრომ მგალობლიშვილი და ნიკო ლომოური, მოსწავლე ახალგაზრდობაზე და მახლობელ მეგობრებზე დიდ მორალურ გავლენას ახდენდა.

დაბალი ტანის, გვერდზე მოხრილი სოფრომი ნიკო ლომოურს ეხვეწებოდა, კიდევ მოეთხრო ამბავი, დირექტორ სლომინსკისთან რომ შეემთხვა.

— აქი გითხარი, მეტი რაღა ვთქვა! — უპასუხებდა ნიკო.

— ესენი არ იყვნენ მაშინ აქ, არც შიო, არც ზაქარია!

— რა მოხდა, რაშია საქმე? — იკითხეს მათ.

ნიკო ლომოური გორის საოსტატო სემინარიაში ასწავლიდა ქართულ ენას. მოსწავლეები მის გაკვეთილებს დიდი გულისხმიერებით და ყურადღებით ისმენდნენ. მუდამ მხნე და იმედიანი ნიკო სამშობლოს სიცვარულს უნერგავდა მოსწავლეებს.

ნიკომ პენსნე გაისწორა. პალტოს ზედა ღილი შეიკრა და შიოსა და ზაქარიას მიმართა:

— ჩვენში მოსულ ზოგიერთ რუს მასწავლებელს ჰგონია, ველურ ქვეყანაში მოხვდა და მისი საკადრისი და თანატოლი აქ არაეინ იყოს, თავხედურად იტყუვა. — ნიკო დარბაისლური, დინჯი ქართულით ლაპარაკობდა. ყველა ყურადღებით უსმენდა. მიზა და გოგიაც მთლად გაინაბენ. უფრო ახლოს მივიდნენ.

— წინა დღით სემინარიის მოსწავლეებმა გაფიცვა მოაწყეს, — ჰყვებოდა ნიკო, — აღშფოთებულმა მოსწავლეებმა, ღამით, როცა დასაძინებლად დალაგდნენ, უეცრად სინათლე ჩააქრეს. ატყდა საშინელი ხმაური. იმსხვრეოდა ფანჯრების მინები, ქვებით ამტვრევდნენ კარების ჩარჩოებს. შემზარავი ევირილი, სტვენა, ქახტუხი, მინების მსხვრევა წყვილიად ღამეში თავზარს სცემდა დირექტორს და სამნეო ნაწილის გამგეს გოლუბიატნიკოვს. დიდხანს გაგრძელდა არეულობა. ვეღარ დაამშვიდეს მოსწავლეები. დირექტორისა და გოლუბიატნიკოვის მუდარა ვერა სჭირდა. მათი ხმის გაგონებაზე უფრო ძლიერდებოდა მსხვრევა და მტვრევა, პოდა, რომ ვერაფერს გახდნენ, დირექტორმა ჩემთან აფრინა კაცი. მწერდა, დაუყოვნებლივ მივსულიყავ სემინარიაში. იმწამსვე წავედი. ჩემი მისვლა გაიგეს თუ არა, მყისვე შეწყვიტეს აურზაური... „ნიკო მოვიდა! ნიკო მოვიდა!“ — დაიძახეს. გარს შემოეხვივნენ.

სამარისებური სიჩუმე ჩამოვიარდა. მე ვთხოვე, დაწყნარებულყვენ და ხელამდე გადაედოთ მოთზვნისილების წამოყენება. ასეც მოიქცნენ. დამშვიდდნენ და თავიანთ საწოლებში ჩაწვნენ. არც დირექტორი და არც სამნეო ნაწილის გამგე მოლაპარაკების დროს იქ არ მოსულა... როცა ყველაფერი მიწყნარდა, მე დირექტორთან შევედი... როგორი იყო ჩემი განცვიფრება, როცა იმის მაგიერ, რომ მადლობა გადაეხადა, წარბშეკმუხვნით მითხრა: „თქვენ ალბათ იცოდით, რომ ეს ამბავი მოხდებოდაო“...

— უსინდისო ყოფილა! — გათახსირებული! — შესძახეს მსმენელებმა. — მერე? მერე? რა უთხარი?

— რა უნდა მეთქვა! საშინლად ეღელღელი და თავშეკავებით ვთქვი: — „ბა, საიდან მეცოდინებოდა — მეთქი!“ ის კი ყვირილს განაგრძობდა: „...ნუ გვიშლით ხელს, ნუ! ჩვენ გვინდა აღეზარდოთ რუსი მოქალაქენი და სკოლებში მეფისა და რუსეთის ნამდვილი მოყვარული მასწავლებლები გავზავნოთ... თქვენ და თქვენისთანები ამ საქმეში ხელს გვიშლიან! თქვენ თქვენი მასწავლებლური მოვალეობა შეასრულებით და მოსწავლეებთან ყოველივე კავშირი შეწყვიტეთ!... მე დარწმუნებული ვარ, თქვენ ძალიან კარგად იცოდით, რასაც აპირებდნენ მოსწავლეები! — ეს რომ გაიმეორა, მაშინ კი ვეღარ მოვითმინე და, უნდა გამოგიტყდეთ, აღარ მახსოვს, რა შეეძახე. სილა გავარტყი!

— ჰე, ახია იმაზე!.. — თქვეს მსმენელებმა.

— როგორ გამიბედეთ-მეთქი, — ვყვიროდი...

— მერე? მერე? მან რა თქვა?

— დაიბნა. გაშტერდა. გაყოფებულნი გამოვედი ოთახიდან. იმ ღამეს თითქმის არ მძინებია. ორი დღე სემინარიაში არ მივსულვარ. ვიფიქრე, ალბათ სამსახურს დაკვარავ-მეთქი, მაგრამ მესამე დღეს

რომ შემხვდა, ლმობიერად მომესალმა. მოვიდა და მითხრა: „ამასწინათ რომ გული მოგაყვანინეთ, ყველაფერი დავიწყებას მივცეთო“.

— რასაკვირველია! აბა ჩივილს როგორ გაბედავდა! ისიც ხომ დაკარგავდა სამსახურს! — ჩაურთო სოფრომმა...

— ბატონო, არაფერი არ გვეშველება თვითმპყრობელობის ხელში, არა! — თქვა შიო დავითაშვილმა.

— მოდით, თავი დავანებოთ ასეთ ლაპარაკს! აგერ წირვაც გამოვიდა. კირიონი უნდა ვინახულო, ჩემი სკოლის ამხანაგია. ერთად ვსწავლობდით აკადემიაში! — მიმართა ილურიძემ შიოს. გრძელმუშტუკიანი პაპიროსი გააბოლა. ბოლში გახვეულმა ნაბიჯი გადადგა. ჯგუფიც დაიშალა.



— ბიჭო, კოტე, ჩუტკერაშვილები გორელები ხართ? — შეეკითხა მიხა დავითაშვილი კოტეს, როცა ისინი გაკვეთილების შემდეგ შინ ბრუნდებოდნენ, დიდი ქუჩიდან ოქონის შესახვევისაკენ გადადიოდნენ.

— ჰოდე! რაზე კითხულობ?

— იმაზე, რომ გეტოდინება, ეს სახლი ვისია.

ქუჩის პირად გაგრძელებულ ერთსართულიან სახლზე უჩვენა.

ქვიტკირის კედლები — გაბუნებული ფერდაკარგული ფანჯრებით და მუდამ დაკეტილი დარბეზით — მიტოვებულ, უბატრონო სახლის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ქუჩიდან ბინაში შესასვლელი ნაცრისფერი კარი თითქოს არასდროს გაღებულიყოს. მაღალი, ალაყაფის რკინის კარის ნახვრეტიდან ცალი თვალით დაინახავდი ბაღის სიღრმეში ხის ტოტებით დაბურულ ხეივანებს, დაფხვნილი აგურით მოფენილ ბილიკებს, კაკლის დიდრონ ხეებს, შადრევნით, აუზითა და გრძელი სკამებით მორკალურ პატარა არეს.

მაღალი ქვიტკირის გაღვინებული შენობები, მყუდროებოთა და მრუდმაღლებით მოცული სახლი თითქოს სიღრმეში იმალებოდა, თითქოს ერიდებოდა გარეშე ცხოვრებას, — რალაც ჩუმი და განმარტოვებული, ზვიადი და მიუღვამელი, როდი მიგიზიდავდა, გურის სხვა სახლებიდან თავისი მოლუშული და მიუქარებელი იერით, გაირჩეოდა. არაფერი საერთო მცხოვრებლებთან არა ჰქონდა, არ იზიარებდა მათ მზიარულებას და მწუხარებას.

— ეს სახლი? გიორგი ამილახვარისაა!

— მერე შიგ არავინ ცხოვრობს?

— როგორ არა, ცხოვრობს!

— რატომ არავინ შემომჩნევია?

— ის უმეტესად თბილისშია. მედიდური და მიუქარებელია! თავისთვის ცხოვრობს!

— გინახავს? როგორია?

— მინახავს, მაშ როგორ არ მინახავს! მრისხანე ბატონია, სასტიკი, დაუნდობელი, გოროზი და გულბოროტი. ყველა თავადს აქარბებს... ერთხელ, ზაფხულში, ჩვენ — გოგია, გიორგი, სიკო, ვანცა — მეჯვრისხევში და სხვა სოფლებში წავედით კონცერტების გასამართავად. კარგი ხმები შეიკრიბა. ჰოდა, ყველგან სიამოვნებით მიგვიღეს, პატივი გვცეს. უკან რომ ვბრუნდებოდით, ერთი ცენაზოთ, პირდაპირ ჩვენი ურმისაკენ წყარაწყურით მოჰქრის ეცენებით მორთული ცხენებიანი ეტლი. ეტლის გარშემო, წინ და უკან, ბერდანებით და დამბაჩებით შეიარაღებული ფაფაზიანი ჩაფრები ცხენებს მოაქენებდნენ. მტვერის კორიანტელში ეხვეოდნენ. ჩვენმა მეურმემ მაშინვე იცნო, ვინც მოდიოდა. „ვამე, ამილახვარი მოდისო!“ — დაიძახა და კოფოდან სწრაფად გადახტა, ურემი გვერდზე მიაყენა, ბატონს დაბლა ქუდი მოუხადა. ღვრილით ჩაიქროლან ეტლმა. მაგრამ, აგერ, ეტლი შედგა. ჩაფრები ცხენებიდან გადმოხტნენ.



ჩვენს უკან მომავალმა მეურმემ დროზე ვერ შენიშნა ეტლი. შეშინებული კამეჩები შუაგზაში გაჩხირულიყვნენ. მეურმე დაიბნა. ჩაფრები კამეჩებს მისცივდნენ. ცხვირპირში დასცხეს მათარახები. ისინი უმწეოდ აქნევდნენ თავს, ადგილიდან კი არ იძვროდნენ, — რისთვის სცემდნენ, საით უნდა წასულიყვნენ, არ იცოდნენ.

ეტლიდან კომპერული, ხშირი წარბებით, მრისხანე თვალებით, მაღალი და მხარბეჭიანი ამილახვარი ჩამოვიდა. მას განიერ მხრებზე ქურჭი წამოესხა.

მოულოდნელად დამბაჩამ იგრილა, შებლდასისხლიანებული კამეჩი მიწაზე დაეცა.

ამილახვარი აუღელვებლად ისევ ეტლში ჩაჯდა. „ეგრე მოგიხდება, შე ბრიყვო, ბატონის პატივისცემა რომ არ იცი!“... შეუყვირა გლუხს ერთმა ჩაფარმა. ურემი გვერდზე გადააგორეს. ცხენებს შემოახტნენ და მოკურცხლეს.

დამფრთხალი, შეშინებული მეურმე ილიაში სახრეამოჩრილი, გამტრებულ იდგა. თავის უბედურებას მაშინლა მიხვდა, როცა ცხენები უკვე შორს იყვნენ. ერთხანს ასე იდგა. მერე დამბლადეცემულის ნაბიჯით წაქეუულ კამეჩთან მივიდა. ბლავილი მორთო. როგორ ჩამოვედით გორში, არ მახსოვს. მთელი გზა ხმა არ ამოგვიღია.

ის სახლი, შენ რომ მეკითხებოდით, იმ თავადისაა.



მეორე დღეს მიხა დავითაშვილმა ამილახვარის სახლის წინ გაიარა, ალყაფის პატარა კარი ნახევრად გაღებულ იდაინახა, შედგა და იქითკენ გაიქცა. ზღუდღეზე ცალი ფეხით დაყრდნობილი, უცნაურ ტანისამოსში გამოწყობილი ბაჭვი, ხან ბალისკენ, ხან ქურჩისკენ იცქირებოდა, თითქოს ვინმეს ელისო... 11—12 წლის ბიჭს განიერი ქამრით

შეკრული ხალათის მხრებზე სალდათური პატარა სამხრეები ეკურა და კავარდიანი ქუდი ეხურა.

მიხა დავითაშვილის მიახლოვებისთანავე მან კარი მოხურა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ისევ გამოალო. წარბ-შეკრული, მიხას დააკვირდა და შეეკითხა:

— შენ ვინა ხარ?

— შენ თვითონ ვინა ხარ? სალდათი ხარ?

— სალდათი კი არა!

— მაშა?

— კადეტი ვარ! არ იცი, კადეტების კორპუსი, არ გაგიგონია? — თავისზე უფროსს რომ განმარტებას აძლევდა მედიდურობდა. — იქ სულ თავადებისა და აფიცრების შეილები სწავლობენ. ჩვენ აფიცრები გამოვალთ, — უთხრა ამჟყად.

— აფიცრი? მერე, ვითომ რაო! იქნებ ჟანდარმობის აფიცრობაც მიიღო?

— მაშ! შენ სად სწავლობ?

— ამილახვარისა რა ხარ? — პასუხის მაგიერ შეეკითხა მიხა.

— ის გენერალი პაპაჩემია!

— გენერალი დიდი ვინმეა?

— უჰ, ყველა აფიცრებზე უფროსი. იცი, რამდენი გენერალია ქვეყანაზე?

— რამდენი?

— სულ ბევრი-ბევრი, რომ მოვთვალო, ოცზე მეტი არ იქნება!

— მერე იმათი მოკვლის უფლებაც აქვთ?

— მაშ!

კადეტმა მეტი გაბედულებით დაიწყო ლაპარაკი:

— ჩვენ, აქ კი არა, ქალაქში ვცხოვრობთ! აქ სამი დღით ჩამოვედით.

— პირველად ხარ გორში?

— არა, წინათაც ვყოფილვარ, პატარაობისას!

— აქ რატომ დგახარ? — რატომ არ გაივლი ქუჩაში?



— ქუჩაში... ქუჩის ბიჭი კი არა ვარ! რომ მინდოდეს კიდევ, ვინ გამიშვებს? შენ რომ გელაპარაკები, რომ დამინახონ, ამასაც დამიშლიან! — თქვა და გაფართოებული თვალებით ბაღში შეიხედა. უცბად შეჩერდა, სახე მოელღუშა. წასვლა დააპირა, მაგრამ აღარ წავიდა. დუმილი ჩამოვარდა.

— თუ გინდა, წამოდი! გორის ციხეზე აგიყვან! — უთხრა მიხამ.

— ძალიანაც მინდა, მაგრამ, — ისე შეხედა მიხას, თითქოს შენატროდა, რომ მას უფლება აქვს, — სადაც უნდა და როცა უნდა, იქ წავიდეს.

ახლა თითქოს დაუახლოვდნენ ერთმანეთს. მიხამ შეამჩნია მისი ცოცხალი, მოძრავი შავი თვალები, მიმზიდველობით რომ ციალებდნენ; ტანზე მორგებულ ხალათის საყელოზე ფაფუქი დაბაბი ეფინებოდა. შეკრული, შავი ხშირი წამწამები უბეებს ჩრდილავდა.

— არ ცოფილხარ იქა?

— აბა ვინ წამიყვანდა? ძალიან კი მინდა ენახო!

— იქ ისეთი მინდორია, ისეთი გადასახედი, მთელი ქართლი მოჩანს — მთები, მტკვარი, ლიახვი... ჰოდა, იმ მინდორზე მიწაში ჩაფლული დევების დიდი საბურთაო მრგვალი ქვა გლია.

— დევების ქვა? უჰ! მართლა?

— ჰო, მაშ!

— ნეტა მაჩვენა!

— იცი, რა? თუ გინდა, წაგიყვან! გაჩვენებ და ისევ დაბრუნდი.

ნახევრად გაღებულ ალაყაფის პატარა კარიდან მოჩანდა სამი გოგონა. მიხაყისფერი კაბები ეცვათ და შავი წინსაფარები ეკეთათ. ხეივანში გაიარებდნენ, სიღრმეში მიიმალებოდნენ, ერთმანეთს გამოეკიდებოდნენ, გაჰკიოდნენ, კისკისებდნენ. მოშორებით სკამზე სათვალეებიანი ქალი იჯდა, ხელში წიგნი ეჭირა, ხან შიგ ჩაიხედავდა, ხან გოგონებს მიაკჭერდებოდა, დაუძახებდა, გაუჯავრდებოდა.

უცბად, კარებისაკენ რომ მიიხედა,

ჩქარი ნაბიჯით იქით წავიდა. შორიდანვე დაიწყო ყვირილი:

— ეორა, ეორა! დახე, დახე, სად ყოფილა!

— წამოდი ჩქარა, წამოდი! — უთხრა მიხამ ეორას.

კადეტი ყოყმანობდა. მაშინ მიხამ მკლავში მოჰკიდა ხელი, კარებს მოაცილა. ისიც აპყვა. ჩქარი ნაბიჯით ქვაფენილს გაჰყვნენ.

მაღე აღმართს შეუდგნენ. ციხეზე ავიდნენ.

ბავშვის მოტაცების ამბავი ამილახვრიანთ სახლში მაღე გაიგეს.

ფეხზე დადგა პოლიცია. მოვერცხლილსამხრეებიანი ბოჭაულები და გვერდზე უშნოდ ხმალჩამოკიდებული, წალებიანი პოლიციელები გორის ქუჩებს წოედნენ.

ზოგიერთის ჩვენებით, ბავშვები გორის ციხის აღმართზე მიდიოდნენ. ზოგი კი ამტკიცებდა, რომ გაქცეულები ბაზრისაკენ მიდიოდნენ. ნაწილი პოლიციელებისა ციხისკენ წავიდა, ნაწილი — ბაზრისაკენ.

მთელ ქალაქში ელვის სისწრაფით გავრცელდა ეს ამბავი. ეზოების წინ გროვდებოდნენ დედაკაცები და ლაპარაკობდნენ:

— ჭა! გაიგე, ამილახვრიანთ ბიჭის გატაცება?

— რაო, რაო?

— ვისა ჭა, ვის მოუტაცია!

— არავინ იცის! ვილაც შავ ბიჭს მიჰყავდაო.

— მერე, სად წაუყვანია! რისთვისაო?

— ზოგი ამბობს — ბაზრისაკენო, ზოგიც — გარეუბნისკენო.

— ქალო, ეს რაღა უბედურებაა!

— თუ ბიჭსაც არ უნდოდა, ძალით ხომ ვერ წაიყვანდნენ, ჭა!

— უი! უი! რა ამბავში იქნებიან მისი მშობლები?

— მთელი პოლიცია იმათ დაეძებს!

— მერე, ვერ უბოვიათ, ჭა?

— დიდი ამილახვარი აქ არ არის, თორემ!

— აბა ერთი, ნუ იპოვნიან! მაშინ ნახვენ თავის სეირსა!

— მიხამ ყორა ციხეზე აიყვანა. დევების საბურთაო ქვა აჩვენა, კედელზე აცოცდნენ, მტკვრისა და ლიახვის ხეობასაც გადახედეს.

— რა ამბავში იქნებიან ახლა თქვენები? — თქვა მიხამ.

— ჩქარა დაებრუნდეთ, თორემ გამოჯავრდებიან!

სიამის ღიმილით ცმაყურობდნენ მიხას ტუჩები. სიღრმეში წასული წვრილი შავი თვალები კმაყოფილებით გამოიჭიკრებოდნენ.

— მგონი ქვეყანა შესძრეს, ბიჭი და გვეყარგაო... ვინ იცის, რას არ ფიქრობენ. ფუსფუსებენ, ტირიან, ჰა?

ბავშვს შეეშინდა. ახლა-ლა მიხვდა, რა შეცდომაზე ჩაიღინა.

— დედაშენი ლოგინზე დამხოზილი მოსთქვამს: „ვაიმე შეილო, სად დამეყარგე, ვინ წაგიყვანა, ვინ შეგაცდინაო! შენი დები კუთხეში დგანან, წინსაფრები აღფარებიან და ცრემლებს დაბალუპით აფრქვევენ. შენი ვაღია სადღაც გადაიკარგებოდა, ყველაზე მეტი სასჯელი იმას მოეღოს! თავგზააბნეული მოსამსახურენი დარეტიანებული დარბიან...“

— ვაიმე! ეს რა დამემართა! — ტირილი დაიწყო კადეტმა.

— აბა, რა გატირებს! ვაჟაკი არა ხარ? აგე, იმ კარებს ხომ ხედავი იქიდან დაეშვები და მერე აღვილად მიიგნებ შენს სახლს! ეს თქვა და უეცრად შენიშნა — ციხის ალაყაფის თალისქვეშ რომ პოლიციელები ამოცვივდნენ. ქუდები მოიხადეს. სიციხისაგან გაოფლიანებული შუბლი ცხვირსაბოცებით მოიწმინდეს და მიდამო მოათვალიერეს: მყისვე შენიშნეს კადეტი და მიხა. სირბილით გასწიეს მათკენ. მიხა დაიბნა, გაქცევა დააპირა, მაგრამ ისევ შედგა.

სამი პოლიციელი — მოშვებული ქამრებით და მოფარფარე ტუჩებით — მოხლოებული — რომ ნახა, შემინდა მოჭურცხლა. ერთი მათგანი გამოუდგა, მალე დაეწია, ხელი სტაცა და სილაც გაარტყა. თვალებიდან ნაპერწკლები წამოსცივდა. ტუჩები აუთრთოლდა, მაგრამ ტირილი შეიკავა. კბილი კბილს დააჭირა. კადეტს ვახედა, — ხომ არ დაუნახავს სილის გარტყმაო.

ის კი ორი პოლიციელის შუა იდგა, უპეებში ცრემლი შერჩენოდა, სახე უღიმიოდა. ქომაგები რომ დაინახა, ცრემლი მოიწმინდა. ამაყად შეხედა მის სამეხნელად მოსულებს. ორივე პოლიციელი მის წინ წელში გამართულიყო. მოწიწებით ეუბნებოდნენ:

— წავიდეთ შინ, თქვენო ბრწყინვალეებო! გელიან!

უხაროდათ, რომ დავალება ასე იოლად და მალე შეასრულეს. აღერსიანი თვალებით უმზერდნენ, მკლავში ხელს ჰკიდებდნენ. ერა-მა მისი ხელში აყვანაც კი მოინდომა, მაგრამ კადეტი არ დანებდა. გასასვლელისაკენ წაიყვანეს.

მიხა მალა პოლიციელს მიჰყავდა. შეურაცხყოფილი, ბრაზით აღესილი, უკან იხედა, არ ნებდებოდა. ხმალი ფეხებში ებლანდებოდა. წინ კადეტი მიჰყავდათ.

ალარ ახსოვდა, როგორ ჩაათავეს დაღმართი, როგორ გაიარეს ქუჩები. თავი მაშინლა ასწია, როცა ბოქაულის ყვირილი შეესმა სამაზრო სამმართველოში.

— აა! მაშ, ეს არის ის გმირი, ბავშვებს რომ იტაცებს? შემოიხედე! — მიუახლოვდა, მკლავებში ხელი მოჰყოლა; თავისაკენ მიატრიალა, შეანჯღრია.

კაბინეტში სხვა პოლიციელები და სამართველოს მოსამსახურენი შემოდიოდნენ. გაფითრებულ მიხას დააკეზოდნენ, თავს გაიქნევდნენ და ისევ გავიდოდნენ.

— როგორ იყო, როგორ? აბა, მოგვიყვი, როგორ გაიტაცე ამილახვარის



ვაჟი, შე არამზადე შენ! — უყვიროდა ბოქაული.

— მე არ წამიყვანია — თვითონ მონდომა! — უთხრა მიხამ. ზიზლით შეხედა პოლიციელს.

— ერთი ამას უყურეთ! გადია გეძახლათ, რატომ არ დაბრუნდით? გინობთ, რა შვილებიცა ხართ! მოიცა, რა დღე დაგაყენოთ...

კაბინეტში მაზრის უფროსი შევიდა. ყველა გასწორდა, წელში გაიმართა. ბოქაულმა სკამი მიაწოდა.

— ეს არის ის ყმაწვილი? ყოჩაღ!... თქვა მაზრის უფროსმა.

— დიად, თქვენო აღმატებულებავ! ასე ამბობს — თვითონ იმან წამიყვანაო... — უპასუხა ბოქაულმა.

— რაო? თვითონ მომიტაცაო?

ყველას გაეცინა, — მაზრის უფროსს ყველაზე მეტად.

— დიად, თქვენო აღმატებულებავ! თვითონ გამიტაცაო... — გაიმეორა ბოქაულმა.

მიხამ გაყურსული იდგა. უმწეობას გრძნობდა, მის გულს უემურივით აწვევებოდა მათი ლალი სიცილი და ხუმრობა.

— მაშ, შენ ამბობ, იმან თვითონ წამიყვანაო? — შეეკითხა მაზრის უფროსი.

— ციხე არ მინახავსო, — მითხრა, — წამიყვანეთო...

— მერე, შენ არ იცოდი, რომ იმას პატრონი ჰყავს და თვითონ წამიყვანდა, თუ საჭირო იყო? მაინც, რატომ მიგყავდა?

მიხამ დუმდა. თითქოს ჯურღმულში ჩააგდეს და აღარ ეღირსება მზის სინათლეზე გამოსვლაო. მაღალი პოლიციელი, რომელმაც სილა გაარტყა, გვერდით ედგა. არ სცილდებოდა, უნდოდა უფროსების ყურადღება დაემსახურებინა. მაზრის უფროსმა შენიშნა და შეეკითხა:

— სად დაიჭირეთ ეს ყმაწვილი?

— ციხეზე, თქვენო აღმატებულებავ!

— ვინ იყო კიდევ მასთან?

— მხოლოდ ამილახვარის, ბავშვი, სხვა არავინ!

— მერე?

— მერე-და თქვენო აღმატებულუბავ, რომ მივეუახლოვდი, გაიქცა!.. გამოვეკიდე და, აბა, სად წავიდოდა!

— Молодец! Молодец!..

— Рады стараться, Ваше Высокородие!..

— რატომ გარბოდი? — მიუბრუნდა უფროსი მიხამს, — რა კარგია ახლა შენი გამათრახება!..

მიხამ დუმდა.

— სად სწავლობ? ვისი შვილი ხარ? მიხამ უთხრა, სადაც სწავლობდა, ვისი შვილიც იყო.

მისი სახელი და გვარი ჩაიწერეს.

მაზრის უფროსი წამოდგა.

— ხვალ სკოლის უფროსს შეატყობინეთ მაგის საქციელი! ახლა კი გაუშვით! — ბრძანა და გავიდა.

— ასე გავუშვათ? — თქვა ბოქაულმა. — ორი სილა გააწნა. კარი გაუღო და გარეთ გააგდო.

ბოლმითა და გესლით საესე, მობინდული თვალებით და მოთენთილი ნაბიჯით მიიპარებოდა მიხამ ქუჩაზე, ცდილობდა, ნაცნობს არ შეხვედროდა. გული უკენესოდა. არასდროს ასეთი შეურაცხყოფა არ უგრძნებია. მხედველობას არ სცილდებოდა მაღალი პოლიციელი და ბოქაული. მრავალი გაურკვეველი ზრახვები უტრიალებდა თავში. ერთი ფიქრი მეორეს მისდევდა. სხეული ბორგავდა, გული გამალეებით უცემდა... „როცა გაიზრდება, დიდი, დიდი ცნობილი კაცი გახდება. მაშინ მოვა გორში და იმ ბოქაულსა და პოლიციელს მოიკითხავს. თავის წინ დააჩოქებს და თითო სილას გაარტყამს. სამსახურიდან დაათხოვნიან... მაშინ ნახონ იმათ, იქნებ მუხლებზედაც დაეცნენ და პატიება სთხოვონ... არასდროს არ აპატიებს... არა!“..

სალამოვდებოდა. შორიდან უბნის

ბიჭების ჟრიაშული ისმოდა. მწუხარებითა და სევდით სავსე შევიდა ოთახში, არავის შეუმჩნევია მისი მოსვლა.



— ბიჭო, მიხა! მოიცა! ბელიაევმა რომ დაგიბარა, რა გითხრა? მართლა შენ იყავი ამილახვრის ბიჭის გამტაცებელი? — შეეკითხა კოტე ჩუტყერაშვილი მიხას, სკოლიდან მიმავალს რომ წააოქწია.

— ვინ გითხრა?

— რა ვიცი! ასე ამბობენ! მე ნუ დამიშალავ! შენ გგონია, ვეტყვი ვინმეს?

— მაშ დავიფიცე!

— დედას ვფიცავ, თუ ვუთხრა ვინმეს!

— ჰოდე! მე ვიყავი!

— მითხარი, როგორ იყო?

მიხა მოუყვა, ციხეზე რომ პოლიციელები ამოცვივდნენ, დაიჭირეს და პოლიციაში წაიყვანეს... ის კი დაუმალა, სილა რომ გაართყეს. ახლა თავს ამაყად გრძნობდა. მთელი გორი ამ ამბავზე ლაპარაკობდა.

— იცი, რა ამბავი იყო? მთელი გორი შეიძრა!

— მაინც რამ გაფიქრებინა მოტაცება?..

— მოტაცება კი არა, შემეცოლა! ციხე არ მინახავსო, გარეთ არ მიშვებნო.

— შენ რა იმისი ძიძა იყავი მერე?

— ხომ დაფეთდნენ, იმათები?

— იმისი გადია ახლაც დაკარგულია! დედამისს სულ გული მისდიოდა, სანამ არ მოიყვანეს ბიჭი. მთელი გორი ქუჩაზე გამოვიდა და მაგაზე ლაპარაკობდა.

მიხას პირზე ღიმი ეფინებოდა.



დავითაშვილი ხშირად დადიოდა გულურჯიძესთან.

გულმართალი და იმავე დროს გულჩახვეული მიხა დავითაშვილს ჟერავის ეგუებოდა, მაგრამ, თუ შეითვისებდა, კიდევ შეიყვარებდა, მიენდობოდა! ნამდვილ მეგობრობას გაუწევდა.

იგი ალალი თვალებით უშურდა სამყაროს. წაკითხულს ნელა, მაგრამ მტკიცედ ითვისებდა მას აოცებდა, აცვიფრებდა ცხოვრების სხვადასხვა მოვლენა, ადამიანთა ერთმანეთისადმი დამოკიდებულება. უამრავი კითხვები უტრიალებდა თავში. „არის თუ არა, მეგობრობა, ნათესაობა, რატომ არის ცხოვრება უკუღმართი. რატომ არის რომ ერთი მდიდარია და მეორე კი ღარიბი? რისთვის არიან ბოროტნი?“. როცა ასეთი კითხვები აღელვებდა, მიმართავდა თავის მეგობარს.

გაკვეთილების შემდეგ მიხა და გოგი შინისკენ მიდიოდნენ.

მიხა ძალიან გახარებული იყო, რომ იმ დღეს სოფრომ მგალობლიშვილმა ხუთიანი დაუწერა და ბერძნულშიც ოთხი მიიღო.

— მგონი ბერძნული ენის მასწავლებლეს გული მოეინადირე. თუ აქაც გამოვასწორე ნიშანი, ჩემი საქმე კარგად იქნება, — იღიმებოდა, სიხარულსაგან ხტოდა.

— აბა, მეოთხეში ხომ არ დაგვტოვებენ, სემინარიაში უნდა გადავიდეთ, ასე ხომ არ შეიძლება!..

— მართლა, სანამ სოფელში წავიდოდე, ერთხელ კიდევ უნდა ვიშოვო „ოთხი ძმა“ და „ლუკმა პურის ამბავი“. ჩვენი სოფლის გლეხებს მინდა ვუამბო.

— მაგრამ რად გინდა, რა! არ იცი ჩვენი გლეხის ხასიათი? ისინი ისე დანაჯრულად გრძნობენ თავს! კეთილიც რომ გაუკეთო, ბევრიც რომ იზარუნო მათთვის, მეგობრობაც გაუწიო და მდგომარეობაც გაურკვეო, მაინც არ დაგიჯერებენ! ისე შემოგაცქერდებიან, თითქოს გეუბნებოდნენ: „იქნებ სწორედ ლაპარაკობ კიდევ, მაგრამა... აბა,

რა ვიცი! რა ვიცი! თავი დამანებეთ“.

— მართალს ამბობ, გოგი, იცი? ჩვენში ერთი თავადია, ლევან ციციშვილი, სხვა თავადებს როდი ჰგავს! პარიზში ისწავლა, ქიმიის ფაკულტეტი დაამთავრა. ამ სამი წლის წინათ დაბრუნდა იქიდან. ბევრი წიგნი ჩამოიტანა. რუსულიც და ქართულიც ხომ აქ შეიძინა. გლეხებს ესმარება, დარიბს მიწას აძლევს, ზოგს ფულით და რჩევა-დარიგებით ხელს უმართავს; ყურნალ-გაზეთებში თანამშრომლობს. კაი კაცია! ჰოდა, იმან იმათი გული მაინც ვერ მოიგო.

— აბა იმის მამა-პაპები თუ სასტიკნი იყვნენ, იმასაც არ ენდობიან, — ფიქრობენ, ვეატყუებსო.

— მეც, აი, რამდენი ხანია სოფელში ვცხოვრობ და ერთი ჩემი ტოლი გლეხი ვერ დავიმეგობრე... იქნებ იმიტომ, რომ მღვდლის შვილი ვარ?...

— ეგრეა! რას იზამ!

გაკვეთილების შემდეგ, როცა მოსწავლეები გორის ქუჩებს მოედებოან, მის მყუდრო ცხოვრებას ყრიაშული დაარღვევს. ერთმანეთს მისდევენ ხტუნვით, ასკინკილაობით, კენჭების სროლით, ძახილით. ისინი კალანდაძის წიგნის მალაზიასთან შეჩერდებიან, წიგნებს, ფერად ფანქრებს, სურათებსა და რუკებს ათვალეირებენ. დუქნის წინ, სკამზე მოვლემარე ვაჭარს მიეპარებიან, ღიპზე უჩქმეტენ და გაიქცევიან. მიძინებული მედუქნე თვალების ფშვნეტით წამოდგება, აქეთ-იქითი მიიხედავს. ბურანში ძლივს გააჩვენს ბავშვებს, სიცილ-კისკისით რომ გარბიან და თან უკან იცქირებიან.

ჯგუფად მიდიან მხრებზე მკლავგადახვეულები. აგერ, ეტლმა ჩაიჭროლა, მტვერი დააყენა. ერთი მოსწავლე შუა ქუჩაზე გადახტება, ეტლს გამოუღდება, დაეწევა და უკანა ღერძზე შეახტება. სხვები ყვირილს ასტეხენ: „უკან, კნუტი!“ „უკან კნუტი!“

ოქონის შესახვევს მიუახლოვდნენ,

ნელი ნაბიჯით მიდიან, თითქოს დაილაღნენო.

მეორე მხარეს ჩქარი ნაბიჯებით ერთი წვერგაუპარსავი, ხანში შესული კაცი დუქნების ჩრდილის ქვეშ მიიპარება, — ცალი თვალთ მოსწავლეებს უმზერს. როგორც ჩანს, სურს თავი აარილოს მათ, კედელ-კედელ მიიპარება. დაგლეჯილი, მრავალ ადგილას დაკერებული ფარაჯა ჰფარავს მის სხეულს. ცალ ფეხზე მოღრეცილი ფეხსაცმელი, ცალზე კი გაცვეთილი კალოში აცვია. ის-იყო, შესახვევში შეუხვია, რომ შემოესმა:

— ბიჭებო, „კიდენაც“ მიდის, ხედავთ? —

ატყდა ძახილი:

— კიდენაც! კიდენაც! — შეეგუფებული მოწაფეები დაიშალნენ. ქუჩაზე გადაცვივდნენ და ფარაჯიანს გამოუღვინენ. კენჭები მოიმარჯვეს. სროლა დაუწყეს.

— კიდენაც! კიდენაც! — მირბოდნენ, კენჭებს ისვრიდნენ

მიმავალი შედგა, სახე დაეღმიჯა.

რამდენიმე ქვა მოაგროვა. „ოქვენი“... — შეიგინა და ესროლა ბავშვებს. ბიჭებმა დაიხიეს, თან გააკიოდნენ:

— კიდენაც!... კიდენაც!...

ვაჭრები მოსწავლეებს ამხნევებდნენ.

— ნუ გეშინიათ! შედექით! ესროლეთ! ესროლეთ!

მაგრამ, როცა კიდენაცამ გამეტებით დაიწყო სროლა და დარაბებმა დაიწყეს ტყაცა-ტყუცი, ბავშვები გაიქცნენ. მიიშალნენ.

ახლა კიდენაცას მიექომავდნენ ვაჭრები. წააქებეს:

— კიდენაც! აქედან მოუარე! ესროლე! ესროლე! არ დაინდო, მაგათი...

ბავშვები აღარსად ჩანდნენ. კიდენაცა თავის გზას გაუღდა. მაგრამ ბიჭები მიშალული ადგილებიდან გამოძვრნენ და ისევ შესძახეს:

— კიდენაც! კიდენაც!...

მიხა დავითაშვილი და გლურჯიძე ამ

ამბავს ერთხანად უმზერდნენ. უცბათ მიხა მოსწყდა ალაგს; ერთ მოსწავლეს მივარდა, სწვდა საყელოში, მძლავრად მოიქნია, ბავშვი წაფორთხიალდა, წაიქცეოდა კიდეც, რომ თვით მიხა არ მიშველებოდა, ხელი არ გაუშვა, შეიკავა და შეუტია.

— არა გრცხენია, რა დაგიშავა? რატომ ესერით ქვებსა?

— თვითონ რომ გვესერის?

— პირველად თქვენ არ ესროლეთ? აბა, გასწით სახლში!

ქვევით მიმავალმა კიდენაცამ გამოიხედა. ქომაგი რომ შეამჩნია, გაეხარდა, გაულიმა. მიბრუნდა. თავის გზას გაუდგა.

სოფლიდან ჩამოსული გლეხი მიტრო, ახლა „კიდენაცას“ სახელით წოდებული, ერთ აზნაურთან მსახურობდა გორში. მისი გარდაცვალების შემდეგ სოფელში აღარ დაბრუნებულა. ერთ ვაჟარს წყალს უზიდავდა, ეზოს უგვიდა, მის კმაყოფაზე იყო. ერთი ჩვევა ჰქონდა: ლაბარაკის დროს ხშირად ჩაურევდა ხოლმე „კიდენაც“-ს „კიდენაც“-ის მაგივრად. „კიდენაც! ეგრეა! სწორეა! — „კიდენაც!.. აბა სხვანაირად როგორ შეიძლება!“ — ამიტომ შეარქვეს „კიდენაც“. ვერ შეურიგდა ამ ძახილს. ქუჩაში ვერ გაივლიდა, რომ ბავშვები არ გამოსდგომოდნენ.

გორის ციხიდან დაშვებული ჩრდილი აღმოსავლეთის ფერდობს ეფინებოდა.

სალამოხანს მიხა დაეითაშვილს სევდა მოაწვა. გული ვერ დაუღო ვერც გაკვეთილებს და ვერც საკითხავ წიგნებს. სიტყვებს რომ კითხულობდა, გონება სხვა ფიქრებით ევსებოდა. რა აწუხებდა, რას ფიქრობდა? განა თვითონ იცოდა? ვერ ისვენებდა! საღმე უნდა წასულიყო. და მიდიოდა. ნახევარი გზა გავლილი ჰქონდა, — უკან გამობრუნდა.

სად წავიდეს? გაურკვეველი ფიქრები შემოსეულ ფუტკრებზე მოხუცდნენ თავში. დიდ ქუჩაზე გავიდა. შორიდან მომავალ სოფრომ მგალობლიშვილს მოჰკრა თვალი. სხვა მასწავლებლის დანახვაზე უცბად გადაუხვევდა, არ შეხედებოდა, — მას კი არ მოერიდა; მამსავით უყვარდა. მიუახლოვდა თუ არა, ქული მოუხადა. სოფრომი შედგა, შეეკითხა:

— წავიდა ბიძაშენი?

— წუხელ წავიდა, მასწავლებელი!

— სად მიდიხარ?

— შინ მივდივარ, მასწავლებელი!

— ჰკვიანი ბიჭი ხარ. ჰკვიანადაც უნდა მოიქცე, კვინიკაძესავით კი არა, ლავროვს რომ სილა გაართყა!.. განა ეს შეიძლება? როგორ უნდა გაბედოს მასწავლებელს მასწავლებელი გალახოს?

— ღირსი იყო, მასწავლებელი! იმან ხომ საქართველოს რუკას შეაფურთხა?

— ხელით შეხება მაინც არ შეიძლება!

კალანდაძის წიგნის მალაზიასთან სოფრომი შედგა, კარი შეაღო, შევიდა. მიხასაც უთხრა, შემოდიო.

აღფრთვანებით და სიყვარულით შეეგება სოფრომს არსენი, ერთმანეთი მოიკითხეს.

— სხვა? რა გაქვს ახალი? რაიმე ქართული წიგნი მოგივიდა?

— ახლახან მივიღე ჯაზბეგის „ელგუჯა“.

— ოო! კარგია! გადმოიღე ერთი და ამ ყმაწვილს მიეცი ჩემს ანგარიშში.

მაშინლა შენიშნა არსენამ მიხა დავითაშვილი.

— ოჰ, ეს ჩემი ძველი ნაცნობია! აი ეს წიგნი! მადლობა უთხარი სოფრომს!.. მოიცა! მოიცა! ეს კიდევ ჩემგან მიიღე. — თქვა არსენამ და ბარათაშვილის წიგნი გაუწოდა.

მიხას სიხარულისაგან თავბრუ დაეხება. ორივეს მადლობა გადაუხადა. ქუჩაში გაეარდა.



მიდიოდა, პირზე ღომი დაჰფენოდა. ხან ერთ წიგნს გადაფურცლავდა, ხან მეორეს. ბარათაშვილის ლექსები წინათაც წაუკითხავს, ხოლო ახლა „მერან-მა“ დაატყვევა მისი ყურადღება. მთელი მისე არსება შესძრა. მიდიოდა, ვერავის ხედავდა. გაფართოებული თვალებით კითხულობდა, გამალქბით უძგერდა გული.

გასწი მერანო, შენს ჰენებას არ აქვს  
სამძღვარი  
და ნიავს მიეც ფაქრი ჩემი, შავად  
მღელვარი...

თრთის ყოველი კუნთი, ჩქედს სისხლი, სწრაფად სცემს საფეთქელი. გონება-გამახვილებულია და გრძნობააგზნებული.

ფუქად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს  
განწირული სულის კვეთება  
და გზა უფალი, შენგან თელილი  
მერანო ჩემო, მაინც დარჩება...

რა იყო ის ძალა, მისი კუნთები რომ ამომძრავა, გონება გაამახვილა? ამ ქვეყანას მოსტაცა და სადღაც შორს, უცხო მხარეში გასტყორცნა... თითქოს მიპქროლავდეს ფიანდაზებით დაფენილ ბილიკებზე უცხო არეში, სადაც არ არის შეურაცხყოფა, ჩავგრა და ბოროტება... მიჭრის მერანო... მის ჰენებას არ აქვს საზღვარი.

გარემოს გახედა მიხამ. ახალაა შეამჩნია, რომ უკვე ბინდდებოდა...



მიხა დავითაშვილმა საკრებულო ტაძრის მცირე მოედანი გადასჭრა. ჭეის მოკლე კიბე აირბინა. დახურულ ბაზარში შევიდა.

გრძელი, გვირაბივით ბნელი ვიწრო ქუჩა, ორივე მხრიდან ყავრით გადახურული, ნაპრალებში გამოპარული მზის სხივებით ნათდებოდა. ფიცრული დუქ-

ნების თაროებზე ჩამწკრივებული მუშის მრგვალ ქილებში მღაგამ მსქარ-ყინული, ფოჩიანი კამფეტები, ლელვისა და სხვა ხილის ჩირი, ნიგოზი, დახალული თხილი, ინდის ხურმა, ჭიშმიში, მუხუდო, თაფლი, უნაბი, ფშატი, ნუში და სხვა ტკბილეულობა.

ერთ რიგზე მუშაობდნენ ხელოსნები — დერციკები და ხარაზები. იქვე კრიდნენ და კერავდნენ როგორც ფეხსაცმელებს — ქალამნებს, ჩუსტებს, მეწებებს, წალბებს, ისე — ჩოხებს, ახალუხებს, შარვლებს, ხალათებს. დახურული ბაზარი თავისი ცხოვრებით ცხოვრობდა. მოწყვეტილი იყო მთელი დღის განმავლობაში ქალაქის ყოველდღიურ ყოფას. მოწყენილი მედუქნეები მთელ დღეებს ლაზღანდარობაში ატარებდნენ. ყოველ გამელულს გამოუდგებოდნენ, მომამზერებლად თავის საბაყლოსკენ ეპატივებოდნენ.

მიხა დავითაშვილმა დახურულ ბაზარში — ციხეზე ასასვლელად — მოკლე გზით გაიარა. ვაჭრებს მუშტარი ეგონათ, მაშინვე მიეგებნენ.

— აბა, ატამი, ყმაწვილო, არ გნებაგს? ამისთანას სხვაგან ვერ იშოვი! ხედავ, რა არის? ქალიშვილის ლოყასავით გაწითლებულა.

მიხა დავითაშვილმა ბაზარი გაიარა, ნათელ ქუჩაზე გავიდა, ამოისუნთქა. ციხისკენ შეუხვია. ბილიკს აპყვა. ციხის მინდორი გაიარა. სამოქალაქო სკოლის ბიჭები წრე-ლახტს თამაშობდნენ. შედგა. მოწყენილი თვალთ უმზერდა მოთამაშეებს. დაენანა, რომ მარტო წამოვიდა, გოგონას და პეტოს რომ არ გამოუარა. მობრუნდა. ციხის დასავლეთისკენ წავიდა. ქვევიდან მომავლებს შეავლო თვალი. თანდათან გაარკვია — გლურჯიძე, კაპანაძე, თხინველელი, ხურთშვილი, ხახანაშვილი. ერთმანეთს ედავებოდნენ, კამათობდნენ.

— შენ რომ ზღვა არ გინახავს, რას მელავები! — ამბობდა ერთი.



— შენ კი გინახავს?  
 — დიალა! იქ მტკიცდება, რომ დე-  
 დამიწა მრგვალია!  
 — შენც ლაპარაკობ რაღა, ზეპირად!  
 — მე კი არა, შენა!  
 — შენ მუდამ ეგრე იცი! კამათი არ  
 შეგიძლია!  
 — შენ კი მამა-აბრამის ბატკანი ხარ,  
 რაღა?

ცხარობდნენ... კამათი ერთმანეთის  
 ლანძღვაში გადადიოდა. მიხა მიუახ-  
 ლოვდა მათ. ჩაერია ლაპარაკში.

— იცით, რატომ მოგდით ჩხუბი?  
 იმიტომ, რომ თვითთელი თქვენგანი  
 დარწმუნებულია მეორესთან უპირა-  
 ტესობაში. ორივე პარტიმოყვარე ხართ!  
 ერთმანეთს არ უთმობთ!

კამათის და, საერთოდ, მსჯელობის  
 დროს მიხა ძალიან ხშირად წითლდებო-  
 და, ცხარობდა. მას არ უნდოდა ისეთი  
 აზრი გამოეთქვა, რომელიც სინამდვი-  
 ლეს და მის რწმენას არ ეთანხმებოდა  
 და, როცა რამეს იტყოდა, მთელი არ-  
 სებით, თრთოლვით და გონებაშეხვილო-  
 ბით ამტკიცებდა. უსმენდნენ და ჯერ  
 კიდევ ვერ მიმხდარიყვნენ მისი ნათქვა-  
 მის აზრს.

— უნდა გამოვტყდე, რომ მეც ასეთი  
 ვარ, — ყველაზე ჭკვიანი მგონია ჩემი  
 თავი! — დაამთავრა სიტყვა მიხამ.

— ბიკოს, შენ როგორ ლაპარაკობ?  
 შენ ჩემზე ჭკვიანი ხარ? შესძახა პეტა  
 კაპანაძემ.

— აი! ხომ ხედავ! როგორი პატივ-  
 მოყვარე ხარ!

— არა! სრულებითაც არა! მე ზემ-  
 რობით მოგმართე. გულში რომ ვფიქ-  
 რობდე კიდევ, ხმამალა როგორ ვი-  
 ტყვი!

— კიდევ მაგაშია საქმე! მე რასაც  
 გუბუნები, სრული ჭეშმარიტებაა. ეს  
 რომ ასე არ იყოს, მაშინ სხვა უფრო  
 უნდა გიყვარდეს, ვიდრე შენი თავი...  
 და ეს ხომ ასე არ არის?

— მაშ მგებობრილი სიყვარული არ  
 ყოფილა!

— ძალიან სცდებით არ არის მარ-  
 თალი!

— დაამტკიცე წინააღმდეგი!  
 საწინააღმდეგოს ვერაფერს ამბობდ-  
 ნენ. კამათიც შეწყდა. ნელი ნაბიჯით  
 ციხის შუაგულისკენ წავიდნენ.

— იცი, მიხა, რატომ მიყვარხარ  
 სხვებზე უფრო მეტად? — გვერდზე გა-  
 იხმო გოგია გლურჯიძემ მიხა და  
 უთხრა. — იმიტომ, რომ შენ ერთი თვი-  
 სება გაქვს, რომელიც ყველაზე ძვირ-  
 ფასია, — ესაა შენი გულწრფელობა  
 და გულახდილობა.

— პირში თქმა მიყვარს!  
 ამ დროს ჯგუფიდან ერთი განზე გახ-  
 ტა, შესძახა:

— ბიკებო, მოდი, ახტურმა ვითამა-  
 შოთ!..

— ახტურმა კი არა, ის არ გინდა!

— მაშ რა გინდათ?

— იცით, რა? მოდი, სამოქალაქო  
 სკოლელებს კანჭები ავუწვიათ! ერთ მხა-  
 რეს — ისინი, მეორე მხარეს — ჩვენ!

— მართლა, რა კარგი იქნება!

— რომ გვაჯობონ?

— გვაჯობონ კი არა! აგე, პეტა ჩვენ-  
 თან არ იქნება?

— კიდევ ქიტესა თხინვალელი! მა-  
 გათი მჯობნი ვინ არის?

— აბა წავიდეთ!

კაპანაძემ გამოიხმო ერთი მათგანი.  
 მოელაპარაკა. იმან თავისიანებს უთხრა.  
 იმათაც თანხმობა განაცხადეს. შეჯ-  
 გუფდნენ.

— ხუთი ჩვენ, ხუთი თქვენ!

— კარგია! ეგრე იყოს!

სასულიერო სასწავლებლის მოსწაე-  
 ლეები ქედმაღლურად უმზერდნენ სა-  
 მოქალაქო სკოლელებს. ამაზე ისინი  
 ბრაზობდნენ, გული მოსდიოდათ. ამი-  
 ტომ შეჯიბრება მწყვე და ცხარე იქ-  
 ნებოდა.

— აბა, დავიწყით!

— წრეში ვინ ჩაღებავ?

— წილი ვყაროთ!

— აი ბრტყელი ქვა! — თქვა პეტა კაპანაძემ. ერთმხარეს დააფურთხა, მეორე მხარე მშრალი დატოვა. — თუ სველი ზევით მოიქცევა თქვენ ჩაღებებით, თუ მშრალი — ჩვენა! — ბრტყელი ქვა სივრცეში აისროლა. როცა ქვა ტირილით ძირს დაეცა, ორივე მხარე მიიცივდა.

პეტას ამხანაგებმა შემოსძახეს:

— ჩვენია, ჩვენი! გარეთ დგომა ჩვენია!

— აბა, განიერი წრე მოვხაზოთ!

— ქამრები?

ყველამ ქამრები შემოიხსნა. პეტასთან მიქონდათ. — დამცველებმა წრეს შემოუარეს. წრის პირად დადებული ქამარი ისე უნდა გამოეტანათ, რომ წრეში მდგომს არ გაეჭრა ფეხის მოხვედრით მუხლზე. თამაშობა გახურდა.

— დინჯად, აუჩქარებლად! — იძახოდა პეტრე. თვითონ მარდად დარბოდა წრის გარშემო და ხან ერთს, ხან მეორეს შეუჩნდებოდა. ქიტესა თხინვალემა და ხუროშვილმა ქამარშემოსხნილი ხალათები შარვალში ჩაიკეცეს. მოღუნული მიეპარებოდნენ, მაგრამ დამცველი ფეხზლად უხვდებოდა. დიდხანს იბრძოლეს, მაგრამ ქამარი ვერ გამოიტანეს. სირბილმა და ყიყინამ იმატა.

უცბად ჰაერში აფრიალდა პეტას მოტაცებული ქამარი. ახლა კი უფრო იოლი იყო დანარჩენების ხელში ჩაგდება.

გლურჯიძეს ფეხი მოახვედრეს. მაშინვე შესძახეს:

— გაჭრილია! გაჭრილია!

— რა არის გაჭრილი, არა! არა! მკლავზე მოხვდა, იდაყვის ზევით!

— ეს არ არის ჯერი!

— ჯერია, ჯერია! — იძახდნენ სამოქალაქო სკოლელები და წრიდან გამოდიოდნენ...

— ე, მანდ წრეში ჩაღქით, თორემ! — უტედა გლურჯიძე.

— თორემ, რა? — თავის მხრივ წინ დაუდგა და შეუყვირა მალაღმა, სამოქალაქო სკოლის მოსწავლემ.

— ის, რომ მაგ კანჭებს აქაც კარგად აგწივავთ!

— აბა, გაბედე! — გლურჯიძემ ქამარი შემოუქნია. იმან ხელი წაატანა. გლურჯიძე გაძლიანდა. იმან სილა გაარტყა.

გოგის ცხვირიდან სისხლი წასკდა.

სასულიერო სკოლელებმა რომ ეს დაინახეს, ჯგუფურად შეუტრეს. მუშტიკრივი გაჩაღდა.

კრივი დიდხანს გაგრძელდა. ბოლოს სასულიერო სასწავლებლის ბიჭების რიცხვმა დასძლია. სამოქალაქო სკოლელებმა ჯერ უკან-უკან დაიხიეს, მერე კი მოკურცხლეს.

— ეგრე, აი! თქვენი ღდინი კი ამოვარდეს, მოგხვდათ! — იძახდნენ გამარჯვებულები.

პეტას თვალი ჩალურჯებოდა, ხახანაშვილს ფერდი სტკიოდა, გლურჯიძეს გასისხლიანებული ცხვირ-პირი ჰქონდა. სხვებიც — ზოგი კლავზე ისვამდა ხელს, ზოგიც კისერზე.

## სიყვანე პარგიაზე



მსურს გითხრა, ბაირალტარო,  
დიდო პარტიავე, ჩვენო მშობელო,  
მაღალ მასისზე უფრო მაღალო  
და თვითონ მზეზე ცხოველმყოფელო.

შენ მიგვიძლოდი ბრძოლებში მტკიცედ,  
შენ აამაღლე სამშობლოს ბჭენი,  
უდაბნოები წალკოტად იქცენენ,  
ბაღნარად იქცა ქვეყანა ჩვენი.

შენი ღვიძლი ვარ, დიდო პარტიავე,  
შენა ხარ ჩვენი მზრუნველი დედა,  
და ყველაფერში, რაც დიადია,  
მე შენს აზრსა და შენს საქმეს ვხედავ.

ყველგან, სადაც კი გამარჯვებული  
ისმის ბრძოლის და შრომის ხმაური,  
წინ მიგყავს ხალხი თავდადებული,  
უკედავი ხალხის ხარ მეთაური.

შენ სიყვარულით, გმირობით მზრდიდი,  
შენ გიმღერს ჩემი ყველა უჯრედი,  
შენა ხარ ჩემი სიმღერა დიდი,  
და სიხარულის გრძნობა უშრეტი.

ხალხის დედა ხარ მხნე, ამაგდარი,  
საქმედ აქციე ხალხის ოცნება,  
შენ ჩვენი დროის ხარ აღამდარი,  
სინიდისი და პატიოსნება.

## ნანყვეგებო რქალიდან „ყრობის ლექსებო“

(1905 — 1907)



### I

მთელი საათო  
ზანღუქის კიდეთო  
კუთხეებს ფუსფუსით  
აბრუნებს დიდედო.

დიდედო ხელებს შლის  
და თვალებს აცეცებს.  
შედგებო, საგნებს თვლის,  
და ისევ დაეძებს.

— რას ეძებს, დიდედო?  
შეჰკადრებს ბავშვებმო.

— სათვალე, ოჰ, ნეტო...  
სათვალე გამებნო!

— სათვალე? რას უმზერ,  
სულ აგრე გჩვევო:  
სათვალე ხომ შუბლზე  
თვით აგიწევო?

— შუბლზეო? იესოვი  
(მარინე იფერებს): —  
თვალეც დაუდგესო  
და ყურიც, სიბერეს.

ბავშვთ კისკისს უსმენს დო...  
მთავარი ისო:  
დიდედო, აგერ ჰო,  
ასოცი წლისო.

წინ ძველი წიგნებო  
დიდედამ დაიწყო,  
გაშალა პირველი  
და თხრობო დაიწყო:

### II

გოლვიან დღეს  
ხევის პირად  
კიდევ უფრო დაბლო  
ორი ხარი  
მიდიოდო  
ნიკორო და წაბლო.

წაბლო ამჩნევს,  
იქვე ახლო  
რომ იონჯო ჰყვავის.  
მაგრამ არ აქვს  
დღეს იმედი  
მას თავისი თავის.

მაშინ წაბლამ  
გადაწყვიტო,  
მოიხმაროს ხარიკო.  
ალერსის და  
პირფერობის  
გზას დაადგო იგი.

რომ ნიკორო  
გაიტყუოს  
იონჯოდან შორად —  
აბრეშუმად  
გადაიქცო  
უფრო ერთიოროად.

ლონე  
მოპირდაპირისო  
ალიარო ქებით.  
შუბლიო შუბლი  
გაუსინჯო  
მოალერსე რქებით.

მაგრამ ხრიკი  
ნიკორამა  
მას შეუტყო მალე.  
ალერსითვე  
უბასუხა:  
რა ვქნა, გენაცვალე-  
ნოყიერი იმ იონჯის  
როს სუნი მეც მეცა,  
და რომ მას არ დაგანებებ,  
მოწამეა ზეცა.

და უეცარ დაჯახებით  
შორს გასტყორცნა რქებით,  
იმავე სიტყვით და ალერსით,  
იმგვარივე ქებით...

ამ არაკით  
მე მინდა ვთქვა:  
რაც არ უნდა წიროს,  
თუ უნდობმა  
მეგობარმა  
პირფერ დაგიპიროს,  
მოიხმაროს  
ენა ტკბილი,  
ხმა დიდი თუ მცირე,  
ცბიერებას  
ცოტა ძალა  
დაუპიროსპირე!

ამგვარ აზრით  
ამთავრებდა  
დიდებდა თვის არაკს,  
უსათუოდ  
ინახავდა  
კვლავ უფრო მეტ მარაგს:

## III

მგელი ბატყანს  
შეხვდა ნავსად,  
შეკრთა,  
დაიბანდა...  
ცად კი ერთი —  
ქასრის მსგავსად, —  
მთვარის დისკო  
ჩანდა.

მგელმა ბატყანს  
ჰკითხა:  
ქასრის  
მსგავსი რაა  
გარეთ?  
ბატყანმა თქვა:  
ჩემი აზრით,  
ცაზე ბრწყინავს  
მთვარე...

მგელმა ბატყანს  
(რა გგონიათ?)  
გაჰკრა კბილი  
ბასრი.  
— როგორ ჰხედავ,  
იქონიო  
საკუთარი  
აზრი?

## IV

ელვისებური ბილიკი  
ნადირის მიერ ნათელი,  
მთას იქით არ გადასულა  
აგვისტოსი დღე ნათელი.

მოფენილია მიდამო  
მერწებით, კრელი ხარებით.  
ველი სიამით ბიბინებს  
გაზაფხულისა ხარებით.

ნუ ჩახვალ, მშეო, მთას იქით,  
კით არ წვიმს, ქარი არ წვიმს.  
შეხედე მაინც: ვით შვენის  
მძლავრი გაფრენა არწივის!

ის სულ არ ფიქრობს იმაზე,  
სად მიდის ქვეყნიერება,  
თუმცა დიდებას ამბებზე  
სხვას იტყვის მეცნიერება.

## V

ზამთარი არის,  
მაგრამ არა თოვს.  
დიდებდა ბუხრის  
წინა ზის და ქსოვს.



დიდდამ ისევ  
ფიქრს მისცა თავი...  
იმ ფიქრებს ისევს  
ბუხარი შავი.

ბუხარი ღვივის,  
ბაჯი-ბაჯულა,  
შეხე, დათვივით  
არ გალაჯულა?

ზე-აწეულა,  
ბაჯი-ბაჯულა,  
გადაქცეულა  
სხვა კრიმანქულად.

სხვაგვარი სჯერა  
დღეს ბუხარს ქღერა:  
გაისმის: რე-რა,  
ორერა, რერა!

და ოქროს ღვეღფით  
ბრწყინავს მარცვალი,  
ფიქრით დასცქერის  
მას პატარძალი.

ოდესმე (გაპქრა  
ხსოვნა იმ დღეთა),  
ის პატარძალი  
იყო დიდდამ...

„ვაპ, დრონი, დრონი  
ნაქებნი მარად —  
წარვიდნენ, გაპქრნენ  
სიზმარებრ ჩქარად!“

VI

— ნუ გეწყინება,  
კარგო დიდდამ,  
თუ კითხვებს გაძღვეთ  
ჩვენ ზედიზედა:

— ნეტა რა უფრო  
შშვენიერია?  
— დღე გაზაფხულის,  
ვარდი, ფერია.

— ნეტა, რა უფრო  
ლონიერია?  
— შზე შემოდგომის...  
ის ძლიერია.

— ნეტა, ქვეყნად რა  
უფრო მალია?  
ყველაზე მალი  
კაცის თვალია.

VII

დიდდა თვისას  
უჩივის თვალებს.  
ამბობს: სიბერე  
მიკარგავს ძალებს.

ყოფნის სარკვა  
თვალეში კაცის,  
ამაყრეოლია  
ოცნების აწ ის.

თუნდა დაპკეცო  
ოდენა ფარის,  
ქვეყნის ოდენად  
გაშლას იჩქარის,

როგორც სინათლე  
კლდეზე, ანთია:  
მისი სინათლე  
ანდამატია.

ამბობენ: დავწვეთ,  
არ გავიცინოთ,  
ერთად დავწვეთო  
და დავიძინოთ.

ძილი დალოცავს  
ბედნიერ ამ წამს,  
ეალერსება  
წამწამი წამწამს.

ასე: პატარა  
ორი მარცვლი  
სდევენ ერთმანეთს,  
ვერ შენაცვლი.

ამ წამას, აი,  
აგერ ჩნდებიან,  
ამა წამს სადმე  
გაფრინდებიან.

მოგიყვებიან  
ამბებს ქვეყნისას,  
ვარსკვლავებისას,  
მიწისას, ზღვისას.

მაგრამ თვისას კი  
ვერა ზედებიან,  
რადგან ერთმანეთს  
ვერ შეხვდებიან.

ახლოს არიან  
თითქოს მეზობლად,  
(მათ გამომწარეს  
ყოფნა მე სოფლად).

კვლავ არის მზერა  
რამ გამყინველი  
ზიდან ვარდება  
მზერით ფრინველი.

რამდენი წლის ვარ,  
აბა დათვალე?  
თუმც ცოტას კიდევ  
მშველის სათვალე.

## VIII

ამბობს დიდელა:  
შეხედეთ, ვაზი.  
რა არის ქვეყნად  
მასზე ძვირფასი?

მისაებრ მრუდი  
ვაზს ჰყავდა დედა.  
ის დაორსულდა  
ერთხელ მზეზედა.

და ძმა ეყოლა  
ვაზს — ფალავანდი,  
კაცს ამარცხებდა  
იმისი ლანდი.

ვაზი — ხე ბრუნდი  
და ხე მართალი,  
მეფეთა ეშხი  
და სამართალი.

ხელმწიფეთ მხვედრი  
და მასპინძელი,  
ის ბრძნულად ამბობს:  
იყავ დღეგრძელი.

ვაზი — ამ სოფლის  
დიდი სალხინო,  
საიქიოსაც —  
სამოთხე, ღვინო.

როცა მასპინძელს  
ხედავ მზიარულს,  
აქ სხვაგვარ ზრუნვას  
რა უნდა ფარულს?

ვაზი მრუდია,  
და მასზე სწორი —  
ქვეყნად არაა  
რამე სასწორი.

## IX

დიდელა გააოცა  
ხმებმა უახლოესმა;  
ძლიერ, ძლიერ ნაცნობი  
მას სიმღერა მოესმა:  
დრო იყო ფერადფერად  
შაირების, ლექსების,  
შეყრილიყვენენ ტყისპირად  
და მღეროდნენ მწყემსები:

ჰეი, ჰეი, ჰრელთვალა,  
ჰეი, ჰეი, ჰრელქუდა.  
მსურდა შემომეთვალა,  
რომ გეჯიბრები მულამ!  
ჰეი, ჰეი, ჰრელქუდა,





ჰეი, ჰეი, ჰრელთვალა,  
ჰეი, შენ გენაცვალოს  
შენი მონა ელგუჯა.

მე ვერ ვიტყვი იმას, რომ  
ან სხვა ქალმა გამთვალა.  
ერთი არის ჰრელთვალა  
და მეორე შეთვალა.  
ჰეი, ჰეი, შეთვალა —  
ჰეი, ჰეი, შევქულა!  
მუდამ შენ გენაცვალოს  
შენი მონა ელგუჯა.

ასე ვეუბნებოდი  
ზღვისპირს შეხვედრების დროს:  
ჰეი, ჰეი, შეთვალა,  
ჰრელთვალამ არ გაჯობოს.  
ჰეი, ჰეი, ჰრელთვალა,  
ჰეი, ჰეი, ჰრელქულა.  
ჰეი, ჰეი, სიმღერავ,  
შენი მონა ვარ მუდამ!

ახლა ველარ გავიგე —  
რომლის სჯობნის სინაზე...

შავთვალავ, მომეხვიე,  
იმ ჰრელთვალას ჯინაზე,  
მაგრამ ვხედავ, ჰრელთვალამ  
შეგიტყო, თუ რა გსურდა...  
ჰეი, ჰეი, ჰრელთვალა,  
ჰეი, ჰეი, ჰრელქულა!

დიდედა რამ შეშალა,  
გულში რამ გაუარა?  
მსწრაფლ ხელები გამალა.  
და ცეკვა დაუარა!  
სხვა იმისი ცეკვა:  
ვადგეს, დაწინაურდეს...  
და მწყემსებმა კი მეტის  
სიხალისით დაურთეს:  
„ჰეი, ჰეი, დიდედა,  
ჰეი, ჰეი, დიდედა,  
მეტი არა გვინდა-რა:  
შენი ხნის ვიყოთ ნეტა!“

ცეკვის კორიანტელში  
ყველა ერთად შეცურდა:  
მწყემსი, ცხვარი, დიდედა,  
ჰრელთვალა და ჰრელქულა!

## ხუთი დოლარი



მე დამითხოვეს. კრიზისმა ჩემამდეც მოაღწია. ქისაში თოთხმეტი დოლარი-ლა დამრჩა. აქედან ხუთი დოლარი აუცილებლად უნდა გადავდო კერძო შრომის ბირჟისათვის, თუ ის სამუშაოს მიშოვნის. მთელი დღეობით ყურყუტი საწარმოთა ჭიშკართან, უმუშევართა ბრბოში — ეს თითქმის უიმედო საქმეა. კერძო ბირჟის, ანდა, როგორც მას უმუშევრები ეძახიან, „ზვიგენის“ გარეშე სამუშაოს შოვნა შეუძლებელია.

მაგრამ ბირჟის იმედიც ფუჭია. ისიც საესეა უმუშევრებით. და თუ კვალიფიციური მუშები იძულებული არიან ყოველგვარ სამუშაოს მოკიდონ ხელი, რისი იმედი უნდა მქონდეს მე — შავ მუშას? ხუთი დოლარის გამოკლების შემდეგ მე ცხრა დოლარი-ლა დამრჩება სახარჯოდ. მაგრამ, თუ ჩემი უმუშევრობა დიდხანს გაგრძელდა, შეიძლება გავყიდო რამე ნივთები და საკვირაო კოსტუმი; მაშინ, შესაძლოა, სასტიკი ეკონომიის საშუალებით რამდენიმე თვე გავძლო. შეიძლება ამ ხნის განმავლობაში უმუშევართა მასები წავიდ-წამოვიდნენ სხვა ქალაქებსა და შტატებში სამუშაოს საშოვნელად, ანდა მაწინწალება გახდნენ. მე კი აქედან ფეხსაც არ მოვიცივლო, რადგან კრიზისმა მთელი ქვეყანა მოიცვა, აქ კი, კალიფორნიაში, რბილი ჰავა მაინცაა. ეს დიდი რამეა უმუშევრისათვის. ახლა ოქტომბერია, მზე კი ისე ათბობს, თითქოს გაზაფხული იყოს. უკიდურეს შემთხვევაში ღამის გათევა გარეთაც შეიძლება. უყოყმანოდ ვიღებ ქისიდან ვერცხლის ხუთ დოლარს და განსაკუთრებულ განყოფილებაში

ვათავსებ. ეს ჩემი განსაკუთრებული ფონდია — „ზვიგენის“ სასყიდელი, ჩემი უკანასკნელი იმედი...

მძიმედ სუნთქავს ჩემი მკერდი და შიშით მეკუშმება გული, ისე როგორც რთული და მძიმე ოპერაციის წინ ხდება ხოლმე; შევძლებ კი ამის გადატანას?

ბირველი თვეა. ორმოცდაათცენტანი ოთახიდან ერთბაშად გადავდივარ ათცენტანი ღამისათვეში. უფრო ძნელია მომჭირნეობის გაწევა საკვებზე. ორმოცდაათცენტანი სადილიდან მე ჯერ-ჯერობით ოცდახუთცენტიან სადილზე გადავედი, ისიც დღეში მხოლოდ ერთხელ ვჭამ. ეს გავლენას ახდენს ჩემზე, ვკლებულობ წონაში, გამუდმებით „მწუნის ქია“. ამასაც შეურავდება კაცი, ოღონდ სამუშაოს შოვნის იმედი იყოს. მაგრამ დაღვრემილი სახე უმუშევართა, რომლებიც ბირჯაზე დალასლასებენ, მძიმე ლოდინისაგან გამოყვეჩებულნი თვალები, ყრუ ოხვრა, რომელიც უფრო კენესას ჰგავს, მხოლოდ აძლიერებენ ჩემს შიშს. ვხედავ ბრბოში ღონემიხდილ ქალებსა და მოხუცებს და, როდესაც ტიხრის იჭით გაისმის ხმა: „სამუშაო“ და მასა თავშეუკავებლად აწყდება კანტორას, მე მორცხვად მელიმება და გაუნძრევლად ვღავევარ ერთ ადგილას.

ქულეტა-სრესა, ყვირილი, წყევლა-კრულვა, ქალების კივილი!

„ზვიგენის“ გავარჯიშებული თვალი გარეგანი ნიშნების მიხედვით საოცარი სისწორით განსაზღვრავს უმუშევრის ქისის მდგომარეობას. „ზვიგენი“ არა-

ვის უწევს სამსახურს ნისიად და ჭველ-  
მოქმედებას არ ეწევა. ბირჟის პატრონი,  
წითელლოყებიანი ფრანტი, მხეცური  
თვალებით შშვიდად და სწრაფად არჩევს  
ბრბოდან შესაფერ ბიროვნებას და ხე-  
ლის ქნევით იწვევს ტიხრის იქით. უმუ-  
შევართა კენესას და ოხვრას მისთვის  
ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც  
საოპერაციო ადამიანების კენესას ბებე-  
რი ქირურგისათვის. უმუშევართა ტალ-  
ლა უკან იწევს და გაბოროტებით  
დრტყინავს.

რამდენადაც კი შეიძლება, უნდა გა-  
ვუფროთხილდე ჩემს ხუთ დოღარს.

მეორე თევა... ექვს დოღარად გავყი-  
დე ჩემი თხუთმეტდოღარიანი კოსტიუ-  
ში. ვკამ დღეში ერთხელ თხუთმეტ-  
ცენტთან სასაღილოში.

ჩამოვბში, ფერი აღარა მაქვს. ვერ  
ვუძლებ რესტორანის ვიტრინებთან გავ-  
ლას. მაგრამ უნდა გავუფროთხილდე თი-  
თოეულ ცენტს, რათა ჩემი საკუთარი  
სახსრებით ვიარსებო სამი, ოთხი თვე.  
შეუძლებელია, რომ ამ დროის განმავ-  
ლობაში უმუშევართა ბრბო არ შეთ-  
ხელდეს. უფრო მაგრად ვიჭერ წელზე  
სარტყელს.

— ცუდადაა საქმე, — ამბობს დურ-  
გალი, გამხდარი მოხუცი, რომელსაც  
ყვითელი სახე და კეთილი თვალები  
აქვს, — ცუდადაა საქმე... მე თითქმის  
ავად ვარ. დისპანსერში წვეთები მომ-  
ცეს, მაგრამ არას მშველს...

ვუცქერი მის ჩამოხმარ სახეს და თან  
ვფიქრობ: „წვეთები კი არა, პურია შენ-  
თვის საჭირო“!

მესამე თევა... ვიკვებები დღეში ერ-  
თხელ ათცენტთან სასაღილოში. ღამეს  
ვათევ ხუთცენტთან სათევში, მჯდომარე  
მდგომარეობაში. დღევებს ბირჟაზე ვა-  
ლაშებ. ტიხრის იქითა მხარეზე — „ზეი-  
გენის“ ლაქადა სახეზე სიცოცხლეა,  
მხეცური სისმაგე, აქეთა მხარეზე — სა-  
სოწარკვეთილება, თვალეში შიმშილის  
აჩრდილი კიაფობს. მე უკვე არ ვირცხ-

ვენ ძახილზე: „სამუშაო“ ვიწვევ ტიხ-  
რისაკენ და სხვებსავიწვევ ტიხრისაკენ  
ყურადღება მივიპყრო, მაგრამ აქედანაც  
არაფერი გამოდის!

— როცა მოხდება რევოლუცია, —  
წყნარად, ხანგრძლივი ხველების შემ-  
დეგ ამბობს ჩემი მეგობარი დურგა-  
ლი, — უპირველეს ყოვლისა მილიონე-  
რები უნდა ვაქციოთ უმუშევრებად.

სიამოვნებით ვეთანხმები მას, მაგრამ  
მღებავი, რომელიც ჩვენს გვერდით  
დგას, გესლიანად ამბობს:

— შენ მანამდე ბარე ასჯერ ამოგზ-  
დება სული... მე სხვა გეგმა მაქვს.

— როგორი? — ეკითხება დურგალი.

— როგორც კი სამუშაოს ვიშოვი,  
ცენტობით დავაგროვებ ფულებს, რომ  
გავალო სამღებრო მასალების დუქანი...  
თავი მომაბეზრა მუშად ყოფნამ.

— ვის მისცემ ხმას არჩევნების  
დროს?

— რასაკვირველია, მეპატრონეებს,  
რაკი მეც მეპატრონე ვიქნები...

— მანამდე შენ ასჯერ ამოგძვრება  
სული, — ვეუბნები მე. მღებავმა შეგ-  
ვაგინა და წაეიდა...

ქამრის შემოჭერაზე ვატყობ, რომ ძა-  
ლიან გავხდი. უმუშევრები მთელ  
დღევებს ბირჟაზე ატარებენ. ისინი ცო-  
ტას ლაპარაკობენ, სამუსაიფოდ არა  
სცალიათ, ზოლო, თუ ლაპარაკობენ,  
მხოლოდ სამუშაოზე და საქმელზე: ვინ  
რა ჭამა და როდის.

ქალაქის ცენტრში კი ხმაურობაა,  
ღრიანცელი, მოძრაობა, თეატრები, მა-  
ლაზიები, კაფე, რესტორანები, ჯაზი...

— რა განსხვავებაა ამ ქუჩებსა და  
უკაცურ კუნძულს შორის? — ეითხუ-  
ლობს დურგალი... — აქაც და კუნძულ-  
ზედაც შეიძლება შიმშილით ამოგზდეს  
სული.

— აქ უარსია, — კუშტად შევნიშნე  
მე, — კუნძულზე რესტორანები მაინც  
არ არის.

— შენ მართალი ხარ! — ნაღვლიანად  
აქანტურებს თავს დურგალი.

გამოვდივართ ბირჟიდან. ჩვენს ახლოს საუცხოო მანქანით წელა მიდის მოხუცი დედაკაცი, მდიდრულ მანტოში გამოწყობილი, ბრილიანტის გულქანდით ყელზე, ბებერი ძაღლივით დანაოქებული ლოყებით. ჩვენი ვარაუდით, ეს გულქანდი საკმაო იქნებოდა ასი ათასი ათცენტრიანი სადილისათვის. აბა იფიქრეთ! ასი ათასი სადილი!

— ურცხვი, სალახანა! — გაჯავრებული ვბურტყუნებ.

— საძაგლად არის მოწყობილი ქვეყანა, საძაგლად! — ბუტბუტებს ღურგალი.

მეთხე თვეა... მე უკვე დავიწყე საკუთარი სადილების დამზადება. ვციდულვობ „კატებისათვის“ განკუთვნილ ხორცს — ექვს ცენტად გირვანქას. ამ ამყრალებული ხორციტ იკვებება ამერიკაში ლატაკი ხალხი და უმუშევრები. თუნუქის ქილაში ვამზადებ ამ ხორცისაგან ბულიონს. ეს ბულიონი ორ-სამ დღეს შეყოფოდა, მაგრამ მე ამას ღურგალს ვუზიარებ ხოლმე. ის ბირჟაზე გაიციანი და ასე მგონია, დიდი ხნის ნაცნობი იყოს. სამუშაოს რომ ვიშოვიდე, როგორც კაცი, ჩემს კმაყოფაზე ავიყვანდი მას. ეგ საცოდავი აეად არის და ამავე დროს ერთი ცენტრიც არა აქვს. ერთხელ, როცა ხველებამ შეუტია, ჯიბიდან ამოაცალეს ქისა „დაჯავშნულ ფონდთან“ ერთად. ორივენი ღამეს ვათევთ მის ტილოს კარავში, ოღონდ კარავი ერთთავად დაჩვრეტილია; ყინელლიანი ღამეებია და მთლად ვიყინებით... ცოტათი რომ მაინც გავთბეთ, ჩამოვგლეჯთ ხოლმე კარვის ტილოს და ვიხურავთ. მე ოდნავ ვთბები, მაგრამ ღურგალს არაფერი შველის. მხოლოდ მზეზე ეტყობა მას უკეთესობა. ხველა, მეტადრე ღამღამობით, ახრჩობს საცოდავს. დღისით პარკში, მზეზე, მე და ის „გამოვიძინებთ“ ხოლმე. უმუშევართა ენაზე ამას „დღისით ღამის თევას“ ეძახიან. მაგრამ პარკში თვლევამ აკრძალულია, ჩვენ კი ასეთ ხერხს ვხმარობთ: ვსხდებით ერთმანეთის გვერდით, მზარ-

დამზარ და რიგრიგობით ვუვლევდით ერთი თვლემს, მეორე ფხიზლობს მხარის გეობს; გამოჩნდება თუ არა პოლისმენი, მორიგე აღვიძებს მიძინარეს. მაშინვე ცხვირის ჩავეყოფთ ძველ გაზეთში და თავი ისე გვიჭირავს, თითქოს ვკითხულობთ, და გულისფანცქალით ველოდებით, სანამ პოლუსმენი გაივლის. კალიფორნიის პარკის მობიბინე ბალახის ფონზე ჩვენი სახე შეიძლება პოლისმენს საექვო ეჩვენოს. ჩვენს ძმებს პოლისმენები ისე ეპყრობიან, როგორც მოხეტიალე ქეციანი ძაღლებს. ღურგალს დიდად სიამოვნებს მზეზე ჯდომა. მაგრამ ბოლოსდაბოლოს ესეც ბეზრდება მას.

— ნეტავი წამოწოლა შეიძლება დეს! — დამნაშავესავით და საცოდავად ჩურჩულებს ის. მე გამოვნახე მისთვის მყუდრო, მოფარებული ადგილი ლობესა და ბუჩქებს შორის — მწვანე, ხავერდისებარ ბალახზე.

— რა კარგია! — ნეტარებით ხუჭავს თვალებს და ისე ამბობს: — კარგია! მე არსდაც არ წავალ. რა ხეირია! შენ კი წადი, მეგობარო, ჩემთვის თავს ნუ იწუხებ!

მართალი ვითხრათ, არც მე მინდა სადმე წასვლა. აპატია და ფეხების სისუსტე დედამიწისაკენ მიზიდავს, მაგრამ რაღაც სხვა ფარული ძალა დაეინებით და გადაჭრით მერეკება პარკიდან... გამოვდივარ პარკიდან და ვჩერდები, როგორც გაშვებული, რესტორნის პირველ ვიტრინასთან. როსტბიფი! ბიემ-ტექსი, სალათა, ღვინოები, ხილი. ვდგევარ მოჯადოებულებით. რამდენჯერ მივეცი სიტყვა ჩემს თავს — არ შევჩერდები-მეთქი ჩვენს ჯიბრზე ამდენი ვიტრინებია... ჯიბეში კი ხუთი დოლარი მაქვს. ყოველდღე უფროდაუფრო მაწუხებს მე ეს ფული. პირდაპირ წვავს ჩემს ჯიბეს. ეს თანხა დიდ დოვლათად მეჩვენება. ხუთი დოლარი — ორმოცდაათ ხუთმეტცენტრიან სადილს ნიშნავს!

ამავე დროს არც ერთი ცენტრის და-

ხარჯვა არ შეიძლება. „ზვიგენი“ მხოლოდ სრულად იღებს ფულს. რამდენჯერ ამოვიღე ჯიბიდან ეს ეშმაკეული ფულები! რამდენჯერ შემწუხებია გული იმის ფიქრით, რომ ამ ფულების გადაქცევა შეიძლება ღორისხორციან ლობიოდ, ერბოკვერციან შაშხად, ჭიჭა ცივ ლუღად. ბირჟაზე კი ხალხი არ მცირდება. გავძლებ კი?

მეხუთე თვეა... „შექვაშე“ ჩემი კოსტუმი, ქუდი, სამართებელი, სადღესასწაულო ფეხსაცმელები. ღამღამობით მაციებს. პერანგის ქვეშ ამოდებული გაზეთების კონა ვერ მათბობს. ღურგალს სისხლიანი ხელები დააწყებინა...

— დავიღუბე, — მეუბნება ის. — მალე ფეხებს გავჭიმავ... და ახველებს ისე, რომ გეგონება, დაიღრჩობაო. ის აღარ იღებს ჩემგან იმ ნაცვქვენებს, რომელთაც ვუნაწილებ. განაწამები სახე აქვს და კეთილი, კარგი, პატიოსანი თვალები. ესაა ცხენდარი ცოცხალი თვალებით. უკანასკნელ ხანებში ხშირად პოულობენ ქუჩებსა და პარკებში ცხენდრებს. მხიარულად არც მღებავია, რომელსაც მე ბირჟაზე ვხვდები.

— ჰალო! მეპატრონე! — ირონიულად მივესალმები მას. ის რაღაცას ჩიფჩიფებს, ალბათ მაგინებს. უმუშევრები ღელავენ. გაზეთები მოითხოვენ „საექვთა“ შესახებ კანონის გამოყენებას, უმუშევრების გასახლებას ქალაქის ფარგლებიდან. გაყვირიან მილიონერის მკვლელობის შესახებ, დიდი დემონსტრაციის შესახებ. დემონსტრაცია მართლაც დიდებული გამოვიდა. აურაცხელმა ხალხმა დაიკავა ცენტრალური ქუჩები, მოედნები, სასეირნო ბაღები. უმუშევრები თავდავიწყებით ყვიროდნენ და მოითხოვდნენ სამუშაოს, მოითხოვდნენ დახმარებას. ორატორებს ქანცი ელეოდათ. პოლისმენები იმუქრობდნენ. ამ ღრიანცელის გამო, ასე გასინჯეთ, ცხენოსანი პოლიციის ცხენებიც კი ყალყზე დგებოდნენ. პოლიციამ ხელკეტები აამუშავა. მაგრამ ხალხი ფეხ-

საც არ იცვლიდა და მორევივით ერთადგილას ტრიალებდა. ყიდვე ერთი წუთი და შეიძლებოდა სოილა დაწყებულყო. მაგრამ გაჩნდნენ მეხანძრეთა რაზმები. რეზინის მილებიდან გამოსროლილმა წყლის ძლიერმა ნაკადმა წაღეკა ბრბო. მოასფალტებულ ქუჩებზე დარჩნენ მხოლოდ ისინი, რომელთაც ვერ შესძლეს ფეხზე წამოდგომა. ძლივს ძლივობით გამოვიყვანე ბრბოდან ჩემი მეგობარი ღურგალი. ზურგში წყლის ნაკადი მოხვედროდა და კინაღამ დაეღრჩო. უმუშევართა ბრბოები ბირჟაზე იზრდება. სამუშაო სულ არ არის.

მოვიქანცე ლოდინით. — მეტი ძალა აღარა მაქვს. მაგრამ ერთ თვეს კიდევ მოვითმენ. ეს იქნება უკანასკნელი თვე. შემდეგ კი... ეშმაკმა წაიღოს ჩემი ხუთი დოღარი. სისულელეა თან დაატარებდე ასეთ „კაპიტალს“ და ამავე დროს ბაზარზე აგროვებდე ბოსტნეულისა და ხილის ნარჩენებს! და ბაზარზედაც მართო მე ხომ არა ვარ! მექსიკანელი და ზანგი ყმაწვილები ისეთივე უმუშევრებია, როგორც მე ვარ. გუნდგუნდად, ქვიცილებივით, როგორც ბედურები, მიგოგავენ ბავშვები ბაზრის მოედანზე. ისინი ჩვენზე, მოზრდილებზე, უფრო მარდები არიან. ხშირად ისე მივდივარ ბაზრიდან, რომ სტაფილოს ერთ ფოთოლსაც ვერ ვმოულობ დასაღვქად. და ისევე დავყილობ ქუჩებში, ფიქრით ვსანსლავ ყოველივეს, რაც გამოფენილია ვიტრინებში. ვყლაპავ რა ნერწყვს და მარდად ვამოძრავებ ყბებს, წარმოვიდგენ, თითქოს რაღაცას ვკამაბლა წარმოდგენაშიაც კი მომჭირნობას ვიწყებ. მე დაუშვებელ ფუფუნებად მეჩვენება ფიქრიც კი ძვირფას ტკბილეულობაზე. ჩემს წარმოდგენას ნებას ვაძლევ ღეჭოს დაობებული კატლეთი ანდა ათცენტიანი სადილის ფაფა. ბოლოსდაბოლოს ამ ცარიელ ღეჭვას გაგიყებამდე მიყვევარ, მეჩვენება, თითქოს მტაცებელი მხეცი ღრღინის ჩემს გულ-მუცელს, ყინულის თითები

სრესენ ჩემს წლებს. გახურებული მახათი ჩხვლეს გულს. ჩემ თვალწინ ხან შავი, ხან ალისფერი, ხან მწვანე ბურთულები ირევა ჰაერში. გული მერევა. თავბრუ მესხმის. წელში მოხრილი მუცელზე ვიჭერ ხელებს და ვბღავი.

მეექვსე თვეა... დამე... დურგალი წევს, გახვეულია სქელ ტილოში და ძლივს ამოძრავებს ტუჩებს. მეხვეწება, არ გამოვუძახო სასწრაფო დახმარების კარტას.

— რისთვის? მე ვიცი, რომ განწირული ვარ... ნუ მაწუხებ... მე ისედაც მადლობელი ვარ შენი. ამ უკანასკნელ დღეებში დაერწმუნდი, რომ ცხოვრებაში მთავარია მეგობრობა.

ხველა აწყვეტინებს მას ბუტბუტს. მიყუჩდა... მე სულგანაბული, გატვრიებული ვზივარ და ყურს ვუგდებ მის სუნთქვას...

— როდესაც მოხდება რევოლუცია, მაგნატები შიმშილით უნდა დაისაჯონ, — ბუტბუტებს ის. რამდენიმე ხნის შემდეგ ჩურჩულებს: — მე ჯიბეში ანდერძი მაქვს...

„ბოდავს“, ვფიქრობ მე. ბნელაში, მიყრუებულ, უკაცურ ადგილას საზარელია... ჩუმად, ფეხის წვერებზე მივდივარ, რომ ტელეფონით დავუძახო საავადმყოფოს. მიუხედავად ჩემი საგანგაშო ხმისა, ქალის ხმამ მშვიდად მიპასუხა, რომ „ადგილი არ არის, მაგრამ ხეალ დილას შეიძლება განთავისუფლდეს“. გაფითრებულმა მივაგდე ტელეფონის მილი.

„შეიძლება ხეალ დილას განთავისუფლდეს“ — ეს ნიშნავს: „თუ ვინმე მოკვდა“.

დავბრუნდი თუ არა, ამხანავს დავახურე ტილოს ის ნაწილი, რომელიც მე მეკუთვნოდა. მივეყრდენი მას ზურგით და დაიწყო ფიქრი ისეთ საკმელზე, რომლის მიღებაც შეიძლებოდა უფასოდ და რომელსაც ჩემს გარდა ვერავინ მიხვდება, რომ ჭამოს... ვერა-

ვინ ჩემს მეტი. ვინა თქვა, რომ ძალიან, კატის, ყვავის ქორცისაა ჩემი მეტი? რა ბატონკაცები ჩემი მეტი, რა ცრუ აზრია! ლეკვის ზორცი, უთუოდ გემრიელი და ნაზია, ისეთი, როგორიც არის შინაური კურდღლის ზორცი. ერთი ახლან ჩამივიარდეს ხელში ლეკვი, მე იმას შევწვავდი ამ უკაცურ ადგილზე... და თითქოს ვყნოსავ კიდევ შემწვარი ზორცის სუნს, ვყნოსავ მის არომატს... ვღეჭავ... ვღეჭავ... ან-კი რატომ უნდა შეიწვას, როცა მისი მოხარება უფრო მარტივია... და მე ისევე ვღეჭავ... ვინა თქვა, რომ ზორცი აუცილებლად უნდა შეიწვას, როცა მისი ჭამა უმადაც შეიძლება? და მე ვღეჭავ, ვღეჭავ, ვღეჭავ... სახეზე აღმურია ამდის, სახე მეწვის... ერთნატივი მივლის ხელებსა და ფეხებში...

...ალიონმა გაანათა... ჩემი ხელი მოხვდა რალაც მაგარ, ჯირკვიით მაგარ საგანს. ეს დურგლის სხეულია. მე უკანვე გამოვიტაცე ხელი, როგორც გაგარვარებული თორნიდან. წამოვბეტი, გავიქეცი, ისევ დავბრუნდი. ბოლოს, შეშინებულმა, გადავხადე ტილო. პირველი იწვა. გადავხადე ტილო. მისი კეთილი თვალები დაიხუჭა სამუდამოდ. სახეზე სიმშვიდე აჩნდა. პიჯაკის ჯიბიდან კონვერტია ამოჩრილი. მაგონდება, რომ ის რალაც ანდერძზე ბუტბუტებდა. ეს ხომ არ არის ანდერძი? ვკითხვლობ: „ჩემს ჩონჩხს ვუანდერძებ ჩემს უკეთილშობილეს მეგობარს ვილი ბრაიტს, რათა მან მიჰყიდოს ის ანატომიურ მუზეუმს...“ საშინელი გრძნობა მიპყრობს. შევისევ ვსპობ ამ ქალალს.

დილის ბურუსი იფანტება. სულ უფრო ძლიერდება ქალაქის ხმაური... ქვეყანა დაცარიელდა და გადაიქცა ყრუ, უკაცურ ადგილად.

მეშვიდე თვეა...

— შენი მეგობარი კი ვერ მოესწრო რევოლუციას, — მზაკერულად მეუბნება მღებავი.



— ვერც შენ მოესწარი საკუთარ დუქანს, — ვუბასუხე მე... ამ დღეებში განუტევებ სულს. კარგა გელოდება შენ! — ვეუბნები გესლიანად.

ის ჩურჩულით იწყევლება და მიდის. მე მეტის მოთმენა აღარ შემიძლია. ეს ხუთი დოლარი ტყუიდან მშლის: ვიცადო თუ დაეხარჯო? შეიძლება მეც დღეს ან ხვალ მოულოდნელად ავად გავხდე, მოვკვდე და ჩემი ხუთი დოლარი ტყუილად დაიკარგოს. ხმამალალი ლაპარაკით, რის გამოც ყველა ყურადღებას მაქცევს, ბირჟისაკენ მივლასლასებ. უკანასკნელად მინდა შევხედო „ზვიგენის“ სახეს, დავრწმუნდე სამუშაოს შოვნის ლოდინის უაზრობაში. სისულელე და უაზრობაა ხუთი დოლარის შენახვა... სამუშაოს მიღება ისევე უიმედოა, როგორც იმედი იმისა, რომ ქუჩაში ბრილიანტს იპოვი. ამ ფიქრში გართული, მე შეუმჩნევლად შევედი ბირჟაში. ხალხი ნაკლებია, უმუშევართ სახეზე კი უიმედობა, სევდა და აპატია. არა! მე მეტს აღარ დავიცდი. დღესვე შევვამ, წაეიჭეიფებ. შევუკვეთავ როსტბიფს, ბიუტეჟს, პუდინგსა და ვისკის! მთელ ჩემს კაპიტალს, მთელ ხუთ დოლარს ერთბაშად, ყბის ერთი მოქნევით მოვსპობ. უკანასკნელად მსვდივარ ტიხართან, მაგრამ ისე ბეჯითად, რომ „ზვიგენი“ გაოცებული შემომცქერის თავისი რუხი, ბასრი თვალებით. ამ დროს ტელეფონი რეკავს.

— კარგი მისამართი?

„ზვიგენი“ რაღაცას წერს და დებს ტელეფონის მილს.

— რა გნებათ? — მეკითხება ის.

— სამუშაო!

— ფული არის?

— არის, არის. — ავთოთოლდი მე, -- დღემდე ვინახავდი.

ბირჟის მეპატრონე გაშტერებია მიცქერის.

— არის ფული! — სწრაფად ვიმეორებ და ამ სიტყვაში ვაქსოვ ჩემს სულს, მთელ გულისტევილს, მთელს ჩემს მი-

სწრაფებასა და იმედს. როგორ აგვიანებს პასუხს! ერთიც ვნახით, გადააფიქრა. ის ახლა უმუშევართა ახალ ჯგუფს დააცქერდა, აკვირდება მათ სახეს. ნერვები დამეკიმა და ლამის ავღრიალდე და ფეხები ვაბრაგუნო.

— კეთილი! — მესმის დასასრულ. — შემოდი.

მე მივდევი მას მეორე ოთახში. ის სკამზე ჩამოჯდა.

— ოცდაათი დოლარი თვეში, — მეუბნება ის.

ოცდაათი დოლარი, მცირე ხელფასია, რა თქმა უნდა, მაგრამ დროება ისეთია, რა ამაზე ფიქრიც ზედმეტია.

— კეთილი! — ვეთანხმები მე.

— ფული! — მიბრძანებს ის.

ჯიბიდან ვიღებ ქისას. „ზვიგენს“ ათი პროცენტი ეკუთვნის (თვიური ხელფასიდან). ეს უდრის სამ დოლარს. მე, მაშასადამე, კიდეც მრჩება ორი დოლარი სახარჯოდ, რომ მოვმაგრდე მუშაობის დაწყებამდე. დიდებულია აკანკალებული ხელით ვღებ სამ დოლარს მაგიდაზე.

— ცოტაა! — მესმის უკმაყოფილო ხმა.

— ათი პროცენტი... როგორც წესია... — ეჩიფჩიფებ მე.

— ცოტაა! — ის სკამიდან აღგომას აპირებს. მე სწრაფად ვღებ კიდეც ერთ დოლარს.

— ცოტაა! — მის ხმაში გაბოროტება და მუქარა ისმის. დგება.

ვღებ მაგიდაზე ჩემს უკანასკნელ დოლარს.

— ეს არის სულ! — და უკულმა ვაბრუნებ ქისას. ის ზურგიით შემობრუნდა ჩემსკენ. „წაე! წაე!“ — ვფიქრობ და თითქმის გონებებს ვკარგავ. გადახტი და გზა გადაუქვრი.

— მოიტა! — მუქართო ვაფათურებ ხელს უბეში, თუმცა იქ არაფერიც არა მაქვს. — მოიტა!

„ზვიგენი“ შემკრთალი იხევს უკან.



ჯდება თავის სკამზე და წერს წერილს. უკვე კარებში მესმის მისი ხმა:

— მოუსვი აქედან!

ჯანაბას მისი თავი და ტანი! მესურს ვიყვირო, გავიქცე, ვიციხო. ქუჩებზე გადარბენისას მესმის მძლოლუბის გინება ჩემი მისამართით. ახლა კი ვიცხოვრებ... ვიცხოვრებ... სადაა ჩემი მეგობარი დურგალი და მხოლოდ ბაღში, მყუდრო ადგილას, მოველი გონზე. ექვი შეეპარა ჩემს სიხარულს... ავიტან კი ამ სამუშაოს? მე ხომ არაქათგამოლუული და ღონემიხდილი ვარ! ოთხი დღის შემდეგ უნდა გამოვეცხადდე წებოს ქარხანაში. სამუშაო მძიმეა, რამე რომ მქონდეს გასაყიდი, გვეყიდდი და აღებული ფულით ექამდი, ცოტათი მოემგზრდებოდი ამ დღეებში: მაგრამ მე გასაყიდი არაფერი მაქვს, გარდა ყელსახვევისა. დიდი გაჭირვებით მოვახერხე ამ ყელსახვევის გაყიდვა ბაზარზე ათ ცენტად. სამი დღეა, ვხარჯავ დღეში ერთ ცენტს. ამ ფულით ვყიდულობ ოთხ კამფეტს — „ირისს“. ამაზე უფრო ყუათიანს ამ ფულით ვერაფერს იშოვი. ეს ოთხი კამფეტი და ქონის ბატარა სანთელი, — რომელსაც აგრეთვე საქმელად ვიყენებ, — შეადგენს ჩემს დღიურ ულუფას. მე შემთხვევით შემომჩნა სამი სანთელი. როცა დურგალი ცოცხალი იყო, ამ სანთლით ვანათებდით ჩვენს კარავს. ხოლო დღით, ალიონზე, სამუშაოზე წასვლის წინ, პირველად რამდენიმე თვის განმავლობაში, დავლიე ერთი ფინჯანი ცხელი ყავა და ერთბაშად შეეკვამე ორი ცენტის „ირისის“ რვა ნაჭერი. უფრო მხნედ ვგრძნობ თავს, მაგრამ ფაბრიკამდე რამდენიმე კილომეტრია და ჩემი მხნეობა მხოლოდ მანამდე მეყოფა, სანამ ფაბრიკის კარებამდე მივალწევ... როგორც იქნა, ქარხანაც გამოჩნდა. მტკივნეულად მიძგერს გული. ძლივს, შიშით ჩამოვწიე ზარის სახელური. ამოვისუნთქე, როცა ქარხნის კარები გაიღო. ეზოში გავლისას, თითქოს ბუ-

რუსში, ვხედავ რაღაც ფარდულეებს და მინაშენებს, ფარდულეებს და ადამიანთა სილუეტებს. საითაც მიიხედავ, ყველგან ყრია ნარჩენების, ტყავის, ძარღვების გროვა. მძიმე სუნი დგას. ვილაყა ხელიდან მტაცებს „ზვიგენის“ წერილს. შემდეგ მივყავარ ორმოსთან, მაჩრის ხელში ორთითას და მიბრძანებს — ორმოს ნათავსი ამოვყარო მაღლა, პლატფორმაზე. მე ვეშვები ორმოში. ფეხებს ვადგამ წებოვან აშშორებულ მასას. მაგრამ, რა მძიმეც არ იყოს, უნდა გავუძლო საღამომდე, რაღაც უნდა დამიჯდეს!

საღამოს ვთხოვ ანგარიშის გასწორებას ერთი დღის მუშაობისათვის, დავნაყრდები, ღამით გამოვიძინებ და დღეაზე უკვე მომაგრებული ვიქნები. შემდეგ უფრო ადვილი იქნება.

მაგრამ ნახევარი საათის შემდეგ უკვე ისე ვსუნთქავ, როგორც ქშინავს მწყობრიდან გამოსული, გაფუჭებული ორთქლმავალი. ოფლი თვალებში ჩამდის. მასა სქელი, მაგარი, წებოვანია. ამ მასას ძლივს ვგლეჯ პატარა ნაჭრებს. სხვა დროს ადვილად შევასრულებდი ამ საქმეს, მაგრამ ამჟამად არაქათი აღარა მაქვს.

— ცუდად მიდის შენი საქმე! — აღწევს ჩემამდე მომაკვდინებელი ხმა. — არაფრად არ ვარგა, ამბობს ოსტატი.

შეგვართი და მაღლა ავიხედე.

— მიჭირს, — ვუპასუხე ჩახლეჩილი ხმით — ვშიშვლობდი...

— გეტყობა, სადილობამდეც ვერ გაუძლებ, — განაგრძობს ოსტატი.

ოსტატმა უკმაყოფილოდ გააქნია თავი და წავიდა... ნუთუ მართლა ვერ გავუძლებ? მე ხუთი დოლარი მივეცი ამ ადგილისათვის „ზვიგენს“! ხუთი დოლარი! დაეკრიჭე კბილები და წყევაკრულვითა და სასოწარკვეთილებით ჩავურჭვე ორთითა მასას, როგორც მოსისხლე მტრის გულში! მოვწიე. მოვგლიჯე დიდი ნაჭერი, მაგრამ ამავე დროს გაისმა ქაბუნი...

სასოწარკვეთილებამ წუთით ძალ-  
ლონე მომიმატა. მე კბილი მოვტეხე  
ორთითას. უკან დაბრუნებულმა ოსტა-  
ტმა გაკვირვებისაგან მხოლოდ ხელები  
გააქნია.

— სასოწარკვეთილების ბრალია, —  
დაბალი ხმით განუვმარტე მე.

ოსტატი ახალ ორთითას მაძლევს.

— ასე ნუ დაატან თავს ძალას —  
მთლად არაქათი გამოგეცლება, — მე-  
უბნება ის. — გამოვეუშვი ორთქლი, ახ-  
ლა უფრო გაგაიდვილდება მუშაობა.  
აღრევე გეთქვა, მე ამას უფრო აღრე  
გავაკეთებდი.

— რა ვიციოდი?

— ეს მართალია!

როცა ოსტატი წავიდა, უცბად ფე-  
ხების ქვეშ რალაც აშიშინდა, აირია და  
ორმოდან მყრალი ორთქლი წამოვიდა.  
თანდათანობით მასა დარბილდა, მწე-  
ბავ ცომად იქცა. ფეხები ეფლობა ამ  
მასაში.

მუშაობა გაადვილდა, ბევრად უფრო  
გაადვილდა, მაგრამ დახეთ უბედურე-  
ბას! — უკვე გვიანაა... თავგამეტების  
უკანასკნელმა აღტყინებამ უკანასკნელი  
ძალა წამართვა და მე ძლივს ვდგავარ  
ფეხზე, რომ არ ჩავეფლო ამ ცოშში.

— ბოსი! მოდის! — მესმის ზემოდან  
ოსტატის ხმა. — ყოჩაღად!

მესმის იქით მიმავალი ოსტატის ფე-  
ხის ხმა. მის ნაცვლად მიახლოვდება  
ქარხნის პატრონის მძიმე, განზომილი  
ნაბიჯები. გული ძლივს ფეთქავს, ხო-  
ლო საშიში ნაბიჯები თანდათან ახლო-  
ვდება. ნაბიჯები შეჩერდა ჩემს ზემოთ.  
ბოსის ჩიბუხი ხიხინებს... მე მისი შე-  
ხედვისაც კი მეშინია. გადის მთელი სა-  
უკუნე. შემდეგ ნაბიჯები მშორდება.  
გულზე მომეშვა, მაგრამ ვგრძნობ, რომ  
დაძაბულობის გამო გონებას ვკარგავ.  
ძლივს მოვსწარ ორმოს კედელზე მი-  
ყრდნობა, თვალები დამიბნელდა.

— ამოდი! — მესმის ოსტატის ხმა. —

<sup>1</sup> ბოსი — წარმოების პატრონი ან ხელმძღვა-  
ნელი, მოურავი, საქმის ავანჰიანი.

აქ სხვას გამოვგზავნი. წადი აი, იმას-  
თან, — მიმითითა მაღალ<sup>1</sup> გულკეთილ  
ყმაწვილზე. ყმაწვილი<sup>2</sup> კუბაგროს<sup>3</sup> მი-  
იქცერის.

— წყალი! — დავიძახე.

ის სწრაფად მაწვდის ბოთლს. მე ხარ-  
ბად შევსვი წყალი.

— შიმშილობდი? — მეკითხება ის.

თავი დაუქნეი.

— ასეთია ჩვენი ხედრი! — დაფიქ-  
რებული ამბობს ის. — ახლა კი აიღე  
ორხელა.

ორხელებზე ნარჩენების დიდი გრო-  
ვები ყრია. ხელს ვკიდებ ორხელას სა-  
ხელურს და ვგრძნობ, თუ როგორ იშ-  
ლება ჩემი თითები.

— ძალა აღარა მაქვს, — დამნაშავესა-  
ვით ვიმართლებ თავს და ვგრძნობ,  
რომ თვალები ცრემლით მევესება. ყმა-  
წვილი დაბნეულად ტყეხნის ადგილს.

— ბოსმა არ დაინახოს მაინც!

საბრალომ არც იცის, როგორ მიშვე-  
ლოს. და მან, აი, დაინახა ურიკით  
მიმავალი ამხანაგი. ყმაწვილი ხელის-  
ქნევით ეძახის მას და რალაცას ელაპა-  
რაკება სლოვაკურ ენაზე. ამხანაგმა შე-  
მომახედა და სიტყვის უთქმელად მოკი-  
და ხელი ორხელას სახელურს. მათ  
ორივემ რბენა-რბენით გადაზიდეს რვა  
საგეს ორხელა.

— ახლა კი წამოდით იქით, — მეძახის  
მაღალი ყმაწვილი. მისი ამხანაგი კის-  
რისტებით მირბის თავის ურიკასთან.  
ჩვენ გამოვედით ეზოში საბარგო მან-  
ქანასთან, რომელიც დატვირთული იყო  
მარილის დიდი ტომრებით.

— მოდი, გადმოვტვირთოთ ამ ფარ-  
დულის ქვეშ! — მიმითითა ყმაწვილმა  
ტომრებზე.

პირველი ტომარა მან ზურგზე შეი-  
გდო და ადვილად წაიღო. მეორე ტო-  
მარა მე მერგო. ვგრძნობ, რომ ჩამი-  
ტყდება ხერხემალი, გაიხლიჩება მკერ-  
დი და გასკდება გული. ძლივს ავწიე  
ფეხი მიწიდან, გადავდგი ნაბიჯი, წავი-  
ბორძიკე და თავქვე დავეცი ასფალ-  
ტზე; ზემოდან ტომარა დამაწვა. ამაცა-

ლეს ტომარა და ფეხზე წამომაყენეს.

— შედი ფარდულის ქვეშ, წამოწეკი. ჩვენ უშენოდ დაველით, — ამბობს მძლოლი.

გაოგნებული ვწევარ ტომარაზე. მხოლოდ ერთი აზრი ღრღნის ჩემს ტვინს: „დაიკარგა ჩემი ხუთი დოლარი“.

ყმაწვილის ხელი მანჯღრევს.

— წავიდეთ!

— სადილობამდე რომ გავძლებდე, შესვენების დროს იქნებ მოვმავარდე, — ნაღვლიანად წარმოთქვი ხმამალა.

— ოსტატი ცუდი კაცი არ არის, მაგრამ ბოსი ნამდვილი მგელია, — ამბობს ყმაწვილი, — ყველგან თავის ცხვირს ჩაჩრის ხოლმე.

ვბრუნდებით სადგომში. ოსტატი მითითებს ბაქანზე, სახურავის ქვეშ, სამი სართულის სიმაღლეზე. იქ აწყვია მარილის გროვა, რომელიც თოვლის მთას მაგონებს.

— ეს მარილი სულ აქ ჩამოზიდე ურიკათი, — ამბობს ის, — იცოდე, ფრთხილად!

იქიდან, მოედნიდან, კლაკნილად, მაგრამ მაინც ციკაბოდ ჩამოდის ფართო საბიჯელა. მე ავღვივარ ბაქანზე ისე, როგორც სიკვდილმისჯილი ადამიანი ადის ეშაფოტზე. დაბლა, ჩემს ქვევით, ადამიანებია. იქნებ ჩამოვევარდე, მაგრამ განა სულერთი არ არის! ვტვირთავ ურიკას მარილით. ხელს ვკიდებ სახელურს. დაიძრა. ურიკას არ უნდა ხელისკვრა, ის თვითონ მიგორავს ძირს და თან მიმთარევს. საჭიროა მისი შეკავება, დამუხრუჭება. დიდი გაჭირვებით მიმყავს პირველი ურიკა ადგილამდე. მეორეს შეჩერება მომიხდა მოსახვევში. ვგრძნობ, იშლება ჩემი თითები, და ვაჩერებ მესამეს სამ ადგილას, რომ სული მოვიბრუნო. მეოთხეს შეჩერება უკვე აღარ ძალმიძს. ურიკა განზე მიგორავს... მიმთარევს უფსკრულში... მთელ ჩემს ძალ-ღონეს ვიკრებ, რომ როგორმე შევაჩერო და გავასწორო ის.

მაგრამ თითები იშლება. ურიკა საბიჯელას პირასაა.

— ფრთხილად! — გაისმის ჩემი საზარელი ძახილი. ქვევიდან მესმის ყვირილი, გამაყრუებელი გრუხუნი და მტვრევის ხმა.

როცა დარაჯმა ჩემს უკან გამოკეტა კიშკარი, ბარბაცით მივლასლასდი რომელიღაც ხეივანმდე, გზის პირას, და როგორც რეტდასხმული, დავეცი მიწაზე.

შუადღეა. მზე უხვად თავაზობს დედამიწას თავის სხივებს, სითბოს, სინათლეს. თავაზობს სიცოცხლეს. მისკენ, თითქოს სიხარულის ხელს უწვდისო, იხრება მავნოლის, პალმის, კიპაროსის შტოები. მისკენ იხრება ბალახი, ყვავილები; ყური დავადე მიწას და თითქოს მესმის მისი ძლიერი მაჯისცემა. გალობენ, ფართხალობენ, ჭიკჭიკობენ ჩიტები. და მხოლოდ მე ვსუნთქავ ძლიერ-ძლივობით. ვგრძნობ რალაც შემოჭავ, თითქოს სასიამო მიზნედილობას. არც შიმშილი, არც ტკივილი! აღბათ ასეთი გრძნობა იპყრობს მოყინულ ადამიანს. მაგრამ მეც ისევე მსურს სიცოცხლე, როგორადაც ამ ყვავილებს, ამ ჩიტებს, მზეს.

ჩემს ყურამდე აღწევს კვნესა. ნიშადურის, სპირტისა და იოდის მძიმე სუნი დგას. საავადმყოფოა. ელექტრონი თვალს მჭრის. თავის მობრუნების ღონე არ შემწევს; ვიცქირები ხან მარცხნივ, ხან მარჯვნივ. ყველგან საწოლებია. მარჯვნივ, ჩემსკენ ზურგშემოქცევით ზის შავ სერთუქში გამოწყობილი კაცი და რალასაც ჩიფჩიფებს. პასტორია. ხოლო წინ, თეთრ ბალიშზე მკვეთრად და საშინლად მოჩანს სანთელივით ყვითელი სახე დახუტული თვალებით და წვეტიანი ცხვირით. მიცვალებულია. შემაყრეოლა. ჩემსკენ ფინჯანით ხელში მოდის მოწყალეების და. ამ ფინჯანში, ცხადია, ბულიონია... შეიძლება მე გადავჩრე... მაგრამ ვინ დამიბრუნებს ჩემს ხუთ დოლარს! ხუთ დოლარს!

თარგმანი მ. ბოსტობაძისა.

## ბელუბისაქენ



პურს მკის, ლეწავს კომბაინი ჯანიერი,  
ესმის მწიფე ყანის ენა.  
კვალი გააქვს და გამოაქვს ვანიერი —  
სამანქანო გზის ოდენა.

შესე ყრის შეკრულ ბულულებად ნაპურალში,  
რა უხვია ყანის კალთა!  
ემარჯვება კომბაინერს, მხარბეჭეაშლილს,  
ოსტატურად საჭის მართვა.

და კალოზე ხორბლის ხეავი დგება ბორცვად,  
თავს ევლება ასი ხელი.  
კალოზეა დიდ-პატარა, არ აქეთ მოცლა,  
ელოდება პურს ბელელი.

ხორბლით სავსე დიდ ტომრებსაც გზა იზიდავთ,  
იჩქარიან, წასვლა უნდათ.  
მოგრიალდა აგერ ავტოც შარაგზიდან  
და ბელისკენ გაყვნი გუნდად.

დარჩენილებს ბრეზენტების მაზარები  
გვერდით უდევთ ავდრის შიშით.  
მოუთმენლად გზას გასცქერენ, ვით მგზავრები  
მანქანების მოლოდინში.

აგერ მტვერი წამოშალა ავტომ ისევ  
ტირიფებში, ღელის გაღმა...  
და ხორბალი მკერდგანიერ ბელუბისკენ  
მიისწრაფის, შიდის ტალღად.

მიისწრაფის, რომ შემატოს მამულს ღონე,  
კომუნისმის ოქროდ იქცეს,  
საზღვრებს იქით, ჩვენი მიწის ძარღვის მქონემ,  
ძმებს ძმობისთვის ძალა მისცეს.

დაუყვავოს, გაუჭარვოს მშვიერს კენესა,  
დაანახვოს გზები ფართო...  
მხნე სიცოცხლის და მშვიდობის დიად თესლად  
ქვეყანაზე გაიფანტოს.

## ციკლიდან „ლექსები სოფხითზე“



### ნავით სივანზე

მე მებადურის მარჯვენას ვლოცავ,  
მე მიყვარს ბაღე —  
    მზეში გაბმული!  
და მოუთმენლად ველი დღეს, როცა  
სევანს ვეწვევი, ვით მებადური...  
აჰა, ამ დილით,  
    ამ ნისლიანში  
როგორც გმირები ზღაპრულ  
    თქმულების  
ნაგები ჩუმად მისრიალებენ  
თეთრები, როგორც ბამბის ქულები.

და ვზივართ ნავში  
    უთქმელად, ყუჩად,  
ირგელივ სიჩუმე მეფობს მისნური;  
სევანი უცებ გადაიღურჯა —  
ახლახან თეთრად გადანისლული.

გადაიღურჯა... რაღაც ზღაპრული  
თევზები ხტიან ტალღის უბეში.

ნაგები თეთრი —

    მწკრივად გაბმული  
მისრიალებენ ამ სიღურჯეში...

მისრიალებენ... და შენი მზერა  
როცა შეხვდება კალმახის თვალებს,  
შუქი იელეებს, ვით ბედისწერა  
და ნაპერწკლები ავსებენ ნაგებს.  
ლაშქობა.

    ტბაზე ეშვება ბინდი,  
ბაღეებს ჰფენენ ბიჭები რიგად, —  
ახლა ნისლიან ტალღაში მიდის  
ნავი და მოჰგავს სულხანის იგავს.

ეჰ, ბაღე მქონდეს...

    ის ჩემი ბაღე!  
ვერ მაჯობებდნენ მე ეს ბიჭები...  
გზა მშვიდობისა

    კალმახებს კარგებს!  
შენ კი... შენ არა!  
    შენ დაგიჭერდი...

### ყვავილები რაზღანის პირად



არავის უთქვამს...

    მგარამ ვიცანი  
ეს მუქწითელი ჩვენი იები,  
გარდები ჩვენი —

    პირიმზისანი,  
პირიმთვარისა და გულღიები.  
შემომათენდა ზღვისპირად თითქოს,  
სუხუმში ვიყო,  
    ვიყო გაგრაში...

ყვავილებს წითლებს

    სულ თითოთითოდ  
თეთრ ყვავილებთან ჰქონდათ თამაში.  
და მართლაც...

    შემდეგ მებაღემ მითხრა  
ეფინა თეთრი წვერი მკერდამდე,  
რომ იგი თვითონ სუხუმში დიდხანს  
ზრდიდა ყვავილებს ნაზს და  
    ფერადებს:

„გაზაფხულის მზეს,  
ენძელას,  
იას  
ერთად მოგვაყრის მაისი უხვად...  
რაზდანი მოქქუს ლალი და მღვრია,  
თქვენთან არაგვის ტოტებიც ქუხან.

აბიბინდება მინდვრები.  
ცახცახს  
იწყებს ფერები მდინარისპირად,  
ვარდები ამკობს ეზოს და სახლსაც...  
რაზდანის ნაპირს —  
ერთფერი გვიმრა!  
და ყვავილები არის შეენება!  
სიმღერას იწვევს,  
სიყვარულს იწვევს...  
ფერები ფერებს მიეშველება  
და გასაოცრად მოქარგავს მიწებს!

... როცა გზისპირად გამართეს კერა,  
იგრძნეს შრომელის ძაღვებმა,  
უყვავილებოდ...  
მე ასე მჯერა,  
გულს სიხარული უნახევრდება.

ვახარე ბალი...  
ვაშა ყვავილებს!  
რაზდანი მზეში ლივლივებს ლალად...  
ეს ზღვისპირია და სიყმაწვილე,  
ხედავ —  
ზღვისფერი მოლეღავს ტალღა!  
ფერები ფერში არის ჩართული,  
მოჰყვათ სურნელი,  
შერჩათ სინაზე...  
ეს ყვავილები თქვენი, ქართული  
ტურფად ხარობენ ამ ჩვენს მიწაზე“.

### ალბომში



რა მწველი არის მზე სამხრობისას!  
ის სიყვარულის იერთებს ძალას...  
მეც ასეთი მაქვს ძალა ტრფობისა,  
მაგრამ შენს მიმართ, ძვირფასო, ვმაღავ.  
ვმაღავ...

ეგ გული რომ არ დაგეწვეს,  
თვალებიც შეგარჩეს ნაზი და მშვიდი...  
ასე ყოველთვის, — ასე მრავალწელს  
მე შენთვის მზეში ჩეროებს ვშლიდი.

მიყვები მგზავრი სევანის ტბის პირს,  
შრიალებს ტბა და შეფეხები ცვიავ;  
ვსველდები, მაგრამ მე აღარ მიკვირს  
ამ სიცივეში რატომ არ მცივა.

ვხედავ შენს სახეს და თვალებს შენსას,  
და გული ღელავს ისე მზურვალი...  
მე შემძლია სევანი შევსევა,  
ვიცი —

დავრჩები მაინც მწყურვალი!

ყოველთვის, — როცა დამეებს ვათევ,  
ვწრიალებ, ვერსად ველარ ვჩერდები,  
შენი თვალების ეშხიან ნათელს  
დილის შეუქვივით შევაჩერდები.  
გზილავე!

ღრუბელს მიაპობ მარტოდ  
და ეჯიბრები ცაში არწივებს!  
გზა მშვიდობისა!

მე სხივიც მათბობს  
ჩემთვის ციდან რომ ჩამოაწვიმე...



როცა არწივი ცაში ტრიალებს,  
მუდამ ტრიალებს მართვესთან ახლოს;  
მე ისევ წავალ დილით თრიალეთს  
და შენს სარკმელთან რომ ვეღარ მნახო  
იცოდე — მაინც ახლოს ვტრიალებ!

მე წავალ... ვიტყვი სიყარგეს შენსას,  
და სიყვარულის ნექტარს რომ შევსვამ  
ქვეყნიდან-ქვეყნად ამაყად ვივლი...



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

იმღერე! შევსვათ! დაე დიდება  
და გაუმარჯოს სიყვარულს ჩვენსას!  
გულზე ხანძრად რომ დაგვეკიდება —  
იმ სიყვარულის დიდების შევსვათ...

ვიმღეროთ! შევსვათ! შრომას დიდება.  
დე გაუმარჯოს სიყვარულს მტკიცეს...  
გულზე ხანძრად რომ წაეკიდება —  
გულეები ისეთ სიყვარულს მივსცეთ!





## ქუთაისელი მთავრობილავები



გარიჟრაჟიდან საყვირის ხმაზე  
 როს ელვიძებათ მშრომელ ქალაქებს,  
 ჩემ ქუთაისის კრიალა ცაზეც  
 მზე დიდებულად ამოანათებს.  
 მაშინ სიმღერით ახალგაზრდები  
 დაზგებისაკენ მიიჩქარიან,  
 ისე გაისმის უროს დარტყმები,  
 თითქოს რკინის და ცეცხლის ზარია.  
 შრომით ნაწრთობი სიმართლე გულის  
 შემართულ ვაჟკაცს სიმხნევეს ჰმატებს,  
 ძმასავით შეზრდილს ძმასავით უველის,  
 ჩარხიც არასდროს არ უღალატებს.  
 ასე მგონია, დაზგა და ჩარხი  
 ესაუბრება კაცის თითქოს,  
 დატრიალდება, გამოსჭრის ხრახნილს,  
 ენას ჩაუდგამს უენო ლითონს.  
 გაკრიალებულ ჩარხების რიგი  
 ჩამწკრივებულან გოლიათებად,  
 ჩვენს დიდ ქარხნებში შექმნილა იგი,  
 ვუცქერ და, ძმებო, გული ნათლდება.  
 მჭედელს, ჩამომსხმელს, ზეინკალს, ხარატს,  
 მტვიფრავს, ამწყობს და ხელმართალ მრანდავს —  
 დე, ჯანმრთელობა ჰქონოდეთ მარად,  
 ვუსურვებ მუდამ სიკეთეს მრავალს.  
 დე, შეუსრულდეთ, რაც რომ ინატრონ,  
 რასაც შრომის დროს გულში მღერიან,  
 ვიცი, ფიქრობენ, თუ რა შეჰმატონ  
 ჩვენს დიდ სამშობლოს, მრავალგერიანს.  
 ჩადგა, მიწყნარდა ქარი ვერაგი,  
 ახლა სიკეთის სხვა დღეებია,  
 ამიტომ ვარდნი ფერად-ფერადნი  
 ქარხნის ეზოშიც იღიმებიან.



## თრაუთა



გვეფრქვევა ღიმილი იენისის წყნარი ცის,  
— ღიღება მშვიდობას!  
— სიცოცხლე სიცოცხლეს!  
იცის: მწერალი ვარ, რასაც ვწერ, არ იცის,  
რუსულიც არ იცის,  
ქართული საიდან იცოდეს...

მეც თუმცა სკოლაში ვსწავლობდი გერმანულს  
ძლივს ვუგებ თრაუთეს,  
ძლივს მიგებს თრაუთე  
და, როცა ქალიშვილს ვუქებდი ჩემს მამულს,  
ეხ, თურმე ლაპარაკს  
ქართული სიტყვებიც ჩავერთე.  
არ იცის, რასა ვწერ, იცის: პოეტი ვარ,  
სიმღერის სიყვარულს მე დღესაც გავუთევ,  
თვალზე სიხარულის ცრემლი მოედინა  
— წერე სიყვარულზე!  
ნაზი ხმით ჩურჩულებს თრაუთე.

— დაწერე, ამ ქვეყნად ომი რომ არ იყოს,  
გულს ტკბილი სიმღერის ლამპარი აუნთე,  
ოთხივ მხრივ სიცოცხლის ზარებმა დარეკონ,  
წერე სიყვარულზე!  
ლალი ხმით მომძახის თრაუთე.

მე მცირე ჩრდილსაც კი მრისხანედ დავუტევე,  
ვადიდებ მზესა და ოქროსფერ ჩემს მამულს...  
რა ვუყოთ? რუსული არ იცის თრაუთემ,  
ქართულიც არ იცის,  
და მეც ძლივს ვახერხებ გერმანულს.

— დაწერე! ხომ ერთი ენა აქვს სიყვარულს,  
ის ენა მეც ვიცი, შენც იცი თრაუთე!  
ამ ენამ იხაროს, სულ ვარდი იყაროს;  
მას ჰქვია სიცოცხლე!  
მე დღესაც სიყვარულს გავუთევ.



თუ გყვარებია მართლაც სულამდის,  
ეს სულერთია, ვინ გყვარებია,  
თუ მოგიპარავს მისი სურათი  
და მერე დიდხანს გიტარებია...

თუ გუშინდელი მწველი წარსული  
ცეცხლის თვალებით მოგნათებია,  
თუ ერთხელ მაინც ომში წასული  
მამის ალერსი მოგნატრებია,

თუ ქარმა წვიმის წვეთი მოფანტა  
და ყელზეც მისი ლბილი თმებია,  
თუ სადგურიდან შენს კარგ სოფლამდის  
ყანაში ეიწრო ბილიკებია.

თუ ჯერ შენს გარდა არვის უნახავს  
ატმები როგორ იმოსებიან,  
თუ გაწოლილხარ ხნულში გულადმა  
და გაზაფხულზე გიოცნებია.

თუ დაგმალვია ველზე ენძელა,  
ვერ დაგინახავს, ეგეც ბედია,  
თუ მოგიპარავს ნედლი ცერცველა  
და გზად შეველე შეგფეთებია...

თუ ქარმა ჭადრის ფრთა ვერ მოსტეგა  
და იფანსა გრებს მოქნილ ტანიანს,  
მერე ამდგარა და შენს ქოხამდის  
მინდერის სურვილი მოუტანია.

სწორედ ამიტომ ნუ გაიოცებ,  
რომ სხეებზე მეტად შენი ხმის მჯერა,  
რომ ლამაზია შენი სიცოცხლე  
და გულწრფელია შენი სიმღერა.

## ჩუქურთმისმჭრელის სიმღერა

☆

ჩუქურთმის მჭრელი ბიჭი ვარ,  
ჩემს საქმეს ნეტავ სხვა რა სჯობს,  
შევხარი უცებ წამოზრდილ  
ცამდე აზიდულ ხარაჩოს,  
უენო ქვაში გამოვთლი  
წითელ კაბიან ყაყაჩოს.

მზეს გამოვტაცებ, ელვარე  
სხივებს მთებზე რომ ართავენ,  
ქვაში გამოვთლი მღელვარე  
ოქროს დაღალა თავთავენს,  
აბობოქრებულ ზღვასავეით  
ღელვას რომ აღარ ათავენს.

ისეთ ხარაჩოს მივწვდები,  
შენს გულში შიში დაბადოს,  
სასახლეს მოვაგვირისტებ,

გაუსწროს ზეცის კაბადონს.  
შიგ შენს მზის თვალებს ჩავხატავ,  
ჩემი ოცნების საბადოვ.

მოდიან, პატარძლებივით  
გამოწყობილი სახლები,  
მოდიან, სიხარულის და  
ლურჯი ჭანდრების თანხლებით,  
დღეიდან სამუდამოდო  
ქუჩაზე ჩამოვსახლდებით.

ჩუქურთმის მჭრელი ბიჭი ვარ,  
ჩემს საქმეს ნეტავ სხვა რა სჯობს,  
შევხარი უცებ წამოზრდილ  
ცამდე აზიდულ ხარაჩოს,  
უენო ქვაში გამოვთლი  
წითელ კაბიან ყაყაჩოს.

პარლ კალაძე

## მაიაკოვსკი \*



დაახასიათო მაიაკოვსკი — ეს ნიშნავს, ილაპარაკო საბჭოთა პოეზიის მაღალ პოზიციებზე, მის მაღალ თვისებებზე, ვინაიდან, როგორც „პრავდა“ აღნიშნავს: „მგზნებარე საბჭოთა პატრიოტი, შთაგონებული მომღერალი კომუნისტური პარტიისა — მაიაკოვსკი მთელი თავისი პოეტური ხმის სიძლიერით მედგრად იბრძოდა კომუნისტების გამარჯვებისათვის.“

მისი ყოველი უკეთესი ნაწარმოები ჰიმნია ახალი ცხოვრებისა, — მათში პოეტურად განზოგადებულია ჩვენი დიდი ეპოქის ნიშნები: მსხვერვეა ძველის და შენება ახალი სოციალისტური წყობისა.

მაიაკოვსკიში გამოვლინდა ახალი ტიპის შემოქმედის ყველა თვისება, — ეს იყო პოეტი-ტრიბუნი, საზოგადო მოღვაწე და აღფრთოვანებული პროპაგანდისტი ლენინ-სტალინის პარტიის დიადი იდეებისა“.

დაახასიათო მაიაკოვსკი — ეს ნიშნავს, ილაპარაკო მსოფლიოს პროგრესულად მოაზროვნე პოეტებზე, ვინაიდან მაიაკოვსკი ამჟამად დროშაა ყველა რევოლუციურად განწყობილი შემოქმედისათვის.

დაახასიათო მაიაკოვსკი — ეს ნიშნავს, ილაპარაკო მრავალერიან დიდ საბჭოთა ქვეყანაზე, ილაპარაკო დღევანდელი დღის დიდ საბჭოთა პოეზიაზე, ვინაიდან, როგორც ჩვენმა საყვარელმა

ბელადმა თქვა, „მაიაკოვსკი იყო და არის ჩვენი საბჭოთა ეპოქის საუკეთესო და უნიჭიერესი პოეტი“.

საბჭოთა ქვეყნის საუკეთესო პოეტები თავიანთი მრწამსით, შემოქმედებითი საქმიანობით მაიაკოვსკის პოეტურ გზას განაგრძობენ. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ყველა პოეტი თავისი პოეტური ხმით, გამოხატვის საშუალებებით მხოლოდ და მხოლოდ მაიაკოვსკის სკოლას ეკუთვნოდეს! სოციალისტური რეალიზმის პრინციპებზე მდგომი საბჭოთა პოეზია მრავალხმიანი და მრავალფეროვანი უნდა იყოს, როგორც თვით მაიაკოვსკი იტყოდა ხოლმე.

ვ. მაიაკოვსკის ლექსის დამახასიათებელი ძალა და თვისება მის პოლიტიკურ სიმახვილეშია. ვ. მაიაკოვსკი საკითხს მუდამ ფართო მასშტაბით აყენებს. ეს საკითხები საზოგადოებრივად, პოლიტიკურად აქტუალური საკითხებია.

ვ. მაიაკოვსკის ნაწარმოებების ცენტრში ყოველთვის ადამიანი დგას — თავისი შრომით, ბრძოლით, სულიერი მისწრაფებებით. ამავე დროს, მაიაკოვსკის ლექსი არ არის აღწერილობითი ხასიათისა.

მაიაკოვსკის აქვს დიდი უნარი ახლის დანახვისა. ეს ახალი კი გადმოცემულია ცოცხლად და დიდი ოსტატობით.

ძველს, მანკიერს, ყალბ გრძნობებს, კაპიტალისტურ გადმონაშთებს მაიაკოვსკიზე უფრო მკაცრად გამანადგურებელი მტერი არასოდეს არა ჰყოლია.

\* წაკითხული 1953 წ. 18 აპრილს მაიაკოვსკის დაბადებიდან 60 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე.

მაიაკოვსკი უდიდესი სატირიკოსია. მას ამ მხრივ ჰენრიხ ჰაინე თუ შეედრება.

გონებაამახვილობა და იუმორი თითქმის ყველა მისი ლექსის თანდაყოლილი თვისებაა.

დაეყრდნო რა რუსული კლასიკური ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციებს, მაიაკოვსკიმ, როგორც ნოვატორმა, რუსული ლექსი ვიწრო კამერული, დეკადენტური კარჩაკეტილობიდან ხალხით სავსე მოედანზე გამოიტანა. პოეტმა მალალი პათოსით, ორიგინალური პოეტური ხერხების გამოყენებით შეძლო შეექმნა ახალი სასაუბრო-პოეტური ენა, რითაც იგი ხალხს გულჩამწვდომად ელაპარაკებოდა ცხოვრების დიდ თემებზე.

მაიაკოვსკი ტრიბუნია, აღტაცებული მადიდებელი ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციისა, დიდი ლენინისა. ჩვენი საბჭოთა პატრიოტიზმი ასე ძლიერად და დამაჯერებლად სხვას არავის გამოუხატავს.

თავისი მეტყველებით მაიაკოვსკი ნამდვილად ხალხურია, მაგრამ არა ხალხური ლექსის იმიტატორი. იგი თავისი დროის მასების ენით გადმოგვცემს მოვლენებს და სწორედ ესაა მისი ნოვატორობა. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ლიტერატურული ვარჯიშობის წლებს, მაიაკოვსკის ლექსის ფორმა ასათვისებლად არ არის მიიმე ანდა ძალით გართულებული, როგორც ეს ძველ ლიტერატურულ ტრადიციებზე აღზრდილ ზოგიერთ მკითხველს ჰგონია. მისი პოეტური ფრაზა ლაკონური და პირდაპირია, როგორც ლოზუნგი.

მაიაკოვსკი საერთოდ უბრალოდ, გულგადაშლით გვესაუბრება, მოგვიწოდებს, გონებაამახვილი გამოთქმებით და მაგალითებით გვაგრძნობინებს მოვლენებს. დამახასიათებელია, რომ პოეტი არ ცდილობს ლექსი ამღერებული იყოს. მისი ლექსი, მიუხედავად იმისა, რომ მდიდარ ალიტერაციებზე და რითმებზე

ზეა აგებული, სასიმღერო ტექსტად ძნელად თუ ვინმეს გამოადგმობს.

მაიაკოვსკის თავისი ლექსი გამიზნული ჰქონდა ხალხის წინაშე წარმოსათქმელად, და რიტმულადაც თავის დიქციას უმორჩილებდა.

მაიაკოვსკისთვის დამახასიათებელია მქადაგებლის მალალი პათოსი, ჰიპერბოლური გამოთქმები, სურათები, შედარებები. დამახასიათებელია, აგრეთვე, იგავისებური განზოგადებანი. მიუხედავად ამისა, მისი ლექსი არ არის განყენებული, არაკონკრეტული. ეს იმის გამო, რომ მაიაკოვსკის ყოველ ნაწარმოებს თავისი ლირიკული გმირი ჰყავს. გრძნობ, რომ ყოველ ლექსთან აეტორი თავისი ბიოგრაფიით არის დაკავშირებული. ლირიკული ლექსისთვის კი ეს აუცილებელია.

ვლადიმერ მაიაკოვსკის გამარჯვების მთავარი პირობა მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ორგანულ მთლიანობაში უნდა ვეძიოთ.

მაიაკოვსკი ოქტომბრის რევოლუციის ორგანული და განუყოფელი ნაწილია. როგორც თვით პოეტი აღნიშნავს, „მივიღო თუ არა ოქტომბერი? — ასეთი კითხვა არ არსებობდა ჩემთვის. ჩემი — რევოლუციაა. წავედი სმოლნში, ვმუშაობდი, ეაკეთებდი ყველაფერს, რაც ხელში მომხვედებოდა“...

ერთი სიტყვით, იგი უცხო პოზიციებიდან არ იყო მოსული და ამიტომ მისთვის რევოლუციის მიღება-არმიღების საკითხი არც იდგა.

მაიაკოვსკი მოსკოვს რევოლუციური სულსიკვეთებით ანთებულ ჭაბუკად მოევიღნა. თვითონ პოეტი აღტაცებით იგონებს მისი სულიერად ჩამოყალიბების პირველ წლებს — ბაღდადს, ქუთაისს, არალეგალურ პროკლამაციებს, მოწაფეთა გაფიცვებს, რიონს, ალიხანოვის დამსჯელ რაზმებს. 1905 წლის გამოსვლები წარუშლელ შთაბეჭდილებებს ახდენენ ახალგაზრდა მაია-

კოვსკიზე. პოეტი მთელი არსებით რე-  
ვოლუციონერთა მხარეზეა:

...და თავისუფლების დილა სისხლიანი  
ღებდა, ეს ხსოვნა წუთისა-  
და აი, შე ვისერი, მე, გმირი არსენა,  
ყუშპარას ამ ცხრაას ზუთისას!

(„გლადიოსტოკიდან თბილისამდე“  
თარგმ. ირ. აბაშიძისა).

სიყვარულით იგონებს პოეტი იმდრო-  
ინდელ საქართველოს. რამდენჯერ გაგ-  
ვიგონია, როდესაც მაიაკოვსკი თავის  
ბოხი ხმით ზეპირად ამბობდა იმ დროს  
ხალხში გავრცელებულ ქართულ ლექსს:

მეგობრებო, წინ, წინ, გასწით,  
ნუ შედრკება თქვენი გული,  
დე, მკერდს სისხლის დიდი ანდეს  
და შეპლს ოფლის ნაკადული!  
წინ, წინ, მედგრად შეებრძოლოთ  
ჩარხუელმართ ამ ჩვენს დროსა,  
ჭირის ოფლში გაეატაროთ  
სიმაართის და ძმობის დროშა!

ეს ლექსი, როგორც ვიცით, ირო-  
დიონ ევდოშვილს ეკუთვნის, და მაია-  
კოვსკის ხასიათს უთუოდ ზედმიწევნით  
ეფარდება თავისი მომწოდებელი პა-  
თოსათ. ამგვარად, მაიაკოვსკიმ სიყმაწ-  
ვილე გაატარა რევოლუციური აფეთ-  
ქების წლებში, ახალგაზრდა სტალინის  
და მისი თანამებრძოლების მიერ დაწე-  
რილი პროკლამაციების, მარსელიო-  
ზის, გაფიცვებისა და რევოლუციური  
ლექსების გარემოცვაში. 1908 წელს  
პოეტი უკვე მოსკოვშია და როგორც  
ბოლშევიკური პარტიის წევრი, პროპა-  
განდისტულ მუშაობას ეწევა.

მაიაკოვსკი მალე ბუნტარულად გან-  
წყობილ ხელოვანთა წრეს დაუახლოვ-  
და. აქედან იწყება მისი მეთოდური  
ბრძოლა ახალი ზელოვნების შესაქმნე-  
ლად.

მაიაკოვსკიმ ამ წლებში ხარკი ფუ-  
ტურიზმსაც გადაუხადა, მაგრამ, თუ  
პოეტის მისწრაფებებში სწორად გა-

ვერკვევით, მას თავის ლიტერატურულ  
ბრძოლებში და საქმიანობაში რე-  
ვოლუციონერულ მოტივებს უფრო  
ლომდე შერჩა სიახლოვე იმ ახალ კლას-  
თან, რომლის პარტიის წევრიც ის იყო;  
შემოქმედებით მაიაკოვსკი პროლეტა-  
რული მწერლობის მამამთავართან —  
მაქსიმ გორკისთან და პროლეტარულ  
მწერლებთან უფრო ახლო იყო, ვინემ  
კრუჩონიხისა და სხვების ზაუმნიკურ  
ვარჯიშობებთან.

ვ. მაიაკოვსკი გრძნობდა, რომ იღგა  
საბჭოთა პოეზიის სათავესთან და თვით  
ეძებდა ახალ ფორმებს, ახალ გზას  
ახალი მწერლობის განვითარებისა-  
თვის.

ბრძოლა გამოუცხადა რა ძველ, დამ-  
ყაყებულ ლიტერატურულ ტრადი-  
ციებს, მაიაკოვსკი დაუღალავად ეძებ-  
და და რაზმავდა ახალ მკითხველს. მან  
კარგად იცოდა, რომ სწორედ ახალი  
შეგრძნებით და ახალი მოთხოვნილე-  
ბით მოსული მკითხველი გაიგებდა ნო-  
ვატორი პოეტის რევოლუციური სუ-  
ლისკვეთებით სავსე შემოქმედებას.

მაიაკოვსკის დიდი დამსახურებაა ამ  
ახალი მკითხველის დარაზმვა და აღ-  
ზრდა.

მაიაკოვსკის შემოქმედება მუდამ  
მტკიცე კონტაქტში იყო საბჭოთა ინ-  
ტელიგენციასთან, მუშებისა და წი-  
თელარმიელების, მუშთაყელებისა და  
კომკავშირელების წრეებთან. უფრო  
სწორად რომ ვთქვათ, ისინი ერთად  
ჰქმნიდნენ დიდი საბჭოთა პოეზიის სა-  
თავეს და, როცა ეს მდინარება წინ და-  
იძრა, ფუტურიზმი ქვის ლორღივით და  
ნაფოტებივით შერჩა რიყეს.

მაიაკოვსკი ამხედრებული იყო ბურ-  
ჟუაზიული ესთეტიკის წინააღმდეგ. პო-  
ეტი ებრძოდა რელიგიასა და კაპიტა-  
ლისტურ წესწყობილებას. გაიხსენოთ  
პოემა „შარვლიანი ღრუბელი“ და, გან-  
საკუთრებით, პირველი იმპერიალის-  
ტური ომის წინააღმდეგ მიმართული  
ლექსები — „ომი გამოცხადდა“, „დედა  
და გერმანელების მიერ მოკლული სა-



დამო“, დიდი პოემა „ომი და მშვიდობა“, რომელიც გორკის „ლეტოპისში“ დაიბეჭდა. ეს უკანასკნელი ომის საშინელებების გამოხატებით გორკის მაშინდელ შეხედულებებს ენათესავება.

რევოლუციის და სამოქალაქო ომის წლებში მიაიკოვსკიმ მთელი სიძლიერით გაშალა მხრები „მარცხენა მარშით“ და „მისტერია ბუფით“, დებეშათა სააგენტოს პლაკატებით და სატირული ლექსებით.

ერთ-ერთმა სატირულმა ლექსმა, სახელდობრ, „სხდომებს გადაყოლილმა“ ხომ დიდი ლენინის მოწონებაც დაიმსახურა.

მიაიკოვსკიმ თავის მახვილად დაწერილი კომედიებით საბჭოთა თეატრის აღორძინებაშიაც მიიღო აქტიური მონაწილეობა.

გლ. მიაიკოვსკის შემოქმედება თავიდანვე რეალიზმის გზით მიიმართებოდა. ჩვენი ეპოქის დიდი პოეტი სულ მალე წამომიართა მთელი სიმბალით და შექმნა საბჭოთა პოეზიის შედევრი „ვლ. ილ. ლენინი“. ეს პოემა მრავალმხრივ არის საინტერესო. დიდი ბეჭადის სახის პოეტურად გამოკვეთა პოემის სულ სხვა კომპოზიციას და სულ სხვა მხატვრობას მოითხოვდა.

ცნობილია, რომ ვ. მიაიკოვსკი ამ პოემას ისევ და ისევ მუშათა აუდიტორიასთან დაკავშირებით ჰქმნიდა და ასწორებდა.

დროა —  
დაეწყებ  
შე ლენინზე ამბავის თბრობას.  
არა იმიტომ,  
რომ ვარაში  
გულს აღარ ახლავს, —

დროა,  
რადგანაც სვედიანი  
ფიჭრების გროვა  
დიწმინდა და  
შევიცანიო ტყვილა ნათლად.  
ფროვბავ,  
ესეც

ლენინური ლოზუნგა დაქარა

ნეთუ  
მოგწუდება  
გირჩინესული  
გინგლირთინჯა

ჩვენ ცრებლება,  
ვით ნიაღვარა?!

ცოცხლებზე უფრო  
დღეს ცოცხალი,  
ლენინო, დგახარ,  
ჩვენი ცოდნა ხარ,  
ჩვენი ძალა და  
იარალი.

(„ვლადიმერ ილიას-ზე ლენინი“, თარგმანი შ. პატარაძისა).

პოეტი იწყებს ეპიკური გაშლით და შემდეგ ყოველი ფურცელი პოემისა გზიბლავთ თავისი სიღრმით, სიმართლით და უშუალობით.

ეს პოემა მართლაც საბჭოთა პოეზიის მწვერვალია. რა უბრალოდ და რა კარგად არის დახატულრ, მაგალითად, მუშა ხალხისა და ლენინის ურთიერთობა:

შე ვნახე მუშა,  
წერა-კითხვის უცოდინარა,  
ჯერ არ ვგეშნა  
ანბანის სიტყბო.  
მაგრამ ლენინის  
მოესმინა მას საუბარი

და ყველაფერი  
იყოღა შიტომ.  
მსმენია გლეხის,  
ციმბირელის,  
სიტყვა დენილის;  
ვირვეთ,  
სამოთხედ  
ჩვენ ვაქციეთ  
სოფლის ველები.

არ წაეციოხათ,  
არ ესმინათ  
იმათ ლენინი  
და მაინც იყვნენ  
ლენინელები“

პოეტის პოემა „კარგია“ აგრეთვე დიდი გამარჯვება იყო. აქ მკვეთრად იგრძნობა მიაიკოვსკის ოპტიმისტური სულისკვეთება. სიყვარულით ხატავს პოეტი ჩვენი სამშობლოს დღევანდელ დღეს, წარსულს, მომავალს... მას ახა-

რებს ჩვენი ქვეყნის ყოველივე ახალი, ყოველ წერილმანში ხედავს ოქტომბრის დიდ გამარჯვებას. იგი სიამაყით მღერის, როგორც უბრალო საბჭოთა მოქალაქე:

ქვეყნის  
ყველა მხარე  
თითქმის  
შოვიარე, —  
მე სიცოცხლეს ვებრძო,  
იგი კარგი არი,  
და ცხოვრებაე ქვეყნად —  
მეტად სანუჯვარი.

(„კარგია“, თარგმ. გრ. ცეცხლაძისა).

გაკვრით მინდა ორიოდ სიტყვა ეთქვა მიაიკოვსკის ქართულ თარგმანებზეც.

მიაიკოვსკი მრავალჯერაა გამოცემული საქართველოში, მრავალი მთარგმნელი ცდილა მის ქართულად ამეტყველებას. სახელგამის მიერ ახლადგამოცემული ერთტომეული დიდი სიყვარულით არის შედგენილი, მაგრამ, როგორც ჩანს, მხოლოდ სიყვარული და მონდომება არ შევლის საქმეს. მიუხედავად იმისა, რომ აქა-იქ მიაიკოვსკის ლექსების კარგი თარგმანები გვხვდება, მაინც საერთო შთაბეჭდილება ისეთია, რომ თარგმანი ვერ დააკმაყოფილებს მკითხველს. მიაიკოვსკის ლექსის თარგმანისათვის პოეტური გასაღები ჯერ კიდევ მონახული არ არის.

მიაიკოვსკის ხელახლად თარგმნა ჩვენი პოეტების გადაუღებელი ამოცანაა. როგორც ზემოთაე აღენიშნეთ, მიაიკოვსკი განსაკუთრებით ცდილობდა მუდმივ ურთიერთობაში ყოფილიყო ახალი ქვეყნის მშენებელ მასებთან.

მას თავისი ახალი ნაწარმოები, თავისი შეხედულებანი დიდი აუდიტორიის წინაშე გამოჰქონდა ყოველთვის. ისიც უნდა ითქვას, რომ ავტორის მიერ წაკითხულ ლექსს განსაკუთრებული ემოციური ძალა ეძლეოდა.

მიაიკოვსკი შესანიშნავი მკითხველი იყო.

მიაიკოვსკის უყვარდა მოგზაურობა. რა თქმა უნდა, საქართველოშიც მისი სტუმარიც გახლდათ. საქართველოსადმი სიყვარული მას მრავალ ლექსში გამოუხატავს.

ცალკე აღსანიშნავია მისი მოგზაურობა დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში. მისმა ლექსებმა და მოხსენებამ — „ამერიკის ჩემ მიერ აღმოჩენამ“ წარუშლელი კვალი დატოვა ჩვენს მწერლობაში.

იშვიათად გაუკრავს ვინმეს კაპიტალისტური სამყარო სამარცხვინო ბოძზე ისე, როგორც ეს შეძლო მიაიკოვსკიმ. გადაავლო რა მახვილი თვალი ბურჟუაზიულ ყოფა-ცხოვრებას, კულტურას, მიაიკოვსკიმ კიდევ უფრო მეტი დამაჯერებლობით აღიშალა ხმა, როგორც ჩვენი საბჭოთა ქვეყნი უპირატესობით გაამაყებულმა! და მთელი შთაგონებით უმღერა დიად საბჭოთა ხალხს, ლენინისა და სტალინის დიდ პატივს.

მიაიკოვსკის ყოველი ჩამოსვლა თბილისში ჩვენი ახალი მწერლობის, საბჭოთა მწერლობის ზეიმი იყო. იგი ქართველი პოეტების გულითადი მეგობარი გახდა. ისმენდა ჩვენს ლექსებს, ეცნობოდა ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებას. იგი ახალი პოეზიის ამოცანებზე მუდამ გულდასმით გველაპარაკებოდა.

ქართული საბჭოთა პოეზია დიდად არის დავალებული მიაიკოვსკისაგან. მიაიკოვსკის მაგალითით გამაჩნევებულნი, ჩვენც ვცდილობდით ახალი ქვეყნის მშენებელი მასების ერთი გვეთქვა ჩვენი სიმღერა. ჩვენც ვოცნებობდით მიაიკოვსკისებურად:

მომავალ წლების ცეკაკაში  
მიმოიხანს ტალღა,  
თავს დავადგები პოეტების  
მღელვარე რიგებს  
და ვით პარტიილეთს, ბოლშევიკურს,  
ავმართავ მალღა  
ასტომეულად გამოცემულ  
პარტიულ წიგნებს.

ჩვენ გვინახავს თბილისში ჩამოსული მაიაკოვსკი—ახოვანი, ქუჩაში ფართო ნაბიჯით მხნედ მოსიარულე, სიყვარულით რომ ათვლიერებდა ჩვენს ქალაქს. იგი თავისი პიროვნებით მართლაც ცოცხალი განსახიერება იყო ერთა ძმობისა.

ჩვენ მუდამ სიყვარულით და აღტაცებით ვუსმენდით მას, საბჭოთა პარტიოტიზმის ამ უდიდეს მომღერალს, ჩვენს მაიაკოვსკის, ჩვენს პოეტს. და როცა იგი თავის „საბჭოთა პასპორტს“ კითხულობდა შემართული ხელით, ჩვენ გულის თრთოლვით განვიცდიდით მის სიტყვებს:

ბიუროკრატიზმს  
მგელივით დავებენ,  
ქალაღებს თავზე  
ლაფი დავასხი,  
ეშმაკისა და  
ჯანდაბისკენ  
ყველა მანდატი,  
მაგრამ ამას — კი...  
ვიღებ  
ჯიბიდან  
და მახალისებს,

თითქოს

საგანძურს ძვირფასულ ვალაქებს  
წაიკითხეთ და  
შურით აღივსეთ  
საბჭოთა ქვეყნის  
ვარ მოქალაქე.

გულის თრთოლვით განვიცდიდით ამ სიტყვებს, რადგან ჩვენ ვიცოდით რომ მაიაკოვსკის ამ პასპორტში, სადაც აღნიშნული იყო მისი სახელი და გვარი— „ვლადიმერ ვლადიმერის-ძე მაიაკოვსკი“, იქვე 1899 წლის 19 ივლისია მიწერილი და მისი სამშობლო სოფელი ბალდადი. ჩვენ ვაპაყობთ, რომ საქართველო მაიაკოვსკის სამშობლოა.

ვლადიმერ მაიაკოვსკიმ თავისი ცხოვრებით და შემოქმედებით შესანიშნავად გამოჩაბა დიდი რუსი ხალხის და ქართველი ხალხის განუყრელი ძმობა. მისი ლექსები დღესაც ახალგაზრდული სიცოცხლით ავსებენ ჩვენს დიდ საბჭოთა ლიტერატურას. ვლ. მაიაკოვსკი ჩვენი ეპოქის უნიჭიერესი პოეტია.



# მაიაკოვსკი და ლემოკაგიული გერმანიის პოეზია



საბჭოთა ქვეყნისა და საზღვარგარეთის მოწინავე პოეტებს სავსებით სამართლიანად მიაჩნიათ მაიაკოვსკი თავიანთ მასწავლებლად. ვ. მაიაკოვსკის სამართლიანად ეკუთვნის პირველი ადგილი სოციალისტური ეპოქის პოეზიის აყვავების საქმეში.

მსოფლიოს პროგრესულ პოეზიას, რომელზედაც კეთილყოფელი გავლენა მოახდინა მაიაკოვსკის შემოქმედებამ, მშვიდობისათვის ბრძოლის შესანიშნავი ტრადიციები აქვს. ეს პოეზია დღეს საერთაშორისო მასშტაბით წარმოადგენს კომუნისტური იდეების მქადაგებელს, ახალი ცხოვრების მომღერალს და მადიდებელს.

თანამედროვე მსოფლიოს მოწინავე პოეზია გამოხატავს ყველა კეთილი ნების ადამიანის სულიერ ცხოვრებას, მათ იდეურ ერთიანობასა და დარაზმულობას საერთო-სახალხო საქმისათვის — მშვიდობისათვის საბრძოლველად.

ვლადიმერ მაიაკოვსკი თავის ზღაღღ იდეურ და მხატვრულად უზადლო ქმნილებებში უშუალოდ ეხმაურება დღევანდელობის ამ ყველაზე აქტუალურ საკითხს. დღესაც ჩვეული სიძლიერით გრგვინავს მაიაკოვსკის მოწოდება: „ჩვენ გვინდა მშვიდობა“.

ვ. მაიაკოვსკი ვაბედულად მოუწოდებდა საერთაშორისო პროლეტარიატს, ევროპის მშრომელ ხალხს თავისუფლებისა და მშვიდობისათვის ბრძოლისაკენ. ამასთანავე იგი შთაბაგონებელ ძალად იქცა ამ ხალხის წიაღიდან გამოშლული პოეტებისათვის.

მაიაკოვსკისა და მისი შემოქმედების

გავლენას განიცდიან მსოფლიოს ისეთი მოწინავე პოეტები, როგორც არიან: ფრანგი ლუი არაგონი, ჩინელი ემო სიო, თურქი ნაზიმ ჰიქმეთი, ჩილის პოეტი პაბლო ნერუდა, გერმანელები: იოჰანეს ბეხერი, ერიკ ვაინერტი, ბრეხტი, მიუჰჰამი, კუბა, ჰერმონინი დნ სხვ.

გერმანელი ანტიფაშისტი პოეტები, რომლებმაც მეორე სამშობლო საბჭოთა კავშირში პპოვეს, ხარბად დაეწაფნენ გორკისა და მაიაკოვსკის შემოქმედების ცხოველყოფელ წყაროს. სამამულო ომის ქარიშხლიან დღეებში მათი ლექსები მოუწოდებდნენ გერმანელ ხალხს ფაშისტური ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ, საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარე ხალხებთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებისა და განმტკიცებისაკენ.

მებრძოლი რევოლუციონერი პოეტები: ბეხერი, ვაინერტი, ბრეხტი, ვოლფი, გრაიფი, მიუჰჰამი და სხვები თავიანთს შემოქმედებითსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობაში ხელმძღვანელობდნენ მაიაკოვსკის მიერ შესანიშნავად გამოხატული საბჭოთა მწერლის უმაღლესი იდეალით:

მინდა კალამი ხიშტს გაუტოლოს,  
იყოს თუჯიდან, ფოლადიდან გამოკვეთილი

მართლაც, მათი კალამი, მათი მხატვრული სიტყვა ხიშტის როლს ასრულებდა ფაშისტი ბარბაროსების წინააღმდეგ ბრძოლაში.

საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატი იოჰანეს ბეხერი მაიაკოვსკის თაობის პოეტია. თავისი შემოქმედების

ოქტომბრის რევოლუციამდე პერიოდში იგი იმყოფებოდა ექსპრესიონისტული პოეზიის გავლენის ქვეშ. ამ გავლენისაგან იგი განთავისუფლდა მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირში საფუძვლიანად გაეცნო და აითვისა გორკისა და მაიაკოვსკის მდიდარი შემოქმედებითი გამოცდილება. ბეხერის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების საქმეში განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა მაიაკოვსკის რევოლუციურმა პოეზიამ.

ბეხერის პოემები „ლენინის კუბოსთან“ და „დიადი გეგმა“ დაწერილია მაიაკოვსკის ეპიკურ ნაწარმოებთა უშუალო გავლენით. მაგალითად, პოემა პირველ სტალინურ ხუთწლედზე „დიადი გეგმა“ საგრძნობლად ემსგავსება მაიაკოვსკის „150.000.000“-ს. თავის სტატიებსა და მაიაკოვსკისადმი მიძღვნილ ლექსებში ავტორი თვითონ მოგვითხრობს ამ გავლენის შესახებ. 1939 წ. დაწერილ ლექსში „მადლობა მეგობრებს საბჭოთა კავშირში“ ავტორი მიმართავდა მათ: „მადლობას გიძღვნი თქვენ... მხოლოდ აქ შევქელი მე კვლავ გამეშალა პოეტური ფრთები“. საბჭოთა კავშირში ცხოვრების წლები ბეხერისათვის გადაიქცა შემოქმედებითი აყვავების წლებად.

დემოკრატიული გერმანიის მეორე მოწინავე პოეტი ერიკ ვაინერტი ცნობილია, როგორც პოლიტიკური ლექსისა და ორატორული ხელოვნების უბადლო ოსტატი. ამ მხრივ იგი ბევრად ჰგავს თავის დიდ რუს თანამებრძოლს ვლადიმერ მაიაკოვსკის. როგორც მაიაკოვსკისათვის, ვაინერტის აზრითაც, ლექსის დანიშნულებაა — იქუხოს რევოლუციური მიტინგების ტრიბუნებიდან, მოუწოდოს მასებს კომუნიზმის განხორციელებისათვის ბრძოლისაკენ.

განუწყვეტელი კავშირი მასებთან, ცხოვრების შესწავლა უშუალოდ, და არა წიგნების მიხედვით, მგზნებარე პარტიული შემართება, მძლავრი სიძულე-

ლი იმ ლიტერატორებისადმი, რომელთაც თავი მოჰქონდათ „პოეტურად პოლიტიკის გარეშე“, შემდეგ წესი მთავარია, თავისი შემოქმედების შეგნებელი დაქვემდებარება პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ამოცანებისადმი, — ყოველივე ეს ვაინერტმა ისწავლა ვ. მაიაკოვსკისაგან.

საინტერესოა ის, რომ 1930 წ. გამოცემულ ლექსების კრებულს „ერიკ ვაინერტი ლაპარაკობს“ წამძღვარებული აქვს დევიზი, გამოხატული რამდენიმე სიტყვით: „ჩვენი ხელოვნება აწყობილია მხოლოდ ერთ ჰანგზე: „რევოლუცია“.

ხელოვნებისა და პოეტის დანიშნულების საკითხს მაიაკოვსკისებურად უდგება ერიკ მიუჰზაიცი: „ჩემი ხელოვნების და ცხოვრების მიზანი ერთი და იგივეა: ბრძოლა, რევოლუცია, მშრომელთა გამარჯვება“.

ვაინერტი თითქმის 10 წელი ცხოვრობდა საბჭოთა კავშირში. აქ თემატიკურად გამდიდრდა და იდეურად გაჯანსაღდა ვაინერტის შემოქმედება. ამ პერიოდში მისი ლექსების ძირითადი თემა გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანა, მისი ბრწყინვალე მიღწევები მატერიალური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში.

ვაინერტი ხალისით და გატაცებით თარგმნიდა რუსული ლიტერატურის კლასიკოსების — ბუშეინის, ლერმონტოვის და სხვათა ნაწარმოებებს. გერმანულ ენაზე მანვე თარგმნა მაიაკოვსკის რამდენიმე პოეტური ქმნილება, რომლებიც დიდი პოპულარობით სარგებლობენ გერმანელ მკითხველთა ფართო მასებში.

ვ. მაიაკოვსკის შემოქმედების საფუძვლიანად გაცნობაში მნიშვნელოვანი გარდატეხა მოახდინა პოეტ გრაიფის მსოფლმხედველობაში. ეს გარდატეხა აღბეჭდილია მთელ რიგ მის ლექსებში. გრაიფი ჩვენს ქვეყანაში იმყოფებოდა 1933 წლიდან სამამულო ომის დამთავ-

რებამდე. ამ ხნის განმავლობაში იგი დაეუფლა რუსულ ენას და თარგმნა ლერმონტოვისა და მაიაკოვსკის ნაწარმოებები. შეიძლება ითქვას, რომ მთელ სიცოცხლეში მას შთააგონებდა მაიაკოვსკის გმირული და ოპტიმისტური პოეზია.

თანამედროვე ავსტრიელი პოეტი ჰუგო ჰუპერტი, რომელიც ამჟამად დიდი პასუხისმგებლობით მუშაობს „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანზე, ცნობილია, როგორც საბჭოთა ეპოქის უნიკიერესი პოეტის ნაწარმოებთა მთარგმნელი. მისი ორიგინალური შემოქმედებაც არაა მოკლებული მაიაკოვსკის გავლენას.

ვ. მაიაკოვსკის შემოქმედების ცხოველყოფილი გავლენა ძლიერია დემოკრატიული გერმანიის ახალი თაობის პოეტებზედაც. ასეთებია, მაგალითად, კუბა (კურტ ბარტელი), ჰერმლინი, ვიპი და სხვ.

სამამულო ომის დამთავრების შემდეგ გამოვიდა კუბას პირველი ეპიკური ნაწარმოები „პოემა აღამიანზე“. მასში მხატვრულადაა დახასიათებული ეპიკობრიობის განვითარების ისტორიული პროცესი, მოცემულია სოციალიზმის წარმოშობისა და აღორძინების წარმტაცი სურათები.

განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ პოემის მთელი წყობა ატარებს მაიაკოვსკის შემოქმედების კეთილისმყოფელი გავლენის კვალს. საინტერესოა აგრეთვე შემდეგი ფაქტი. 1949 წ. კუბამ იმოგზაურა საბჭოთა კავშირში, იყო საქართველოშიც. ამ მოგზაურობის შედეგად მან შექმნა მნიშვნელოვანი მხატვრული ნაწარმოები „კანტატა სტალინზე“.

„ამ ნაწარმოების შექმნის იდეა პირველად საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს დაემბადა. გერმანელ დელეგაციასთან ერთად მეც ვეწვიე მოსკოვს, ლენინგრადს, ვიყავი გორში და ვნახე სტალინის სახლი. შთაბეჭდილებათა წიგნებში მე მღელვარებით ვკითხუ-

ლობდი სტალინისადმი უდიდესი მადლიერებით აღსავსე სიტყვებს. რბილისში ძველმა მუშებმა მე მოპოებრეს ბელადის ჭაბუკობის შესახებ.

ლენინგრადში არქიტექტორმა, რომელმაც ქალაქის მშენებლობის პროექტი მიჩვენა, მითხრა: „ისინი სტალინმა გასინჯა“.

პირველ მაისს წითელ მოედანზე ვნახე სტალინი. მე და ჩემი ამხანაგები ვაკვირდებოდით ბელადის ბრძნულ და უბრალო სახეს და უნებურად გვაგონდებოდა, თუ როგორ ვუსმენდით ემიგრაციაში მყოფი გერმანელი ანტიფაშისტები რადიოთი წარმოთქმულ მის სიტყვებს. „გათავდა გერმანიის ღამე, ფაშიზმი დედამიწიდან აღიგვება“, ვიძახდით ჩვენ, როდესაც ვიგონებდით შორეულ მოსკოვიდან წარმოთქმულ მშვიდ სიტყვებს.

როდესაც შინ დავბრუნდი, მტკიცედ გადავწყვიტე, დამეწერა დიდი ნაწარმოები ყველაზე დიდ აღამიანზე. მისი ცხოვრება და მოღვაწეობა იმდენადაა დაკავშირებული საბჭოთა ქვეყნის ისტორიასთან, ხოლო სოციალიზმის ქვეყნის ყოველი წელი ისე აღსავსეა უდიდესი მნიშვნელობის მქონე ამბებით, რომ მე დავწერე თხუთმეტი სიმღერა და პოემის პირველი თავი ვერც კი დავამთავრე. მაშინ გვერდზე გადავდე ჩემი ნაწერი და ხელახლა გადავიკითხე მაიაკოვსკის ლექსები. მე მის შემოქმედებას კარგად ვიცნობ, მაგრამ ყოველთვის როდესაც ვკითხულობ მის პოემას „ელადიმერ ილიას-ძე ლენინს“, პოეტის უდიდესი სიამაყე მიპყრობს. მე მთლიანად წავშალე ჩემი თხუთმეტი სიმღერა და კანტატა დავიწყე 1924 წლის ამბებიდან“.

ეს ამონაწერი, რომლის ავტორია დემოკრატიული გერმანიის ახალგაზრდა ნიჭიერი პოეტი, ნაციონალური პრემიის ლაურეატი კუბა, მკაფიოდ ადასტურებს მაიაკოვსკის შემოქმედებითი ნიმუშების დიდ გავლენას მის პოეზიაზე.

დღეს, სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობითი გადასვლის პერიოდში, მაიაკოვსკის ლიტერატურული მემკვიდრეობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს კომუნიზმთან მსოფლიოს მოწინავე პოეტების იდეური დაახლოების საქმეში. საზღვარგარეთ ახლა ლიტერატურის

საუკეთესო ნაწარმოებები ეკუთვნით იმ მწერლებს, რომელნიც, განიკლინა არა გორკის და მაიაკოვსკის კეთილსმოჭმედ გავლენას, გრძნობენ თავიანთ განუყოფელ იდეურ კავშირს კომუნიზმთან.



## გვინებარე რევოლუციონერი და დიდი მესნიერი

ნ. ბ. ჩერნიშევსკის დაბადებიდან 125 წლისთავისათვის



მიმდინარე წლის 24 ივლისს მთელი საბჭოთა კავშირის ხალხები აღნიშნავენ დიდი რუსი რევოლუციონერი-დემოკრატის ნ. გ. ჩერნიშევსკის დაბადების 125 წლისთავს. ჩერნიშევსკის სახელი განსაკუთრებით ძვირფასია საბჭოთა ხალხისათვის. მას პირველი ადგილი უჭირავს XIX საუკუნის რევოლუციონერ-დემოკრატთა სახელოვან ეპოქაში, რომელმაც ესოდენ დიდმნიშვნელოვანი როლი ითამაშა რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობისა და რევოლუციური იდეების განვითარებაში. ჩერნიშევსკი რუსეთის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის უშესანიშნავესი წინამორბედი იყო.

დიდად აფასებდნენ ჩერნიშევსკის მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები. კ. მარქსი მას დიდ რუს მეცნიერსა და კრიტიკოსს უწოდებდა. ვ. ი. ლენინს ჩერნიშევსკი თანმიმდევარ და მებრძოლ დემოკრატად, კაპიტალიზმის იმ შესანიშნავ და ღრმა კრიტიკოსად მიაჩნდა, რომლის თხზულებებს „კლასობრივი ბრძოლის სული დასტრიალებს“. ი. ბ. სტალინმა ჩერნიშევსკი დიდი რუსი ხალხის უკვდავ შვილთა შორის მოიხსენია.



ნ. გ. ჩერნიშევსკი დაიბადა 1828 წ. 24 ივლისს ქ. სარატოვში. საშუალო განათლება მან სარატოვის გიმნაზიაში მიიღო, ხოლო უმაღლესი — პეტერბურგის უნივერსიტეტში. უნივერსი-

ტეტის დამთავრების შემდეგ ჩერნიშევსკი მასწავლებლობდა 1853 წლამდე, როდესაც იგი მოწინავე იდეების ქადაგებისათვის სკოლიდან დაითხოვეს. 1853 წლიდან იწყება ჩერნიშევსკის მოღვაწეობა ჟურნალ „ოტჩეტვენიე ზაპისკიში“, ხოლო 1856 წლიდან — „სოვრემენიკში“, რომელიც მეფის ეანდარმერიამ 1862 წლის ზაფხულში, ჩერნიშევსკის დაპატიმრებასთან ერთად აკრძალა 8 თვით. 1862 წლის 19 ივლისს დააპატიმრეს ნ. გ. ჩერნიშევსკი და პეტრე-პავლეს ციხეში ჩააკეტეს. აქ დაწერა მან თავისი შესანიშნავი რომანი „რა ვაყეთოთ?“, რომელიც 1863 წელს „სოვრემენიკში“ დაიბეჭდა. 1864 წელს ნ. გ. ჩერნიშევსკი კატორღაში გაგზავნეს. აქ დაჰყო მან 1871 წლამდე, რის შემდეგ შორეული ციმბირის ვილუსკის ციხეში გადაგზავნეს. რევოლუციონერების — ლობათინისა და მიშკინის ორგზის ცდამ, მოეწყოთ მისი ციხიდან გაქცევა, უნაყოფოდ ჩაიარა. ვილუსკის გადასახლებაში იტანჯებოდა ჩერნიშევსკი 1883 წლამდე, როდესაც რევოლუციონერის ნათესავეებისა და ახლო მეგობრების, განსაკუთრებით ჩვენი სახელოვანი თანამემამულის — ნიკო ნიკოლაძის დიდი ცდის შემდეგ იგი ციმბირიდან გადმოიყვანეს ქ. ასტრახანში, სადაც პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ ცხოვრობდა. მხოლოდ 1899 წელს შეძლო ჩერნიშევსკიმ მშობლიურ სარატოვში დაბრუნება, სადაც იგი იმავე წლის 29 ოქტომბერს გარდაიცვალა.



ნ. გ. ჩერნიშევსკი სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა გასული საუკუნის 60-იან წლებში, როდესაც ისტორიის მიერ საბრლოოდ განწირულ ფეოდალურ-ბატონყმურ წყობილებას რუსეთში ახალი, კაპიტალისტური საწარმოო ურთიერთობანი ცვლიდნენ.

რუსეთის ცხოვრებაში, XIX საუკუნის 50 — 60 წლები ქვეყნის კლასობრივ ძალთა გამოჯენისა და კლასობრივი ბრძოლების გამწვავების ხანა იყო. ყოველდღიურად იზრდებოდა და ძლიერდებოდა გლეხთა აჯანყებები. ყირიმის ომში სამარცხვინოდ დამარცხებულმა და გლეხთა აჯანყებებით დაშინებულმა მეფის მთავრობამ 1861 წლის 19 თებერვალს ბატონყმობის გაუქმების შესახებ გამოაქვეყნა „მანიფესტი“, რომელიც, ნიკო ნიკოლაძის მოსწრებული გამოთქმით, „მძარცველობისა და უაჩალობის, სიყალბისა და დანაშაულის დაკანონებას“ წარმოადგენდა.

ეს მდგომარეობა მეტად ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა რევოლუციური გამოსვლებისათვის, მაგრამ მის განხორციელებას აბრკოლებდა ის, რომ რუსეთის გლეხობა მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ამოღებული რევოლუციური ბრძოლების გაჩაღების შეგნებამდე. ამ შეგნების გაღვივებას და გაძლიერებას ემსახურებოდა რუსეთის იმდროინდელ რევოლუციონერთა მცირერიცხოვანი რაზმი ნ. გ. ჩერნიშევსკის მეთაურობით.

ჩერნიშევსკის პოლიტიკური პროგრამა, რომელიც ბატონყმური წყობილებისა და მისი გადანაშთების მოსპობისათვის ბრძოლას ისახავდა მიზნად, სავსებით ნათლად და სწორად გამოხატავდა მშრომელი გლეხობის მისწრაფებებს, მის საზოგადოებრივ იდეალს.

ჩერნიშევსკი ქვეშაირი რევოლუციური გამბედაობითა და თავდადებით აჩალებდა შეურაცხველ ბრძოლას „რეფორმის“ ბატონყმური ხასიათის წინა-

აღმდეგ და უშიშრად ქადაგებდა მიწების ხალხისათვის უფასოდ გადაცემას. ჩერნიშევსკი კრიტიკის ცეცხლს მიმართავდა არა მარტო მთავრობისა და მისი უშუალო მსახურების, არამედ მეფის პოლიტიკის მიმართ შემარცხველური დამოკიდებულების მომხრე იმ ლიბერალების წინააღმდეგაც, რომლებიც, ვ. ი. ლენინის დახასიათებით, მემამულეთა საკუთრების ერთგული დამცველი იყვნენ და გაშმაგებით ებრძოდნენ მათი ბატონობის სრული დამხობის აზრს.

თავის იდეურ თანამესაგრებთან ერთად ჩერნიშევსკი გაბედულად იბრძოდა რევოლუციური ორგანიზაციის შექმნისა და მშრომელთა შეიარაღებული აჯანყების მომზადებისათვის. ამ მიზნით დაწერა მან პროკლამაცია „საბატონო გლეხებს“, რომელშიაც სოფლის მშრომლებს უთითებდა საყოველთაო-სახალხო აჯანყების მომზადების გზებზე და უშიშრად მოუწოდებდა მათ რესპუბლიკური წყობილების დამყარებისაკენ.

ფეოდალურ-ბატონყმური წყობილების კრიტიკასთან ერთად ჩერნიშევსკი ქვეშაირიტად მეცნიერული სიღრმით ამხილებდა მშრომელთათვის დაუსრულებელი წამებისა და ტანჯვის მომგვრელ კაპიტალისტურ წყობილებას. ჩერნიშევსკი არათუ მეცნიერულად აკრიტიკებდა კაპიტალიზმს, ბურჟუაზიულ წყობილებას, არამედ მოუწოდებდა მშრომლებს ამ წყობილების დამხობისაკენ სახალხო რევოლუციის საშუალებით. ამ რევოლუციის ერთ-ერთ მებრძოლად ჰყავდა წარმოდგენილი თავისი თავი ჩერნიშევსკის და ამით შთაგონებული, ერთ კერძო ბარათში წერდა, რომ იგი მუდამ მზად არის შთელი თავისი სიცოცხლე თავისუფლების, ძმობისა და ერთობის გამარჯვებას შესწიროს.

ბრძოლის ამ პათოსითაა გაყენებული ჩერნიშევსკის შთელი ფილოსოფიური,

სოციალ-პოლიტიკური, ლიტერატურულ-კრიტიკული შემოქმედება.

დიდმა რევოლუციონერმა შესანიშნავად იცოდა, რომ კაცობრიობას საბოლოო იდეალების განსახორციელებლად გასაღველი აქვს დაბრკოლებებით აღსავსე გზა და რომ ეს „გზა ნების პროსპექტი არ არის“. ჩერნიშევსკის მხატვრული გამოთქმით, იგი ხან დამტვერილ და ხან კიდევ დატალახებულ მინდვრებზე, ჭაობებსა და უღრან ტყეებზე გადის და ამიტომ, ვისაც „წალების დასერის ენინია“, ის საზოგადო მოღვაწეობას არც უნდა შეუდგესო.

ჩერნიშევსკი თავისი ქვეყნის დიდი პატრიოტი იყო. მას დიდი ადამიანის ტიტანური ძალით უყვარდა სამშობლო, სწამდა მისი დიდი მომავალი და საკაცობრიო დანიშნულება. რევოლუციონერის რწმენით, ყოველი ადამიანის უწყმიდესი მოვალეობაა თავისი სამშობლოს სამარადისო სიკეთისა და დიდებისათვის ზელის შეწყობა. ასეთი ადამიანი იყო, ჩერნიშევსკის დაბასიათებით, ბელინსკი და ამიტომ ამბობდა იგი დიდი რუსი რევოლუციონერისა და კრიტიკოსის მისამართით, რომ მისი ძლიერების საიდუმლოება პატრიოტულ გრძნობათა პათოსში მარხიაო.

ჩერნიშევსკის რევოლუციური და დემოკრატიული პატრიოტიზმი სრულიად თავისუფალი იყო შოენინიზმის, ნაციონალიზმისა და ძველი რუსეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვადასხვა ხალხისადმი ქედმაღლური დამოკიდებულების ყოველგვარი ნიშანწყალისაგან. დიდი რუსი რევოლუციონერი ცარიზმის დიდმპყრობელური პოლიტიკის დაუძინებელი მტერი იყო და დაუღალავად იბრძოდა ამ პოლიტიკის წინააღმდეგ ბოლონეთში, უკრაინასა და კავკასიაში. ასეთივე ენერგიით ებრძოდა იგი სლავთა და უნგრელთა ჩაგვრას ავსტრიაში, იმპერიალისტური ინგლისის მხეცურ კოლონიურ პოლიტიკას ირანში, ინდოეთში, ჩინეთში, ამერიკელ მონათმ-

ფლობელ-პლანტატორთა მიერ ზანგების დასამონებლად ჩატყნულ ნებსადაგლეთ და სხვ.

ჩერნიშევსკი ერთა თანასწორუფლებიანობის იდეის დამცველი იყო და ღრმად სწამდა, რომ ყოველ ხალხს უფლება აქვს თავისი ცხოვრება მოაწყოს ისე, როგორც მას სურს. ამიტომ თანაუგრძნობდა დიდი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატი ჩაგრულ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, რომელშიც იგი დემოკრატიულ ტენდენციათა დამცველი იყო ყოველთვის.

მთელი თავისი დიდი გზნებარებით: სძულდა და ებრძოდა რა ექსპლოატორულ წყობილებასა და მის დამცველთ, ნ. გ. ჩერნიშევსკიმ, ისტორიული პირობების გამო, ვერ შეძლო ამალუბულიყო კლასობრივი ბრძოლისა და რევოლუციის მარქსისტულ თეორიამდე და ამიტომ სოციალიზმში გადასვლის საშუალებად იგი გლეხურ რევოლუციას თვლიდა. ამ მხრივ ჩერნიშევსკი უტოპისტი იყო, მაგრამ, წინააღმდეგ დასავლეთელი უტოპისტებისა, საბოლოო მიზნისაკენ მშვიდობიანი რეფორმისტული გზით სიარულის მომხრე იგი არასოდეს არ ყოფილა. პირიქით, მას მხოლოდ სახალხო რევოლუცია მიაჩნდა საკაცობრიო იდეალების განხორციელების საიმედო იარაღად.

ნ. გ. ჩერნიშევსკის, როგორც გლეხური რევოლუციის ბელადისა და სოციალ-უტოპისტის შესანიშნავი სურათი დახატა დიდმა ლენინმა, რომელიც წერდა: „ჩერნიშევსკი იყო სოციალისტი-უტოპისტი, რომელიც ოცნებობდა სოციალიზმში გადასვლაზე ძველ, ნახევრად ფეოდალური, გლეხური თემის საშუალებით, რომელიც ვერ ზედაედა და არც შეეძლო გასული საუკუნის 60-იან წლებში დაენახა, რომ მხოლოდ კაპიტალიზმისა და პროლეტარიატის განვითარებას შეუძლია შექმნას მატერიალური პირობები და საზოგადოებრივი ძალა სოციალიზმის განსახორციელებლად.“

მაგრამ ჩერნიშევსკი მარტო სოციალისტი-უტოპისტი როდი იყო. ის იყო აგრეთვე რევოლუციური დემოკრატი, ის რევოლუციურ გავლენას ახდენდა თავისი ეპოქის ყველა პოლიტიკურ მოვლენაზე, ატარებდა — მიუხედავად ცენზურის მრავალგვარი დაბრკოლებისა — გლახთა რევოლუციის იდეას, ყველა ძველი ხელისუფლების დასამხოვად მასების ბრძოლის იდეას“. (ვ. ი. ლენინი, ტ. 17, 1951, გვ. 129 — 130).



ნ. გ. ჩერნიშევსკი XIX საუკუნის რუსული მატერიალისტური ფილოსოფიის უდიდესი წარმომადგენელი იყო. იგი ლომონოსოვის, რადიშჩევის, ბელინსკისა და გერცენის დიდი მატერიალისტური და დიალექტიკური ტრადიციების გენიალური გამგრძელებელი იყო.

როგორც მისმა დიდმა რუსმა წინამორბედებმა, ნ. გ. ჩერნიშევსკიმ მატერიალიზმის პოზიციები ყველა ფეოდალისტთა წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლის პირობებში დაიცვა და განამტკიცა.

ჩერნიშევსკის რწმენით, ფილოსოფია ყოველთვის იმ ეპოქისა და ხალხის შეილია, რომელიც მას წარმოშობს. იგი ამტკიცებდა, რომ სხვადასხვა ფილოსოფიური კონცეფციები სხვადასხვა კლასებისა და პარტიების პოლიტიკასთანაა მჭიდროდ დაკავშირებული, რომ ყოველი ფილოსოფოსი ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელია.

ამიტომ გასული საუკუნის 50 — 60 წლებში რუსეთში იდეალისტური ფილოსოფიური შეხედულებების წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლა მას მიაჩნდა განუშორებელ ნაწილად იმ ბრძოლებისა, რომლებსაც ბატონებისა და ბურჟუაზიულ-მემამულური ლიბერალების წინააღმდეგ ეწეოდნენ ქვეყნის მოწინავე, რევოლუციური ნაწილის წარმომადგენლები.

პოლიტიკასთან უმჭიდროეს კავშირში ჰქონდა ჩერნიშევსკის წარმოდგენილი მატერიალისტურ-ათეისტური აზრების, მატერიალისტურ-ფილოსოფიური მსოფლმხედველობის პროპაგანდა მშრომელთა ფართო ფენებში.

ჩერნიშევსკის შეხედულებით, სინამდვილე მატერიალური და ერთიანი იგი საკუთარი კანონების მიხედვით იმართვის და ვითარდება. იგი ამბობდა, რომ ყოველივე არსებულს მატერია ეწოდება და ბუნების თითოეული მოვლენა ამ მატერიის სხვადასხვა კომბინაციას წარმოადგენს.

გარესინამდვილე, ამბობდა ჩერნიშევსკი, ადამიანის ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებობს, ხოლო ადამიანს ამ სინამდვილის სწორად ასახვის უნარი შესწევს. დიდი რევოლუციონერის შეხედულებით, ადამიანის შეგრძნებები, წარმოდგენები, ცნებები — საგნების ასლებია. იგი წერდა, რომ ჩვენი ცოდნა არის ცოდნა საგნებზე და რომ ჩვენ საგნებს ვიცნობთ იმგვარად, როგორც ისინი სინამდვილეში არსებობენ.

მატერიალისტური ფილოსოფიის პოზიციებიდან ებრძოდა ჩერნიშევსკი „მოვლენებს“ და „თავისთავადს საგნებს“ შორის პრინციპული გასხვავებისა და დაპირისპირების ფენომენალისტურ-აგნოსტიკურ თვალსაზრისს და მის დამცველს — იდეალისტ კანტს.

ცნობილია, რომ შემეცნების საკითხში იდეალისტების სკეპტიციზმსა და აგნოსტიციზმს ჩერნიშევსკიმ „ნამდვილი ცხოვრების პრაქტიკის“ ობიექტური კრიტერიუმით დაუპირისპირა და ამის შესაბამისად ამბობდა, რომ თითოეული აზრის სისწორის დამადასტურებელი არის საქმეო. ყოველი თეორიის მეცნიერული სიზუსტის შემოწმების უტყუარ საშუალებად მას პრაქტიკა მიაჩნდა. მისთვის პრაქტიკა ყოველგვარ შეცდომათა მამხილებელია არა მარტო წმინდა პრაქტიკული ხასიათის საქმეებში,

არამედ გრძნობებისა და აზრის სფეროშიაც. ამიტომ, ჩერნიშევსკის რწმენით, „რაც სადავოა თეორიაში, ის სწორად წყდება ნამდვილი ცხოვრების პრაქტიკით“.

ამ დებულების წამოყენებითა და დაცვით ნ. გ. ჩერნიშევსკიმ ახალ საფეხურზე აიყვანა XIX საუკუნის რუსული კლასიკური მატერიალისტური ფილოსოფია, თუმცა პრაქტიკის მარქსისტულ გაგებამდე იგი, ცხადია, თავის ფილოსოფიურ შეხედულებებში არ ამაღლებულა.

გენიალურად აგრძელებდა რა ბენინსკისა და გერცენის დიალექტიკურ ტრადიციებს, ჩერნიშევსკი დაუღალავად იცავდა და ასაბუთებდა ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების განვითარების კანონების ერთიანობის იდეას.

სინამდვილის მოვლენათა მუდმივი ურთიერთობის დიალექტიკური ანალიზის საშუალებით ჩერნიშევსკიმ მეცნიერულად ნათელყო და დაამტკიცა, რომ ბუნებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში განვითარების მუდმივა კანონი მოქმედებს. ამიტომ წერდა იგი „გოგოლის პერიოდის ნარკვევებში“. რომ სამყაროში ყოველივე იცვლება, რომ სინამდვილის თითოეული მოვლენა მუდმივი განახლების გარდუვალ კანონს ექვემდებარება. განვითარებას კი ჩერნიშევსკი წარმოიდგენდა ისეთ ზეალმაველ მოძრაობად, დაბალი ფორმებიდან მაღლისაკენ მიმართულს, რომელიც ერთგვარად მოქმედებს როგორც ბუნებაში, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ჩერნიშევსკის ფილოსოფიური ნაზრების სახით XIX საუკუნის რუსულმა კლასიკურმა ფილოსოფიამ დიდი ნაბიჯი გადადგა წინ დიალექტიკური მატერიალიზმისაკენ, მაგრამ, ამასთან ერთად, არც იმის უგულვებელყოფა შეიძლება მთლიანად, რომ მისი ფილოსოფიური შეხედულებანი ატარებდნენ

მარქსამდელი მატერიალიზმისათვის დამახასიათებელ ნიშნებს. როგორც ვ. ი. ლენინი ამბობდა, „ჩერნიშევსკი მართლაც ერთადერთი დიდი რუსი მწერალია, რომელმაც შეძლო 50-იან წლებიდან 1888 წლამდე მთლიანი ფილოსოფიური მატერიალიზმის სიმაღლეზე დარჩენილიყო და ნეოკანტიანელების, პოზიტივისტების, მახისტების და სხვა ამრევთა საცოდავი ჩმახვა უკუეგდო. მაგრამ ჩერნიშევსკიმ ვერ შეძლო, უკეთ რომ ვთქვათ, მას, რუსეთის ცხოვრების ჩამორჩენილობის გამო არ შეეძლო მარქსის და ენგელსის დიალექტიკური მატერიალიზმის სიმაღლეზე ასულიყო“ (ლენინი, ტ. 14, 1950, გვ. 461).

მიუხედავად ამისა, ჩერნიშევსკის ფილოსოფიური შეხედულებანი, შეხედულებანი დიდი მოაზროვნისა და რევოლუციონერის, რომელსაც თავის ზოგადი ფილოსოფიური დებულებებიდან პრაქტიკული რევოლუციური დასკვნები გამოჰყავდა, განსაკუთრებით დასაფასებელია უპირველეს ყოვლისა იმის გამო, რომ ისინი ორგანულად იყვნენ დაკავშირებულნი მშრომელი მასების ბრძოლასთან ახალი, მოწინავე საზოგადოებრივი წყობილების დასამყარებლად.

\*  
\*  
\*

ნ. გ. ჩერნიშევსკის შეხედულებათა სისტემაში საპატიო ადგილი მის სოციოლოგიურ იდეებს უჭირავს.

ცნობილია, რომ დიდი რუსი რევოლუციონერის სოციოლოგიაში ერთიმეორეს უპირისპირდება ორი ტენდენცია — მატერიალისტური და იდეალისტური, რომელთაგან, საბოლოო ჯამში, გამარჯვება უკანასკნელს რჩება.

ცნობილია ისიც, რომ ამის მიზეზი იმ ანთროპოლოგისტურ შეხედულებებში მარხია, რომლის შესაბამისად განიხილავდა ზოგჯერ დიდი მეცნიერი სა-

ზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებს, მათი განვითარების კანონზომიერებას.

მოუხედავად ამ ნაკლისა, ჩერნიშევსკი ხშირ შემთხვევაში უახლოვდებოდა ისტორიის მატერიალისტურ გაგებას და ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების „თითქმის ყველა მოვლენის ძირითად მიზეზს... არსებობის მატერიალური პირობები შეადგენენ“.

უნდა შევნიშნოთ, რომ, თუმცა ჩერნიშევსკის გაგება „არსებობის მატერიალური პირობებისა“ მთლიანად არ ემთხვევა „საზოგადოების ცხოვრების მატერიალური პირობების“ მარქსისტულ-მეცნიერულ გაგებას და, პირველ რიგში, გულისხმობს ადამიანთა დამოკიდებულებას ბუნებასთან, მაგრამ თავისი დროისათვის იგი მაინც წარმოადგენდა ისტორიის მატერიალისტური გაგებისაკენ წინ გადადგმულ დიდ ნაბიჯს.

ისტორიულ მოვლენათა ახსნის საკითხში ნ. გ. ჩერნიშევსკი ნამდვილი დეტერმინისტი იყო. მას საეხებოთ სწორად ჰქონდა გაგებული ისტორიული აუცილებლობის იდეა და შეურიგებელ ბრძოლას ეწეოდა „ნებღობის თავისუფლების“ ვოლუნტარისტულ-იდეალისტურ შეხედულებათა დამცველების წინააღმდეგ. ისტორიული დეტერმინიზმის თვალსაზრისით განიხილავდა იგი, აგრეთვე, საკითხს მასებისა და პიროვნების როლის შესახებ ისტორიაში.

„გმირთა თეორიის“ წარმომადგენელთა საწინააღმდეგოდ, ჩერნიშევსკი თავის შესანიშნავ მეცნიერულ ნარკვევებსა და პუბლიცისტურ, ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებში დაუღალავად ჭადავებდა, რომ ისტორიის მამოძრავებელ ძალას ხალხი, მასები წარმოადგენენ და ამიტომაც ყოველი ქვეყნის ნამდვილად მეცნიერული ისტორია თვით ამ ხალხების, მასების ისტორია არისო.

ჩერნიშევსკი ისტორიაში დიდი პი-

როვნების როლისადმი ნიჭიერი კვლევით მოკიდებულებას არასოდეს აჩვენებდა, მაგრამ იგი ისტორიულ მოვლენებისათვის მიმართულების მიმცემ ძალად მაინც არ მიაჩნდა.

დიდ პიროვნებას, ჩერნიშევსკის შეხედულებით, ისტორიული აუცილებლობა, თვით საზოგადოებრივი ვითარება წარმოშობს და ისიც ამ აუცილებლობის მსახურია ყოველთვის. დიდი ადამიანები, ჩერნიშევსკის განსაზღვრით, სამოქმედო ასპარეზზე გამოჰყავს ისტორიის მოთხოვნილებას, რომელიც ანიჭებს ძალას მათს მოქმედებას, მაგრამ რომელიც, თავის მხრით, არც არავის ემორჩილება და არც არავის გულის მოსაგებად არ იცვლის სახეს.

ისტორიაში ხალხთა მასების როლის საკითხთან კავშირში განიხილავდა ჩერნიშევსკი საზოგადოების ჩაგრული, ექსპლოატირებული კლასებისა და წოდებების ბრძოლას გაბატონებული ფენების წინააღმდეგ და ასაბუთებდა იმ აზრს, რომ თითოეული კლასის თუ წოდების პოლიტიკის განმსაზღვრელი, უპირველეს ყოვლისა, თვით ამ კლასის მატერიალური ინტერესებიაო. ანტაგონისტური კლასებისაგან შემდგარი ბურჟუაზიული საზოგადოება, ჩერნიშევსკის შეხედულებით, ორ ნაწილად იყოფა: ერთი ცხოვრობს სხვისი შრომით, მეორე კი — საკუთარით; ერთი გალაღებულაა, მეორე კი — გაჭირვებულა. ბურჟუაზიული საზოგადოების ასეთი დანაწილება, რომელიც ადამიანთა მატერიალური ინტერესების სხვადასხვაობას ემყარება, ჩერნიშევსკის სწორი განმარტებით, თავის გამოხატულებას პოლიტიკურ მოქმედებაშიაც პოულობს.

ასეთი იყო დიდი რუსი რევოლუციონერისა და მოაზროვნის სოციოლოგიური შეხედულებანი, რომლებსაც ვ. ი. ლენინის შესანიშნავი გამოთქმით, „კლასობრივი ბრძოლის სული დასტრიალებს“ და რომლებმაც





ასეთი დიდი როლი ითამაშეს რუსეთის ახალთაობების რევოლუციური მსოფლ-მხედვლობით შეიარაღებაში.

• •

ნ. გ. ჩერნიშევსკის სოციალოგიურ-ფილოსოფიურ შეხედულებათა არსი-დან გამომდინარეობს, მასთან ორგა-ნულ კავშირში იმყოფება მისი ეთიკუ-რი მოძღვრება, რომელიც დიდმა რუს-მა რევოლუციონერმა ბატონყმურ-ლი-ბერალური მორალის დამცველთა წი-ნააღმდეგ ბრძოლაში ჩამოაყალიბა და დაასაბუთა.

როგორც მატერიალისტი, ჩერნიშევს-კი გამანადგურებლად თავს ესხმოდა მარადული და უცვლელი ეთიკური ნორმების იდეალისტურ კონცეფციას. იგი ამტკიცებდა, რომ ადამიანთა ესა თუ ის ეთიკური შეხედულება ისტო-რიულად შეფარდებითი ხასიათისაა და მჭიდროდ დაკავშირებულია რეალურ სინამდვილესთან, ადამიანთა კლასობ-რივ-საზოგადოებრივ ინტერესებთან, მათ ყოველდღიურ მისწრაფებებსა და ცხოვრების გაუმჯობესების სურვი-ლებთან.

ჩერნიშევსკიმ წამოაყენა და და-საბუთა ახალი, რევოლუციურ-დემოკ-რატიული შინაარსის ეთიკური თეო-რია, „გონიერი ეგოიზმის“ თეორია, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირე-ბული რუსეთის გასული საუკუნის 60-იანი წლების განმათავისუფლებელ მოძრაობასთან. ამ ეთიკური მოძღვრე-ბის ძირითად საფუძველს, მის საზო-გადოებრივ იდეალს წარმოადგენდა ადამიანის პირადი ინტერესების შეგუ-ება, მისი ბედნიერების დაკავშირება საზოგადოების, ხალხის ინტერესებსა და ბედნიერებასთან.

ჩერნიშევსკის ეთიკა საზოგადოებ-რივ-უტილიტარული ეთიკაა, რომელიც მთავარ ამოცანად ისახავდა ქვეყნის, ხალხის, საზოგადოების სარგებლიანო-ბისა და ინტერესების დაცვას. ამიტომ

იგი შეურიგებელი მტერი იყო იმ ბურჟუაზიულ-უტილიტარულ-ეფემ-ერული მოძღვრებისა, რომელიც ზნეო-ბის წყაროდ ცალკეული პიროვნების ეგოისტურ ინტერესს აცხადებდა, ხო-ლო მის საზომად — პირად სარგებ-ლობას.

ჩერნიშევსკის სოციალურად პროგ-რესული, ღრმად პატრიოტული ეთიკა, რომელშიაც საოცარი ბრწყინვალები-თაა ნათელყოფილი შრომის ზნეობრივ-აღმზრდელობითი მნიშვნელობა ადა-მიანისა და საზოგადოებისათვის—ოპ-ტიმისტური ეთიკაა. იგი ბრძოლისაკენ მოუწოდებდა ადამიანებს და მათში ღრმად ნერგავდა მტკიცე რწმენას რევოლუციის საბოლოო გამარჯვები-სადმი, ისტორიის შეუზღუებელი წინს-ვლისადმი.

ამ მოწინავე, ოპტიმისტური ეთიკის გამომხატველი არიან თავისი ცხოვ-რებითა და მოღვაწეობით ჩერნიშევს-კის შესანიშნავი რომანის „რა ვაკე-თოთ“-ის გმირები და, პირველ რიგში, უტეხი ნებისყოფის რახმეტოვი, რომე-ლიც პირად ბედნიერებას ხალხის ინ-ტერესებისათვის თავდადებაში პოუ-ლობდა.

ამ მაღალი ზნეობის სრულ განსახიე-რებას წარმოადგენდა რევოლუციური კეთილშობილებით აღსავსე, მშრომელ-თა ბედნიერებისადმი მსხვერპლად მი-ტანილი თვით ჩერნიშევსკის ცხოვრება და მოღვაწეობა.

• •

ჩერნიშევსკის რევოლუციურ-დემოკ-რატიულ მოძღვრებასთანაა მჭიდროდ დაკავშირებული მისი მატერიალისტუ-რი ესთეტიკა.

ესთეტიკის, ხელოვნებისა და ლიტე-რატურული კრიტიკის პრობლემები ჩერნიშევსკის დამუშავებული აქვს სხვადასხვა შრომაში, მაგრამ მისი შე-მოქმედებითი ნიჭისათვის დამახასია-თებელი სიღრმითა და ელვარებით



ახალი ესთეტიკის ძირითადი საკითხები მას განხილული აქვს თავის სახელგანთქმულ დისერტაციაში „სინამდვილისადმი ხელოვნების ესთეტიკური დამოკიდებულებების შესახებ“, რომელიც მარქსამდელი მატერიალისტურ-ესთეტიკის განვითარების უმაღლეს საფეხურს, მის ნამდვილ მანიფესტს წარმოადგენს.

ამ დისერტაციაში, როგორც სათაურიდან ნათლად ჩანს, მის ავტორს, წინააღმდეგ იდეალისტებისა, ყურადღების ცენტრში მოქცეული აქვს რეალური სინამდვილე. ჩერნიშევსკი გამანადგურებელი კრიტიკის ცეცხლში ატარებს ჰეგელის იდეალისტურ ესთეტიკას და სინამდვილის იმ უგულვებელყოფას, რომელიც მას ახასიათებდა. ამ შრომაში ჩერნიშევსკი მატერიალისტური ესთეტიკის პოზიციებიდან ნათელყოფს სიყალბეს იდეალისტური ესთეტიკის იმ მთავარი დებულებებისა, თითქოს ობიექტურად, სინამდვილეში მშვენიერება არ არსებობდეს და იგი მხოლოდ ჩვენი ფანტაზიის ნაყოფს წარმოადგენდეს.

წინააღმდეგ ჰეგელის იდეალისტური ესთეტიკური კონცეფციისა, ჩერნიშევსკიმ წამოაყენა და მეცნიერულად დაასაბუთა ის შეხედულება, რომ მშვენიერია თვით სიცოცხლე, მშვენიერია ის არსება, რომელშიაც სიცოცხლე მოცემულია ისე, როგორც ჩვენ მას წარმოვიდგენთ. ამიტომ, დიდი რევოლუციონერისა და მოაზროვნის შეხედულებით, მშვენიერია არა ყოველგვარი სიცოცხლე, არა ყოველგვარი არსებობა, არამედ ისეთი, რომელიც სავსებით შეესაბამება ჩვენს წარმოდგენას მასზე, მშვენიერია ისეთი სიცოცხლე, რომელიც აღსავსეა ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლის პათოსით და ნამდვილად შეეფერება მოწინავე ადამიანთა იდეალებსა და მისწრაფებებს.

ამიტომ, წინააღმდეგ ჰეგელისა, რომელიც მშვენიერების იდეალს ანტი-

კური საბერძნეთის ხელოვნებაში ეძიებდა, ჩერნიშევსკისათვის ესთეტიკის სფეროს წარმოადგენდა თანამედროვეობა და უფრო კიდევ ის იდეალური მომავალი, რომლის პირობებშიაც მთელი თავისი პოტენციური შესაძლებლობით უნდა გაშლილიყო თავისუფალი, სოციალისტური საზოგადოების ხელოვნება.

ჩერნიშევსკის შეხედულებით, ხელოვნების წყაროს ობიექტური სინამდვილე წარმოადგენს, ხოლო თვით ხელოვნება ამ სინამდვილის ასახვის ერთ-ერთი ფორმაა. ხელოვნების მიერ სინამდვილის ასახვა, ჩერნიშევსკის აზრით, მის ნატურალისტურად ფოტოგრაფირებას, ასლის გადაღებას არ ნიშნავს. ამიტომ ნამდვილ შემოქმედებაში, ამბობდა იგი, დიდი ადგილი უჭირავს თვით შემოქმედის მხატვრული წარმოსახვის ძალას, მისი „დამაკომბინერებელი ფანტაზიის“ ჩარევას, რის გარეშე მხატვრული ნაწარმოები არ შეიძლება შეიქმნეს.

ჩერნიშევსკის უპირველესი და უდიდესი დამსახურება ესთეტიკაში ის არის, რომ მან ნიადაგი გამოაცალა ხელოვნების აბსტრაქტულობის იდეას და ცხადყო, რომ თავისი ფესვებით იგი დაკავშირებულია სინამდვილესთან, ადამიანის პრაქტიკულ, საზოგადოებრივ ცხოვრებასთან. ჩერნიშევსკიმ დაამტკიცა, რომ ხელოვნება ცხოვრების მსახური უნდა იყოს, რომ იგი ქვეყნის რევოლუციურად გარდაქმნას უნდა უწყობდეს ხელს.

ხელოვნების ამ საზოგადოებრივ-უტილიტარული დანიშნულების გაგების შესაბამისად ებრძოდა იგი „წმინდა ხელოვნების“ იდეალისტურ კონცეფციას და დაჟინებით იცავდა ხელოვნებაში, მწერლობაში რეალიზმის, იდეურობის, მხატვრული სიმართლის პრინციპს, იბრძოდა მისი ზალხურობისათვის. ჩერნიშევსკის შეხედულებით, ლიტერატურა ყოველთვის ამა თუ იმ მიმართულებათა იდეების მსახურია, ეს-

არის მისი დანიშნულება, რომელზედაც იგი უარს ვერ იტყვის, კიდევაც რომ სურდეს ამ უარის თქმაო.

ჩერნიშევსკის შეხედულებით, ხელოვნების, მწერლობის ყურადღების ცენტრში თანამედროვე ცხოვრება უნდა იმყოფებოდეს, და მწერლის მოვალეობაა, ამ ცხოვრების ასახვა მთელი მისი მრავალფეროვნებით, დიალექტიკურ ერთიანობაში მოცემული ნათელი და ჩრდილოვანი მხარეებით. ამასთან, მწერლობა არათუ უნდა ასახავდეს ცხოვრებას, სინამდვილეს, არამედ იძლეოდეს მის ახსნასაც, თავისი განაჩენი გამოჰქონდეს მასზე იმ მგზნებარებით, რომელიც, თავისთავად გამოირიცხავს ცხოვრების მოვლენებისადმი აღამიანთა განმაიარალებელ ობიექტივისტურ მიდგომას.

ხელოვნება, მწერლობა, ამბობდა ჩერნიშევსკი, სიმართლის მსახური უნდა იყოს, რადგან ნიჭის ძალა სიმართლეშია და ყალბ აზრზე აგებული ნაწარმოები მხატვრულადაც სუსტიაო.

ეს პრინციპი მიიჩნდა ჩერნიშევსკის მხატვრული ნაწარმოების ღირებულების მთავარ საზომად და თვითონაც გოგოლის უკვდავ შემოქმედებას იმიტომ თვლიდა ასეთი მაღალი შეფასების ღირსად, რომ მასში უდიდესი მხატვრული სიმართლით იყო მხილებული ბატონყმური წყობილების ყველა სისაძაგლე. მხატვრული სიმართლის გამო თვლიდა დიდი რევოლუციონერი და კრიტიკოსი გოგოლს რუსული პროზის მამად, ფუძემდებლად რეალური სკოლისა, რომელმაც რუსული მწერლობის განვითარებაში სრულიად ახალი ხანა შექმნა.

რევოლუციურ-დემოკრატიული ბათონისათაა გაუღენთილი ჩერნიშევსკის შეხედულებანი კრიტიკაზე. კრიტიკა, მისი აზრით, პოლიტიკურად მახვილი, მებრძოლი უნდა იყოს; იგი უნდა ეხებოდეს თანამედროვეობის აქტუალურ საკითხებს, მოუტირდებლად ილაშქრებ-

დეს ყოველგვარი ჩამორჩენილობის წინააღმდეგ მწერლობაში. იმდენად თავის ძალას მიმართავდეს იმ დაბრკოლებათა დასაძლევად, რომლებიც ხალხის ცხოვრების წინმსვლელობას აფერხებენ.

ჩერნიშევსკის აზრით, კრიტიკა აუცილებლად ფილოსოფიური უნდა იყოს, იგი უნდა იძლეოდეს ლიტერატურული ფაქტების თეორიულ განხილვას, მაგრამ ამასთანავე დიდი ყურადღებით უნდა ეკიდებოდეს მწერლის მხატვრული ოსტატობის საკითხს, იმ ინდივიდუალურს, სპეციფიკურს, რომელიც ამა თუ იმ ხელოვანის შემოქმედებას განასხვავებს სხვებისაგან.

დიდი რუსი რევოლუციონერი და მოაზროვნე თავისი საზოგადოებრივი იდეების პროპაგანდას ეწეოდა არა მარტო როგორც მეცნიერი, პუბლიცისტი და კრიტიკოსი, არამედ როგორც მხატვრული სიტყვის ოსტატიც. ამ მიზნით გამოაქვეყნა ჩერნიშევსკიმ თავისი შესანიშნავი პუბლიცისტური რომანი „რა ვაკეთოთ?“, რომელიც რუსული მხატვრული მწერლობის განვითარების ახალ, მაღალ საფეხურს წარმოადგენდა არა მარტო თავისი სოციალისტური რევოლუციური შინაარსით, არამედ კომპოზიციითა და ენით, საერთოდ, მხატვრული ღირსებებითაც.

რუსული მწერლობისათვის უჩვეულონი, მანამდე სრულებით უცნობნი იყვნენ ხსენებულ რომანში გამოყვანილი გმირები — ლობუხოვი, კირსანოვი, ვერა პავლოვნა და, განსაკუთრებით, რახმეტოვი, რომელსაც თვით ჩერნიშევსკი ახალი მოდგმის აღამიანს უწოდებდა.

რუსეთისა და საერთაშორისო რევოლუციის მებრძოლთა მრავალი თაობისათვის რახმეტოვის ფოლადისებური პიროვნება, ხალხისათვის თავდადებული მისი ცხოვრება და მოღვაწეობა მისაბამ იდეალს წარმოადგენდა.

ჩერნიშევსკის რომანისა და მისი

გმირის — რახმეტოვის დიდი გავლენა განუცდია თავის დროზე ბულგარელი ხალხის ბელადს გ. დიმიტროვს, რომელსაც მოგვითხრობს: „თვეების მანძილზე მე ვცოცხლობდი ჩერნიშევსკის გმირებით. ჩემი საყვარელი გმირი იყო რახმეტოვი. მე მიზნად დავისახე, ვყოფილიყავ ისეთი, როგორც ჩერნიშევსკის უმწიველო გმირი იყო, ვყოფილიყავ მტკიცე, უშიშარი, გამბედავი, თავდადებული, სიძნელეებთან და გაქირვებასთან ბრძოლაში გამომებრძმედა ჩემი ნებელობა და ზასიათი და პირადი ინტერესები დამეჭვემდებარებინა მუშათა კლასის ინტერესებისათვის. ექვსგარეშეა, რომ ახალგაზრდობის ხანაში განცდილმა ამ კეთილშობილურმა გავლენამ დიდად შეუწყო ხელი ჩემს აღზრდას პროლეტარული რევოლუციონერის სულისკვეთებით“.

ასეთი გავლენა ჰქონდა ჩერნიშევსკის რომანს, რომელიც, ცნობილი რუსი რევოლუციონერის პ. კრაპოტკინის გადმოცემით, რუსი ახალგაზრდობისათვის თავისებურ დროშას წარმოადგენდა.

რუსული რევოლუციური პროზის ეს შესანიშნავი ქმნილება დამსახურებული სიყვარულითა და პოპულარობით სარგებლობდა არა მარტო რუსი, არამედ სხვა ეროვნების ახალგაზრდობაშიც, კერძოდ, ქართველ ახალგაზრდობაში, რომლის მოწინავე ნაწილი გასული საუკუნის 70-იან წლებში გატაცებით კითხულობდა და სწავლობდა მას ფარულად.

მაგრამ გასული საუკუნის 60-70-იან წლების მოწინავე ქართველი ახალგაზრდობა გატაცებული იყო ჩერნიშევსკის არა მარტო ამ რომანით. იგი ღრმად ეცნობოდა დიდი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატის იმ ფილოსოფიურ და სოციოლოგიურ, ლიტერატურულ-კრიტიკულ შრომებს და პუბლიცისტურ წერილებს, რომელთა მოწინავე იდე-

ბის გავლენით ყალიბდებოდა მისი მსოფლმხედველობა. გიგლინიძე

პირველი და უმთავრესი წყარო, რომლის საშუალებითაც ჩვენი ქვეყნის მოწინავე თაობა ეწაფებოდა დიდ რუს სამოციანელთა ცხოველყოფელ აზრებს, ეურნალი „სოვრემენიკი“ იყო. აქ, ამ ეურნალის ფურცლებზე, მოთავსებულ წერილებში პოულობდა ეს ახალთაობა პასუხს ქვეყნის საჭირობათა კითხვებზე და ამიტომ იყო, რომ ჩვენი სახელოვანი სამოციანელი ნ. ნიკოლაძე გასული საუკუნის 70-იან წლებში ასეთი ალტაცებით წერდა „კრებულში“: „რანიირი დრო იყო მაშინ, რომ იცოდე, მკითხველო, რანიირი მოუთმენლობით და წყურვილით ველოდით ჩვენ, ახალგაზრდები, იმ ბედნიერ დღეს, როცა საყვარელი ეურნალის (იგულისხმება „სოვრემენიკი“ — ვ. ზ.) ახალი წიგნი გამოვიდოდა. რა ალტაცებით და აჩქარებით, რა სიხარბით და დაუღალავად ვეწაფებოდით ჩვენ მის კითხვას... რამდენი გრძელი, ბოლომოუღებელი, ჩრდილოეთის ზამთრის ღამეები გაგვითენებია ჩვენ მის კითხვაში, მისი აზრების რჩევაში, მისი სიტყვების სჯავში, მასზე დავაში... ვინ დათვლის იმ ხანგრძლივი ბედნიერების ალტაცებას, ტვინის წვალებას და გრძნობის ამალღების იდეებს, ან ვინ დაივიწყებს მათ სანიადაგოდ გულში ჩაჭდილ კვალს... სად არიან დღეს ის გმირები, ვისი სიტყვებიც ჩვენ გონებას გვიხსნიდა, ვისი მაგალითიც კაცად გვხდიდა, ვისი შრომა და ტანჯვა გვაკეთილშობილებდა და გვაძალღებდა?.. ზოგი მოკვდა, ზოგი დაიკარგა, ზოგი...“ (მრავალწერტილების ქვეშ ნიკოლაძე გულისხმობს იმ დროს გადასახლებაში მყოფ ნ. გ. ჩერნიშევსკის).

ამ სიტყვებით ნიკოლაძემ გამოხატა არა მარტო პირადად თავისი, არამედ მთელი იმდროინდელი მოწინავე ქართველი ინტელიგენციის გულისნადები, იმ ინტელიგენციისა, რომლის ერთი

ნაწილი (გ. წერეთელი, ნ. ლოლობერიძე, დ. ლოლობერიძე, ლ. ისარლიშვილი, თვით ნ. ნიკოლაძე და სხვ.) ახლო იცნობდა და მეგობრობდა ნ. გ. ჩერნიშევსკისთან და მის ოჯახთან. ეს ნაწილი შეადგენდა პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა იმ ჯგუფს, რომელმაც (უნდა ვიფიქროთ, ჩერნიშევსკის მოწონებით) აქტიური მონაწილეობა მიიღო სტუდენტთა 1861 წლის გამოსვლებში და ამისათვის მეფის მთავრობამ იგი დასაჯა კიდეც.

ჩვენს ქვეყანაში „თერგდალეულნი“ იყვნენ 60-იანი წლების ქართველი ინტელიგენციის ის წარმომადგენელნი, რომლებიც ჯერ „ცისკრის“, ხოლო შემდეგში „საქართველოს მოამბის“ ფურცლებზე, ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, ეწოდნენ ჩერნიშევსკის შეხედულებათა პროპაგანდას.

ეს ჟურნალი ავრცელებდა ქართველებში ჩერნიშევსკის ესთეტიკურ კონცეფციას, მის აზრებს ხელოვნების, მწერლობის საზოგადოებრივ-უტილიტარულ დანიშნულებაზე და ამის შესაბამისად წერდა: „ჩვენ მეცნიერებასა და ხელოვნებას მოვსთხოვთ არსებითსა პურსა ცხოვრებაში გამომცხვარსა და მწიერთათვის გამოსადეგარსა და მოსახმარსა, მეცნიერებამ უნდა გვიშველოს თავის გამოცნობილ ჭეშმარიტებით, ცხოვრების ახსნით და გაგებით, მან უნდა მოგვეცეს პირდაპირი პასუხი ყოველ საჭირო კითხვებზედა... ხელოვნებასაც იმას მოვთხოვთ, რომ სარკესავით ცხოვრება გადმოსცეს, რათა სიკუდვეც და სიკეთეც ჩვენი დავინახოთ“.

ხელმძღვანელობდა რა ჩერნიშევსკის მატერიალისტური ესთეტიკის იმ ძირითადი დებულებით, რომ მშვენიერია თვით სიკიცხლე, როგორც ჩვენ ის გვესმისო, ილია ასაბუთებდა, რომ პოეზია უნდა ასახავდეს ჭეშმარიტებას, ცხოვრებას და ამის გამო ცხოვრება კი არ უნდა მისდევდეს მწერლობას, არა-

მედ თვით მწერლობის, ~~საერთოდ~~ ხელოვნების შინაარსი უნდა იცლებოდეს და ვითარდებოდეს ცხოვრების განვითარების კვალდაკვალ.

ილიასთან ერთად, ჩერნიშევსკის ფილოსოფიურ, სოციოლოგიურ და ესთეტიკურ შეხედულებათა გავლენას განიცდიდნენ აკაკი წერეთელი, გ. წერეთელი, ანტ. ფურცელაძე, კ. ლორთქიფანიძე და სხვა ქართველი სამოციანელი, მაგრამ ყველაზე ახლო მასთან, როგორც იდეური ზეგავლენის, ისე პირადი ურთიერთობისა და მეგობრობის თვალსაზრისით, ცხადია, ნ. ნიკოლაძე იმყოფებოდა.

ჩერნიშევსკის იდეათა გავლენა ნ. ნიკოლაძემ ჯერ კიდეც მოწაფეობის ხანაში განიცადა, როდესაც იგი, მისივე სიტყვებით, „პირველი ფურცილიდან უკანასკნელამდე“ კითხულობდა „სოცრემენიკის“ ნომრებს.

ამ გავლენამ თავისი დასრულებული სახე მას შემდეგ მიიღო, როდესაც ნ. ნიკოლაძემ პეტერბურგში ცხოვრების დროს ახლო ურთიერთობა დაამყარა „სოცრემენიკის“ რედაქციასთან და პირადად ნ. გ. ჩერნიშევსკისთან, თუმცა დიდი რუსი მასწავლებლის მოძღვრების რევოლუციური მხარე მისთვის სამუდამოდ მიუწვდომელი აღმოჩნდა.

ნ. ნიკოლაძე თვითონაც კარგად გრძნობდა ამ გავლენის ძალასა და მნიშვნელობას მის ცხოვრებაში და ამიტომ ერთ კერძო ბარათში გულწრფელად აღიარებდა, თუ რაოდენ დავალებული იყო თავისი ზნეობრივი და გონებრივი ზრდისათვის დიდი რუსი რევოლუციონერისაგან.

ჩერნიშევსკის ცხოველყოფელი იდეების გავლენა ჩანს იმ წერილებზე, რომლებიც ნიკოლაძემ სხვადასხვა დროს ჟურნალ „ისკრასა“, „სოცრემენიკსა“ და „კოლოკოლში“ გამოაქვეყნა. ეს გავლენა ნათლად ჩანს 1866 წელს, ემიგრაციაში ყოფნის დროს, გერცენის

„რუსული თავისუფალი სტამბის“ მიერ ქენევაში, „ნიციფორე გ...“-ს ფსევდონიმით გამოცემულ ნიკოლაძის ბროშურაში — „მთავრობა და ახალი თაობა“, რომელშიც იგი სასტიკად ილაშქრებდა მეფის მთავრობისა და ლიბერალების წინააღმდეგ.

გერცენთან კამათში ჩერნიშევსკის იდეური პოზიციების დასაცავად წარუმიძღვარა ნიკოლაძემ მის მიერ გამზადებულ ჩერნიშევსკის თხზულებათა სრული კრებულიდან გამოცემულ პირველ ტომს თავისი ცნობილი წინასიტყვაობა, რომლით განაწყენებული გერცენი 1868 წლის 15 მაისით დათარიღებულ ერთ კერძო ბარათში წერდა ოგარიოვს: „...ნიკოლაძემ ჩერნიშევსკის თხზულებათა წინასიტყვაობაში კლანჭები მოგვდო იმგვარად, როგორც პისარევემ თავის „ბაზაროვში“...“ მართალია, იგი ჩვენ პირდაპირ არ გვასახელებს და გვირტყამს გადაკრული სიტყვებით, მაგრამ ეს გადაკვრით ნათქვამი ისეთია, რომ მისი უარყოფა ადვილია, ხოლო მასთან შედეგება — ძნელი“.

ჩერნიშევსკის მსოფლმხედველობას გავლენით აქვს დაწერილი ნიკოლაძეს მრავალი სტატია „დროებაში“, „ტიფლისკი ვესტნიკში“, „ობზორში“, „ნოვოე ობზრენიეში“, ჟურნალ „ქრებულში“ და სხვ. დიდი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატის აზრთა გავლენა იგრძნობოდა ნიკოლაძის პუბლიცისტურ შემოქმედებაში გასული საუკუნის 90-იან წლებამდე, როდესაც მან ძველ, რადიკალურ-დემოკრატიულ პოზიციას თავი დაანება და ლიბერალურ-ბურჟუაზიული შეხედულებების ქადაგებას შეუდგა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართველი სამოციანელი, დიდი რუსი მასწავლებლის შემოქმედებისადმი ღრმა პატივისცემას ინარჩუნებდა თავისი იდეური პოზიციების შეცვლის შემდეგაც. XX საუკუნის პირველ ათწლეულში

გამოცემული ერთ-ერთი წიგნაკის წინასიტყვაობაში *Вопросы культуры* დადიდებით იხსენიებს რა ბელინსკისა და ჩერნიშევსკის სახელებს, პირდაპირ აღნიშნავს, რომ უკანასკნელის „ნარკვევებმა გოგოლის პერიოდის რუსულ ლიტერატურაზე“ დღემდე შეინარჩუნეს თავისი ცხოველყოფილება და მნიშვნელობა.

ცნობილია, რომ ჩერნიშევსკისა და ნიკოლაძის შორის არა მარტო იდეური ურთიერთობა არსებობდა. მათ პირადი მეგობრობის ღრმა გრძნობაც აკავშირებდა ერთმანეთთან.

მეგობრობის ეს გრძნობა ნათლად გამოამჟღავნა ახალგაზრდა ნიკოლაძემ 1862 წლის ზაფხულში, როდესაც იგი ჩერნიშევსკის დაპატიმრების შემდეგ გვერდით დაუდგა მის ოჯახს, ხოლო 1882 წელს ციმბირის შორეული გადასახლებიდან დიდი რუსი რევოლუციონერის განთავისუფლებას საქმეს ჩაუდგა სათავეში. ცნობილია, რომ ნიკოლაძის ეს შესანიშნავი ცდა ვამარჯვებით დამთავრდა და 1883 წელს ჩერნიშევსკი საცხოვრებლად ასტრახანს გადმოიყვანეს. მეგობრის განთავისუფლებით უსაზღვროდ აღფრთოვანებული ნ. ნიკოლაძე გაზეთ „ნოვოე ობზრენიესთვის“ საგანგებოდ დამზადებულ სტატიაში ულოცავდა მკითხველს ჩერნიშევსკის ციმბირის გადასახლებიდან დაბრუნებას და გამოთქვამდა რწმენას, რომ ჩვენი ქვეყნის წინსვლისათვის მეტძობლ ადამიანთა გულებს ეს ფაქტი ღრმა და წრფელი სიხარულის გრძნობით აღავსებდა.

ეს წერილი მეფის ცენზურამ მაშინ დააკავა და იგი პირველად მხოლოდ ჩვენს დროში გამოქვეყნდა.

ჩერნიშევსკისა და ნიკოლაძის იდეური და პირადი მეგობრობა მთელი იმდროინდელი მოწინავე ახალგაზრდობისათვის კარგად იყო ცნობილი და ამიტომ იგი მათ სახელებს ხშირად ერთად



ახსენებდა ზოლმე. ასე მოხდა, მაგალითად, 1881 წელს, როდესაც შორეულ ციმბირში გადასახლებულ ჩერნიშევსკისა და სტავროპოლის გადასახლებაში მყოფ ნიკოლაძისათვის პეტერბურგელ სტუდენტებს თავის ტრადიციულ საღამოზე მოსაწვევი საპატიო ბარათების გაგზავნა განუზრახავთ, რათა ამით მეფის მთავრობის მიმართ პროტესტისა და რუს და ქართველ სამოციანელთა დმი სოლიდარობის გრძნობა გამოემჟღავნებინათ.

აღსანიშნავია, რომ ნიკოლაძის მხრივ ჭეშმარიტად მეგობრულ დამოკიდებულებას ჩერნიშევსკიც ზუღამ თანაბარი სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობით უპასუხებდა. ეს ნათლად ჩანს როგორც მის მიერ ნიკოლაძისადმი გაგზავნილი ბარათებიდან, ისე იმ მიწერ-მოწერიდან, რომელიც ჩერნიშევსკის თავის ნათესავ-მეგობრებთან ჰქონდა, განსაკუთრებით, სიცოცხლის უკანასკნელ წლებში.

ჩვენს ქვეყანაში ნ. გ. ჩერნიშევსკის თაყვანისმცემლები ჰყავდა როგორც გასული საუკუნის 60-იან წლებში, ისე უფრო გვიანაც, 70—80-იან წლებში, როდესაც მოწინავე ქართველი ახალგაზრდობა კვლავ ხარბად ეწაფებოდა დიდი რუსი მეცნიერისა და რევოლუციონერის ნაწერებს, ითვისებდა მის სოციალისტურ იდეებს და ცდილობდა მათს გავრცელებას მუშახელოსნების, მშრომელთა ფართო ფენებში.

კავკასიელ და, კერძოდ, ქართველ ახალგაზრდობაში ნ. გ. ჩერნიშევსკის ამ დიდი პოპულარობის შესახებ კარგად აქვს მოთხრობილი თავის მოგონებებში ცნობილ საზოგადო მოღვაწესა და მწერალს გ. თუმანიშვილს.

მისი გადმოცემით, პირველ სალიტერატურო საღამოზე, რომელიც გასული

საუკუნის 70-იან წლებში თბილისის გიმნაზიაში გაუმართავთ, მოსწავლეებს წაუკითხავთ ადგილებზე ჩერნიშევსკის ცნობილი რომანიდან და, აგრეთვე, ამ ნაწარმოებისადმი პისარევის მიერ მიძღვნილი კრიტიკული სტატიიდან.

გ. თუმანიშვილი გადმოგვცემს იმის შესახებაც, რომ ნოვოროსიის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტებს, ჩერნიშევსკისადმი პატივისცემის ნიშნად, ბიბლიოთეკის კედელზე გამოფენილი ჰქონდათ ლამაზ ხარჩოში ჩასმული მისი დიდი სურათი, რაც, ცხადია, იმ დროისათვის დიდი რუსი რევოლუციონერისადმი სიყვარულის გამომჟღავნების მეტად სახიფათო ფორმას წარმოადგენდა. ეს კარგად იცოდნენ ამ ახალგაზრდებმა, მაგრამ მწერლისადმი თაყვანისცემის გრძნობა იმდენად ძლიერი ყოფილა მათში, რომ ამ ხიფათს ისინი შეგნებულად არ ერიდებოდნენ.

რაც დრო გადიოდა, ეს სიყვარული ჩერნიშევსკისადმი სულ უფრო და უფრო იზრდებოდა და ძლიერდებოდა მეფისდროინდელ რუსეთის ყველა ხალხში, მაგრამ ნამდვილ სრულყოფას მან მიაღწია მხოლოდ ჩვენს დროში, დიად საბჭოთა ეპოქაში, როდესაც ქვეყნისათვის თავდადებულ დიდ ადამიანთა ღვაწლი და ამაგი პირველად დაფასდა ღირსეულად.

საბჭოთა კავშირის ძმურ ოჯახში გაერთიანებული ჩვენი ქვეყნის ხალხები მუდამ ჭეშმარიტი პატივისცემის გრძნობით იგონებენ და მოიგონებენ ჩერნიშევსკის სახელს, იმ დიდი მებრძოლისა და ადამიანის მარად უკვდავ სახელს, რომელიც წყვილიადით მოსილ წარსულში ოპტიმისტურად, იმედიანად, მომწოდებლად გაიძახოდა: „ჩვენი მომავალი ნათელი და ბრწყინვალეა. შეიყვარეთ იგი, ისწრაფოდეთ მისკენ, იზრომეთ მისთვის, მოიახლოვეთ იგი“.



ლავროსი კალანდიაძე

## შენიშვნები 1953 წლის ქართული საბჭოთა პოეზიის ზოგიერთ ნაწარმოებზე



როცა თვალს გადავაგვლებთ გასული წლის ქართულ პოეტურ პროდუქციას, ვრწმუნდებით, რომ იგი ძირითადად ჯანსაღ იდეურ ნიადაგზე დგას, რომ იგი საბჭოთა პატრიოტიზმის, კომუნისმისაყენ მისწრაფების, მშვიდობისა და ჰუმანიზმის რეალისტური პოეზიაა.

წლითიწლობით იზრდება ქართველი საბჭოთა პოეტების რაზმი. პოეზიაში მოდიან ახალგაზრდა ძალები. დიდია ამ ახალგაზრდობის აქტიუობაც, შემოქმედებითი ნაყოფიერება. დიდ კულტურულ აღმავლობასთან ერთად ამაში მკლავდება სიმღერისა და სილამაზის ძლიერი წყურვილიც, ასე ძალუმაღლად გავიძებული ჩვენს ქვეყანაში.

არ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ჟურნალ-გაზეთები და ჩვენი გამომცემლობები ძუნწად ბეჭდავდნენ ახალგაზრდა პოეტების ნაწარმოებებს. მაგრამ პოეტური კულტურის ამაღლებისა და ახალგაზრდა კადრების აღზრდის საქმე ბეჭდვით არ ამოიწურება. პირიქით, ჩვენ ვფიქრობთ, ბეჭდვა აქ სრულიადაც არ არის მთავარი. მთავარია ჩვენი საზოგადოებრივი აზრის, ჩვენი კრიტიკული აზრის, ჩვენი რედაქციებისა და გამომცემლობების მკაცრი მომთხოვნელობა, — და ეს აუცილებელია არა მარტო ახალგაზრდობის მიმართ. ამ მხრივ კი ყველაფერი რიგზე არა გვაქვს. ხშირად იბეჭდება უმწიფარი ლექსების კრებულები, ხშირად იბეჭდება ასეთი ლექსები:

დღეს ბავშვებმაც კი იციან,  
რისთვის იბრძვიან ხალხები,

ვის უნდა რბევით, აკლებით  
რომ დასწვას მათი აკვნები.  
და თვით პატარა ბავშვებით  
მშვიდობისათვის იბრძვიან.

ამ სტრიქონების აზრი სწორია, მაგრამ ეს არ არის პოეზია. აქ არსებითად საქმე გვაქვს დიდი თემის მეტად პრიმიტიულ გადაწყვეტასთან.

ალოგიკურ, არაფრისმთქმელ და, მშასაღამე, არაპოეტურ სტრიქონებსა და სტროფებს რომ გამოვედევნოთ, შორს წაგვიყვანდა.

ცუდი ის არის, რომ სუსტი და უმწიფარი ლექსების ბეჭდვა ხელს უწყობს დაბალი გემოვნების გამომუშავებას, ზოგიერთს აფიქრებინებს, ლექსების წერა ადვილი ხელობა ყოფილაო, — და იწყება მდარე მასალის მოზღვავება.

ახალგაზრდა ლიტერატურული ძალების აღზრდის საქმე არ შეიძლება გამოეყოს მთელი ჩვენი ლიტერატურის განვითარების საქმეს.

საბჭოთა ლიტერატურის განვითარება დიდი მდინარის ერთიან დინებას ჰგავს, მდინარისა, რომელსაც ბევრი ახალი ნაყადიც შეერთვის და გაედინება კიდევაც. თუ რომელი ტალღა ჰქმნის ახალ მუსიკას, — ის, რომელიც უფრო შორიდან მოედინება, თუ ის, რომელიც ახლა შეუერთდა მას, — ეს დამოკიდებულია ტალღის ძალაზე. მკითხველს კი მუსიკა სწყურია და მას სრული უფლება აქვს იგი ერთნაირად მოითხოვოს ყველა ტალღისაგან.

ქვეყანა, ხალხი მოითხოვს საბჭოთა პოეზიის კლასიკას. შეცდომა იქნებოდა



გვეფიქრა, რომ არ შეიძლება ჩვენს მწერლებს წაუყუენოთ მოთხოვნილებანი კლასიკური ლიტერატურის სიმალლიდან. ამბობენ: როგორ შეიძლება კლასიკის საზომით მიუღდგეთ ჩვენს ლიტერატურასო. ეს არ არის ჯანსაღი განწყობილება. ეს არსებითად ხელს უწყობს ხალხის მიმართ პასუხისმგებლობის გრძნობის მოღუნებას. რატომ უნდა აიტიკოს მკითხველმა თავი ისეთი ნაწარმოების კითხვით, რომელიც ვერაფერს ვერ შეჰმატებს მის იდეათა სამყაროს? არცერთ საბჭოთა მწერალს არა აქვს უფლება, არც საფუძველი იმისა, რომ თავისი შემოქმედება ჩააყენოს ძველი დროის იმ ხელმოკლე კაცის მდგომარეობაში, რომელიც თავის ღარიბ სუფრაზე სტუმარს ებოდიშებოდა — „მიირთვიეთ, რაც ჩემს სიღარიბეს გაეწყობათ“.

ჩვენს ლიტერატურას, ჩვენს პოეზიას მოეთხოვება იყოს ამალღებული და ძლიერი არა მარტო იმიტომ, რომ იგი ყველაზე მაღალი ტიპის, ყველაზე შინაარსიანი სოციალური სინამდვილის გამომხატველია, არამედ იმიტომაც, რომ იგი სრულუფლებიანად დგას უდიდესი მემკვიდრეობის გოლიათურ მხრებზე.

თუ ქართულ საბჭოთა პოეზიას შევხედავთ პოეტური ტექნიკის თვალსაზრისით, ვგონებ, საკმაოდ არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ამ მხრივ ჩვენი პოეზია არათუ ჩამოუვარდება კლასიკას, არამედ წინწაწეულიც არის. ამის ახსნაც ადვილია. უმდიდრესი გამოცდილება პოეტური ტექნიკის სფეროში დიდად აადვილებს მის წინსვლასა და განვითარებას. მაგრამ პოეზია ფორმალური ხერხების უბრალო ჯამი არ არის, მისი განვითარება იოლად და სწორხაზობრივად

არ ხდება. ეპოქის შესაფერისადი პოეტური ფორმების შესაქმნელად არასდროს არ ყოფილა საკმაოდ თუნდაც ძლიერ დახვეწილი, ძლიერ გაფაქიზებული პოეტური ტექნიკა.

ამალღებული პოეტური სიტყვა ყოველთვის შემოქმედის მდიდარ სულიერ ბიოგრაფიაში ნაწრთობი, მისი შინაარსიანი ინდივიდუალობით დალღასმული იდეალის უკუფენაა. პოეზია შემოქმედისაგან ერთგვარ მსხვერპლსაც მოითხოვს — წერილმან ვნებათა დათრგუნვას ამალღებული გრძნობებისა და აზრებისათვის. საეჭვოა, რომ ეგოცენტრული გრძნობები, პირადი განდიდების მისწრაფებები ოდესმე ქცეულიყოს რაიმე საგულისხმო პოეტური ფაქტის სტიმულად.

გასული წლის ქართულ საბჭოთა პოეზიაში უეჭველად მოიპოება რამდენიმე კარგი, მკვეთრი პოეტური ქმნილება, შთაგონებული სტროფები და სტრიქონები. მიუხედავად ამისა, საერთო მდგომარეობა, საერთო სურათი კარგად ვერ გამოიყურება. ასე ვგვონია, რომ ქართული საბჭოთა პოეზია ერთგვარ ზღუდეს მიაღწა. რაკი პოეზია ხალხის ცხოვრების ანარეკლია, უნდა ითქვას, რომ არც ისე მარტივი, დაუძაბველი და უშფოთველია ჩვენი ხალხის სულიერი ცხოვრება, როგორც ეს ჩვენი პოეზიის სარკეში მოჩანს. ამ ბოლო დროს ნაკლებად გვხვდება ღრმა პოეტური ნააზრევი, თუ გნებავთ, ფილოსოფიური გაფიქრებანი, რაც არც ისე უცხო უნდა იყოს პოეზიისათვის. იშვიათია ისეთი დიდი პოეტური განზოგადებანი, რომლებიც სერიოზულად დაგაფიქრებთ. ახალი საკითხების წინაშე დაგაყენებთ.

ასნის, გაგების, ჩაწვდომის პათოსით თითქოს შეცვლილია ხოტბის, აღწერის, დეკლარაციის პათოსით. თუ გაიგონებთ სიმღერას სიყვარულზე, მეგობრობაზე და სხვა ცოცხალ ადამიანურ გრძნობებზე, ხედავთ, რომ იგი მოდის მეტად პატარა კუთხიდან, ვიწრო კუნჭულიდან. და რაც მთავარია, თვალში გეცემათ მოსაწყენი ერთფეროვნება, ერთფეროვნება თემატიკური, კომპოზიციური, ერთფეროვნება განწყობილებებისა და საღებავების, თემის პოეტური გადაწყვეტისა.

მაგალითად, უკანასკნელ წლებში, განსაკუთრებით კი გასულ წელს, ბევრი ლექსი დაიწერა სამგორის თემაზე. ამ ლექსებში უთუოდ არის გულწრფელი აღფრთოვანება, ნათელი განწყობილება, კარგი სტროფები და სტრიქონები, თუნდაც ასეთი:

ამ აღლევებულ მიწაზე გულმა სხვა რაღა  
ინატროს?  
ხალხმა თქვას: აქ სიხარული, აქ სიყვარული  
ბინადრობს,  
ხალხმა თქვას: ჰერი ასწიოს ქორწილის  
ღამის თევზა  
და იატაკი გაცვიფოს ქართული აკვნის  
რწყევამა.

(თ. ჯანგულაშვილი).

მაგრამ, თუ ავიღებთ ერთობლივად ამ ლექსების მთელ პოეტურ ფაქტურას, მათ განწყობილებას, დავინახავთ, რომ ყველაფერი ერთ პოეტურ მწყრივზეა განლაგებული, როგორც ტელეგრაფის მავთულზე ჩამომსხდარი მერცხლები. გაუმეორებელი არ რჩება ისეთი პოეტური დეტალიც კი, როგორიცაა აკვნის რწყევით იატაკის გაცვეთა. სულ სხვადასხვა ხმის პოეტთა ლექსებში გვხვდება დამარცხებული გვალვა, ზღვის ფსკერზე დაძირული გვალვა, გვალვის საფლავი და კეთაში დაჭრილი გვალვაც კი; ლექსებში ჰყვავიან ხეხილები, თვალს იტაცებს ზერები, ღელავს ჯეჯილი, კამკამებს თბილისის ზღვა, „დაუსერიო მიწ-

დერები არხებს, მალე ეწყაყნის ცეცხლოც იალებს“, მოდის ზიზზი, მისხლის და როგორც ბაირალები ყაყაჩოები მოაქვს ტალღებით“, „რკინისხარების გუთნის-დედები... აბრუნებენ ქვაღძეცულ ყა-მირს“, თუ წინათ „სიცხისაგან ბოდავდა სამგორი მძინარე“, „იწვა ტრაპალი მკერდგადაბმული“, „ახრჩობდა სისხლი და მაინც ღრუბელს სიცხით გახეთქილ ტუჩებს უშვევდა“, „...იწვა სიკვდილს და სიცოცხლეს შუა, ესიზმრებოდა ფრთაქრელა ქედნები, სიზმრად უსმენდა ვაზების შრიალს“, ახლა „ჩვენ გამოვალვიქეთ მძინარე სამგორი, ტუჩებზე დააკვდა იორი ამბორით“, „მადლობას ამბობს სამგორი... უკუღმართ წლებით ვნებული, ანკარა იერის ამბორით დამტკბარი, განახლებული“, „როგორც ტარიელი, მოვარდა იორი თავისი მიჯნურის გამოსახსნელად „...იორი ჯებირებით მტკიცედ შევლობეთ და ნესტანივით დავიხსენით სამგორის მიწა“, „უცებ არხებში, როგორც მერცხალი, შეინავარდებს იერის ტალღები“, „თბილისის ზღვისკენ მოდის იორი, მაყრად კალმანთა გუნდი მოჰყვება“, „სამგორში მღერის იორი, მუხას ხელს ართმევს კომბიტი“, „აქ ახლა მუხა ამღერებს ფოთლებს“, ვხედავთ „სავსე მტვენებით დაბუნძულ ვაზებს, თვალგაუწყვდი-ნელ ბაღების კიდეს, მზით და ბარაქით ყელამდე სავსეს“, „ვხედავ ხეხილებს, ჩამოართვა მზემ ოქროს ხელი, ვხედავ, გაგრილდა, აღორძინდა სამგორი ცხელი“. ეს სტრიქონები სხვადასხვა პოეტებისაა, როგორც შემდეგი სტროფები:

მე ვხედავ, როგორ ეხვევა ქარი  
სამგორის ბაღებს, მშვენებით სავსეს,  
მე თვალწინ მიდგას ქათქათა მთვარე  
როგორ ნანაობს თბილისის ზღვაზე.

ახლა, როგორც ამბობენ,  
დაძირულია სამგორის გვალვა...  
გესმის, იორი მოდის სიცილით,  
მოდის ხალისით და სიმღერებით,  
ვახედე ამ ზღვას: ასე ივსება  
ქართული ხალხი ბედნიერებით.

ფირუზის ზღვიდან წამოფრინდა ზოხოზო  
 ჰრელი,  
 ზღვის ნაპირებზე აიშალნენ ვოგო-ბიჭები.

ოდეს ჯეჯილის ზღვად იქცევა სამგორის  
 ველი,  
 ოდეს ფურცელი დასუქდება ბლისა და  
 ბეოლის,  
 ოდეს სამგორში ჯეჯილივით იმრავლებს  
 მწყერი,  
 გუნდი და გუნდი ინაშენებს ხობხის და  
 გნოლის.

ამგვარი სტრიქონებისა და სტროფების მოყვანა მრავლად შეიძლება. მათ შორის უმეტესად არის კარგი პოეტური სახეები, მოხდენილი სტროფები და მეტაფორები. მაგრამ დიდი დაკვირვება არ არის საჭირო, რომ ვიკარძნოთ არა მარტო მათი გარეგნული მსგავსება, არამედ მათი შინაგანი პოეტური სუნთქვის განსაზღვრულობაც, მოტივებისა და განწყობილებების ერთგვარობა.

რასაკვირველია, ერთ თემაზე შეიძლება ბევრი რამ დაიწეროს სხვადასხვა კუთხით, სხვადასხვა გაშუქებით, — და ამის წინააღმდეგ არაფერი ითქმის, მაგრამ კითხვა იბადება: ვანა საჭიროა ერთ ობიექტზე ასე ბევრი ლექსის წერა? თემატიკური ინერციის აყოლა პოეზიისათვის ვერ არის ყოველთვის ხელსაყრელი. გასაგებია ისიც, რომ ყველა ჩვენი პოეტი თავს მოვალედ გრძნობს უმღეროს ჩვენი მშენებლობის შესანიშნავ კერებს. მაგრამ მოვალეობის შეგნება თუ საგნის უშუალო, ინდივიდუალური გრძნობით არ გამოიხატა, იწყება ცუდი პოეტური გამომგონებლობა, ბრჭყვიალა პირობითი პოეტური საღებავების ძებნა, მოტივების გადამღერება, პოეტური ჩვევებით მუშაობა, რაც პოეზიის მაღალ ნიმუშებს ვერ იძლევა. და მართლაც, თუ ლექსში არ არის რაღაც ახალი ცოცხალი დაკვირვება, ახალი განცდა, ახალი აზრი, პოეტური ფორმის მძაფრი გრძნობა, მაშინ რა სა-

ჭიროა ლექსი? ნამდვილი შემოქმედება იწყება იქ, სადაც შემოქმედურ მტკნალებად სძლევეს საერთო ინერციის და საკუთარ ხმას ავლენს. ამისათვის არ არის საჭირო მანერულობა და ფორმალისტური ვარჯიში.

ჩვენ ვლაპარაკობთ ერთფეროვნების საშიშროებაზე, როგორც გარკვეულ ტენდენციაზე, არა მარტო ერთ თემატიკაში, არამედ საერთოდ. ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ გასული წლის მთელი ქართული პოეზია ამ ტენდენციის მიჰყვებოდა. როგორც ითქვა, გასულ წელს შეიქმნა რამდენიმე კარგი, განსხვავებული პოეტური ძეგრადობის ნაწარმოები. მაგრამ ჩვენს წერილს არა აქვს პრეტენზია ისეთი საერთო მიმოხილვისა, სადაც წესადაა მიღებული ყველა პოეტისა და ყველა ნაწარმოების ჩამოთვლა და განხილვა. ჩვენ გვინდა დავაყენოთ ქართული საბჭოთა პოეზიის განვითარების რამდენიმე საკითხი და ამ თვალსაზრისით შევვხვოთ რამდენიმე ნაწარმოებს. კერძოდ, გვიანტერესებს პოეტური სტილის, პოეტური მეტყველების საკითხი.

უთუოდ ყურადღებას იპყრობს მკვებთარი პოეტური ინდივიდუალობით აღბეჭდილი, აზრიანად, საგულისხმოდ მოფიქრებული ლექსების ციკლი სიმონ ჩიქოვანისა — „მგზავრის დღიურები“. ამ ლექსებში გამოხატულია ის განცდები და შთაბეჭდილებანი, რომლებიც პოეტმა მიიღო პოლონეთისა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკებში მოგზაურობის დროს. საბჭოთა პატრიოტიზმის, ხალხთა მეგობრობისა და ხალხთა შორის მშვიდობის იდეა შეადგენს ამ ლექსების მთავარ მოტივს. რასაკვირველია, საბჭოთა მკითხველს ვერ განაცვიფრებდა რიტორიკული, პირდაპირი გართმული მეტიკება იმისა, რომ ხალხთა მეგობრობა და მშვიდობა მსოფლიოს უბრალო, მშრომელ ადამიანთა საყოველთაო მოთხოვნილება და იდეალია. პოეზიას აქვს თავისი ენა, გამო-

სახვის განსხვავებული საშუალებები. და ეს არის არა მარტო მისი გარეგნული ფორმა, არამედ მისი ემოციური შინაარსიც.

პირველყოფლისა, ამ ლექსებში არის კარგი და ლალი გრძნობა, რწმენა, ძლიერი ქვეყნის შეილისა, ქვეყნისა, რომელიც მთელ მსოფლიოს საკაცობრიო იდეალებისაკენ უნათებს გზას. საბჭოთა მებრძოლის ქანდაკებაში, რომელიც ბერლინშია აღმართული, პოეტი შეიძნობს თავისი სამშობლოს სახესა და სულს. ქანდაკება თითქოს ცოცხლდება. მას მარცხენა ხელით მკერდზე მიუკრავს ბავშვი, „ყველა კუთხის ბუდის ბავშვი“, ხოლო მარჯვენაში მახვილი უჭირავს და „სიბნელეს კაფავს“. იგი ბრძოლით მოსულა ბრანდენბურგის კარებამდე და მის დიდებულ ნაბიჯებში აღბეჭდილა ისტორიის ძლევათა სველა. ეს ძეგლი კი არა, „ქვეყნის სინათლეა“, ხოლო მისი „ხელია მომავლის კიბე და ხელს მერმისში ბავშვი გადაჰყავს“. ამ კარგ პოეტურ სახეში იგრძნობა საბჭოთა ადამიანის ახალი სულიერი შინაარსიც — პატრიოტული სიამაყე („საბჭოთა მემკობრი ბერლინში“).

საბჭოთა სამშობლოსთან სულიერი შეხორცებისა და განუყრელობის გრძნობა, გრძნობა იმისა, რომ „თუნდ განვლიო ცხრა მთის მიჯნა, მამულს არსად დაეშორდები“, არა თუ ზღუდავს, არამედ აფართოებს საბჭოთა პოეტის ლირიკული გმირის ადამიანურ და პოეტურ მასშტაბებს. სხვა ხალხთა ცხოვრების, მათი ისტორიისა და მათი სულიერი კულტურის ნათესაური განცდა პოეტს თითქოს ფერთა ახალი შეზაფხების საშუალებას აძლევს. მისი რომანტიკა განსხვავდება უცხო მხარეში მოგზაურთა ძველი, ტრადიციული რომანტიკისაგან. აქ ახალ პოეტურ განათებაში ვხედავთ პოლონელ მეშახტესა და პოლონელ ქალს, მიცკევიჩსა და შოპენს, გოეთესა და გერმანელ მომკვლს, გურალებსა და გერმანელ ახალგაზრდებს,

ტატრის მთებსა და კვისტრინის მიდამოებს. ეს არის საბჭოთა პოეტის მეგობრული თვალით დანახული ქვეყანა.

საბჭოთა პოეტს უცხოობაში არ იპყრობს მარტობის გრძნობა. მის განწყობილებას ასაზრდოებს დიდი და ძლიერი სამშობლოს სინათლე, ხალხთა მეგობრობის საბჭოთა იდეოლოგია.

თოვლს გავუტრებ ფართო სარკმლით,  
ჩავეჭროლეთ ვაშლილ რიყეს  
და მგონია, ყველა სახლი  
მობრუნდა და კარებს მიღებს.

(„პოლონეთის გზაზე“).

ადამიანთა მოყვრობის ასეთი გრძნობა სხვა ქვეყანაში შეიძლება დაებადოს მხოლოდ იმას, ვინც სოციალურ-ეროვნული სამართლიანობის პოზიციებზე დგას, ვისაც წრფელი ზრახვები ამოქმედებს. იმას კი, ვისაც სხვის ქვეყანაში ბოროტი მშვერავის თვალი, იმპერიალისტური მოქიშპის გული და ეროვნული შუღლის შხამით მოწამლული სული მიაქვს, ალბათ ყოველი სარკმლიდან ზიზღის, უნდობლობის და სიკვდილის თვალი შეეკერის.

საგულისხმოა საბჭოთა პასპორტის მაიაკოვსკისეული თემის თავისებური განვითარება სიმონ ჩიქოვანის მიერ. თუ თავის დროზე მაიაკოვსკიმ საბჭოთა პასპორტის თემა, როგორც მძაფრი საბჭოთა პატრიოტიზმის პოეტური კონკრეტურიზაცია, გადაწყვიტა კაპიტალისტურ გარემოცვასთან დაპირისპირებაში, — აღივსეთ შურით, საბჭოთა კავშირის მოქალაქე გახლავართო (მაშინ საბჭოთა საზღვარს გაცილებული პოეტის გზამტრულ სამყაროში შეჭრილი გზა იყო), — ახლა, როცა „ეს გზა არ ჰგავს გზას აღრინდელს“, პოეტი საბჭოთა პასპორტის პოეზიის გამოხატავს მეგობრული ზრახვების გამელაყნებაში. პოლონელი საზღვრის მცველი საბჭოთა პასპორტს დასცქერის, „როგორც მომშე ხალხის ბარათს“. აზრთა და მისწრაფებათა ეს მტკიცე თანაზიარობა აამ-

ყებს და აფრთოვანებს პოეტს. და ამის შემდეგ უკვე დიდი მასშტაბის სულიერი ინტერესების ბრძმედში გატარებული სიყვარული სამშობლო კუთხისა უფრო ძლიერია. გვესმის პოეტის გრძნობათა მოძრაობა, როცა იგი შორიდან მიმართავს თავის თბილისს — „შენ აღმზარდე, შენ გამწაფე, შენი წყარო გულში მღერისო“. პოეტი საშუალებას გვაძლევს განვაფიქროთ მისი მოტივები და ვთქვათ: სამშობლოს სიყვარული აუცილებელი პირობაა სხვა ხალხებთან მეგობრული დამოკიდებულებისა; ერთ ხალხს მხოლოდ მაშინ შეუძლია იყოს მეორე ხალხის მოძმე და მეგობარი, როცა მას შენარჩუნებული აქვს თავისი ეროვნული მეობა.

ლექსში „პუშკინი და მიცკევიჩი“ არის კარგი პოეტური დაწყვილება ამ ორი დიდებული სახისა. კარგია პოეტური განცდა საქართველოს სამხედრო გზაზე პუშკინის ლექსის ანარეკლისა და პუშკინის ხმისა, რომელიც თითქოს „მთებში ჩარჩა და ლამეებს ათევს“. ბუნებრივია, რომ ამღერებული პოეტური განწყობილება შოპენის სოფლისაკენ მიმავალ გზაზე პოეტს ხალხის გულისაკენ ეწევა: „მინდა სიმღერა ხალხის ხმას აჰყვებს და შოპენივით გაიდგას ფესვი“ („შოპენის სოფლისაკენ“).

არა მარტო მშვიდობისა და ხალხთა მეგობრობის სიკეთეს, არამედ ადამიანის შინაგანი ჰარმონიის, ადამიანის სულიერი სილამაზის მტკიცე რწმენას გვანიშნებს ლირიკული პორტრეტი პოლონელი ქალისა, ჭირისუფალივით რომ უვლის საბჭოთა ოფიცრების სამო სასაფლაოს ვროსლავში. მისი გულის სითბო, მისი დიდი გრძნობა თითქოს თოვლს აღნობს და ყვავილებს აცოცხლებს მოძმეთა საფლაოზე. ამიტომაც მიმართავს მას აღფრთოვანებული პოეტი:

აქ სიცოცხლის სუნთქვა მესმის,  
ეს არ არის სასაფლაო...

და მშვიდობას გულის ფესვით  
ჩაევიდოთ, ჩემო დაო.  
(ვროსლავში საბჭოთა ოფიცრების  
სასაფლაოზე“).

სახლი სოფელ პრონიწოში, სადაც  
ლენინს უცხოვრია, კარგი პოეტური  
განცდაა. ბრძენს ეს სახლი თითქოს  
ფიქრით აუესია და ახლა იმ ფიქრების  
ნაპერწყლები ეცემა პოეტის მგზნებარე  
გულს („ლენინის სახლი სოფელ პრონი-  
წოში“). არის ნაზი და ლამაზი გრძნობა  
პოეტის ინტიმური ბარათების სტროფში.

ჩამავალი მზე ტატრებში დათრთის,  
ღრუბელი თითქოს თეთრი ბეწვია.  
შენი მყუდრო ხმა სიმღერისათვის  
მთაში, ვით წვიმა, წამომეწია.  
(„ბარათი ტატრიდან“).

ცელის სიყვარული ქვეყნის ამინდებს,  
მთაში იწრთენება გულის კენთები,  
შენ ცისარტყელა თვალთ ამინთე  
და მე მეორედ გავაბუჯებდი.  
(„მეორე ბარათი“).

მართლაც მძაფრი გრძნობაა, როცა  
გულის ტოლის ხმა შორს, სადაც  
მთაში, ვით წვიმა, წამოგეწევა, ანდა  
მისი თვლებით ანთებული ცისარტყე-  
ლა გააბუჯების რწმენას გაძლევს.

ლექსში „გოეთეს საფლავთან“ აზ-  
რიანად, გრძნობიერად არის ამეტყვე-  
ლებული და ამღერებული ცაცხვები,  
ცოცხალი ვარდები, ცაცხვებზე მოზუ-  
ზუნე ფუტკარი. საბჭოთა მეომრებმა  
ჩაახშეს ჩხავილი ყორნებისა, რომლებიც  
გოეთეს დიადი სულის ჩახშობას. ლა-  
მოზდნენ. ახლა კი

გოეთეს საფლაოზე მრავლი ცაცხვია,  
საფლაოზე ჭართული ვარდები აწევი.  
პრილობას აშუშებს ყვავილის მღამო,  
ხეივანის ბილიკზე მოგვეყვება საღამო.

ბევრი პოეტური შთანაფიქრის აღ-  
მოჩენა შეიძლება სიმონ ჩიქოვანის  
ლექსებში, სწორედ აღმოჩენა, რადგან  
ხშირად პოეტის სახეები მეტად ძნელი  
ამოსაცნობია.

ეჭვი არაა, რომ საგნის ფოტოგრა-  
ფიაში, მის პირდაპირ გამოხატულებასა  
თუ პირდაპირ პროექციაში პოეზია არ

არის. რომ არაფერი ვთქვათ პოეზიის რთულ სპეციფიკურ ბუნებაზე, მისი პირველი აუცილებელი ელემენტარული ნიშნებიც კი — რითმა და რიტმი — უკვე შეიცავს საგანთა და მოვლენათა ერთგვარ პოეტურ სახეცვლას, პოეტურ გაუცხოებას. მასალის პოეტური გარდაქმნა ანუ პოეტური ტრანსფორმაცია მხატვრული შემოქმედების ერთ-ერთი აუცილებელი თვისებაა. ამას ადასტურებს პოეტური აზროვნების ისტორია. ყოველი მხატვრული სახე თავისთავად, როგორც გარკვეული იდეურ-ემოციური შინაარსის ორგანიზაცია, მეტნაკლებად მოასწავებს ცხოვრების მასალის სახეცვლას.

პოეტური სახეცვალეობა კი მოითხოვს გარკვეულ კანონზომიერებას, მკაცრ შინაგან ლოგიკას, მით უმეტეს, რეალისტურ პოეზიაში. ჰემსარიტ პოეტურ სახეცვალეობასა თუ გაუცხოებაში საგანი, მოვლენა, იდეა, განწყობილება კი არ უნდა ირღვეოდეს, იფანტებოდეს და იკარგებოდეს, არამედ, პირიქით, უფრო რელიეფურად, უფრო მძაფრად, უფრო გაძლიერებულად უნდა მოჩანდეს. ეს არის მისი ემოციური ფუნქცია. გავიხსენოთ, რომ შოთა რუსთაველის დიდი ფანტაზია არ შეუშინდა იმასაც კი, რომ ლამაზ წამწამთა შერბევა ინდოთა ჯარის შერბევად დაესახა. ამ გაზვიადებაში ლამაზი წამწამები კი არ შთაინთქა, არამედ, პირიქით, უფრო დიდებულად და შთამბეჭდავად წარმოსახა. ეს მხოლოდ დეტალის მაგალითია. საერთოდ კი საქმე ეხება არა მარტო პოეტურ მეტაფორებს, სტროპებს, ფიგურებს, შედარებებს, ჰიპერბოლებსა და სხვ., არამედ მთელ მხატვრულ კომპოზიციებსაც, მთელ მხატვრულ შემოქმედებას.

პოეზია ყოველთვის გულისხმობს თავისი დროის იდეების, შეხედულებების, წარმოდგენების, განწყობილებებისა და ცხოვრების მასალის ემოციურ ორგანიზაციას. ამიტომ პოეტური გა-

მოსახვის ყოველი კონკრეტული საშუალება ისტორიულადაც კონკრეტულია. პოეტური სახე, რომელიც ვმარტოს წარმოდგენათა გარეშე რჩება, არ შეიძლება იყოს ნათელი, ცოცხალი და ამბლელებელი.

სიმონ ჩიქოვანს უნდა ვუსაყვედუროთ, რომ იგი ყოველთვის ვერ ირჩევს მასალის პოეტური ორგანიზაციის სწორ, რეალისტურ გზას. პოეტი ზოგჯერ ხელოვნურად ართულებს და აბნელებს სახეებს, ერთმანეთისაგან თიშავს ლექსის ემოციურ შინაარსსა და სიტყვიერ მასალას, აყრუებს ლექსის მუსიკას.

აი, შეხვედრა პოლონელ საზღვრისმცველთან:

თვალს გაშლის თუ ფართო ფაცერს,  
გულის ნადებს აღარ ფარავს,  
და საბჭოთა პასპორტს დასცქერს,  
როგორც მოძმე ხალხის ბართს.  
ეს გზა არ ჰგავს გზას აღრინდელს,  
ეს წიგნაკი ნათელს მიფენს,  
გალმა მოძმის თვალს ამდიდრებს  
და მე მივსებს გულის ჯიბეს.

ჯერ ერთი, უთუოდ ღარიბია ეს სტრიქონები რითმებისა და რიტმის მხრივ. მაგრამ საქმე მარტო რითმებში როდია. ჩვენი აზრით, სრულიად არ არის პოეტური და ქართული ბუნების ასეთი სტრიქონი: „თვალს გაშლის თუ ფართო ფაცერს“. ქართულად ამბობენ თვალის გახელას და არა გაშლას. ფართოდ გახელილი თვალის შედარება ფართო ფაცერთან ენათესავება ქართული ზღაპრის მეტაფორას (საცრისოდენა თვალებს) და ამდენად იგი ახალი არ არის; ამ შემთხვევაში გამართლებულიც არ არის. საცრისოდენა თვალები, მაშასადამე, მისგან მონაბერი „ფართო ფაცერიც“, — არსებითად გროტესკული შედარებაა, ხოლო პოლონელი საზღვრისმცველის მიმართ პოეტს სრულიადაც არ ესაქიროებოდა გროტესკული შტრიხი. გასაგებია პოეტის მისწრაფება, რომ სიტყვას საბჭოთა პასპორტზე მისცეს ძლიერი პატრიოტულ-ინტერნაციო-



ნალური ელერა, მაგრამ რამდენად აღარ იბეებს ამ ელერას პროზაული სტრიქონი: „და მე მივსებას გულის ჯიბეს“. ეს არსებითად პოეტური საღებავის დაშრეტა და გამშრალებაა.

ლექსი მიზანს მაშინ აღწევს, როცა მკითხველს არ აწვალებს მისი ფორმა და გულზე ხედება მხოლოდ მისი გრძნობა, მისი აზრი. როდესაც ესა თუ ის სახე, პოეტური ფრაზა გართულებული და გაუცნაურებულია, მკითხველის ყურადღება ჩერდება ამ სირთულეზე, ამ უცნაურ ფორმაზე, აზრი და გრძნობა კი იჩრდილება, ლექსის ემოციური ენერჯია იშრითება. აი, როგორ აგვიწერს პოეტი მშვიდობის კარნავალს ვაიმარში:

ყმაწვილები, გაბაწრული გზებზე,  
მოგზავნი ჩირაღდანი მრავალი  
ნაპერწყალი იბნეოდა მხრებზე  
და ხომალს ჰგავდა ხეივნის გზა მთავარი.  
ხმები ეპყრათ თუ მშვიდობის ძნები,  
ცას წყდებოდა მოკაშმაშე ქაცვები.  
თვალს მოშორდა მოშაბული წლები  
და იმ დროის დარცხენილი ცაცხვები.

პოეტური საღებავები აქ უწყსრივოდ არის მიცხებულ-მოცხებული. გაბაწრება პირდაპირი მნიშვნელობით გათოკვას, შებოკვას ნიშნავს, აქ კი უნდა მივხვდეთ, რომ გააწყრივებად არის ნაგულისხმევი. ესეც რომ არ იყოს, გამოთქმა „ყმაწვილები, გაბაწრული გზებზე“ არ არის მოხდენილი პოეტური ნახატი. არ არის ნათელი არც ეს სტრიქონები: „ნაპერწყლები იბნეოდა მხრებზე და ხომალს ჰგავდა ხეივნის გზა მთავარი“. გაუგებარია — „ხმები ეპყრათ თუ მშვიდობის ძნები“. ხმების ხელში დაკერა წარმოუდგენელია. ძნელია იმის გარკვევაც, ვარსკვლავებია თუ მავშხალის ნაპერწყლები „მოკაშმაშე ქაცვები“, რომლებიც ცას სწყდებიან. ყოველივე ამის გამო ვერ ვღებულობთ ნათელ პოეტურ სურათს, როგორც გარკვეულ ემოციურ ფაქტს.

პოეტი წერს პოლონურ მეშახტეს:

ვერ ვატყობდი ზუსტად ასაკს,  
ბაჯალლო ქვა შეურია ლითონს.  
მგონი ადრე არ შეყვრია არსად,  
მთას არღვევდა და კვებავდა მინდორს.

ამ სტროფში ყოველი სტრიქონი ცალ-ცალკე, თავისთვის ძევს. ძნელია მონახოთ აქ რაიმე კავშირი: რომ პოეტი მეშახტეს ვერ ატყობდა ზუსტად ასაკს, და რომ მეშახტემ ბაჯალლო ქვა შეურია ლითონს. ასეთი ტაეპები შემთხვევითი არ არის პოეტის ლექსებში. აი, რას ვკითხულობთ გურალებზე:

თხილამურებს შესჩვევიან ხელოსნები,  
მოქრიან და სუფრებს შლიან პურადები,  
სად გაფრინდნენ ციგები და ცხენოსნები,  
და მეზობლებს მაგონებენ გურალები.

როგორც ვხედავთ, აქაც ყოველი სტრიქონი თავისთვის ძევს და არაფრით შევლის მომღვენო სტრიქონს მთლიანი პოეტური განწყობილების ან მთლიანი პოეტური ნახატის შესაქმნელად. საესებით ალოგიკური და არაპოეტურია სტრიქონების ასეთი დაწყვილება:

სად გაფრინდნენ ციგები და ცხენოსნები,  
და მეზობლებს მაგონებენ გურალები.

პირველი სტრიქონი კითხვითი წინადადებაა, მეორე — თხრობითი, მათ შორის აზრობრივი კავშირი არ არის.

პოეზია მოითხოვს ფაქისსა და გულისხმიერ დამოკიდებულებას სიტყვისადმი. სიტყვას შეუძლია მშვენიერად შეჰქარას და გაანათოს მხატვრული სახე, თუ იგი მიგნებულად ჩაჯდება ლექსში. მას შეუძლია კიდევაც დაშალოს სახე, დაარღვიოს აზრი, გრძნობა, თუ უხეიროდ გაეხირება სადმე.

ნაქვები ჩანს თოვლში მწვანედ ანანთები,  
მოაზე მივფრენ, თუ ცაზე ვარ გაბაწრული.  
ბაკურიანს მომაგონებს ტატრის მთები  
და „ზღვის თვალთან“ თეაქონს მიღვას  
ტაბაწყურია.



ეს სტროფი ურიგო როდია, რომ საქმეს არ აფუჭებდეს სიტყვა „გაბაწრული“, რომელიც აქ უხეში და შეუსაბამოა.

შთაგონებული ლექსია „გურალის სიმღერა“. მისი იდეური მოტივი კარგად არის გამოთქმული ორ ბოლოსტრიქონში:

გულს გურალა უძღვნის სტალის  
და მთებიდან ეხოდ ესმის დასტური.

დასანანია მხოლოდ ის, რომ კარგი პოეტური მონათქვამი ლექსის ყველა სტროფში ვერ პოულობს შესაფერის განსახიერებას. ლექსის დასაწყისი ძლიერია:

მთის მოლქვე აღუღუნდა,  
გააღვიძა კიანურის ლარები.  
ნეტავ გურალს რის თქმა უნდა,  
სად მიფრინავს მისი ხმა და თვალები?

აქ, როგორც იტყვიან, არის ლაღი პოეტური სუნთქვა, დაკერილია მოლქვე გურალის არა მარტო გარეგნული, არამედ ძლიერი სულიერი მოძრაობაც. მაგრამ მომდევნო სტროფში ლექსის ლირიკული ენერჯია იკარგება, სტრიქონი ყრუვდება:

რას შეტყველებს მცირე ყუთი,  
ლაღია და აღარ ადგას უღალი,  
შეაერთა გრძნობა ხუთი  
და ვაფანტა მთახე თეთრი ღრუბელი.

მცირე ყუთი, როგორც გრძნობათა მუსიკალური ორგანიზაციის ემპირიული სახე, აღარ იბეებს და აქვეითებს პოეტურ აზრს. მაგრამ ეს აზრი კადვე უფრო ირღვევა და იკარგება, როცა ამ მცირე ყუთს ემატება ახალი რთული პირობითობა. განა შეიძლება ყუთს ედგეს უღელი? ცხადია, აქ პოეტი გულისხმობს ხალხის გრძნობის, ხალხის სიმღერის განთავისუფლებას. მაგრამ ერთია განზრახვა, მეორეა მისი განხორციელება. ხუთი გრძნობის შეერთებაც და მთახე თეთრი ღრუბლის ვაფანტვაც არაერთარ პოეტურ კონკრეტობას არ

შეიცავს და, მაშასადამე, უსიცოცხლო, განყენებული ფრაზაა, ციფრულ უფრო გართულებულია შემდეგი სტროფი:

ხელი თითქო ნახმლევი,  
მთაში გუშინ ქარიშხალში გადარჩა.  
ტურფა საჭრავს ჩახვევია  
და ხმებს წველის ლარებიდან ქამანჩა.

სხვას რომ თავი დავანებოთ, მეტად არაესთეტიკური, ნატურალისტური და, თანაც, ძნელად წარმოსადგენია ხმების წველა ქამანჩით.

პოეტი ზოგჯერ მშრალ რიტორიკასა და პროზაიზმშიც ვარდება. მაგალითად, იგი ასე მიმართავს სამშვიდობო ხმების შემკრებ ქალს:

ქავს სიცოცხლის მფარველ დეარტს  
ხუთი ქვეყნის შეთანხმების პაქტა.  
დობილებს და დედებს შეკრებ  
და მოძმის გულს ნისლის სარქველს ახლ.

მშრალია პირველი ორი სტრიქონი, ხოლო მოძმის გულზე ნისლის სარქველის ახლა იმდენად რთული პირობითობაა, რომ პოეტური აზრი იხშობა. ბუნდოვანია ეს სტრიქონიც:

შენ ვიპყრია ხმები, ტურფავ,  
და ხმებით რწუავ შენ ზვალინდელ  
მინდვრებს.

აქ მეტისმეტად გაწვავებული ფორმა ხმების შეპყრობა და ხმებით ზვალინდელი მინდვრების მორწყვა.

ჩვენი აზრით, არც ასეთი ეპითეტიკისაა მისაღები:

ვისლის პირას შავგვრემან ქვას აფენს.

შავგვრემანი შეიძლება იყოს ადამიანი, ქვა კი — შავი, მოშავო, რუხი და ა. შ.

როგორც ხედავთ ს. ჩიქოვანის პოეტურ სტილს ზოგჯერ აკლია გამჭვირვალობა და სინათლე. ეს კი, როგორც დავინახეთ, რამდენადმე ამცირებს ჩიქოვანის ლექსების პოეტურ ღირსებას.

გასულ წელს დაიბეჭდა რევალ მარ-  
გინის ლექსების ციკლი „მისალმებათა  
ნაკადი“. რამდენიმე ახალი, დასამაზ-  
სოვრებელი პოეტური სახე და ლირი-  
კული განცდა საბჭოთა ხალხის სული-  
ერი ცხოვრების დიდი მატეანიდან მილ-  
წევია პოეტისათვის. ჩვენ აქ არ შევეუ-  
ღებით ამ ლექსების დაწვრილებითს  
ანალიზს, შევეხებით მათ მხოლოდ  
ერთი ზოგადპრინციპული საკითხის  
თვალსაზრისით. ციკლის რამდენიმე კარ-  
გი ლექსიდან აღსანიშნავია: „კრემლში“,  
„ბალადა რაიმონდა დიენზე“, „ბაკ დე-  
ნაი“ და სხვ. პოეტი ახერხებს მკითხ-  
ველი შეიყვანოს იმ ნათელ ატმოსფე-  
როში, რომელსაც ჰქმნის ხალხის სული-  
ერი ძალების დარაზმვა დიადი მიზნი-  
სათვის — მშვიდობისა და კომუნისმი-  
სათვის.

აზრიან პოეტურ განათლებაშია მო-  
ცემული მამაცი ფრანგი ქალიშვილის —  
რაიმონდა დიენის — სტუმრობა თბი-  
ლისში, მისი შეხვედრა თბილისელ  
ბავშვებთან, მისი მოგონება იმ დაუფიქ-  
ყარი წუთებისა, როცა თავისი პატარა  
სხეულით გზა გადაუჭრა იმპერიალი-  
ზმის საზარელ ურჩხულს. ნათელი პოე-  
ტური აზრი და განწყობილება გამოხა-  
ტული კრემლის დიდებული, ფხიზელი  
ღამის სურათში. გვჯერა პოეტის  
აღფრთოვანება, როცა იგი უმღერის  
კორეელ დედას, მამაც მთაშსვლელებს,  
დროს გასწრებულ ადამიანებსა და დაზ-  
გებს, მაგრამ, ჩვენი აზრით, ციკლში  
მინც ყველაზე ძლიერი და ნამდვილად  
პოეტური ლექსია „გახსოვს, მწვანე  
გვალდას მთაო“. ეს იმიტომ, რომ, რო-  
გორც ჩანს, ეს ლექსი ყველაზე მეტად  
გამომდინარეობს პოეტის ბიოგრაფიი-  
დან, მისი უშუალო ემოციებიდან. ლექ-  
სში თითქოს ზღმსესახებად ვგრძნობთ  
მთის სუფთა, გამჟვირვალე ჰაერს, მთის  
ყვავილების სურნელებას, მათ თრთო-  
ლვას, მთიბველების ცელის ელვას,  
მათ ომახიან სიმღერას. პოეზია მეტყ-  
ველებს თავისი საკუთარი ენით —

გრძნობათა ენით. ვფიქრობთ, ამგვარ  
მკითხველი უფრო მეტს ამოგეგმავს,  
ვიღრე ისეთ რაციონალისტურ სტრუქტუ-  
ში, როგორცაა:

რაც აღტაცება თან ახლავს წერილს,  
ფაქიზი ვანცა და ქრუანტლი,  
დაწერილია ელექტროლეით?  
დაწერილია ელექტროდენით.

კონკრეტულად ეს არაფერს ეუბნება  
ჩვენს გულს, ვერ დავიჯერებთ ელექ-  
ტროლეით თუ ელექტროდენით დაწე-  
რილ განცდებს. ვერც ასეთი ტექნიკური  
შეღარება აგვალეუვებს:

ჩვენი წერილის ყოველი პუკარი,  
მადლიერ ხალხის გულში შობილი,  
იხე სწრაფია, იხე ფრთამალი,  
როგორც ქართული ავტომობილი.

ჩვენთვის გაუგებარია, ქართული ავ-  
ტომობილით სწრაფობა და ფრთამა-  
ლობა რა ღირსებას ანიჭებს წერილის  
პუკარს.

აქვე უნდა ითქვას, რომ გასულ წელს  
ქართულ პოეზიაში იგრძნობოდა მეტის-  
მეტი ვატაცება მანქანებით, ხარაჩოე-  
ბით, ინდუსტრიული პეიზაჟებით და  
საერთოდ, ყოველგვარი პეიზაჟებით.  
ამაში სააუფო არაფერი იქნებოდა, რომ  
ტექნიციზმსა და ბუნების მოსაწყენ  
აღწერებში არ ინთქებოდეს ადამიანი  
თავისი ცოცხალი აზრებით, განცდებით,  
ფიქრებით, თავისი დამოკიდებულებით  
გარემოსთან. დამახასიათებელია, რომ  
ერთ ახალგაზრდა პოეტს პურის ყანე-  
ბის ფონზე თავისი თავი ქონდრის კა-  
ცადაც კი მოეჩვენა. პოეზია საბედის-  
წერო საშიშროების წინაშე დგება, რო-  
ცა ადამიანთა სულის მოძრაობას ფა-  
რავს ნივთების მოძრაობა.

გასული წლის ქართულ პოეზიაში  
ყურადღებას იქცევს დავით გაჩეჩილა-  
ძის სამი ლექსი: „ბელოიანისის ღიმი-  
ლი“, „იულიუს ფიჩიკს“ და „იქნებ ის  
იყო გაბრიელ პერი“.

თანამედროვეობის ყველაზე დიადი

მოდრობა — კომუნისტური მოქრობა — დიადია არა მარტო თავისი უმაღლესი სოციალური ამოცანებით, არამედ იმითაც, რომ იგი მასობრივად წარმოშობს განუყოფელი სულიერი სიღამაზის ადამიანებს. ეს ადამიანები არიან დიდი შინაგანი მთლიანობის, უდრეკი ნებისყოფის, უწმინდესი იდეალებისა და განუზომელი სულიერი მასშტაბების ადამიანები. ისინი გვასწავლიან უანგარო ბრძოლას არა მარტო ადამიანობის უმაღლესი იდეალებისა და ქვეყნის დიდი წესრიგისათვის, არამედ უქცობი ადამიანური მშვენიერებისათვისაც. ისინი არაფრით არ ჰგვანან საცოდავ კაცუნებს, რომლებიც თავისი ვიწრო პირადული ინტერესებისათვის მზად არიან ყველა ეშმაკს მიჰყიდონ სული. თავის უმძაფრეს მომენტში, ტრაგიკულია იგი თუ სახეიმო, ამ კაცურ კაცთა შესანიშნავი ბიოგრაფია თავისთავად აღის უმშვენიერესი პოეზიის სიმალღეზე.

სწორედ ასეთი მზამზარეული პოეტური ფაქტები აიღო დავით გაჩეჩილაძემ და ოსტატურად, აზრიანად განასახიერა თავის ლექსებში. საბერძნეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი — უდრეკი მებრძოლი ბელოიანის — მონარქისტ-ფაშისტებმა დახვრიტეს 1952 წელს ათენის მახლობლად. ლექსის ემოციურ ძარღვად გამოყენებულია ამ დიდი, ძლიერი და მართალი კაცის ღიმილი. იგი იღიმებოდა დახვრეტის წინ; დახვრიტეს, მაგრამ ეგ მშვენიერი ღიმილი მაინც ვერ წარხოცეს მისი სახიდან. ცხადია, ეს იყო ღიმილი, სავსე დიდი ქეშმარიტების რწმენით, ღიმილი, მტარვალთა უბადრუტობისა და განწირულების მაუწყებელი. ამიტომაც გაჰყვირიან ჯალათები:

დააყარეთ! ჩქარა მიწა დააყარეთ!  
და მის ღიმილს უბოვლად შესვამს მიწა.

მაგრამ არა, გმირის ღიმილი, ისე როგორც მისი სამართლიანი საქმე, თითქოს მთელ ქვეყანას გადაედო:

შორს გამოჩნდა ცის ნაპირი მოღვარე,  
წვიმა შეწყდა და ღრუბელთა გაცივრება...  
და რა ნახეს... ეს აანთო ოქროს სხივმა,  
თითქოს გმირმა მთელ ქვეყანას გაუღია.

ნამდვილი კომუნისტის უმშვენიერესი მორალური სამყაროს პოეტური ჩვენებაა ლექსში — „იქნებ ის იყო გაბრიელ პერი“. გაბრიელ პერი იყო ერთი იმ 75 ათას ფრანგ კომუნისტთაგანი, რომლებიც ფაშისტებმა დახვრიტეს ომის წლებში:

დაკარგულია მისი სამარხი,  
წლები ხმაურით მიისწრაფვიან,  
ხან თოვლი არის და ხან ბალახი  
უცნობი გმირის ეპიტაფია.

ეს თოვლისა და ბალახის ეპიტაფია უცნობი გმირის საფლავზე მიგნებული პოეტური დეტალია ისტორიული ტრაგიზმის გამოსახატავად. ჯალათებმა აწამეს გმირი, სურდათ გაეგოთ მისი ვინაობა, რომ ამ გზით ხელთ ეგდოთ მისი თანამოაზრენიც. მაგრამ:

არა, არ გასთქვა მან ვინაობა  
თანამომძმეთა გადასარჩენად.  
მხოლოდ თვალუმი თურმე ამზობდა:  
ვარ ამზობება, ვარ გამარჯვება!

ლექსის კომპოზიცია კარგად არის შეკრული ბოლო სტროფით:

სახეზე თითოდა რიერაჟის ფერი,  
ვით ანარეკლი ნაოცნებარის...  
იქნებ ის იყო გაბრიელ პერი,  
იქნებ ის იყო პიერ სემარა.

შედარებით უფერული ლექსია „იულის ფუნიკს“, ხოლო „ბოლოთქმა“ აშკარად მშრალი მორალიზაციაა.

საერთოდ, მსჯელობითი ტონი, რომელიც ახასიათებს რამდენიმე დ. გაჩეჩილაძის ამ ლექსებს, ასუსტებს მათ პოეტურ ელვარებას. საჭიროა აგრეთვე აღინიშნოს, რომ „დოკუმენტალური პოეზია“ ერთგვარად ზღუდავს პოეტური შემოქმედების დიაპაზონს.

გასულ წელს გამოქვეყნდა სხვადასხვა პოეტის ლექსების რამდენიმე ციკ-

ლი. ამ მხრივ განსაკუთრებით ნაყოფიერი იყვნენ: ოთარ ჭელიძე, არჩილ სულაიაური, თეიმურაზ ჯანგულაშვილი და ბებრი სხვა ახალგაზრდა პოეტი. მათი ლექსები უმეტესად იძლევა ზოგიერთი საგულისხმო განზოგადების საშუალებას. კერძოდ, ოთარ ჭელიძის ლექსების რამდენიმე ციკლი კარგ მასალას მოგვცემდა პოეტური ინტონაციის საკითხის გასაშუქებლად.

აქ მხოლოდ გვინდა ზოგადად დავაყენოთ ლექსების ციკლის საკითხი.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ციკლებით მეტისმეტი გატაცება საქმეს ენებს. რასაკვირველია, არ იქნებოდა მართალი ლექსების ციკლის, ისე როგორც კარგი ლექსების კრებულის, წინააღმდეგ გალაშქრება. მაგრამ უკანასკნელ ხანებში ზოგიერთი ციკლი გვაგონებს ერთი ჭიქა ღვინისა და ორი კოკა წყლის შენახვას. ზოგჯერ პირდაპირ გრძნობთ, რომ ამა თუ იმ პოეტს პოეტური საღებავები ერთი ლექსისათვისაც ძლივს ყოფნის, მაგრამ ციკლით გატაცებული მომჭირნეობით ანაწილებს ამ საღებავებს რამდენიმე ლექსზე. ამიტომ თითქმის ყველა ლექსი უფერული და მოშვებული გამოდის.

ციკლი, როგორც ასეთი, არ შეიცავს რაიმე ქანობრივ თავისებურებას. ციკლში მთლიან პოეტურ ერთეულს უმეტესად წარმოადგენს ცალკეული ლექსი და არა ლექსების მექანიკური გაჯგვი. ამიტომ, ჩვენი აზრით, უმჯობესია პოეტი გამოედევნოს არა ლექსების გამრავლებას ციკლში, არამედ პოეტური საღებავების გაძლიერებას, აზრის სიღრმეს, გრძნობათა უშუალოებას ერთ ლექსში.

ერთი ძლიერი ლექსი, ნაცვლად მრავალი უფერულ ლექსისა! ლექსი ზომ არ არის ისეთი მოსახმარი საგანი, რომელიც აუცილებლად ბებრი უნდა დამზადდეს, — ერთი კარგი ლექსი მილიონების გულთან მიდის!

რასაკვირველია, ერთი ლექსი, როგორც ფორმა, თავისთავად არაფერს წყვეტს, თუ საქმე არა გვაქვს რაიმე მნიშვნელოვან პოეტურ განზოგადებასა, ღრმა პოეტურ აზრსა და ცხოვრების მასალის ძლიერ პოეტურ შემქმნელობასთან.

გასულ წელს დაიბეჭდა ჩვენი საუკეთესო პოეტების რამდენიმე ცალკეული ლექსი. ამ ლექსების უმეტესობა შესრულებულია ნაცადი ოსტატობით. მაგრამ მათში ცოტას ვიპოვით ელვარე ლექსს, რომელიც შეიძლება მივაკუთვნოთ პოეზიის ისეთ ნიმუშთა რიცხვს, რომლებიც მკითხველის ქეშმარიტი თანამგზავრნი ზღებიან ჭირსა და ლხინში, შრომასა და ბრძოლაში.

დამაფიქრებელია, რომ ზოგჯერ ნიჰიური პოეტიც კი გაიოლებულად ეპყრობა ლექსს. აი, მაგალითად, ახალგაზრდა პოეტმა მუხრან მაჭავარიანმა, რომლის პირველი ნაბიჯები უმეტესად საიმედოა, დაბეჭდა ლექსი „სტალინგრადის დღე“. ლექსი იწყება იმით, რომ გეტყობინებ, სტალინგრადი და ვოლგა ომგადახდილი არიანო, რომ მათ „გუშინ... დენთის მღვრიე კვამლი ებუჟა“ და „...ორივე წითელ დროშას იცავდა სისხლით“. ამის შემდეგ ვკითხულობთ:

და როგორც ვორი,  
სტალინგრადი!  
აღმართულია ვოლგის პირად  
ძღვეამოსილად  
ბედნიერია კომუნისმის მოახლოებით...  
ზეტყე,  
ცემენტი,  
ქვანახშირი,  
აგური,  
სილა...  
ვოლგით,  
ყოველდღე,  
ყოველწობრიდან  
მოაქვთ  
ყოველი.  
ასე შენდება კომუნისში, —  
და ამ ნაწილებს

თავთაის ადგილს უძებნის და გულდასმით  
 აქვობს  
 კაცი, რომელიც ღრმა გულმკერდით  
 სუნთქავს ქარ-წვიმას,  
 კაცი, ვინც ომში გამობრძმედა და  
 გამოაწრთო...  
 შევეუბრებ მე მის მძლავრი მკერდის  
 აწეუ-დაწევას...  
 ღრუბელს ფატრავენ მზით აღსავსე  
 თვალები ღურჯი...  
 საღამოზე კი, —  
 მზე რომ ზავა,  
 მზე რომ დაეხრება,  
 მშენებლობიდან შინ ბრუნდება ნაცნობი  
 ქუჩით.

როგორც ვხედავთ, ეს უბრალო ქრონიკაა. ლექსში საგნებსა და ადამიანს არა აქვს მონახული რაიმე კონკრეტული პოეტური სახე. არის მხოლოდ საგნებისა და მოძრაობის უბრალო რეგისტრაცია. არ არის ამაში არც ძლიერი გრძნობა, არც რაიმე ახალი აზრი. არც ლექსის მუსიკაა მაინცდამაინც წარმტაცი. მაშ, რამ მოგვხიზლოს? სიტყვების უცნაურმა კიბურებმა? ვფიქრობთ, რომ ქართულ ლექსში საერთოდ ამ კიბურებს ძალიან იშვიათად აქვს რაიმე პოეტური დანიშნულება.

სულ სხვაა მიაკოვსკის „კიბურები“. რუსული ენისა და რუსული ლექსის ბუნების შესაბამისად, მათ ყოველთვის აქვთ გარკვეული რიტმული, ლოგიკური აზრობრივი და ინტონაციური ფუნქცია. მიაკოვსკის ლექსის გარეგნული ფორმის მექანიკურად გადმოტანა ქართულ ლექსში ფუჭი მიმბაძველობაა.

მკლედ გამოიყურება გასული წელი პოეზიის ეპიკურ ქანრში. მკითხველს კი სწყურია კარგი, მწყობრი ამბავი, ძლიერი ვნებათაღელვის გმირი, ცოცხალ ხასიათთა ურთიერთობის საინტერესო კოლიზიები. ჩვენი ადამიანები ზედავენ, გრძნობენ მონუმენტურ ფორმათა დიდებულ მოძრაობას ჩვენი ხალხის სულიერ ცხოვრებაში, ჩვენს სახელმწიფო ცხოვრებაში, ჩვენს საზოგა-

დობრივ ურთიერთობაში. საქირთა ყოველივე ამან გამოხატულებს პოეზოს ჩვენი პოეზიის მონუმენტურ ფორმებშია.

გასული წლის ერთადერთი საგულდისხმო ნაწარმოები, რომელიც შეიძლება ეპიკურ ქანრს მივაკუთვნოთ, არის გრიგოლ აბაშიძის მიძღვნა ჩვენი პარტიის XIX ყრილობისადმი: „წითელ მოედანზე“.

ენობილია, რომ გ. აბაშიძე ლექსის დახელოვნებული ოსტატია. მისი ლექსი კარგად ნაჭედი, დახვეწილი გამჭვირვალეა, სტრიქონი გამართული, აზრი ნათელი. ამ გრძელ ლექსშია, რომელსაც ერთგვარი „შინაგანი“ მონუმენტურობა პოემის ხასიათს აძლევს, არის დასამახსოვრებელი სტროფები და სტრიქონები. უეჭველად გვაგრძნობინებს საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის პირველი დღეების მძაფრ ვითარებას შემდეგი სტრიქონები:

ცეცხლი და ტყვია მოდიოდა წვიმად  
 დამრული,  
 ცა იქცეოდა, ირეოდა მუხით მთა-ბარი,  
 და იღვა მაღალ ტრიბუნაზე, ვით სასწაული,  
 იმ დღეებივით შებღმეკარული  
 მხედართმთავარი.  
 ის მიმართავდა თავისუფალ ხალხების  
 შეილებს,  
 იყო ქარი და იღვა თოვლის კორიანტელი...  
 და უთვალავ ზიზს, ვით ვიგანტურ  
 საჩქჩლის კბილებს,  
 ნელი ფარფატით ეცემოდა თოვლის  
 ფანტელი.

მართალია, არ არის პლასტიკური შედარება — „ვით სასწაული“, არც გიგანტური საჩქჩლის კბილებია მოვლენის გრანდიოზულობის შესაფერი შედარება, მაგარამ სურათი მაინც იქმნება. ეგრძნობთ ხალხის მრისხანე შემართებას ზეადმართული ზიზტის ცივ ელვარებაში, რასაც თითქოს ხაზს უსვამს ნელი ფარფატით მომავალი თოვლის ფანტელი.

შთაგონებული და აზრიანი პოეტის გაცნობები ლენინის მავზოლეუმში. გა-



მოსახვის საშუალებათა სიმკაცრე და სიკვადე შეესაბამება საგნისა და ვითარების სიღიაღეს:

მეც ჩავდექ რიგში, რომ მენახა ლენინის  
სახე,  
სიკვდილის სახე კი არ შემხვდა კართან  
პირველი,  
გარს არც სიბნელე მომხვებია ზარის  
დამცემი,  
იყო სინათლე აკლდამაში გასაკვირველი  
და ყარაულში უბოძო იღვწენ ჯარისკაცები,  
მათ მზერას თათქოს არაფერია არ  
იტაცებდა  
და იქნებ თვითონ არც იცოდნენ ეს  
საოცრება,  
რომ მათთან იღვა ყარაულში,  
ჯარისკაცებთან,  
კაცობრიობის უწმინდესი ყველა ოცნება.  
ის როდი იყო გარდასული ცოვი მუშია,  
ჩვენს თვალწინ იწვა უკვდავება, მზისებრ  
დღევანდელი...  
და მოცებდა: აკლდამაში რა სიჩუჩეა,  
როცა ეუბოში გრიგალი წვეს ქვეყნის  
შემქმნველი.

აქ კარგად არის თქმული ლენინზე, შემდეგ კი აღარ იყო საჭირო ამ სახის განმეორება რამდენიმე ვარიანტით.

პოეტი მოგვითხრობს ჩვენი ეპოქის დიდი იდეების ხორცშესხმავზე, ხალხთა მეგობრობასა და ძმობაზე; მოგვითხრობს ხალხთა ყვითელ საპყრობილესზე— თანამედროვე იმპერიალისტურ ქვეყნებზე. მშეიღობის და კომუნისმის გამარჯვების ღრმა რწმენას გამოხატავს პოეტი ლექსის პოეტურ აპოთეოზში.

მიუხედავად ზემოთ თქმულისა, „წითელ მოედანზე“ მაინც ვერ დგას პოეტის უკეთეს ნაწარმოებთა დონეზე. ჯერ ერთი, პოეტს არა აქვს მონახული თემის გადაწყვეტის რაიმე განსაკუთრებული პოეტური კვანძი, თემის ემოციური ორგანიზაციის განსაკუთრებული ფორმა. საყოველთაოდ ცნობილი აზრებისა და შეხედულებების, ფაქტებისა და მოვლენების პირდაპირი გალექსევა ვერ აღის დიდ პოეტურ სიმალემდე. ზოგიერთ დეტალებშიაც პოეტი არ

არის მართალი. მაგალითად, პოეტი წერს:

დიდი ლენინი არ მინახავს, თუმცა  
მოვესწაოი  
(ჩემი თაობა იმ პირველი ომის ხნის არი,  
რომელმაც ქვეყნებს გადახურა ცეცხლის  
ზეწარი  
და შავბნელ ცარიზმს შეუნგრია  
გულისფიცარი).

პირველმა მსოფლიო იმპერიალისტურმა ომმა, ცხადია, დააჩქარა რევოლუცია, რამაც მართლა შეუნგრია ცარიზმს გულისფიცარი. მაგრამ ამის გამო არ შეიძლება იმპერიალისტურ ომს მივაწეროთ ისეთი დიდი სოციალური სიკეთე, როგორც იყო ცარიზმის დანგრევა.

აზრობრივად კოჭლია შემდეგი ადგილიც:

ამ მოედანზე მოიტანეს დროშები შავი  
და სტალინის წინ ძირს დაამხეს  
ამპარტაყენება.

აქ იგულისხმება ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვება. მაგრამ ამპარტაყენება ვიწრო ფსიქოლოგიური ცნებაა და იგი მიახლოვებითაც ვერ გამოხატავს იმ შავბნელი ძალის არსს, რასაც ფაშიზმი ეწოდება.

გასულ წელს დაიბეჭდა პატარა ნაწყვეტი ალექო შენგელიას პოემიდან („დიდი ვარსკვლავი“) „ახალმოსახლენის“ სათაურით. ამ ნაწყვეტში არის ზოგიერთი კარგი პოეტური ნახატი, არის მინიშნებული ამბავის სათავე და რამდენიმე გმირის სილუეტი. მაგრამ ნაწყვეტს ეტყობა თავმოყურელობა. ალექო შენგელია ნიჭიერი პოეტია და იმედი უნდა ექონიოთ, რომ იგი გულმოდგინედ იმუშავებს პოემაზე, რომლისთვისაც აუცილებელია გამოკვეთილი ამბავი, მწყობრი სიუჟეტი და მწყობრი კომპოზიცია, რაც ცოცხალ ხასიათთა მართალ ურთიერთობაზე შენდება.

ჩვენმა კრიტიკამ სავსებით სამართლიანად ჩათვალა ლიტერატურულ წუნად ფრიდონ ზალვაშის პოემა „მშვიდობის



ჯარისკაცი“, რომელიც გასულ წელს დაიბეჭდა. ავტორის მარცხი იმაში მდგომარეობს, რომ იგი შეეცადა ისეთი გარემოსა და ადამიანის დახატვას, რომელიც მისთვის სრულიად უცნობია. ავტორს, როგორც ჩანს ნათელი წარმოდგენა არა აქვს პოემის კომპოზიციური სტრუქტურის დანიშნულებაზე. პოემაში პერსონაჟთა ურთიერთობა ემსახურება არა მათი ხასიათების გახსნასა და ჩვენებას, არამედ მოგონილი სიუჟეტური სქემის გულუბრყვილოდ შევსებას. პოემაში არ არის აღმანიშნა მართალი ფსიქოლოგიური შტრიხი. ასე, მაგალითად, ფსიქოლოგიურად ყალბი და არადაამაჯვრებელია ტყვეობიდან გაქცეული ხაბაძის პირველი შეხვედრა ფრანგ პარტიზანთან:

შორით შევნიშნე: უცნობი ბილიკს მოჰყვება... როცა შემხედა შედგა...  
„ფაშისტი მოდის იქნებ ამ დილით“  
და გადაეწვიტე შეხვედრა შედგარად.  
მსურდა ვცემოდი... ვეცემოდი, მაგრამ მანიშნა, რომ ის არ იყო მტერი,  
მომიხლოვდა და იქვიც გაქრა,  
თითქოს ვიცანი კაცური მხერით.  
მან გამიღიმა და მითხრა რაღაც,  
მოვლბი და წუთით დაწყნარდა გული,  
მეუბნებოდა... მკითხავდა, მაგრამ მე არ მესმოდა მისი ფრანგული.

განა ასე უბრალოდ, ასე მიაბიტურად მიენდობა ერთმანეთს ორი სრულიად უცნობი ადამიანი იმ დროს, როდესაც იქვიანობისა და დაუნდობლობის ატმოსფერო სუფევს? ყოველივე ეს მოგონილია წყალწყალა ამბის გადასაბმელად და არა ადამიანთა ხასიათების საჩვენებლად.

პოეტი ასეთი უსუსური ლექსით გვაცნობს ფრანგ პარტიზანს:

თავის სოფელში იგი ომამდე უნდა იყო გლეხის შვილებთან მსწავლედილი... მშვილობიანი იყო ვე საქმე... მაგრამ ასეთი სიივე მოხდა.

პოემა საესეა ღარიბი და გულუბრყვილო აზრებით. პოემის გმირი ხაბაძე ასე ჰყვება ფაშისტი ზედამხედველის მოკვლის ამბავს:

ვერც კი მოასწრო ხმის აშოლება,  
ისე მოვახრჩვე მხეცი, მოძალე.  
ჯალათი ვეღარ გადავიჩნება,  
სიმართლის რწმენა თუ გამოძრავებს.

ავტორს, ალბათ, ფრთიანი სიტყვა, ანდა აფორისტული თქმა ჰგონია ასეთი რამ: „ჯალათი ვეღარ გადავიჩნება, სიმართლის რწმენა თუ გამოძრავებს“. სამწუხაროდ, ეს ასე არ არის. უამრავი მაგალითებით ვიცით, რომ სიმართლის რწმენით აღგზნებული ადამიანები ჯალათების მსხვერპლი ხდებოდნენ. ავტორი თავის გმირს ასეთი ენით აღაპარაკებს:

ლოყას მოლოკავს უცნობი ნისლი  
და არ ჩერდება ნაბიჯი მარდი,  
შურისძიებას თვალებით ვისერი,  
შურისძიება ჩემს გვერდით დადის.

ასეთი დაღვარპნილი ენით არ ღაპარაკობდნენ ჩვენი მეომრები.

ინეინერი ქალი — მზია თავის საქმაროს სწერს:

განა არ იცი, შენი ბარათი  
ჩემთვის ყოველთვის ღირს მილიონი?..

ცხადია, ასეთი „პოეტური“ მასალით პოემა არ შეიქმნება.

ასეთია ჩვენი შენიშვნები 1952 წლის ზოგიერთი ქართული პოეტური ნაწარმოების შესახებ. შესაძლოა აქ ზოგი რამ სადავო იყოს, მაგრამ ეს კი აშკარაა: ქართულ საბჭოთა პოეზიას ძალთა დიდი მობილიზაცია ესაჭიროება თავისი ღირსების დასაცავად.



## ლიგარაგუარის ეროვნული ფორმისა და სოციალისტური შინაარსის ზოგადი საკითხისათვის



ქართული საბჭოთა ლიტერატურა, რომელიც განუზღვრელად ვითარდებოდა შინაარსით სოციალისტური და ფორმით ეროვნული პროლეტარული კულტურის შესახებ ი. ბ. სტალინის ბრძნული მოძღვრების საფუძველზე, შესანიშნავი დადასტურებაა ქართველი ხალხის ახალი, სოციალისტური კულტურის სწრაფი ზრდისა.

სოციალისტურ საზოგადოებაში, სოციალისტური ერების კავშირში ლიტერატურისა და ხელოვნების, მთელი კულტურის განვითარება მიიმართება ახალი გზით. თვითვე ეროვნულ კულტურას, სოციალისტური საზოგადოების წინაღობის კულტურებთან შედარებით, ჩვენს დროში განვითარების ფართო შესაძლებლობანი აქვს. ყოველ მათგანში ახალი შინაარსი შეხამებულია მის ეროვნულ ფორმასთან, ე. ი. ის საერთო, რაც ყველა სოციალისტური კულტურის დამახასიათებელია, ეხამება კერძოს, რაც უმთავრესად დამახასიათებელია ცალკეული ერისათვის. ამით გამოიხატება სოციალისტური შინაარსის შეხამება ეროვნულ ფორმასთან.

კულტურის ეროვნული ფორმა სხვადასხვა ეპოქის პროდუქტია. თავისი საერთო ნიშნების მიხედვით იგი ჩამოყალიბდა ერის ფორმირების პერიოდში. აქამდე კი ეროვნულმა ფორმამ განვლო დამკვიდრების გრძელი გზა, იქმნებოდა რა თანდათანობით, ცალკეული ელემენტების სახით ჯერ კიდევ კაპიტალიზმამდე პერიოდში.

სოციალისტური პერიოდის წინაღობის კულტურას, მართალია, თავისი გამოხატვის, ე. ი. ეროვნულ ფორმის, ბევრი საერთო საშუალება ჰქონდა (ენა და სხვ.), მაგრამ იგი ერთიანი არ იყო და არც შეიძლებოდა ასეთი ყოფილიყო, რადგან თვით საზოგადოება ერთიმეორის წინააღმდეგ მებრძოლ ძალებად — ანტაგონისტურ კლასებად იყო დაყოფილი.

ცნობილია, რომ კაპიტალიზმის პერიოდის ყოველ ეროვნულ კულტურაში ე. ი. ლენინი განასხვავებდა ორ კულტურას: გაბატონებული კლასებისას, ე. ი. რეაქციულ კულტურას, და რევოლუციური ძალებისას, ე. ი. პროგრესულ, სახალხო კულტურას.

ამ ორი კულტურის სხვადასხვაობა გამოიხატებოდა უმთავრესად მათი შინაარსით, ფორმა კი, ძირითადად, ერთი იყო. მაშასადამე, ჰქონდა რა ერთი ფორმა, თავისი შინაარსით სხვადასხვა ორი კულტურა გამოხატავდა სხვადასხვა კლასის ინტერესებსა და მისწრაფებებს, ასახავდა სხვადასხვა მსოფლმხედველობას.

სოციალისტური საზოგადოების პირობებში ყოველი ერი მთლიანაა, ერთიანია, ეს არის ახალი, სოციალისტური ერი, რომლის ყველა ძალა და შესაძლებლობა ექვემდებარება ერთი, მისი ყველა წევრის საერთო, ამოცანის შესრულებისათვის ბრძოლას.

ბურჟუაზიული ერის იდეურ და სოციალურ-პოლიტიკურ ავლადიდებას, ერისა, რომლის მთავარი ხელმძღვანელი

ძალა ბურჟუაზია და მისი ნაციონალისტური პარტიები არიან, წარმოადგენს, როგორც ამბობს ი. ბ. სტალინი გენიალურ ნაშრომში „ნაციონალური საკითხი და ლენინიზმი“, „კლასობრივი მშვიდობა ერის შიგნით“ „ერის ერთიანობის“ გულისთვის; თავისი ერის ტერიტორიის გაფართოება სხვისი ნაციონალური ტერიტორიების დაპყრობის გზით; სხვა ერებისადმი უნდობლობა და სიძულვილი; ნაციონალურ უმცირესობათა ჩახშობა; იმპერიალიზმთან ერთიანი ფრონტი“.

ასეთ იდეურ და სოციალურ-პოლიტიკურ შინაარსს შეიცავს ბურჟუაზიული კულტურა, რომელსაც ე. ი. ლენინმა პურიშვევიჩების, გუჩკოვებისა და სტრუვეთა კულტურა უწოდა.

სოციალისტური ერები „წარმოიშენენ და განვითარდნენ ძველი, ბურჟუაზიული ერების ბაზაზე კაპიტალიზმის ლიკვიდაციის შედეგად, — სოციალიზმის სულსკვეთებით მათი ძირეული გარდაქმნის გზით“. (ი. სტალინი). ისინი განვითარდნენ და განმტკიცდნენ საბჭოთა წყობილების პირობებში. სოციალისტური ერები თავისუფალი არიან ძველ მანკიერებათაგან. ამ ერების ხელმძღვანელი და წარმმართველია მუშათა კლასი და მისი კომუნისტური პარტია. სოციალისტური ერების სულიერი და სოციალურ-პოლიტიკური სახე, როგორც ი. სტალინი გვასწავლის, არის „მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის კავშირი ერის შიგნით—კაპიტალიზმის ნაშთების აღმოსაფხვრელად სოციალიზმის ძლევამოსილი მშენებლობისათვის; ეროვნული ჩაგვრის ნაშთების მოსპობა ერთა და ნაციონალურ უმცირესობათა თანასწორუფლებიანობისა და თავისუფალი განვითარებისათვის; ნაციონალიზმის ნაშთებს მოსპობა ხალხთა შორის მეგობრობის დამყარებისა და ინტერნაციონალიზმის დამკვიდრებისათვის; ყველა ჩაგვრულ და არასრულუფლებიან ერთან ერთიანი

ფრონტი დაპყრობათა პოლიტიკისა და დაპყრობითი ომების წინააღმდეგ ბრძოლაში, იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში“.

სოციალისტური ერების ბრძოლისა და მოქმედების ეს საერთო მიზნები განსაზღვრავენ და განაპირობებენ მათი კულტურის შინაარსს. ეს არის სოციალისტური შინაარსი, რომელიც მოითხოვს ყველა საბჭოთა ხალხის საერთო ძალღონის დაქვემდებარებას კომუნისმის გამარჯვების საქმისადმი.

ამ შინაარსიდან გამომდინარეობს ჩვენი სოციალისტური კულტურის, საბჭოთა ქვეყნის ყველა ხალხის კულტურის საერთო დამახასიათებელი ნიშანი. სოციალისტურ ერებს აერთიანებს საერთო-საკაცობრიო მიზანი. ეს მიზანი ერთია რუსული, ქართული, ლატვიური თუ სხვა ეროვნული სოციალისტური კულტურებისათვის.

ამასთან, როგორც ცნობილია, შინაარსი არ არსებობს უფორმოდ, ე. ი. თავისი გამოვლინების კონკრეტულ საშუალებათა და კონკრეტულ სახეთა გარეშე.

მაგრამ სოციალისტურ კულტურებს არა აქვთ ერთიანი-საყოველთაო ფორმა და არც შეუძლიათ ჰქონდეთ იგა, სანამდე არსებობენ სხვადასხვა ერები. ჩვენი ხალხების თავიანთი შინაარსით ერთიან სოციალისტურ კულტურებს აქვთ საკუთარი, ეროვნული ფორმები, როგორც ერის კულტურული განვითარების ერთერთი საუკეთესო საშუალება.

საბჭოთა კულტურის ეროვნული ფორმის ერთ-ერთ მთავარ დამახასიათებელ ნიშანთვისებას წარმოადგენს შინაარსთან მისი სრული შესატყვისობა, რაც ხელს უწყობს როგორც შინაარსის, ისე თვით ფორმის შემდგომ სწრაფ ზრდასა და განვითარებას.

ეროვნული ფორმა არ შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი უძრავი რამ. ცხოვრების განვითარებასთან, თვით

შინაარსის განვითარებასთან ერთად, ფორმაც განიცდის გარკვეულ ცვლილებას გაუმჯობესების გზით.

საბჭოთა ეროვნული ფორმის განვითარება წარმოებს, მნიშვნელოვანწილად, ენის განვითარებით, მისი გამდიდრებით ახალი სიტყვებითა და ცნებებით: ფორმის განვითარება გამოიხატება აგრეთვე სხვა კულტურული მოვლენებითაც, მაგალითად, ლიტერატურისა და ხელოვნების ახალი, განსხვავებული ფორმის ნაწარმოებების შექმნით (ეპოსის ახალი ფორმა, ახალი კომპოზიცია, ახალი სიმღერები და ცეკვები და ა. შ.).

სოციალისტური კულტურის სწრაფი ზრდისათვის თანამედროვე ეტაპზე აუცილებელია ეროვნული ფორმა. დიდი სტალინი, ეხებოდა რა საბჭოთა რესპუბლიკებში ეროვნული კულტურის აღმავლობის საკითხს, 1925 წელს ამბობდა:

„პროლეტარული კულტურა, თავისი შინაარსით სოციალისტური, გამოხატულების სხვადასხვა ფორმებსა და საშუალებებს იღებს სოციალისტურ მშენებლობაში ჩაბმულ სხვადასხვა ხალხებში, ენის, ყოფაცხოვრების და სხვ. განსხვავების მიხედვით. თავისი შინაარსით პროლეტარული, ფორმით ნაციონალური, — ასეთია ის საერთო-საკაცობრიო კულტურა, რომლისკენაც მიდის სოციალიზმი. პროლეტარული კულტურა კი არ უარყოფს ნაციონალურ კულტურას, არამედ შინაარსს აძლევს მას. და, პირიქით, ნაციონალური კულტურა კი არ უარყოფს პროლეტარულ კულტურას, არამედ ფორმას აძლევს მას“.

ეროვნული კულტურის განვითარებისათვის რომ ვიბრძვით, ჩვენ ამ ცნებაში გვაქვს მისი ბურჟუაზიული გაგებისაგან მკვეთრად განსხვავებული შინაარსი — სოციალისტური შინაარსი. რუსეთის ბურჟუაზია „ნაციონალური კულტურის“ ლოზუნგით ცდილობდა

სხვა კლასებისათვის თავს მოეხვია თავისი იდეოლოგია, თავისი ლიტერატურა, ხელოვნება — გაბატონებული კლასების კულტურა, ასაღებდა რა მას როგორც „საერთო ნაციონალურ“ კულტურას. ამგვარად, „ნაციონალური კულტურის“ ასეთი ლოზუნგი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე ბურჟუაზიული ლოზუნგი იყო. ოქტომბრის შემდეგ კი ნაციონალური კულტურის ლოზუნგი გადაიქცა პროლეტარულ ლოზუნგად, რადგან ერის კონსოლიდაცია ახლა უკვე მიმდინარეობდა საბჭოთა ხელისუფლების მფარველობითა და ხელშეწყობით. საბჭოთა სახელმწიფოებრიობის პირობებში ეროვნული კულტურის სახე, მისი ამოცანები განსაზღვრულია მისი საერთო-საკაცობრიო შინაარსით.

სოციალისტური კულტურა არის საერთო-საკაცობრიო კულტურა, რადგან მასში ასახულია ხალხთა საუკეთესო მისწრაფებანი, გრძნობები და იმედები. ამ კულტურის ძალა მის ხალხურობაშია.

ქეშმარიტად ხალხური რომ იყოს, კულტურა არა მარტო უნდა ასახავდეს, არამედ გამოხატავდეს კიდევ ხალხის ბრძოლასა და ცხოვრებას, მის მისწრაფებებს, იდეალს, ფიქრებს, სულიერ სამყაროს, მის ფსიქიკას, მისი ყოფის სპეციფიკურობას, ანუ, მოკლედ რომ ვთქვათ, ყოველივე იმას, რითაც ხალხი ცხოვრობს. ამ დიდსა და საპატიო დანიშნულებას ემახურება ჩვენი კულტურის შინაარსიცა და ფორმაც.

ჩვენი სოციალისტური საერთო-საკაცობრიო კულტურა შენდება სოციალიზმის საერთო პრინციპებზე, რომლებიც შეადგენენ მის შინაარსს; ფორმა კი ეყრდნობა სპეციფიკურ ეროვნულ თავისებურებებს. ჩვენი კულტურის ფორმისა და შინაარსის ურღვევი ერთიანობა, როგორც ვთქვით, ურთიერთ ამდიდრებს მათ: სოციალისტური

შინაარსი ხელს უწყობს ეროვნული ფორმის განვითარებას, აფართოებს მის ჩარჩოებს, ავლენს მის ახალ შესაძლებლობებსა და საშუალებებს. ეროვნული ფორმა ხელს უწყობს შინაარსს, რომ იგი უფრო მდიდარი და მრავალფეროვანი, ყველასათვის გასაგები და ხელმისაწვდომი გახდეს, რადგან მისი შემწეობით აღწევს შინაარსი მასების შეგნებამდე, ვრცელდება ხალხის ფართო ფენებში.

ი. სტალინი გვასწავლის, რომ თვითველ ერს, დიდსაც და მცირესაც, აქვს თავისი დამახასიათებელი თავისებურებანი, თავისი სპეციფიკა. ეს თავისებურებანი, ეს სპეციფიკა, რომელიც მხოლოდ მოცემული ერის დამახასიათებელია, წარმოადგენს იმ განძს, რომელიც შეაქვს ერს მსოფლიო კულტურის საერთო საგანძურში. საკმაოა გავიხსენოთ რუსი, ქართველი, უკრაინელი, სომეხი, აზერბაიჯანელი და სხვ. ხალხების კულტურათა უძველესი კლასიკური და თანამედროვე ძეგლები, და მაშინვე ცხადი გახდება ამ ხალხთა მონაწილეობა და მნიშვნელობა საერთო-საკაცობრიო პროგრესული კულტურის გამდიდრების საქმეში.

ჩვენს რესპუბლიკებში გაშლილი კომუნისმის მშენებლობის ერთიანი პროცესები განაპირობებენ მოძველი ლიტერატურათა განვითარების პროცესების ერთიანობას, სინამდვილის მხატვრული ასახვის მეთოდის ერთიანობას.

საერთო-საკაცობრიო კომუნისტური კულტურის შექმნა გულისხმობს მასში ხალხთა პროგრესული ეროვნული კულტურების შერწყმას. ეს სახალხო კულტურები ქმნიან, ამდიდრებენ და ავსებენ საერთო პროგრესულ კულტურას.

ეროვნული სპეციფიკა, ეროვნული თავისებურებანი განსაკუთრებით მკვეთრად ვლინდება ერის კულტურაში, მის ლიტერატურასა და ხელოვნებაში.

ფსიქიკური წყობის ერთობა, რომე-

ლიც ეროვნული კულტურის შესაქმნე-ფიკური თავისებურებების ერთობით ვლინდება, მარქსიზმ-ლენინიზმის განსაზღვრით, ერის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია. ერის ფსიქიკური წყობის გამოუმუშავება წარმოებს საზოგადოების მატერიალური და ისტორიული პირობების განვითარების პროცესში. მატერიალური ცხოვრება, მატერიალური დოვლათის შექმნისათვის ბრძოლა, ადამიანთა საწარმოო ურთიერთობანი საზოგადოებაში, კლასთა ბრძოლა ყოველთვის განაპირობებდნენ ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებას.

სოციალისტური ერის ფსიქიკური წყობა მემკვიდრეობითად არის დაკავშირებული წარსულის პროგრესულ კულტურასთან. მან, ცხადია, ძირეული ცვლილებანი განიცადა სოციალისტური სინამდვილის გავლენით, მაგრამ მასში ცოცხალ ნაკადად შევიდა ის რევოლუციურ-პროგრესული, რაც ხალხის მთელი ისტორიული განვითარების პროცესში ჩამოყალიბდა.

სანამ არსებობენ სხვადასხვა ერები, იარსებებს სხვადასხვაობა ყოველი ერის ფსიქიკური წყობისა, რომელიც თავს იჩენს მისი კულტურის ერთობით. ჩვენი სოციალისტური ერების ფსიქიკური წყობა ყოველმხრივ ვითარდება, პროგრესის გზით მიემართება, ერთიმეორეს უახლოვდება და ერწყმის.

ჩვენი ერების ფსიქიკური წყობის, ეროვნული ხასიათის განვითარება წარმოებს საბჭოთა სინამდვილის გავლენით. ეროვნული ხასიათი, რომელსაც ი. ბ. სტალინი ცხოვრების პირობების ანარეკლი, გარემო წრისაგან მიღებულ შთაბეჭდილებათა კრებული უწოდა, თანდათანობით ცვლილებას განიცდის; აღიქვამს ახალს, აუცილებელს და ამასთან ინარჩუნებს წარსულში შექმნილ დადებითს თვისებებს. ეროვნული ლიტერატურა ასახავს ხოლმე ხალხის ამ დამახასიათებელ ნიშანთვისებებს მთელი სიღრმადითა და სიძლიერით. ეს

ასახვა არ შეიძლება არ შედიოდეს ლიტერატურის ეროვნულ სპეციფიკაში.

ეროვნული კულტურის განვითარება ჩვენს საბჭოთა სინამდვილეში ღრმა ინტერნაციონალურ შინაარსს შეიცავს. „ინტერნაციონალიზმი ხელოვნებაში ნაციონალური ხელოვნების დაქინებისა და გაღარიბების საფუძველზე როდი წარმოიშობა. პირიქით, ინტერნაციონალიზმი წარმოიშობა იქ, სადაც იფურჩქნება ნაციონალური ხელოვნება... თუ ინტერნაციონალიზმს საფუძვლად უდევს სხვა ხალხებისადმი პატივისცემა, არ შეიძლება ინტერნაციონალისტი იყო, რომ პატივს არ სცემდეს და არ გიყვარდეს შენი საკუთარი ხალხი“. (ა. ქდანოვი).

ინტერნაციონალური და ნაციონალური მტკიცედ, ერთიმეორისადმი რაიმე ზიანის მოუყენებლად უნდა იყოს შეხამებული ეროვნულ კულტურაში. ჩვენს ლიტერატურასა და ხელოვნებაში ხშირად აქვს ადგილი ნაციონალურის შეუთავსებლობას ინტერნაციონალურთან. ხანდახან კვლავ თავს იჩენენ ძველი ეროვნული ცურწმენანი, ადგილობრივ თავისებურებათა ნაციონალისტური გავრცელება, რაც ზიანს აყენებს საერთოს, ინტერნაციონალურს.

ინტერნაციონალურთან ნაციონალურის შეუთავსებლობის გამოვლინება იყო უკრაინელი პოეტის ვ. სოსიურას ლექსი „გიყვარდეს უკრაინა“. პოეტი ისე გაიტაცა უკრაინის ეროვნულ თავისებურებათა „ჩვენებამ“, რომ თავისი სამშობლო დახატა განყენებულად, კონკრეტული ეპოქის დაუკავშირებლად, დროის, ადგილისა და სივრცის გარეშე. პოეტს დააეწყდა, რომ ცხოვრება ნაჩვენები უნდა იქნეს მისი კონკრეტულობით, რომ დროის გარეშე არ არსებობს კონკრეტული ისტორიული ჰეგემონიტება. ვ. სოსიურას მხედველობიდან გამორჩა, რომ ჩვენი ლიტერატურა სოციალისტურია თავისი შინაარსით და, მაშასადამე, მისი

ასახვის ობიექტია, უპირველეს ყოვლისა, კონკრეტული სოციალისტური სინამდვილე, სოციალისტური იდეალი.

ეროვნული თავისებურებებით ზედმეტ გატაცებას ვხვდებით ზოგიერთი ქართველი მწერლის ნაწარმოებებშიც, სადაც ჩვენი ხალხი ნაჩვენებია სხვა მოძმე ხალხებისაგან იზოლირებულად; მისი სულიერი სამყარო ეროვნული ჩარჩოებით შეზღუდულად არის წარმოდგენილი.

როცა ვამბობთ, რომ ჩვენი კულტურა ეროვნულია თავისი ფორმით, ეს სრულებითაც არ ნიშნავს მის იზოლირებას სხვა კულტურებისაგან. პირიქით. განაცხადი არ არის, რომ კულტურის ეროვნული ფორმის გამომუშავებაში, მის შემდგომ განვითარებასა და დახვეწაში ჩვენს პირობებში გარკვეულ როლს ასრულებს სხვა ეროვნულ კულტურათა განვითარება? თვითეული ეროვნული ფორმა, მისი განვითარება, მისი აწმყო და მომავალი უნდა განვიხილოთ სხვა საბჭოთა ეროვნულ ფორმებთან მის მჭიდრო კავშირში.

ნაციონალიზმის გამოვლინება არის ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთების გამოვლინება. ხოლო, როგორც ცნობილია, ისინი ყველაზე უფრო გამძლე არიან ეროვნული საკითხის დარგში, რადგან აქ მათ საშუალება აქვთ შეინიღბონ ეროვნული სამოსელით.

ქართველმა კომუნისტებმა, მთელმა ქართველმა ხალხმა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე გააჩაღეს ბრძოლა ნაციონალიზმთან, იმ ძველი ძმური ინტერნაციონალური კავშირის აღსადგენად, რომელიც ამიერკავკასიის ხალხებს შორის წინათ არსებობდა და რომელსაც დიდი ზიანი მიაყენეს მენშევიკებმა, მუსავატებმა და დაშნაკებმა.

ასრულებდნენ რა პარტიის მითითებებს, საქართველოს კომუნისტებმა, რომლებიც იცავდნენ ინტერნაციონა-

ლიზმის პრინციპებს, გაანადგურეს ნაციონალ-უკლონისტები თავიანთ რიგებში, ლენინურ-სტალინური ინტერნაციონალური დროშის ქვეშ დარაზმეს რესპუბლიკის მშრომელები და საბჭოთა ქვეყნის ყველა ხალხთან მტკიცე შეგობრობით მიიღწიეს დიდ წარმატებებს სოციალისტურ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში.

ხალხთა შორის სტალინური მეგობრობის საქმეს დიდი ზიანი მიაყენა პარტიისა და მთელი ჩვენი ხალხის საზიზღარმა მტერმა, ბურჟუაზიულმა გადაგვარებულმა ბერიამ, რომელიც ცდილობდა ერთმანეთისათვის დაეპირისპირებინა საბჭოთა ხალხები, დაეთესა მათ შორის უნდობლობა და ჩამოეგდო შედეგი. მსოფლიო იმპერიალიზმის ამ აგენტის საზიზღარი ცდები, მისი ბინძური მაჭინაციები, რომლებიც მიმართული იყო საბჭოთა ხელისუფლების დამხობისა და ჩვენს ქვეყანაში კაპიტალიზმის აღდგენისაკენ, კომუნისტურმა პარტიამ, საბჭოთა ხალხმა დროულად აღკვეთეს და გააცამტვერეს. საბჭოთა ხალხმა, უდიდესი ერთსულოვნებით დარაზმულმა მშობლიური კომუნისტური პარტიის ირგვლივ, კიდევ ერთხელ ნათელჰყო, რომ ვერავითარი ძალა ვერ შეარყევს ჩვენი ქვეყნის ხალხთა ინტერნაციონალურ კავშირს, მათს დიად მეგობრობას.

საქართველოს საბჭოთა ეროვნული კულტურა, მისი ლიტერატურა და ხელოვნება შეიქმნა ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთების, კერძოდ, ნაციონალისტური გამოვლენების წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლის ატმოსფეროში. ცნობილია, რომ ოციანი წლების ლიტერატურული გაერთიანებანი — „ცისფერი ყანწები“, „აკადემიური ფეხები“, „არიფაინი“ ფაქტიურად ნერგავდნენ ნაციონალისტურ-შოვინისტურ ტენდენციებს. ამ ჯგუფების იდეურ-მხატვრული მსოფლმხედველობის წინააღმდეგ აქტიურა

ბრძოლის შედეგად, კლასიკური ლიტერატურის, ლენინური ინტერნაციონალური ეროვნული პოლიტიკის ბრწყინვალე გამარჯვების შედეგად აღნიშნულმა დაჯგუფებებმა განიცადეს სრული კრახი, ხოლო მათი ბევრი წარმომადგენელი გადმოვიდა საბჭოთა ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე.

ქართული საბჭოთა ლიტერატურის მრავალი ნაწარმოები მოწმობს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კულტურის გაფურჩქნას. ლიტერატურაში, ისევე როგორც მთელ ქართულ თანამედროვე კულტურაში, თავიანთი ორგანული შეზამება პოვეს სოციალისტურმა შინაარსმა და ეროვნულმა ფორმამ. ქართული საბჭოთა ლიტერატურის სოციალისტური შინაარსი არის ის საერთო ნიშანი, რომელიც მას ანათესავებს სსრ კავშირის ხალხების სხვა ლიტერატურებთან. მისი ნაციონალური ფორმა კი წარმოადგენს მის სპეციფიკურობას, რომლითაც განსხვავდება იგი სხვა ლიტერატურებისაგან.

რაში მდგომარეობს საბჭოთა ეროვნული ლიტერატურების შინაარსის ერთიანობა?

ნათელგყოთ ეს რუსული და ქართული ლიტერატურის ნაწარმოებთა რამდენიმე მაგალითით.

ავიღოთ მ. შოლოხოვის „გატეხილი ყამირი“, კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი“ და ა. ჭეიშვილის „ლელო“. ყველა ისინი შექმნილი არიან პე-ან წლებში, აშუქებენ ერთსა და იმავე პრობლემას და, ძირითადად, ასახავენ ერთსა და იმავე ისტორიულ ვითარებას.

მხატვრული ნაწარმოების საერთო ანალიზის დროს ჩვენ უნდა გვაინტერესებდეს საკითხი, რა ამოცანას ისახავს ავტორი თავისი ნაწარმოების შექმნით, რა აღეღებს მას, რას გვეუბნება იგი ამ ნაწარმოებით. უპირველეს ყოვლისა, უნდა ამოვხსნათ ნაწარმოების იდეური მიმართება, როგორც კომ-



პოზიციური წყობის მთავარი განმსაზღვრელი ხაზი. იგი არ შეიძლება ერთნაირი არ იყოს სოციალისტური რეალიზმის თვით სხვადასხვა სახის კუთხით მხატვრულ ნაწარმოებებში. ეს მიმართება, საერთოდ, გამოიხატება სინამდვილის მართლად ასახვით მის რევოლუციურ განვითარებაში, ამ ასახვის მტკიცე შეხამებით შრომელთა მასების იდეური გარდაქმნისა და კომუნისმის სულისკვეთებით მათი აღზრდის ამოცანათან.

სოციალისტური რეალიზმის ეს საერთო მოთხოვნა განსაზღვრავს ჩვენი მხატვრული ნაწარმოებების შინაარსს.

„გატეხილ ყამირსა“ და „კოლხეთის ცისკარში“ ჩვენ ვხედავთ საბჭოთა გლეხობის ცხოვრების ფართო რეალისტურ წარმოსახვას, იმ პერიოდის კანონზომიერებათა შეცნობას, როდესაც გლეხობა ახალ გზას ადგებოდა, როდესაც მიმდინარეობდა მისი სოციალური გარდაქმნის რთული, მდიდარი და საინტერესო პროცესი. ამ წიგნების ძირითადი გმირებია ახალი ადამიანები, რომლებიც, მატერიალური ცხოვრების მოთხოვნათა შესაბამისად, რევოლუციას ახდენენ გლეხურ მეურნეობაში. ისინი წარმოგვიდგენენ ხალხს, მისი ფიქრებისა და განწყობილებების ტიპური გამომხატველი არიან. ყველა ისინი აკეთებენ ერთ საერთო საქმეს და მისწრაფიან ერთი მიზნისაკენ — კომუნისმის გამარჯვებისაკენ. ახალი ცხოვრების შექმნისათვის ბრძოლის შუქით არის გასხვივსნებული დავიდოვისა და ხაზარაძის, ნაგულნოვისა და ვაშაქიძის მთელი მოქმედება. კონდრატე მაიდანკოვიც და ასლან მარგველაძეც საბოლოოდ დგებიან სოფლად ახალ სოციალურ-ეკონომიურ ურთიერთობათა დამყარებისათვის აქტიურ მებრძოლთა რიგებში.

ძველის წინააღმდეგ ახლის შეტევის წამყვან ძალად მ. შოლოხოვისა და კ. ლორთქიფანიძის რომანებში გამოდიან

კომუნისტები — ახალი ცხოვრების ფრგანიზატორები. კომუნისტების მოქმედებანი მასები, რადგან მათს მოქმედებაში ხედავენ რევოლუციურობას, სიმართლეს, სამართლიანობას, აუცილებლობას; მათი სახით ხედავენ თავისი შრომითი პარტიის საბრძოლო მოწოდებათა მტკიცე გამტარებლებს.

მ. შოლოხოვისა და კ. ლორთქიფანიძის რომანებში ნაჩვენებია კოლექტივიზაციის დაწყებითი პერიოდი, ახლის დაბადება სოფლად. მაგრამ ამ წიგნების გმირები დროის მხოლოდ იმ მონაკვეთის ინტერესებით როდი ცხოვრობენ, რომელიც კონკრეტულად ასახულია მწერლების მიერ. მათი გონების თვალი უფრო ფართო ჰორიზონტს სწევდება; ისინი იხედებიან შორს, წინ, მომავლის თვალუწყედენელ სივრცეებზე. ამ გმირების ბრძოლა ახლის დამკვიდრებისათვის არ შემოიფარგლება ნაწარმოებთა ლიტერატურული ჩარჩოებით, ეს ბრძოლა განაგრძობს მოქმედებას შემდგომი პერიოდების ცოცხალი გმირების საქმეებში.

ამ დადებითი გმირების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია ნებისყოფის სიმტკიცე, ურყევი გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილების განხორციელება. როდესაც მაგალითის ჩვენების სურვილით გატაცებული დავიდოვი ხელს ჰკიდებს გუთანს, მის გულში ოდნავი იჭვიც კი არ ბუდობს, თუმცა ეს საქმე მისთვის უცნობია. მას ამოძრავებს იმის მტკიცე სურვილი, რომ, რაღაც უნდა დაუჯდეს, უჩვენოს სხვებს მაგალითი. ეს მტკიცე გადაწყვეტილება უბიძგებს მას წინ. ამ მომენტში მან იცის მხოლოდ ერთი რამ: უნდა მოხნას სხვაზე მეტი, იმუშაოს სხვაზე უკეთესად. მაგრამ ეს თავმოყვარე ადამიანის კაპრიზი როდია, რადგან კაპრიზს ჩვეულებრივ არა აქვს მტკიცე საფუძველი და არ შეუძლია მტკიცე წარმატების ვარაუდი ჰქონდეს. ეს არის ურყევი გადაწყვეტილება ადამიანისა, რო-



მელსაც ჩვეულებად გადაეჭვა სწორედ ძნელ დაბრკოლებათა გადალახვა. შემართების ეს სიმტკიცე, რომელიც დასახული მიზნის რეალობას ემყარება, უზრუნველყოფს დავიდოვის გამარჯვებას.

„კოლხეთის ცისკარის“ ფინალში კ. ლორთქიფანიძე გვიხატავს თავისი მიზანმიმწრაფებით ანალოგიურ სიტუაციას. ეს არის მეჭი ვაშაყიძის პირისპირ შეჯახება ბოროტ მტერ ხაფოშიასა და კულაკ საგანგებოს ქალიშვილთან. როდესაც ახალი ყოფის მშენებელი უიარაღო ახალგაზრდის პირისპირ (რომელმაც გამოიყენა მტრების ბოროტი ზრახვა) აღმოჩნდება შეიარაღებული კლასობრივი მტერი, ვაშაყიძე, არათუ უკან არ იხევს, არამედ ეძგერება მას მტკიცე გადაწყვეტილებით — მოსპოს იგი. თვითეული ნაბიჯი, რომელსაც კი მას მტერთან აახლოებს, აძლიერებს მასში გამარჯვების რწმენას. და მეჭი იმარჯვებს, რადგან მტკიცედ სწამს, რომ გამარჯვებას სწორედ იგი.

ამ სცენებში გადმოცემულია ხასიათის სიმტკიცე, როგორც სხვადასხვა ეროვნების საბჭოთა ადამიანების ერთ-ერთი ტიპური ნიშანი. ეს დამახასიათებელი ნიშანი გახსნილია სხვადასხვა ეროვნული მასალით, მაგრამ იგი სრულებითაც არ უშლის ხელს მის ჩვენებას, როგორც საერთოდ საბჭოთა ადამიანის დამახასიათებელი ნიშნისას. ეს ბევრად განსაზღვრავს დასახელებულ ნაწარმოებთა ღრმა ინტერნაციონალურ, სოციალისტურ შინაარსს.

ანდა ავიღოთ ს. თავაძის ახალი რომანის — „ფოლადის“ გმირები. აქ ჩვენ ვხვდებით, თუ როგორ ემთხვევიან ერთმანეთს სხვადასხვა ეროვნების საბჭოთა ადამიანების აზრები და საქმენი. სტალინგრადელი მეფოლადე ანდრეი კუზმიჩი სტუმრად ეწვია თავის მეგობარს — კოლმეურნე ვახტანგ სიამაშვილს. იგი მოხიბლულია ციტრუსოვანთა ბაღების, ვენახების, ჩაის პლან-

ტაციებისა და სხვა სუბკონტინენტურ დოვლათის ეშხით. ანდრეი კუზმიჩი ლაპარაკობს კოლმეურნის შრომის სილაშქვსა და ბედნიერებაზე აქ — შიურ საქართველოში და მეფოლადის შრომის სიღიადესა და სილაშათეზე იქ — სტალინგრადის მარტენის ლუმელებთან. „თქვენ ხომ იცით, — ამბობს იგი, — რად ღირს ადამიანისათვის ეს სიზარული! იქნება ჩვენი სიცოცხლის მთავარი აზრი სწორედ იმაშია, რასაც ჩვენ ვქმნით, რაც ჩვენი არსებიდან გამომდინარეობს... ჰო, ჩვენ ყველანი, სოფლის მეურნეა იგი თუ მეფოლადე, დიადი სიცოცხლისათვის ვიღწვით, მეგობარო ჩემო!...“

„ქარვად ლაპარაკობს, — გაიფიქრა გუნებაში ვახტანგმა, — თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს იმას, რაც მე ბევრჯერ მიფიქრია. ასეა: სადაურიც არ უნდა იყოს ჩვენი საბჭოთა ადამიანი, სტალინგრადელი, ურალელი თუ დონბასელი, — ყველას ერთი მთავარი აზრი ასულდგმულებს, ერთი მაღალი მიწრაფება“...

ჩვენი ეროვნული ლიტერატურების გმირთა ინტერნაციონალური სახე და ხასიათი განსაკუთრებით რელიეფურად მოჩანს მათს პატრიოტიზმში, საბჭოთა ხალხისადმი უსაზღვრო სიყვარულში.

პატრიოტიზმი შეიცავს სიამაყეს როგორც თავისი ერთი და მიღწევებით, ისე მთელი დიადი სოციალისტური სამშობლოთი, მისი ხალხების წარმატებითა და მიღწევებით. საკუთარი ერისადმი სიყვარული კი არ გამორიცხავს, არამედ შეიცავს ასეთსავე სიყვარულს სხვა საბჭოთა ერებისადმი, პატივისცემას მათი ენისადმი, კულტურისადმი, ყოფაცხოვრებისადმი. ჩვენს ლიტერატურაში ცოტა როდია იმის მაგალითი, როცა ერთი ერის მწერალი აშუქებს სხვა ერის ცხოვრებას, ხატავს მისი ყოფის მკაფიო სურათებს. ისეთი ნაწარმოებნი, როგორიც არის ნ. ტიხონოვის „საქართველოს გაზაფხული“, ან

კ. ლორთქიფანიძის ბელორუსული მოთხრობების ციკლი „უკვდავება“, ტ. სემუშინის „ალიტეტი მთებში მიდის“ ან კ. ჰიკინაძის პოემები „შუა აზია“ და „მარინა რასკოვა“ და მრავალი სხვა, ჩვენი კულტურულ-ლიტერატურული ცხოვრების თვალსაჩინო მოვლენა უპირველეს ყოვლისა იმ მხრივ, რომ მათში მართლად არის ნაჩვენები სხვადასხვა ხალხის ყოფა და გადმოცემულია ერთი ერის მწერლის ინტერნაციონალური სიყვარულით გამსჭვალული დამოკიდებულება მეორე საბჭოთა ერის ადამიანებისადმი.

ლენინ-სტალინის დიადი საქმისადმი, კომუნისტური პარტიისადმი, ჩვენი სამშობლოსადმი უსახლერო სიყვარული ვლინდება საბჭოთა ლიტერატურაში, როგორც მისი საერთო შინაარსი. მაგალითად, როცა ცნობილი ქართველი პოეტი ალიო მირცხულავა მიმართავს საყვარელ სამშობლოს და ახალი ცხოვრებით შთაგონებული ეუბნება მას —

ერი ერს ჰკლავდა... ჩვენი ცხოვრება  
შხოლოდ ჩხუბი და შუღლი ყოფილა,  
ყოველი ერის მიწა-მიდამო  
ხიშტის შესრებით შემოღობილა;  
მაგრამ გაირღვა მიჯნა, ყორღანი,  
მიწაში ნაღმად რომ ჩაწყობილა  
და შენმა დროშამ, როგორც ნაშუსმა,  
ჩვენ სამუდამოდ დაგვაშობილა! —

ამ ლექსის შინაარსით პოეტი შორს სცილდება ეროვნულ ჩარჩოებს; ლექსს აქვს საერთო-საყოველთაო მნიშვნელობა, რადგან მასში გამოთქმულია სხვა საბჭოთა ხალხების აზრიც.

სოციალისტური რეალიზმის პრინციპები მთლიანად სავალდებულო სახელმძღვანელო პრინციპებია ჩვენი სამშობლოს ყველა ეროვნული ლიტერატურისათვის. პარტიულობა, ხალხურობა, ასახვის სიმართლე ეროვნულ ლიტერატურაში ნაწარმოებებში განპირობებულია მათი საერთო მიმართულებით. რუსი მწერლების— ე. აუბევის, გ. ნიკოლაევას, ს. ბაბაევსკის ნაწარმოებთა („მოსკოვიდან დაშორებით“, „მკა“,

„ოქროს ვარსკვლავის კავალერი“), ქართველი მწერლების— ლ. ჭიჭინაძისა, კ. ლორთქიფანიძის, ა. ჭეიშვილის ნაწარმოებთა „გვადი ბიგვა“, „კოლხეთის ცისკარი“, „ლელა“) და ჩვენი დიადი სამშობლოს სხვა ხალხების მწერალთა მიერ ცხოვრების სინამდვილიდან აღებული და მხატვრულად განზოგადებული გმირების მოქმედება გამსჭვალულია ერთი იდეალით, ერთიანი სოციალისტური მიზანმიმსწრაფებით. სერგეი ტუტარინოვის ან ვასილი ბორტნიკოვის მოღვაწეობა ისევე ნაკარნახევია სოციალისტური ცხოვრების მიერ, გამიზნულია პარტიის ნებით, პატრიოტიზმისა და დიდო ჰუმანურობის გრძობით, მისწრაფებით ახალი მომავლისაკენ, რომელსაც თვითონ ისინი აშენებენ, როგორც ა. ჭეიშვილის „ლელოს“ გმირების— ებიფანეს, ჭიშვარდისა და ციციანოს მოღვაწეობა. მათა ამოცანა ერთია—ააშენონ კომუნიზმი და ამ ამოცანის შესრულებას ექვემდებარება თვითელი მათი ნაბიჯი, ყოველი მათი მოქმედება, მთელი მათი ცხოვრება და ბრძოლა.

მაგრამ საჭიროა საერთო, ინტერნაციონალური, სოციალისტური შინაარსი გადმოცემული, გამოვლინებული იქნეს ისე, რომ იგი ხალხის ფართო მასების კუთვნილება იყოს. ამში სოციალისტურ შინაარსს ეხმარება ეროვნული ფორმა. მისი წყალობით სოციალისტური შინაარსი გადაეცემა ხალხის უფართოეს მასებს. ცნობილია ი. სტალინის მითითება იმის შესახებ, რომ სხვადასხვა ეროვნების მიერ სოციალისტური კულტურის ათვისება მოხდება ფორმებში, რომლებიც ამ ეროვნებათა ენასა და ყოფაცხოვრებას შეესაბამებია.

ჩვენი ლიტერატურა მრავალეროვანი ლიტერატურაა. ყოველ სოციალისტურ ერს შეაქვს თავისი წვლილი ამ ლიტერატურის საგანძურში, ამდიდრებს მას პოეზიის, დრამატურგიის შესანიშნავი ნაწარმოებებით.

რაში გამოიხატება ჩვენი ლიტერატურის ეროვნული ფორმა?

ამ ფორმის მთავარ ელემენტს ენა წარმოადგენს. ი. სტალინი მიუთითებდა ენაზე, როგორც ეროვნული კულტურის ფორმაზე. თვითელი ხალხის კულტურა ჩვენს ქვეყანაში ვითარდება მშობლიურ ენაზე.

ენა, როგორც ადამიანთა ურთიერთობის საშუალება, მთელი საზოგადოების განვითარების აუცილებელი პირობაა. იგი განუყრელად არის დაკავშირებული ცნობიერებასთან. მარქსი და ენგელსი „გერმანულ იდეოლოგიაში“ წერენ, რომ „ენა ისევე დასაბამითია, როგორც ცნობიერება; სწორედ ენა არის პრაქტიკული, სხვა ადამიანებისათვისაც არსებული და ამით აგრეთვე თვითონ ჩემთვის არსებული ნამდვილი ცნობიერება, და ცნობიერების მსგავსად, ენა წარმოიქმნება მხოლოდ სხვა ადამიანებთან ურთიერთობის მოთხოვნილებისაგან, აუცილებელი საქმეებისაგან“.

მარქსიზმის გამაუბრალოებელი და ვულგარიზატორი ენათმეცნიერებაში ნ. მარი და მისი „მოწაფეები“ შეეცადნენ შეექმნათ „ახალი საენათმეცნიერო მოძღვრება“. მათ თავდაყირა დააყენეს ენის, როგორც საზოგადოებრივი მოვლენის, ცნება, შეეცალეს იგი ენის „კლასობრიობის“ ცნებით.

ი. სტალინის გენიალურმა საენათმეცნიერო ნაშრომებმა გამანადგურებელი დარტყმა აგემეს მარის ცრუ მოძღვრებას ენის შესახებ და სრული გარკვეულობა შეიტანეს ენათმეცნიერების რთულ საკითხებში.

ი. სტალინმა ნათელყო, რომ ენა არის საზოგადოებრივი და არა კლასობრივი მოვლენა, რადგან ემსახურება არა ცალკეულ კლასებს, არამედ მთლიანად საზოგადოებას. ემსახურება რა მთელ ერს, ენა წარმოადგენს ერის გამსახვრელ ერთ-ერთ ნიშანს. ენა, რომელიც მთელ საზოგადოებას, მთლი-

ანდ ერს ემსახურება, არ შეიძლება მოთავსებულ იქნეს ერთი-ერთ ნიშანში. შედნაშენის ფარგლებში, როგორც, მაგალითად ამის დამტკიცებას ცდილობდნენ მარი და მისი მიმდევრები.

ენა უშუალო კავშირშია აზროვნებასთან. იგი, როგორც ი. სტალინი გვასწავლის, სიტყვებით და წინადადებებში სიტყვათა შეკავშირებით აღესწავს, აღბეჭდავს აზროვნების მუშაობის შედეგს, ადამიანის შემეცნებითი საქმიანობის შედეგს და ამიტომ არ შეიძლება განხილულ იქნეს აზროვნებისაგან მოწყვეტით. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ენა ადამიანთა ურთიერთობის პასიური იარაღი იყოს. იგი საზოგადოების ბრძოლისა და განვითარების მძლავრი იარაღია. იგი გავლენას ახდენს თვით საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაზე, ისევე როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლაც გავლენას ახდენს ენის განვითარებაზე.

რადგან მთლიანად საზოგადოებას, სხვადასხვა საზოგადოებრივი ფორმაციის ყველა კლასს ემსახურება, ენა გამოირჩევა უფრო მყარი ხასიათით, ვიდრე ზოგიერთი სხვა საზოგადოებრივი მოვლენა. მაგრამ ეს არ ნიშნავს ენის სტატიკურობას. ენასაც ახასიათებს განუწყვეტელი განვითარების, ცვლილების პროცესი.

ენის განვითარებისათვის დიდი როლი შეასრულა ლიტერატურის განვითარებამ. ლიტერატურამ, წარმოების, კლასების, დამწერლობის, სახელმწიფოს, ვაჭრობის, პრესის წინსვლასთან ერთად, მძლავრი ბიძგი მისცა ენის განვითარებას.

ხალხურ ენასა და ლიტერატურულ ენას შორის დიდი სხვაობა არ არის. სალიტერატურო ენა იგივე ხალხური ენაა, დამუშავებული, გაუმყინილი დიალექტებისაგან, ჟარგონებისაგან, პროვინციული გამოთქმებისაგან, რომლებიც, მიუხედავად კუთხური წარმოშობისა, მაინც ვრცელდებიან, ხალხურ

ენაში. მწერლის საპატიო მოვალეობა ყოველივე ამისაგან გაწმინდოს ენა.

როცა მწერლის ენაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში უნდა გვყავდეს კონკრეტულად ესა თუ ის მწერალი, რომელიც შევგებულად მიმართავს წინადადებაში სიტყვათა ორიგინალურ დალაგებას, იყენებს მთელ რიგ სიტყვებს მათი ზოგადი გაგებით ან გადატანითი მნიშვნელობით, შემოქმედებითი გააზრებით, იძლევა საზოგადო, ხატოვან გამოთქმებს, ჰქმნის უფრო გამომხატველ კონტექსტებს და სხვ., რითაც იმუშავებს თავის, ორიგინალურ, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ სტილს.

მწერლის ენა შეიცავს საერთო-სახალხო და ინდივიდუალურს. მწერლის ენა საერთო-სახალხო ენისაგან მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ნორმატულობით, იმ საშუალებათა დამუშავებით განირჩევა, რომელთა შემწეობითაც მხატვრული სიტყვის ოსტატი ქმნის თავის სტილისტურ სტრუქტურას.

სალიტერატურო ენა განვითარებული ხალხური ენაა. რადგან სალიტერატურო ენას განსხვავებული ლექსიკური ფონდი არა აქვს, იგი მთლიანად და სავსებით ეყრდნობა იმ სიტყვობრივ მარაგს, რომელიც საერთო ეროვნულ, სახალხო ენას მოეპოვება. საერთო-სახალხო ენის ბაზაზე, აღნიშნავს აკადემიკოსი ვ. ვინოგრადოვი, მისი გამომსახველობითი შესაძლებლობის შემწეობით იქმნება მხატვრული წარმოსახვის ფორმები, სახეებისა და ხასიათების მეტყველებითი აგების პრინციპები, პერსონაჟთა მეტყველების ტიპიზაციისა და ინდივიდუალიზაციის ხერხები, დიალოგის გამოსის გართულებული წესები, მდიდარი მხატვრული ფრაზეოლოგია, გამომხატველ საშუალებათა მთელი არსენალი.

ასე იქმნება მწერლის ენა. იგი ეყრდნობა ხალხის ენას და ბელმძღვანელობს სალიტერატურო ენის ნორმე-

ბით, მაგრამ ამასთან აქვს მისთვის დამახასიათებელი ნიშნები, რითაც ის ორიგინალურია და განსხვავდება სხვა მწერლის ენისაგან. ამ მხრივ ცნება „მწერლის ენა“ ყოველთვის როდი ემთხვევა ცნებას „წარმოების ენა“ იმ აზრით, რომ ეს უკანასკნელი გაცილებით უფრო ფართოა, რადგან შეიცავს აგრეთვე პერსონაჟთა ენას და მწერლის ენასთან ერთად მიეკუთვნება უკვე მწერლის სტილს. მხატვრული წარმოების სტილი განისაზღვრება საერთო იდეური მიმართებით, თემატიკით, ხასიათებით და, ბოლოს, მწერლის ენით, რომელიც დამუშავებულია მხატვრული სიტყვის ოსტატის მთელი შემოქმედებითი მოღვაწეობის მანძილზე. თავისი სტილის შემწეობით მწერალი ამდიდრებს ენას გამომხატვის ახალი საშუალებებით, რითაც საერთოდ წინსწევს სალიტერატურო ენას.

როცა ტოლსტოის, გორკის, მაიაკოვსკის, ტაბიძის, ქიაჩელის და სხვათა ენის შესახებ ვლაპარაკობთ, უნდა გვახსოვდეს, რომ მხედველობაში გვაქვს არა რაღაც განცალკევებული ენა, მოწვევითი რუსულსა და ქართულ საერთო-სახალხო ენებს, არამედ ის სტილისტური თავისებურებანი, რომლებიც ამ მწერალთა წარმოებთათვის დამახასიათებელია. ეს არის „ენა“, რომელიც არ სცილდება საყოველთაო-სახალხო ენის გრამატიკული წყობისა და ლექსიკური შემადგენლობის ფარგლებს.

ცნების „მწერლის ენა“ სწორი გაგებისათვის, დიდი მნიშვნელობა აქვს ი. სტალინის აზრს რუსულ ენაში პუშკინის სიკვდილის შემდეგ მომხდარი ცვლილებების შესახებ. აღნიშნავს რა, რომ ამ ხნის მანძილზე რუსულ ენას არ განუცდია რაიმე რღვევა, რომ თანამედროვე რუსული ენა თავისი სტრუქტურით ბევრით არაფრით განსხვავდება პუშკინის ენისაგან, ი. სტალინი ამბობს, რომ აღნიშნულ პერიოდში შეივსო რუსული ენის ლექსიკური შემადგენლობა; ლექსიკური შე-

მადგენლობიდან ამოვარდა მრავალი მოძველებული სიტყვა; შეიცვალა ბევრი სიტყვის აზრობრივი მნიშვნელობა; გაუმჯობესდა ენის გრამატიკული წყობა. რაც შეეხება პუშკინის ენის სტრუქტურას მისი გრამატიკული წყობით და ძირითადი ლექსიკური ფონდით, იგი დარჩა მთელი თავისი არსით, როგორც თანამედროვე რუსული ენის საფუძველი.

ასეთი ცვლილებები ხდება თანდათანობით, ნელა, თვითნებულ ისტორიულ ეპოქაში. მწერალს უნდა შეეძლოს სწრაფად შეამჩნიოს ახალი სიტყვის ან გამოთქმის დაბადება. მეორე მხრივ, მხატვრული სიტყვის ოსტატი უნდა დაეხმაროს ენას განთავისუფლდეს მოძველებული გამოთქმებისა და სიტყვებისაგან, რომლებიც უკვე აღარ უპასუხებენ თანამედროვეობის მოთხოვნებს, დაეხმაროს ლიტერატურაში და აქედან უკვე საყოველთაო ხმარებაში ისეთი სიტყვების დანერგვას, რომლებიც უფრო ზუსტია და ამა თუ იმ ცნების უფრო ზედმიწევნით გამოხატველი.

მაგრამ ეს, ცხადია, არ განსაზღვრავს თვითონ მწერლის მხატვრული ენის თავისებურებას. მწერლის ენის თავისებურება განისაზღვრება მისი, როგორც მხატვრის, ხელოვნებით, მისი უნარით—სწორად შეარჩიოს ხალხური ენიდან ის, რაც მისთვის აუცილებელია მხატვრული სახის შექმნის შემოქმედებითს პროცესში, განზოგადებისა და ტიპიზაციის პროცესში.

მწერლის სიტყვას ხატოვანი გამოსახულება აქვს. ამ მიზნით მწერალი მუშაობს სიტყვაზე. ხშირად სიტყვა მხატვრულ ნაწარმოებში სხვა აზრს, სხვა მნიშვნელობას, სხვა ელფერს ან სხვა ელერადობას იღებს, როგორც ეს ხშირად ხდება, მაგალითად, ხალხურ თქმულებებში. მწერლის ასეთი მუშაობა სიტყვაზე ძირფესვიანად განსხვავდება ფორმალისტური „სიტყვათქმნიისაგან“, რასაც 20-ან წლებში ქართულ

ლიტერატურაში ეწოდნენ ფუტურისტები, „მემარცხენეები“<sup>1</sup> „ქმნიდნენ“<sup>2</sup> რა ისეთ სიტყვებს, რომლებიც არ გამოხატავდნენ რაიმე გარკვეულ აზრს, სიმახინჯის ნიმუშს წარმოადგენდნენ, არაფერი ჰქონდათ საერთო ცოცხალ სინამდვილესთან.

მწერლის ენის თავისებურებანი ბევრად არის დამოკიდებული ნაწარმოების სიუჟეტური აგებულებისაგან, პერსონაჟთა ინდივიდუალობისაგან, მათი სულიერი განცდებისაგან, მათი ინტელექტის განვითარების დონისაგან და ა. შ. მაგრამ ყოველივე ეს უნდა ექვემდებარებოდეს მწერლის მაღალ კულტურულ მწერლობითს მეტყველებას. პერსონაჟის მეტყველების თავისებურება ძირითადად დამოკიდებულ უნდა იქნეს არა ჟარგონების, პროვინციალიზმების უხვად გამოყენების საშუალებით, არამედ პერსონაჟის მეტყველების ისეთი აგებით, რომ იგი ახასიათებდეს მისი განვითარების დონეს, ასახავდეს მისი თვალთახედვის არეს, მის მისწრაფებას, მის სულიერ სამყაროს, მის მიერ საგანთა და მოვლენათა გაგებას.

პერსონაჟის მეტყველების შინაგან თავისებურებათა გახსნის ოსტატობა მწერლისაგან მოითხოვს დიდ ხელოვნებასა და სიფრთხილეს. თვით მწერლის ენა უნდა იყოს ხალასი, დახვეწილი, მაღალმხატვრული, თავისუფალი ყოველგვარი დიალექტიზმებისა და გაუგებარი, ხელოვნური სიტყვებისაგან, უფერული და არაბუნებრივი გამოთქმებისაგან, უსიცოცხლო და მოსაწყენი ფრაზებისაგან.

ენის სიწმინდისათვის ბრძოლა ამავე დროს არის ბრძოლა ჩვენი კულტურის ეროვნული ფორმის განვითარებისათვის.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებმა მოგვცეს ენის სიწმინდისათვის ბრძოლის შესანიშნავი მაგალითები.

ი. ბ. სტალინი უკვე თავის პირველ ნაწარმოებებშივე გამოვიდა, როგორც

ენის სიწმინდისათვის მგზნებარე მებრძოლი. ამ ნაშრომებში ი. სტალინი ფართოდ იყენებს მთელ რიგ ქართულ საზოგადოებრივ გამოთქმებს. ხელმძღვანელობდა და რედაქტორობდა რა ბოლშევიკურ გაზეთებს— „ბრძოლას“, „პროლეტარიატის ბრძოლას“, „ახალ ცხოვრებას“, „პროლეტარიატის ბრძოლის ფურცელს“, „ახალ დროებას“, „მნათობა“ „ჩვენს ცხოვრებას“ და სხვ., ი. სტალინი დიდ მუშაობას ეწეოდა ქართული ენის სიწმინდისა და განვითარებისათვის.

ცნობილია, რომ ამ გაზეთებში მონაწილეობდა მრავალი მუშა, რომლებიც კარგად ვერ ფლობდნენ ლიტერატურულ ენას. ი. სტალინი ეხმარებოდა მათ, ასწორებდა მათს კორექსონდენციებს, წერილებს, ლექსებს. მაშინ როდესაც მენშევიკური, ანარქისტული და სხვა ამგვარი გაზეთების ფურცლები აჭრებულნი იყო ულანათო და დამახინჯებული ფრაზებით, სტილისტურად დაუმუშავებელი კორექსონდენციებით, ბოლშევიკური გაზეთები იძლეოდნენ ენის სიწმინდის, აზრის ნათელი და დახვეწილი გამოთქმის ნიმუშებს. ი. სტალინი ხშირად ეკამათებოდა დასავლეთში „განათლებულ“ ნ. ჟორდანის ტიპის „პუბლიცისტებს“, ამხელდა მათს ენობრივ შეცდომებს, მათი სტატიების ბუნდოვანებას.

ქართული საყოველთაო-სახალხო ენა შეიქმნა განვითარების მრავალსაუკუნოვან ისტორიულ პროცესში.

ახალი ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრებასა და განმტკიცებაში, ენისა, რომელიც დღეს ქართული საბჭოთა ლიტერატურის ეროვნული ფორმის მთავარ ელემენტს შეადგენს, დიდი როლი შეასრულეს XIX საუკუნის ცნობილი კლასიკოსებმა, ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელებმა ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა, გამორჩენილი საზოგადო მოღვაწემ და პედაგოგმა იაკობ გოგებაშვილმა. მათ

გაბედულად გაილაშქრეს ენის დრო-მოკმელო არქაული ნორმებისა და ფეოდალურ-არისტოკრატიული „ქარგონების წინააღმდეგ, სასტიკად შეებრძოლნენ ამ ქარგონებისა და ნორმების დამცველებს და სახელოვნად შეასრულეს თავის სამშობლოში იგივე მისია, რაც დიდმა ბუშქინმა — რუსეთში.

ი. ჭავჭავაძეს, ა. წერეთელსა და მათს თანამებრძოლებს გაბედულად შეჰქონდათ სალიტერატურო ენაში ქართული სახალხო ენის მდიდარი სიტყვიერი მასალიდან ამოკრეფილი ახალი სიტყვები, ახალი გამოთქმები. ისინი, ახალი ეკონომიური განვითარების შესაბამისად, ამდიდრებდნენ მშობლიურ ენას იმის მსგავსად, როგორც ამას აკეთებდნენ რუსეთში და სხვა ქვეყნებში ეროვნული კულტურის, ლიტერატურის მოწინავე მოღვაწენი.

იაკობ გოგებაშვილის მიერ შექმნილი ქართული ენის სახელმძღვანელო „ღედა ენა“ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ახალი სალიტერატურო ენით ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში.

ახალ სალიტერატურო ენას რომ ამკვიდრებდნენ და ავითარებდნენ, ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ი. გოგებაშვილი და სხვ. ეყრდნობოდნენ ცოცხალ, სასაუბრო ხალხურ ენას. სწორედ ხალხურ მეტყველებაში ზედადა ი. ჭავჭავაძე სალიტერატურო ენის სიმდიდრის უშრეტ წყაროს.

როგორც ცნობილია, ა. წერეთელი აკრიტიკებდა ვაჟა-ფშაველას ლექსებისა და პოემების ენას. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, თითქოს ა. წერეთელს უარყოფდა ვაჟას დამსახურებას ენის განვითარებაში. ის ფაქტი, რომ ვაჟა-ფშაველას პროზა დაწერილია შესანიშნავი სალიტერატურო ქართული ენით, ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ ვაჟა როდი ილაშქრებდა ახალ ქართული სალიტერატურო ენის ნორმების წინააღმდეგ. პირიქით, თავის შე-



სანიშნავ მოთხრობებში იგი მთლიანად მტკიცედ იცავდა ამ ნორმებს. მაგრამ მის პოეზიაში ბევრი კუთხური სიტყვაა შეტანილი. უდავოა, რომ პოეტი ამით ცდილობდა შეექმნა თავისი პოეზიის ერთიანი ენობრივი სტილი, თვით დაახლოებოდა გმირის ენას, დაეცვა მისი კოლორიტული თავისებურება. ყოველივე ამას არ შეეძლო არ გამოეწვია კუთხური, ადგილობრივი მნიშვნელობის სიტყვებისა და გამოთქმების სალიტერატურო ენის ნორმებში შეტანის ცდა. ამიტომ იყო, რომ კირიონისა და გ. ყიფშიძის „სიტყვიერების თეორიის“ შესახებ დაწერილ მოკლე რეცენზიაში ა. წერეთელი ამბობდა: „ამ კრებულში რომ დაბეჭდილია ვაჟაფშაველას პოემა „გოგოთურ და აფშინა“, ერთი უკეთესთაგანია მთლად ჩვენი შფერლობაში. წვრილმანი ლექსები, როგორც საკუთრად ვაჟასი, ისე მისი ძმების ბაჩანასი და თედოსი, საზოგადოდ სამარგალიტო შაირები არიან!.. პროზა ზომ კიდევ უკეთესი. მაგრამ საწყენი ის არის, რომ ვანგებ ამბინჯებენ თვითონვე მათ ნაწარმოებებს ქართულის გადაჯორჯვ-გადმოჯორჯვით“... შემდეგ, მოჰყავს რა დამახინჯებული ზმნების რამდენიმე მაგალითი, ა. წერეთელი განაგრძობს: „სხვადასხვა მხარეში ბევრი იმისთანა სიტყვებია დარჩენილი, განსაკუთრებით მთა-ადგილებში, რომ მათი გამოქმენა და მითი ჩვენი დღეს დაკნინებული ენის შეესება საჭიროა. აგრეთვე ახალი რამ სიტყვის ხმარება, თუკი სადმე პროვინციაში გასპეტაკებულა და დღე-ენის კანონის თანახმად აღმოცუნებულა, მისაბამავია საყოველთაოდ... ამგვარი კანონიერი რამეებით რომ შევაგსოთ და გავასუქოთ ქართული ენა, საჭიროც არის. მაგრამ ის, რაც დღე-ენის წინააღმდეგ სხვადასხვა მხარეებში, პროვინციებში ვადუმბინჯებთ და ვაუფუჭებთ, ხელმოსაკიდები კი არა, პირიქით, გასადევნია“.

ზ. ფორაქიშვილს თავის მოთხრობაში მოჰყავს ა. წერეთლის შემადგენელი ნორმები ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კრებაზე წარმოთქმული მისი სიტყვიდან ქართული ლექსიკონის შედგენის შესახებ. თავის სიტყვაში დიდმა პოეტმა ხაზგასმით აღნიშნა ცოცხალი ხალხური მეტყველებიდან აღებულ სიტყვების ან მოხდენილი გამოთქმების მნიშვნელობა სალიტერატურო ენის გამდიდრებისათვის და ამის რამდენიმე საინტერესო მაგალითიც დაასახელა. მან გაიხსენა ქართულ სალიტერატურო ენაში სიტყვა „ჩანჩქერის“ შემოღების ისტორია: ერთი მწერალი თავის ნაწერებში ხშირად ხმარობდა სიტყვა „წყალვარდნილას“ რუსული „ვოდობადის“ გავლენით. ამას ყურადღება მიაქცია ერთ-ერთმა გაზეთმა და მკითხველებს სთხოვა მიეწოდებინათ რედაქციისათვის ნამდვილი სახელწოდება „ვოდობადისა“ ქართულად. მალე რედაქციამ საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან მიიღო ცნობები. აღმოჩნდა, რომ „ვოდობადს“ ხალხის უმრავლესობა უწოდებს ჩანჩქერს, ჩახრიალას და კიდევ რამდენიმე სხვა სახელწოდებას. ამრიგად, მექანიკურად შეკოწიწებული სიტყვის „წყალვარდნილას“ ნაცვლად სალიტერატურო ენაში დამკვიდრდა ხალხური სიტყვა „ჩანჩქერი“. თქმა არ უნდა, რომ ეს უკანასკნელი გაცილებით მეტი ხატოვანებითა და ლირიულობით გადმოგეცემს წყალის აქაფებულ დენას სიმალლიდან.

თვით აკაკი წერეთელი, ისევე როგორც ქართული ლიტერატურის სხვა გამოჩენილი კლასიკოსები, მონაღმებითა და მზრუნველობით აგროვებდა ხალხურ გამოთქმებს, ტერმინებს, სიტყვებს და იყენებდა მათ მშობლიური სალიტერატურო ენის გამდიდრებისათვის.

ქართულმა სალიტერატურო ენამ



თავისი შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის ყველა აუცილებელი პირობა მიიღო საბჭოთა ხელისუფლების წლებში. საბჭოთა მწერლებმა, ლიტერატორებმა, ენათმეცნიერებმა დიდი წვლილი შეიტანეს საერთო-ეროვნული ქართული ენის განვითარებაში. უპირველეს ყოვლისა საჭირო იყო ენის გაუმყენდა იმ პროვინციული გამოთქმებისაგან, ეარგონებისაგან, რომლებითაც იგი დაანაგვიანეს ქართველმა მენშევიკებმა და მათი ტიპის სხვა „ლიტერატორებმა“ და „პუბლიცისტებმა“. ამასთან საჭირო იყო გადამწყვეტი ბრძოლის წარმოება ყოველი ჯურის დეკადენტების, ფეტურისტებისა და „მემარცხენეების“ წინააღმდეგ, რომლებიც უარყოფდნენ ი. ჰავჭავაძის, ა. წერეთლის, ი. გოგებაშვილის და სხვ. მიერ გამომუშავებულს ახალი სალიტერატურო ენის მართებულ პრინციპებს, უგულვებელყოფდნენ ხალხის ენის უმდიდრეს სიტყვიერ ფონდს, გატაცებული იყვნენ ფუჭი „სიტყვათქმით“ და თითხნიდნენ საესეებით გაუგებარ სიტყვებსა და გამოთქმებს, არღვევდნენ გრამატიკის ნორმებს.

როგორც უკვე ზევით იყო ნათქვამი, ენა ვითარდება ცხოვრების, სინამდვილის გავლენით, საზოგადოების სოციალურ-ეკონომიური განვითარების გავლენით და მასთან მჭიდრო კავშირში. სოციალიზმისათვის, კომუნისმისათვის ბრძოლის წლებში იბადებოდა ახალი სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც ასახვენ და გამოხატავენ დიად სოციალურ გარდაქმნებს, ჩვენი სახალხო მეურნეობისა და კულტურის ზრდას როგორც ქალაქად, ისე სოფლად. ქართულ ენაში შემოვიდა და დამკვიდრდა სიტყვები: კოლმეურნე, დამკვირელი, სტახანოველი, ტრაქტორისტი, მეჩაიე, შრომადღე, მეციტრუსე, კულტივაცია, ელმავალი, მეელმავლე, კომბაინერი, გამყელავი, საბჭოთა

მეურნეობა, მებეტონე და სხვა ბევრი ამგვარი სიტყვა და ტერმინი.

ქართულ საბჭოთა ლიტერატურას, რომელიც ფხიზლად ადევნებს თვალს ახალ ენობრივ მოვლენებს, დიდი წვლილი შეაქვს საერთო-ეროვნული ქართული ენის შემდგომი განვითარების საქმეში. თანამედროვე მოწინავე ქართველი საბჭოთა მწერლები ამდიდრებენ სალიტერატურო ენას გულდასმით შერჩეული სიტყვებით, ეპითეტებით, ახალი ანდაზებით, თქმულებებით, აფორიზმებით, იდიომებით, ფართოდ იყენებენ რამათ ახლის დაბადების მხატვრული ფორმით ასახვისათვის.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ საბჭოთა მწერლების ენობრივი ნოვატორობა შეიცავს ცოცხალი სალაპარაკო ენის ახალი ჯანსაღი მოვლენებისადმი ღრმა დაკვირვებისა და ანალიზის აუცილებლობას. მწერლის ამოცანაა აიტაცოს ისინი, დაეხმაროს მათ დამკვიდრდნენ, გაფრცელდნენ, სწრაფი საყოველთაო აღიარება ჰპოვონ. ნოვატორობა მწერლისაგან მოითხოვს აგრეთვე ბრძოლას ძველი, უკვე დრომოკმული სიტყვების წინააღმდეგ, მათი ახალი სიტყვებით შეცვლას. მაგრამ ამის გაკეთება არ შეიძლება მექანიკურად. საჭიროა გულისყურით ვადევნებდეთ თვალს ხალხის ცოცხალ ენას, არ მოეწყდეთ მას.

ამავე დროს ყოველივე შემოთქმული იმას როდი ნიშნავს, რომ მწერალი კუდში მიჩანჩალებდეს მოვლენებს და პასიურად ასახავდეს მას, რაც უკვე მოხდა ენაში. იგი უნდა ასრულებდეს აქტიურ როლსაც. სოციალისტური რეალიზმში მწერლისაგან მოითხოვს განვითარების პერსპექტიულობის ასახვას, ე. ი. ხვალისდელი სინამდვილის დამაჯერებლობით ჩვენებას. ეს კი შეიცავს იმის აუცილებლობასაც, რომ მწერალი ნოვატორულად მიუღდგეს იმ ენობრივ მოვლენებს, რომლებიც ხვალ, სინამდვილის გავლენით, მწყობრიდან გა-

მოვლენ. მაგალითად, ტრაქტორი და ტრაქტორით ზენა იმ პერიოდის დასაწყისისათვის, რომელიც ასახულია კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარში“, ჯერ კიდევ გამოჩაქისი იყო ჩვენი სოფლის მეურნეობისათვის. ტიპიური თითქოს-და იყო კავი და მისი გამოყენება. მაგრამ როგორც ტიპიური თავისი პერსპექტიულობით რომანში შევიდა სწორედ ტრაქტორის ცნება. სიტყვები — კავი, ნამგალი, ცელი, ქალამანი, ქოხი და ა. შ. სოფლის ძველი ყოფის, წინანდელი სინამდვილის ამსახველი ენობრივი მასალაა.

ენა, როგორც ეროვნული ფორმა, საშუალებას აძლევს მწერალს არა მარტო გააბას სულიერი კავშირი მკითხველთან, გადასცეს მას თავისი აზრები, გასაგები გახდეს ფართო მასებისათვის, არამედ ამასთან ერთად წარმოადგენს მისი ხალხის ეროვნული თავისებურებების საუკეთესო გამოხატვის საშუალებას. ამგვარად, წარმოადგენს რა ერის განმასხვავებელ ნიშანს, ენა ამავე დროს არის ეროვნული კულტურის სხვა განმასხვავებელი ნიშნების, სხვა მხარეთა გადმოცემის საშუალება. ამ ორი თვისების გათვალისწინება აუცილებელია ენის როგორც ეროვნული კულტურის ფორმის, ანალიზის დროს.

ენა, რომელზედაც მხატვრული ნაწარმოებები იქმნება, სწრაფად იძლევა ლიტერატურის ეროვნულ ფორმაში გარკვევის საშუალებას. მაგრამ მარტო ენით არ შეიძლება ამოიწუროს ლიტერატურისა და ხელოვნების ფორმის მთელი სიმდიდრე და მრავალფეროვანება. მაგალითად, სტალინური პრემიის ლაურეატის ა. ჭეიშვილის რომანი „ლელო“, ისევე როგორც ბევრი სხვა ქართული ნაწარმოები, თარგმნილია რუსულად. რუსმა მკითხველმა იგი უკვე მიიღო თავის მშობლიურ ენაზე. მაშასადამე, ამ შემთხვევაში მკითხველთან მწერლის ურთიერთობის საშუალებად იქცა არა

ის კონკრეტული ეროვნული ფორმა ე. ი. ენა, რომელიც რომანს თავდაპირველად ჰქონდა, არამედ სხვა ფორმა — სხვა ენა. მიუხედავად ამისა, „ლელომ“ არ დაკარგა თავისი ეროვნული ფორმა. მკითხველმა ისეთ დეტალებსაც კი რომ არ მიაქციოს ყურადღება, როგორც არის შენიშვნა: „თარგმნილია ქართულიდან“ ან გამიჩინებს გვარები და სხვ. მისთვის სრულებით არ არის ძნელი გაერკვეს, რომ რომანში გადმოცემულია საბჭოთა საქართველოს საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრება. ამაში მკითხველს ეხმარება ეროვნული ფორმის სწორედ ის კომპონენტები, რომლებიც დარჩნენ ნაწარმოებში სხვა ენაზე მისი თარგმნის შემდეგაც. ანდა ავიღოთ ხელოვნების ისეთი დარგები, როგორიც არის ბალეტი, ფერწერა, მოქანდაკეობა, არქიტექტურა, ან კიდევ — სიმღერის მოტივი, ცეკვა და ა. შ., სადაც არ არის სასაუბრო ენა, მაგრამ სადაც მკაფიოდ ვლინდება ნაციონალური ფორმა.

ა. ჭეიშვილის რომანი „ლელო“, ისევე როგორც სხვა ქართველი საბჭოთა მწერლების ნაწარმოებები, შეიცავს ქართული კულტურის ეროვნული ფორმის დამახასიათებელ ნიშნებს. ცხადია, ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს მწერალს არ ჰქონდეს რაიმე ნაკლი თავისი დიდი ამოცანის შესრულებაში. ა. ჭეიშვილი ბევრს „სცოდავს“, თავისი გამიჩინების ენას უხვად რომ აფერადებს გურული კილოკავის დიდი ღიზით და, როგორც ჩანს, ეს პერსონაჟთა ტიპიზაციის, ინდივიდუალიზაციის, მათი მკვეთრად გამოხატული ენობრივი თავისებურებების აუცილებელ საშუალებად მიიჩნია.

გმირის ენის ინდივიდუალიზაციისათვის, თქმა არ უნდა, გარკვეული მნიშვნელობა აქვს დიალექტურ მოვლენებს. მაგრამ როცა მწერალს პერსონაჟის ენაში დიალექტური მოვლენები შეაქვს, უკიდურესად ფრთხილი და ზომიერი

უნდა იყოს. ცხადია, მას არ შეუძლია აიძულოს ყველა თავისი გმირი — ერთგვაროვნად იაზროვნონ და, მაშასადამე, ერთგვარად ილაპარაკონ — გაშალაშინებული ფრაზებით. ეს ნაწარმოების ენის შაბლონიზაცია, ტიპიზაციის პრინციპის დარღვევა იქნებოდა. არ შეიძლება, მაგალითად, მოვთხოვოთ მწერალს აქუთათელს, რომ მის რომანში „პირისპირ“ ერთგვაროვნად გამოთქვამდნენ თავის აზრებს მოხუცი გლეხი გოჯასპირი და ინტელიგენტი კორნელი, ბოლშევიკი მახათაძე და მენშევიკი — ბანდიტი აფხაზაეა, დეკადენტი მოგველაძე და პარტიზანი გელაშვილი. ყველა ისინი ლაპარაკობენ ქართულად, მაგრამ, ამავე დროს, თვითეული მათგანი „თავისებურად“ გადმოგვცემს საკუთარ აზრს.

გმირის ენა — ეს მწერლის არსენალში მყოფი ერთ-ერთი საშუალებაა ტიპის შინაგანი სამყაროს გახსნისა. როცა, მაგალითად „ლელოს“ გმირი — მოხუცი გლეხი სეფე ეტანება სიტყვებს „ანალიზი“, „საგანი“, „ავარი“, მკითხველის წინაშე გარკვევით ისახება ტიპი, რომელიც ცდილობს არავითარი ახალი რამ არ გამოეპაროს, არ ჩამორჩეს სხვებს, „განათლებულ ადამიანებს“. მაგრამ როცა იგი „ანალიზის“ ნაცვლად წარმოთქვამს „ალანის“, ხოლო „ავარიას“ „აბარიად“ ნათლავს, ან კიდევ, „ინფლუნციას“ „ოფელენციას“ ეძახის, თქვენს გონებაში უკვე იქმნება გარკვეული წარმოდგენა ამ პერსონაჟის შესახებ, მისი განვითარების დონისა და მისი ხასიათის შესახებ. ჩვენ უფლება არა გვაქვს მოვთხოვოთ მწერალს, რომ მისი გმირები — სეფე, ფარნა, სიპიტო საუბრის დროს არ იყენებდნენ დიალექტებს. მაგრამ როცა ამ შემთხვევაში მწერლისაგან მოითხოვენ ზომიერებასა და სიფრთხილეს, ეს იმას ნიშნავს, რომ, ჯერ ერთი, დიალექტური თავისებურების შეტანა საჭიროა მხოლოდ

განსაკუთრებულ შემთხვევებში, კანაბასიანობებელ მონოლოგებსა და დიალოგებში, როგორც სახის დამატება, და არ შეიძლება მათი გადაქცევა პერსონაჟის ძირითად სასაუბრო მასალად; და, მეორეც, გამოყენებული უნდა იქნეს ისეთი დიალექტური ფორმები, ხატოვანი გამოთქმები, ანდაზები, რომლებიც ყოველგვარი სირთულის გარეშე გასაგებები, მისახვედრი იქნება არა მარტო გარკვეული კუთხის მკითხველებისათვის, არამედ მთელი ხალხისათვის.

მხატვრული ნაწარმოების სხვა ენაზე თარგმნისას მან უნდა შეინარჩუნოს ზოგიერთი ენობრივი თავისებურებაც, ე. ი. საერთო ეროვნული ფორმის მთავარი ელემენტის (ენის) ზოგიერთი თავისებურება, მით უმეტეს, რომ ეს თავისებურებანი მტკიცედ არიან დაკავშირებული ხალხის ეთნოკოორდინატთან და გამოხატავენ სოციალურ მომენტებს, რაც ხშირად გადმოიცემა ანდაზებით, აფორიზმებით, იდიომებით და ა. შ. თარგმანის დროს ხშირად ცდილობენ წაშალონ აღნიშნული თავისებურებანი და შეცვალონ ისინი იმ ენის ადექვატური ანდაზებით, აფორიზმებით და სხვ., რომელზედაც ითარგმნება ნაწარმოები. ეს არ არის მართებული. ასეთ ოპერაციებს მთარგმნელი უნდა მიმართავდეს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც აფორიზმის, ანდაზის, იდიომის, თქმულების პირდაპირ გადატანა აუფერულეს, სიცოცხლეს უკარგავს მათ. მაგალითად, არ შეიძლება პირდაპირ ვთარგმნოთ „Ни рыба, ни мясо“. ქართველ მკითხველამდე ვერ მიაღწევს მისი სიმახვილე. მისთვის უფრო გასაგები იქნება ამ ანდაზის შინაარსი, თუ იგი გადმოიცემა წმინდა ქართული ანდაზით: „არც ღვინოა, არც წყალი“. მაგრამ ასეთი თარგმნა საერთო პრინციპად არ უნდა იქნეს აღიარებული. ა. ჭეიშვილმა თავის რომანში ჩააქსოვა ბევრი იდიომური გამოთქმა, ანდაზა და თქმულება. ისინი ძირი-

თადღ შენარჩუნებულია რუსულ თარგ-მანში. ასეთი ანდაზით სარგებლობს, მაგალითად, ბიძინა, რომელიც ამხანაგურ სასამართლოში ნიღაბს ზღის ზარმაცსა და მოქეიფე ბონდოს, ამხელს მის სიმულაციას. იგი ხმარობს ხალხურ გამოთქმას: „გასაჭირი მიჩვენე — გაქცევას გიჩვენებო!“ („Покажи мне беду, покажу тебе как бегу!“). საქართველოში ფართოდ არის გავრცელებული გამოთქმა: „ცოვ ქვაზე დაგასახლებს!“ ასე ამბობენ მშრომელ ქალზე, როცა მისი შექება უნდათ. „ლელოში“ ვხვდებით ასეთ გამოთქმასაც (რუსულად იგი თარგმნილია: „На голых камнях может человека устроить, очаг ему создать!“). ქართული ანდაზა, რომლითაც ხალხი ძველი დროიდან დასცინის არარეალურ, ფუჭ მყოცნებობას: „ღვინო არსად იყო და ეშმაკები გუდას ალბობდნენო“ („Вина не было, а черти бурдюк отмачивали“), მწერალს მოჰყავს რომანში სიბიტოს სახის დასახასიათებლად.

ნაწარმოებში შეტანილი ასეთი ხალხური გამოთქმები აგრეთვე გვეხმარებიან მისი ნაციონალური ფორმის დადგენაში. მაგრამ ისინი ხშირად დაკავშირებული არიან უნასთან, მის თავისებურებებთან და შედიან ფორმის ამ კომპონენტში.

ეროვნულ ფორმაში ენასთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ხალხის ყოფა-ცხოვრების გადმოცემას. თვითველ ერს აქვს თავისი, სხვადასხვა ეპოქებში გამომუშავებული ყოფა-ცხოვრება, რითაც, ენასთან ერთად, იგი გამოირჩევა სხვა ერებისაგან. ყოფა-ცხოვრება სოციალური ცხოვრების განვითარების პროდუქტია და უშუალოდ არის დამოკიდებული მისგან. ეროვნული სიმღერები, გართობანი, თამაშობანი, ცეკვა და ა. შ. ბევრად ასახავენ ერის განვითარების გზას, მისი ფსიქიკური წყობის გამომუშავებას. მწერალს არ შეუძლია გვერდი აუ-

აროს ამ ნიშანს, თუ მან სტყოს ხალხის ნამდვილი სახე აჩვენოს.

რომან „ლელოში“ ასახულია ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრების ბევრი დამახასიათებელი მოვლენა. ცხადია, ეს არ არის უბრალო აღწერა ყოფისა. ავტორის მიერ გადმოცემული ყოფა-ცხოვრებითი სცენები გვახსლოებენ გმირებთან, ეპოქის ნერვთან, ქმნიან საჭირო სიტუაციებს, ხელს უწყობენ ადამიანთა ფსიქიკის გამოვლინებას; ისინი დაქვემდებარებული არიან რომანის კომპოზიციური ხაზის საერთო განვითარებისადმი და მხოლოდ საერთოს, მთლიანის შეესებნისა და დამატების მნიშვნელობა აქვთ. ყოფა-ცხოვრებითი მომენტის ასეთ გამოყენებას ა. ჭეიშვილის რომანში წარმოადგენს ეროვნული თამაშის — ლელოს აღწერა, რაც დიდი ოსტატობით, დეტალების ზუსტი ცოდნით არის გადმოცემული. მოგვყავს ადგილი ამ აღწერიდან:

„ელიზბარა ჯორბენაძის ლაღობაზე გაწყრა, უკან გაბრუნება დააპირა, მაგრამ ამ დროს გიორგიმ ბურთი ჰაერში შეაგდო.“

— აბა, ბიჭებო, ლელოს გატანით ვერ გავიტანთ, მაგრამ ჩვენების ჩამოსვლამდე ბურთი შევეკრათ და სამღვთო-ელებს ლელო არ გავატანივთ, — არიგებდა თავისიანებს ჯორბენაძე. — ბურთი შორს არავის გადაუგდოთ, ხელიდან ხელში გადაეცით ერთმანეთს. მანამდე ჩვენებიც ჩამოგისწრებენ.

ქიშვარდი დაძაბული ელოდა, თუ როდის ჩაუვარდებოდა ხელში ბურთი. როცა ბურთი მალლა შეისროლეს, მამია შეხტა, მთელი ზედატანით ასცილდა შემოჯარულ ხალხს და ბურთს ჰაერში სწვდა.

— არიქა, აქეთ გადმოაგდე! — მიაცვირა ქიშვარდიმ მამიას, რომელიც მელიქაურლების წრეში იყო მომწყვდეული.

მაგრამ მაშინ შემობრუნებაც ვერ მოასწრო, რომ მელიქაურელი გერასიმა ქორივით ჩაუხტა წინ გაწედილ ხელებით და მკლავებს შორის ჩაბლუჯული ბურთი ხელიდან გამოგლიჯა. გერასიმას სილოვანა დაეძგრა და ბურთიანად მიწაზე დასცა. ბურთი მოღზე გაგორდა, მელიქაურლები დაეხვივნენ. მათ სამღვთოელები მიელეწნენ. შეიქნა ბღღენა.

გერასიმამ კვლავ გაარღვია სამღვთოელების წრე და ბურთი ხელთ იგდო. გელაზივით დატრიალდა. მელიქაურლებს მთელი ძალები არ ჰყავდათ თავმოყრილი. მათ გერასიმა შუაში მოიქციეს. სამღვთოელები ცდილობდნენ მათ წრეში შეპრას და ბურთთან მისვლას, მაგრამ მელიქაურლები საღტესავით შემორტყმოდნენ გერასიმას. სამღვთოელებიც ყოველი მხრიდან გამორბოდნენ თავისიანების მისამეღლებლად და ა. შ.

ლულო — ბურთის საინტერესო ქართული ეროვნული თამაშია. იგი დიდი ხნიდან არის გავრცელებული და ხალხს უნერგავს სიმამაცის, მიზნის მიღწევისათვის მასწრაფების სიმტკიცის, ყოველგვარი დაბრკოლების გადალახვისათვის მოხერხებულობისა და ამტანიანობის, პატრიოტიზმის გრძნობას. ამ თამაშის აღწერა, რომელსაც რომანის ცამეტამდე გვერდი აქვს დათმობილი, ასევე მიეკუთვნება მის ეროვნულ ფორმას. ფორმას განეკუთვნება აგრეთვე ცალკეული ეროვნული ჩვევების გადმოცემა, გეოგრაფიული ადგილმდებარეობის აღწერა, ისეთი სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჩვენება, რომლებიც დამახასიათებელია მოცემული რესპუბლიკის ან მხარისათვის, გმირთა სახელები, მათი ეროვნული ტანსაცმლის აღწერა და მრავალი სხვა. ყველა ამ საშუალებით მხატვრული სიტყვის ოსტატი ქმნის რელიეფურად გამოხატულ

ტბას, სახეს, მისი დამახასიათებელი ეროვნული ნიშნებით.

მაგრამ, როგორც უკვე ნათქვამი იყო, ეროვნული ფორმა არ არსებობს განცალკევებით, შინაარსისაგან მოწყვეტით. ამიტომ ა. ქეიშვილის რომანის „ლელოს“ კონკრეტული მასალით ეროვნული ფორმის ზოგიერთი კომპონენტის ანალიზის ზემოთ მოცემული ცდა გაგებულ უნდა იქნას არა როგორც განყენებული ანალიზი. პირიქით, სწორედ ეს რომანი, რომელმაც სხვა ნაწარმოებებთან ერთად გარკვეული როლი შეასრულა ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში სოციალისტური რეალიზმის პრინციპების დამკვიდრებასა და განვითარებაში, თვალსაჩინო მასალას იძლევა სოციალისტური შინაარსისა და ეროვნული ფორმის ერთიანობის ანალიზისათვის.

ასეთი ერთიანობა განსაკუთრებით მკვეთრად ვლინდება წიგნის იმ თავებში, რომლებიც მიძღვნილია სსრ კავშირის ხალხთა დიადი მეგობრობისადმი.

რომანში დიდი მხატვრული დამაჯერებლობით არის ნაჩვენები ჩუვაშელი სტუმრების — იმ კოლმეურნეთა წარმომადგენლების ჩამოსვლა და ყოფნა საქართველოში, რომლებსაც სამღვთოელები ეჯიბრებინან.

მათთან მეგობრობა ახალი შესანიშნავი საგმირო საქმეებისათვის აღაფრთოვანებს რომანის ახალგაზრდა გმირს ქიშვარდის.

...მართლაც, სტუმრების ჩამოსვლა ვოლგის სანაპიროდან, რაღაც დიდ მოვლენად გადაიქცა მთელი კოლმეურნეობის ცხოვრებაში. რა ღრმა კვალი გააფლო ამ შეხვედრამ ქიშვარდის შეგნებაში. მას საღდაც წაეკითხა მეოცნებე ადამიანებზე, რომლებიც ლამობდნენ მზის ენერჯის გამოყენებას, მეცნიერებზე, რომლებიც ცდილობდნენ გამოეყენებინათ ზღვის ტალღების მიმოქცევის ძალა. მაგრამ რამდენ ენერჯიას ბადებს

ხალხთა შეკავშირება, მათი მეგობრობა. „და ეს შეკავშირება, მეგობრობის ძალა, შეიძლება აღმოცენდეს მხოლოდ ჩვენში, ჩვენს ცხოვრებაში, ჩვენი წესობილებების დროს“, ფიქრობდა ქიშვარდი.

„ჩუვაშელი სტუმრების ჩამოსვლამ თითქოს სულ შეუცვალა გუნება ქიშვარდის. რაღაც ახალი შუქით გაანათა მისი ცხოვრება, სულ გამოსცვალა იგი. მაინც რა მოხდა ისეთი, რამ იმოქმედა მასზე აგრე რიგად? და განა მართო ქიშვარდიზე, მთელ სამღვთოს ახალგაზრდობაზე — ციციანოზე, ყონაზე, თვით ხანდაზმულებზე — ასინეთზე, ფარნაზე, სეფეზე? თითქოს საიმისო არაფერი მომხდარა სამღვთოს ცხოვრებაში — სამი კაცი ჩამოვიდა შორეული ვოლგის ნაპირებიდან. ეგ იყო და ეგ. ყველას კი ისეთი განცდა ჰქონდა, თითქოს ორი ხალხი შეხვდა, შეეთვისა ერთმანეთს. სულ რამდენიმე დღე დაჰყვეს მათ სამღვთოში და რა მახლობელი გახდნენ ისინი ყველასათვის ამ მოკლე ხნის განმავლობაში!

როგორ დაუმეგობრდნენ ისინი ყველას, — ფიქრობდა ქიშვარდი. — ასე როგორ შეგვეთვისნენ, როგორ შეგვაყვარეს თავი.

ეს ორი კვირაა სამღვთოს ახალგაზრდობა სამუშაოზე თუ დასვენების დროს მღეროდა ჩუვაშურ სიმღერას „კაი-კაი ივანა“. იქნებ იმიტომ მოხდა ეს, რომ ჩუვაშური „კაი“ — სიტყვა კარგის გურულ გამოთქმას აკონებდა კაცს, ან იქნებ იმიტომ, რომ ამ სიმღერას მღეროდა ოქროსფერკულულებიანი ქალიშვილი, რომელიც მხიარული და თამაში ხასიათისა და ღია გულის გამო ისე შეუყვარდათ სამღვთოში, როგორც ახლობელი ვინმე ნათესავი. ასე იყო თუ ისე, ეს ჩუვაშური სიმღერა ისევე ხშირად ეღერდა ამ დღეებში სამღვთოში, როგორც მშობლიური კრიმანკული“.

შინაარსისა და ფორმის ასეთი მჭიდრო გადაწელობა უზრუნველყოფს

იმ თავების მაღალ მხატვრულ და იდეურ დონეს, რომლებიც მისაჩვენებელია ხალხთა თანდათან დაახლოებას, მათი მეგობრობის ჩასახვასა და განმტკიცებას. საერთო საქმის, საყოველთაო-სახალხო ბედნიერების გულისთვის გადაეშვება რიბაკოვი კოკისპირული წვიმის შემდეგ აღიდებულ და გაცოფებულ მდინარე ნადინების ტალღებში, რათა დაეხმაროს ქიშვარდის და მასთან ერთად გადაარჩინოს ახლახან აშენებულ ხიდს. „მათ ორივემ ხელი მოაქვს მისასაგან გადმოვლებულ თოკს და წყალში ჩაიძირნენ, მთელი ძალით ცდილობდნენ მიეღწიათ თხმელამდე, რომელიც მათ ხიდად გამოიყენეს. ბურჯებს შორის გზა გაეხსნა ხეებს. ერთმანეთს თავს უსწრებდნენ, მიექანებოდნენ ქვემოთ, პირდაპირ ქიშვარდისა და რიბაკოვისაკენ, რომლებიც თხმელის ტოტებს მოსჭიდებოდნენ და ნაპირისაკენ მიეშურებოდნენ. ხის ფესვები მაგრად ეჭირათ ეპიფანეს, ფარნასა და სხვა სამღვთოელებს. ქიშვარდიმ და რიბაკოვმა სწორედ იმ დროს დადგეს ფეხი ნაპირზე, როცა ტალღების მოხეტქებამ ეპიფანეს და ფარნას ხელიდან გამოჰკელიჯა თხმელა და საშინელის ძალით, ტოტების ლაწალაწით გაატარა ხიდქვეშ“.

ორი ადამიანის თავგანწირვის მაგალითი ფართო განზოგადების ტილოს ქმნის. მასში თითქოს ხორცშესხმულია ხალხების გმირული სული, მათი შეუწინელებელი მისწრაფება საერთო მიზნისაკენ.

ქიშვარდისა და რიბაკოვის სიმამაცე არ სცილდება უბრალო გმირობის ფარგლებს, გმირობისა, რომლითაც აღსაყვება ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება. მაგრამ იმ სიტუაციაში, რომელშიც ეს სიმამაცე გამოვლინდა, მან მიიღო გარკვეული მნიშვნელობა როგორც ჩვენი ხალხების მეგობრული ურთიერთდახმარებისა და მათი ინტერესების საერთო მიზანმისწრაფების ფაქტმა. თავის ქარ-



თველ ამხანაგს რომ ეხმარება ხიდის გადარჩენაში, რიბაკოვი მოქმედებს სოციალისტური საზოგადოების წევრის მოვალეობის ფართო შეგნებით. იგი გმირობას სჩადის არა იმიტომ, რომ თავი გამოიჩინოს და „დღის გმირი“ გახდეს ან არა თავისი, როგორც სტუმრის, მოვალეობის იმ შეგნების გამო, რომ საჭიროა მასპინძლებს დაეხმაროს; მას ამოძრავებს გაცილებით მეტი გრძნობა, უფრო მაღალი და საპატიო შეგნება, თავისი დიადი სამშობლოს ყველა ხალხების ინტერესთა ურღვევი ერთიანობის შეგნება.

ასე ნათელყოფს მწერალი მცირე კონკრეტული ეროვნული ფაქტით ჩვენი ადამიანების საქმეთა საერთო სოციალისტური შინაარსს.

საერთო საქმისათვის ზრუნვით არიან მოცული მწერლის მიერ შრომისა და ზრდის პროცესში ნაჩვენები სოციალისტური სოფლის მოწინავე ადამიანები.

მოხუცი კოლმეურნის სეფეს სიტყვა ჩაის კრეფაში გამარჯვებულ სამღვთოელებისათვის წითელი დროშის გადაცემის დროს ყურადღებას იპყრობს სწორედ ეროვნული ფორმისა და სოციალისტური შინაარსის ბევრი დამახასიათებელი ნიშნის გამოვლენით. თავისი გრამატიკული წყობით, ტემპერამენტულობითა და უცარი გადასვლებით, კონკრეტული ფაქტებით, რომლებსაც იგი ეყრდნობა, დაბოლოს, თავისი ლექსიკური შემადგენლობით იგი ღრმად ეროვნულია. მაგრამ რა ფართო ჰორიზონტებია მასში გადაშლილი მისი შინაარსის მიხედვით, რა ჩინებული აზრებით არის გასხივოსნებული ამ უბრალო, რიგითი საბჭოთა ადამიანის უბრალო სიტყვები!

„ამ დროშაზე რომ ასეთი ინტერესია, მე მგონია ეს ყველას უნდა გაუხარდეს, იმიტომ, რომ ეს საერთო წინმსვლლობაა. მარა მე სხვა საგანზე მინდა ვთქვა. ძალიან ძვირფასი სიტყვები დაიხარჯა

აქ ამელამ: ვინმემ კერძობაში არ ჩამოშრთვას, ამას კი არ ვამბობ, ცოცხლო ჩემი ქალიშვილი რომაა, მარა ამდენი ხალხის პატივისცემის ღირსი რომ გახდა, მე ასე ვთვლი, რომ ეს მაგისტვის მეორედ დაბადებაა, სწორეთ! მეც ჩემდა თავად დიდად ბედნიერ კაცად ვთვლი თავს ამდენ პატიოსან და ნასწავლ ხალხს რომ შევხვდი და გავეცანი. მუშაობამ შეგვახვედრა და შეგვაერთა დღეს სუყველა.

გლებკაცი არ მოსწრებია ასეთ დროს. სად წახვიდოდი, ვის შეხვდებოდი? არავის ქვეყანაზე.

რატომ იყო მერე ასე? — შრომას მოწონება არ ქონდა. ვინ დაგათასებდა. ძალად არავინ გაგდებდა.

ახლა შეიცვალა ქორონიკონი. შოთა რუსთაველმა რომ თქვა — ლეკვი ლომისა სწორიაო — გასწორდა სწორედ.

ყველაფერში გზა გახსნილია. სამუშაო თუ გინდა, საითაც მობრუნდები, იშოვი, თუ სწავლა გინდა, ისწავლე.

ნამდვილი ფულის კალათაა ეს ჩაი და მანდარინი. მაგით გამოვიხედეთ თვალში. სახლი დავიდგით და კარი, ჩავიცვით და დავიხურეთ. აგი, უკაცრავად პასუხია, ღორის შუკები საავტომობილო შარად რომ გადააქციეს, მაგიც ამ ჩაის და მანდარინს მოყვა...

კიდევ უფრო დავუტრიალდეთ ამ ჩვენ პლანტაციებს, სახელმწიფო უცდის მაგ ჩაის, მუშათა კლასმა უნდა დალიოს, წითელმა არმიამ. ახლა იმაზე მინდოდა მიმესადაგებია აგი ლაბარაკი. ამ ჩემმა ქალმა რეკორდი რომ დაამყარა, იგი გაბედავას ქალი ძალიან დაეხმარა. მაქაც საგანია ერთნაირი.

ახლა საამური რომ გახდა ცხოვრება და სასიამოვნო, აგი სიამოვნება მართო ჩვენთვის კი არ გვინდა, მაგაშია ადამიანობა, თორემ ასე ჩემმა ღორმა იცის, რომ მიუგდებ მწიფე მსხალს, გავარდება ჩირკვეებში და იქ შექვამს. ჰოდა... მე ასე ვიტყვოდი, მოვიწვიოთ იგი გაბედა-



ვას ქალი და სხვა, სხვა ნაციის და რესპუბლიკის, რუსი, უკრაინა, ჩუვა-ში, სომეხი, აზერბაიჯანი. გვაქვს ჩვენ ახლა მაგის შეძლება და ანგარიში. მე-ლიქაურს კი არა, ყველა კაცს უნდა შე-ვეჯიბროთ. უნდა შევეჯიბროთ, რაც კაი და კაი კოლმეურნეობაა. დავპაცი-ვით, გენახონ, ვნახოთ, გავეცნათ ერთ-მანეთს ამ რაიონის, იმ რაიონის, ამ ნა-ციის, იმ ნაციის. ახლა შემკული რომ ვართ ყველაფრით, მოეწონება ეს მათ. მეც ჩემდა თავად ერთ დიდ კამპანიას გადავიხდი“.

სეფეს სიტყვის მთავარი შინაარსია ის ისტორიული ცვლილება, რომელიც გან-ხორციელდა სოფელში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, საკოლმე-ურნეო შრომის შედეგად. სეფე ლაპა-რაკობს იმის შესახებ, რომ საბჭოთა სოფლის ადამიანები გაბედულად მიდი-ან წინ და ახალ წარმატებებს აღწევენ, რომ ამხანაგური შეჯიბრების ატმოსფე-როში გაჩაღებული შრომა ბადებს ახალ ადამიანებს, აერთიანებს მათ და რომ ამ შრომის შედეგად საბჭოთა ადამიანი იმ-სახურებს პატივისცემას; რომ საბჭოთა ადამიანის ბედნიერება ყველას ეკუთვ-ნის, რადგან იგი იბადება საერთო ძალ-ღონით; რომ აუცილებელია ვამტკი-ცებდეთ და ვავითარებდეთ ხალხთა ლენინურ-სტალინურ მეგობრობას; რომ საჭიროა სხვა ხალხებთან მეტი კავ-შირი და ურთიერთობა, რათა გა-დავეცთ მათ ჩვენი საუკეთესო გა-მოცდილება და მივიღოთ მათგან ის, რაც მათ გააჩნიათ ამ დარგში; რომ საკოლმეურნეო შრომის ყოველი უბ-ნის ამოცანა განსაზღვრულია მუშათა კლასთან, საბჭოთა არმიასთან, ჩვენს ინტელიგენციასთან ერთობლივი მიზ-ნებით; რომ საბჭოთა ადამიანის ცხოვ-რება ბედნიერი გახდა, რასაც იგი უმაღლეს ლენინ-სტალინის პარტიას, ვინც შექმნა საპატიო შრომისა და მშვე-ნიერი ცხოვრების პირობები. აი რას ფიქრობს კოლმეურნე სეფე, როგორი

საერთო სოციალისტური შინაარსით არის გამსჭვალული მისი სიტყვა.

ეს აზრები, რომლებიც ამოძრავებენ ჩვენს ადამიანებს, გადმოცემულია ქართველი კოლმეურნის კონკრეტულ სიტყვაში. თავისი ფორმით ეს სიტყვა ინდივიდუალიზებულია და ეროვნულ ხასიათს ატარებს, რადგან კონკრეტუ-ლი სინამდვილის კონკრეტულ ფაქ-ტებს ეყრდნობა. სეფე ლაპარაკობს ჩაისა და ციტრუსებზე, მათს როლზე საბჭოთა ადამიანების ყოფაცხოვრების გაუმჯობესებაში; ის ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ საქართველომ მეტი ჩაი უნდა მოიყვანოს მუშათა კლასი-სათვის, საბჭოთა არმიისათვის; მას მოჰყავს აფორიზმი „ვეფხის ტყაოს-ნიდან“, ლაპარაკობს მშობლიური სოფლის ბედზე, შორეული წარსული-დან რომ ატარებს „სამღვთოს“ სახელს, და წინადადებას აყენებს შეიცვალოს ეს სახელი „შრომით“. ეს ნაციონალუ-რი მასალა ფორმის სამსახურს უწევს მწერალს საერთო სოციალისტური ში-ნაარსის გადმოსაცემად.

ლიტერატურა უნდა გამოხატავდეს თავისი ხალხის თვისებრივ თავისებუ-რებებს, მის ეროვნულ ცხოვრებას, ყო-ფას, მის კულტურას. ეს მხატვრობის ერთ-ერთი აუცილებელი კრიტერიუ-შია. ბესარიონ ბელინსკი მოითხოვდა, რომ მწერალი გამოხატავდეს თავისი ხალხის სულს. იბრძოდა რა ლიტერა-ტურის ხალხურობისათვის, დიდი დე-მოკრატი-რევოლუციონერი ამ ცნებაში აქსოვდა იმ აზრსაც, რომ მწერალი სი-მართლით უნდა წარმოსახავდეს თავისი ერის თავისებურებებს, იმ ფსიქიკურ წყობას, რომელიც ხალხს გამოუმუშავ-და საუკუნეთა მანძილზე. მაგრამ ამას-თანავე ბელინსკი აღნიშნავდა ზოგად-კაცობრიულ მნიშვნელობას, რომელიც მწერლის მიერ ამ ეროვნულ თავისებუ-რებათა წარმოსახვას უნდა მიენიჭოს, რათა ეროვნული შეზღუდულობის ფარ-გლებს გასცილდეს. ბელინსკი ამბობდა,

რომ მხოლოდ ის ლიტერატურაა ჭეშმარიტად ხალხური, რომელიც ამავე დროს ზოგადკაცობრიული ლიტერატურაა, რომელიც ამავე დროს ეროვნულია. ამით მას მხედველობაში ჰქონდა ზოგადის განსახიერება ეროვნულის საშუალებით, ე. ი. შინაარსისა და ფორმის ერთიანობა.

ლიტერატურული ნაწარმოები არის არა მარტო კონკრეტული ეპოქის, არამედ კონკრეტული ერის პროდუქტი. როგორც ყოველი მოვლენა, ისიც ასევე განპირობებულია მდგომარეობით, ადგილითა და დროით. ნაწარმოები, თუ ის ჭეშმარიტად მხატვრულია, არ შეიძლება არ შეიცავდეს ეროვნულ სპეციფიკას. ერის თვისობრივ თავისებურებებს, რომლებიც ჩამოყალიბდნენ და თანდათან ვითარდებოდნენ, როგორც ხალხის მატერიალური და ისტორიული განვითარების პროდუქტი.

ამგვარად: ლიტერატურის ეროვნული ფორმა შეიცავს ენას, რომელიც საფუძვლად უდევს ამ ლიტერატურას; ეროვნულ თემატიკას, რომელშიც ტიპიზაციის საშუალებით აისახება ეროვნული ხასიათი; ხალხის ფსიქიკური წყობის გადმოცემას; ხალხურ შემოქმედებას (თქმულებები, აფორიზმები, ანდაზები, იდიომები, ხატოვანი გამოთქმები); ხალხის ყოფაცხოვრების, ე. ი. ეროვნული ცხოვრების, თავისებურებისა და დამახასიათებელი ნიშნების გადმოცემას და ა. შ.

სოციალისტური შინაარსი გულისხმობს იმ ნიშნებს, რომლებიც საერთოა საბჭოების ქვეყნის ყველა ხალხისათვის და გაპირობებულია კომუნისტური მშენებლობის ამოცანებით.

საერთო ინტერნაციონალური შინაარსი ჩვენი ქვეყნის ყველა ნაციონალური კულტურის საერთო ბირთვს წარმოადგენს. ეს აუცილებლად უნდა ვითვალისწინოთ, რადგან ერთი რომელიმე საბჭოთა ხალხის კულტურის

ეროვნული ფორმა, როგორც უკვე იყო თქმული, არ შეიძლება განვიხილოთ სხვა ხალხების კულტურათა ეროვნული ფორმებისაგან მოწყვეტით. სხვა ფორმებთან ურთიერთკავშირში, მათი გაელენით ვითარდება და მდიდრდება თვითეული საბჭოთა ერის კულტურის ეროვნული ფორმა.

საბჭოთა ადამიანის ახალი ფსიქიკის, მისი საერთო ნიშანთვისებების გამოქვეყნებასთან ერთად, რაც განუხრელი სრულყოფის პროცესშია, მოძმე საბჭოთა ლიტერატურების ეროვნული ფორმები თანდათანობით დაუახლოვდებიან ერთმანეთს.

ამ დაახლოებას ყოველმხრივ ხელს უწყობს ის მდგომარეობა, რომ თვითეულ საბჭოთა ერს თავისი კულტურის შინაგან შინაარსში შეაქვს ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხების კულტურული მოვლენებიც. ჩვენი ბევრი საამისო საშუალება და ფორმა არსებობს. ერთ-ერთი ასეთი, ყველაზე გავრცელებული ლენინობეა მოძმე რესპუბლიკების ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადები, დიდი წარმატებით რომ ტარდება თითქმის ყოველწლიურად მოსკოვში. ეროვნულ კულტურათა დაახლოებისა და ურთიერთგამდიდრების საქმეში დიდ როლს ასრულებს მოძმე ლიტერატურების ნაწარმოებთა თარგმნა ამა თუ იმ ეროვნულ ენაზე, სხვა ხალხების ცხოვრების მხატვრული ასახვა, ეროვნული ხელოვნების რეპერტუარის გამდიდრება მოკავშირე რესპუბლიკების მშრომელთა ყოფის ამსახველი სპექტაკლებით, მათი სიმღერებითა და ცეკვებით და სხვ.

ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთა სულიერი დაახლოებისათვის ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს რუსულ ენას, რომელსაც ყველა განსაკუთრებული დანიტერესებით სწავლობს. რუსული ენა გადაიქცა სოციალიზმის ქვეყნის ყველა ხალხის განათლებისა და კუ-

ლტურული სიმდიდრის შემდგომი განვითარების უშრეტ წყაროდ.

სოციალისტური ერების ფსიქიკური წყობანი, რომლებიც მკვიდრდებიან ახალი სოციალისტური სინამდვილის ზეგავლენით და რომლებიც აღიქვამენ წინანდელ ფსიქიკურ წყობათა საუკეთესო თვისებებს, საერთო სოციალისტური შინაარსის წყალობით, თანდათან გადაიქცევიან საერთო ფსიქიკურ წყობად ყველა სოციალისტური ერისათვის. წარმოებს აგრეთვე სოციალისტური ერების ენათა ურთიერთგამდიდრების მეტად საინტერესო პროცესი.

მაგრამ ცალკე ერის ეროვნული ფორმა, როგორც ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების, მთელი კულტურის განვითარების აუცილებელი საშუალება, კიდევ დიდხანს იარსებებს; მანამ იარსებებს, სანამ არ დადგება ეროვნულ განსხვავებათა კვდომის, ეროვნულ ენათა კვდომის დრო.

ი. სტალინი გვასწავლის, რომ ასეთი კვდომა დაიწყება პროლეტარიატის მსოფლიო დიქტატურის მესამე ეტაპზე. ამ დიქტატურის პირველი ეტაპი უზრუნველყოფს ეროვნული ჩაგვრის საბოლოო ლიკვიდაციას, მსოფლიოს

ყველა ერის, მათი კულტურების სწრაფ ზრდასა და აყვავებას, ხალხთა თანასწორუფლებიანობას და ეროვნული ურთიერთდობის განმტკიცებას. ამ ეტაპზე უზრუნველყოფილი იქნება ყველა ერის ინტერნაციონალური სოლიდარობა.

ერთიანი მსოფლიო სოციალისტური მეურნეობის ჩამოყალიბების პროცესი პროლეტარიატის მსოფლიო დიქტატურის მეორე ეტაპზე გამოიწვევს საერთო საეროვნებათაშორისო ენის ჩამოყალიბების დაწყებას, ენისა, რომელიც ჯერ კიდევ არ შეცვლის ეროვნულ ენებს.

„პროლეტარიატის მსოფლიო დიქტატურის პერიოდის შემდეგ ეტაპზე, როცა მეურნეობის მსოფლიო სოციალისტური სისტემა საკმაოდ განმტკიცდება და სოციალიზმი ხალხთა ყოფაში დამკვიდრდება, როცა ერები პრაქტიკულად დაწმუნდებიან საერთო ენის უპირატესობაში ეროვნული ენების წინაშე, — დაიწყება ეროვნულ განსხვავებათა და ენათა კვდომა, და ისინი ადგილს დაუთმობენ ყველასათვის საერთო მსოფლიო ენას“<sup>1</sup>.

ცხადია, რომ ამ ეტაპზე შეიქმნება კულტურის ერთიანი ეროვნული ფორმა მისი ერთიანი კომუნისტური შინაარსით.

<sup>1</sup> ი. სტალინი, თხზულებანი, ტ. 11, გვ. 266.

## ბიბლიოგრაფია



### რუმანი სოციალისტური ურფა-ცხოვრების შესახებ

საბჭოთა ადამიანების სოციალისტურ ყოფაცხოვრებას ეხება ი. ლისაშვილის რომანი „ერთგულება“. ნაწარმოების ერთ-ერთი ღირსება ისაა, რომ იკითხება შეუწვევლებელი ინტერესით, რაც გამოწვეულია თემის ახლებური დანახვით და მძაფრი, კომპოზიციურად შევსებული სიუჟეტით; სიუჟეტის განვითარებაში დაცულია ამბების ურთიერთკავშირი და ლოგიკურობა. მწერალი მოვლენებში არჩევს მთავარს, არსებითს, ჩვენი ცხოვრებისათვის ნიშანდობლივს, რაც კიდევ უფრო ამაღლებს რომანის მნიშვნელობას. მეთხველს ანტერესებს გმირების ბედი. კითხვობთ რომანს და მისი ბევრი ადგილი თქვენ გაფიქრებთ, გაღვლეხებთ, ზოგიერთი გმირის საქციელი, მოქმედება მოსაწონინ და მოსაბაძია, უარყოფითი გმირების — გასაკიცხავი, დასაგმობი.

ნაწარმოების მთავარი მოქმედი პირი — თამაზ ვაშაყაძე — სამამულო ომიდან გამარჯვებული ბრუნდება თბილისში. იგი მოუთმენლად ელოდება ნაცნობების, ნათესავებისა და სატრფოს — თამარის ნახვას. თამაზი ფრონტზე ღებულობდა სატრფოს აღმავრობისთვის წერაწერებს, მაგრამ ბოლო დროს თამარმა მიმოწერა შეწყვიტა, დაუბლოდა თავისი სიყრმის მეგობარს გენრიეტა სანგირაშვილს, რომელიც ცუდი ყოფაქცევის ქალი იყო. მან თამარს გააცნო ახალგაზრდა მომღერალი ისიდორე თხზარელი. მათ შორის სატრფილო ქსელი დაიხლართა, თამარის ბინაზე ხშირად იმართებოდა საღამოები. ერთხელ, როდესაც თამარი და ისიდორე ცეკვავდნენ, მათ თავზე დაადგებათ ახლადდამრეზებული, დაჭრილი თამაზი. ასეთი სანახაობით შერაცხვილი თამაზი უკან გამობრუნდება, დაწვეს თამარის ბარათებს და რამდენიმე დღის შემდეგ შობილურ სოფელში გაეშვანერება. აქ იგი საზოგადოებრივ-საკოლმეურნეო საქმეში ჩაება, აქტიურად მონაწილეობს საკოლმეურნეო ცხოვრების მშენებლობაში. თამაზი და ახალგაზრდა ინჟინერი ქალი ნატო ერთად იდგნენ სასოფლო კულების პროექტს. ნატოს გულში სიყვარული იფეთქებს თამაზისადმი, ისინი

ერთგულებითა და პასუხისმგებლობის ღრმა შეგნებით ახორციელებენ დაყისრებულ საზოგადოებრივ საქმეს. მწერალს ნატო დიდი სიყვარულით ჰყავს დახატული. ნატო თავდადებული, შეგნებული, პატიოსანი შრომით ყველას სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებს. იგი საბჭოთა ინჟინერი ქალის ტიპური სახეა. სიყვარულმა აამაღლა ნატო, რომელსაც განზრახული აქვს მთელი მომავალი მუშაობა თამაზთან ერთად აწარმოოს. მას ვეღარ წარმოუდგენია ცხოვრება მისთვის საყვარელი და ახლობელი ადამიანის გარეშე.

ნაწარმოებში ეითარდება სიუჟეტის მეორე ხაზიც: თამარი — გენრიეტა — ნინო. ნინო ქმარ-შვილიანია, დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება საზოგადოებრივ საქმეს. იგი ყოველთვის შევლის თამარს პატივითა და მორალურად, ცდილობს ამოათრიოს თამარი იმ წუჭიდან, რომელიც სახელს უბღალავს მათ. ნინო კარგი დედა, კარგი მეუღლე და კარგი აღმზრდელიცაა.

ავტორმა საერთოდ დამაჯერებლად გადმოგვცა გენრიეტას მიერ თამარის არაკეთილსინდისიერ საქმეში ჩართევა. განა გენრიეტასთან ადამიანებს ცოტა დაუღუპავთ წესიერი, პატიოსანი ადამიანები? ეს ამბები საკმაოდ მოტივირებულია რომანში. თამარი ისიდორეს შორდება საკითხავია, ჰქონდა თუ არა ამის საფუძველი მას? საქმე ისაა, რომ თამარმა ხელახლა მთელი ძალით იფეთქა სიყვარულმა პირველი სატრფოსადმი. სინდისის ქენჯნამ, გენრიეტას მიერ სასტიკად მოტყუებამ, დანაშაულის ღრმად შეგნებამ აიძულეს თამარი, უარი განეცხადებინა ისიდორეს გაყოლავზე. ვფიქრობთ, ეს ამბავი არაა მოკლებული დამაჯერებლობას.

ცხოვრებაში გზაბნეული და მეგობრებისაგან შიტოვებული თამარი დავადმყოფდა და ლოგინად ჩაჯარდა, ავადმყოფი თხოულობს, რომ ინახულოს თამაზმა. ამ უკანასკნელმა გამოიჩინა საბჭოთა ადამიანისათვის დამახასიათებელი მაღალი მორალური კეთილშობილება, ჰემანტრობა, და მიღის თამარის სანახავად.

მატერულ ნაწარმოებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანთა ინდივიდუალური სახეების გამოკვეთას. თითოეულ სახეს უნდა ჰქონდეს განმასხვავებელი თვისებები. მათი ხასიათები არ

უნდა ჰგავდეს ერთმანეთს. რამდენიმე შტრიხით კარგად არის მოხაზული პატარა გოგონა ცისანა, კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვარდენი და სხვები. მაგრამ თანაბარი მხატვრული სიძლიერით როდია დახატული ნაწარმოების სხვა მოქმედი პირები. მავალითად, სქემატურია მასწავლებელ ლევანის (თამაზის ძმა) სახე, თამარის მეგობარი ქალი ანიკო, ნინოს ქმარი დავითი. შეიძლება ითქვას, რომ მათი სახელებია რომანში და არა სახეები. ფაქტურად ისინი მოქმედ პირთა ურთიერთობაში, მოვლენათა განვითარებაში მეტად უმნიშვნელო როლს ასრულებენ მხატვრულად არასრულყოფილობის გამო.

ავტორის დამსახურება ის არის, რომ იგი სიუჟეტის საკითხს ცხოვრებისაგან, საზოგადოებრივი ურთიერთობისაგან გამოითიშულად არ იხილავს. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, მართალია, ჩვენ ვხედავთ მშრომელ ადამიანებს საკოლმეურნეო მიწებზე, ბაზაროს საავტომობილო გზის მშენებლობაზე, შიყვემსების თავდადებულ შრომას პირუტყვის მოვლა-პატრონობის საქმეში და სხვა, მაგრამ ავტორმა ვერ შექმნა კოლმეურნე ნოვატორის განზოგადებული, ტიპიურა სახე. რომანში გამოყვანილია ფონტელი ბრიგადირი ესტატე, მაგრამ იგი ძალზე სქემატურია.

ყველა ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორი და სულიანამდგმელია ჩვენი დიდი კომუნისტური პარტია. ჩვენი სამშობლოს გადარჩევა მოწინავე ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო მძლავრ ქვეყნად მოხდა კომუნისტური პარტიის უშუალო ხელმძღვანელობით.

ნაწარმოებში გამოყვანილია რაიკომის მდივანი, რომელაც ერთგვარად დაინტერესებულა

სამეურნეო საკითხებით, მაგრამ ხშირ შემთხვევაში, უფერული გამოუყვანიდა ავტორის სწავლების ორგანიზაციის მდივანი ილეს მონაწილეობას სიუჟეტის განვითარებაში; არა ჩანს კომკავშირელთა რაიმე ინიციატივა, ისინი უმოქმედლოდ არიან.

რომანი ძირითადად გამართული ლიტერატურული ენითაა დაწერილი.

მიუხედავად ამისა, რომანში მაინც გვხვდება ენობრივი ლაესუსები და ბუნდოვანი გამოთქმები. წიგნში ასეთი შეუსაბამობასაც აქვს ადგილი: 101-ე გვერდზე ვკითხულობთ: ხატიონმა აგვერდზე ვიდეარცხნილი შავ თმაზე ხელი გადაისია", 112-ე გვერდზე კი წერთ: ხატიონმა „ბელატ თავზე ხელი გადაისია“. ჯერ ერთი, „ბელატ“ არალიტერატურული სიტყვაა, მეორეც, ხატიონი ერთსადაიმავე დროს თმანიც არის და მელოტიც. 208-ე გვერდზე გვხვდება „ალმურშეფენილი“. გამოდის, რომ ადამიანს სახეზე გარედან აქვს შეფენილი ალმური, უსაგნო და არაფრისმოქმედი ასეთი მსჯელობანი: „შავი ზღვა ქვეყანას თითქოს იმავე ცივით ეკითხებოდა: „გამოიანიო, რისი თქმა მინდა“, მაგრამ რადგან არავის შეეძლო გამოეცნო, რისი თქმა უნდოდა“, მის ციმიმს ბოლო არ ჰქონდა“ (გვ. 1213); „ბაღში შეკრებილი ჩიტები ვანუწყებულვ ეღურტულებდნენ, თითქოს ერთმანეთს უამბობდნენ, როდის ან როგორ გაჩნდა საწყარო“ (გვ. 43), და სხვ.

საერთოდ — ი. ლისაშვილის რომანი „ერთგულუბა“ დადებითი მოვლენაა ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში.

ა. ზ. ზ. ზ. ზ.

მოთხრობა მისხვარითა ურომის შესახებ



საბჭოთა ადამიანის შრომითი მამაცობის ჩვენება, შრომისადმი სოციალისტურ დამოკიდებულებაში ადამიანთა ხასიათების გახსნა და დახატვა ყოველთვის იყო და არის ჩვენი ლიტერატურის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა. პარტია ყოველთვის მოუწოდებს მწერლებს, ღრმად შეისწავლონ საბჭოთა საზოგადოების ცხოვრება, ჩასწვდნენ ამ ცხოვრების ძირითად მოვლენებს,

შეძლონ არსებითის, ტიპურის მონახვა და გამოსახვა. უამისოდ ჩვენი ლიტერატურა ვერასოდეს ვერ უმასუბებს მის წინაშე დასმულ ამოცანებს.

სარეცენზიო მოთხოვნაში ს. შთვარაძეს სურს შექმნას ახალი ადამიანის სახე, გვაჩვენოს სოციალისტური საკეთრებისადმი ახლებურა დამოკიდებულება, პირადული და საზოგადოებრივი ინტერესების ურთიერთობა. ავტორა მოთხოვნის დასაწყისშივე აქცინებს მკითხველს, „რომ მთელი სიცხადით აქნეს გათვალისწინებული ის დიდებული გრძობები, რომლებიც

ს. მთვარაძე. „ჩაშლილი ქორწილი“. საბჭოთა მწერალი. 1952.

პირადულ და საქვეყნო საკითხების შეჯიბრებაში იბადება" (გვ. 3).

ამ ეთილმომილური განზრახვის განსახორციელებლად მწერალმა თემად აიღო მეცხვარეთა ცხოვრება, თემის არჩევა მისასაღმებელია, რადგან მეცხვართა შრომასა და თავდადებაზე მცირე რამ დაწერილა, და ეს მაშინ, როცა ამ დარგში საქვეყნოდ ცნობილი მიღწევები გვაქვს.

მწერალი მოგვითხრობს, რომ კახეთის ერთ-ერთ სოფელში ცხოვრობს მოხუცი ცოლ-ქმარი, მათ ჰყავთ ერთადერთი ქალიშვილი მთვარისა. მთვარისას სიღამაზე შორს არის ცნობილი და მისი გულის მონადირეებს ბევრი ცდილობდა, მაგრამ ქალი თითქოს სხვას ელოდა.

ერთდღე, გახატულის წყალიდობის დროს, მათ სოფელზე ჩამომდინარი ხევი ისე აღდგა, რომ სოფელს წალეკით დაუშქურა. ხალხმა მდინარის პირას მოიყარა თავი და არაფერ იცოდა, რა ღონისათვის მიეშარათათ. მეორე მხრიდან მდინარეს მოადგა ბარიდან დამრული ცხვრის ფრა. მდინარე შეტბორდა, ჯგბირების დამტერევას ლამობდა. შეიქნა დიდი საშიშროება. ამ დროს გამოჩნდა უცნობი მზედარი, მიიქრა მდინარესთან, გადაეშვა შიგ, დასძრა რომელიღაც ხე, ამით გახა მისეა მდინარეს და სოფელი განსაცდელს გადაარჩინა. ეს მზედარი მეცხვართა ფერმის გამგე ფირან ფილაურთაა. ყოველივე ამას აიკუნე გადმოაშვარა მთვარისა დასცქერის. მთვარისას მამა სახლში მიაპატეიებს ფირანს და აქ გვეცნობიან ერთმეორეს ქალი და ვაჟი. მათ მაშინვე შეუყვარდნათ ერთმანეთი.

ფირანი და მთვარისა დანიშნულბად თველუბიან, მაგრამ მათი ქორწილი თითქმის ერთი წლით გადაიდო. ფირანს უნდა დაამთავროს ახალი სახლის მშენებლობა და მასში პირველად პატარასი შეიყვანოს.

აეტორი გვიყვება, რომ ფირანი მოწინავე კოლმეურნეა და მისი თავდადებაზე შრომით ფერმაე მოწინავე გახდა. გმირის წარმატებების შესახებ აეტორი მოგვითხრობს მხოლოდ.

მთვარისა ზშიად საყვედურობს, რომ ვევი იშვიათად ნახულობს მას, მაგრამ ფირანი ასე უპასუხებს მთვარისას: „მარტო ჩემი პირადი საქმე რომ მქონდეს, ერთ წუთსაც არ მოგშორდებოდი გვერდიდან, რადგან შენზე ძვირფასი არაფერი ვაქანინია, მაგრამ ქვეყანა, ხალხი, პასუხისმგებლობა, რომელიც მე მაქისრია?!“ (გვ. 58). ქალიც ეთანხმება: „საქმეზე ხელს ხომ ვერ აიღებ ჩემი გულისთვის?“

ბოლოს დანიშნა მათი ქორწილის დღე. მაგრამ მოხდა ისე, რომ სწორედ ამ დღეს ფირანის ფერმიდან ერთი ფარა დაეკარგა. ფირანი თავს ანებებს საქორწილო სიმზადის და ცხვრის საძებრად მიეშურება. ქორწილის დროებით შეჩე-

რება მთელ აერზაურს გამოიწვევს საქატარძლოს ოჯახში. მთვარისა, გუდმეწეულებელია, მისი განცდები ტრაგიკულად დასრულდება აეტორის მიერ აყვანილი. აეტორის სერს, რატომღაც, ვაამაფროს ეს სერათი, თითქოს ფირანმა დიდი მსხვერპლი გადაიღო იმით, რომ მისი ქორწილი ორი დღით გადაიდო.

უცნობ მეცხვარებთან ფირანმა ცხვარს მიავნო და მშვილობით ბრუნდება. მაგრამ, როცა ფირანის ამბავი გაიგეს, „მწყვეშნები განციფრდნენ და გაშვეშდნენ“. „— მეგობარო, სმენა ხომ არ მღალატობს? როგორც მიხეხედი, შენივე ქორწილი ჩავიშლია, გამოქცეულხარ!“ უცნობ „ფერმის გამგეს პირი დაეღო და სიტყვის თქმას ევლრა ახერხებდა. — ეს რა შესისხ, შენი ქორწილი შენივე ჩაშალი?! — წამოიძახა ერთმა მწყვეშნმა“ (გვ. 113). „— სიბერემდე რას არ ნახავ, რას არ ვაიგებ? — დაასვენა მესამემ. ყველაფერს ამას თავხადუნული ფირანი ისე ისმენდა, თითქოს მის ლაყებზე სილებს გააქვს ტაყა-ტაყითა. ყველაგან, სადაც ეს ვაიგეს, გიერთ საქთელად ჩაუთვალეს და ეს უკავდა ვულს“ (გვ. 114).

ფირანი ასე უპასუხებს: „— მართალი ხართ, მეგობრებო! მე უდიდესი დაცინვა დავიმსახურე! — და ამ დაცინვის საგნად გულისხმობდა არა კუდაბზიობას, არამედ ქორწილის ჩაშლასა და დამატეებულ სტუმრებისათვის თავის არიდებას!“ (გვ. 112). სადაც კი ქორწილის ჩაშლის ამბავი ვაიგეს, ყველაგან ფირანს ეს დიდ გმირობად ჩაუთვალეს და აეტორიც ხომ ასე იწყებს თხრობას: „ჩემს სოფელში ერთი ისეთი ამბავი მოხდა, თავის დღეში რომ არავის ვაუფრობია“.

— იი, გესმით ბიჭებო? ხალხის დოვლათი არ დამეღუბოსო, თავის ქორწილს თავი მიანება! საქმის სიყვარულიც ამას ჰქვია და ვაეკაცობაე!“ — აცხადებს ერთი მწყვეშნი.

მოთხრობის მიხედვით გამოდის, რომ საზოგადოებრივი სამსახურის დროს საბჭოთა ადამიანებმა მსხვერპლად უნდა მიიტანონ ყოველგვარი პირადული, უარგონ იგი, რადგან ჩვენნი აღმამებნი საზოგადოების ინტერესებს მალა აყენებენ პირად ინტერესებთან შედარებით. საკითხის ასე დაყენება და გადაწყვეტა მდლარია, რადგან ისეთი დამირისპირება ინტერესებისა ჩვენში არ არსებობს. ამ საკითხზე ი. სტალინი გარკვევით ლამარაკობს: „კოლექტივიზში, სოციალიზში კი არ უარპყოფს, არამედ ათავსებს ინდივიდუალურ ინტერესებს კოლექტივის ინტერესებთან. სოციალიზმს არ შეუძლია ანგარიში არ გაუწიოს ინდივიდუალურ ინტერესებს. ამ პირადი ინტერესების ყველაზე სრული დაკმაყოფილება შეუძლია მხოლოდ სოციალისტურ საზოგადოებას. უფრო მეტი: სოციალისტური



საზოგადოება წარმოადგენს პიროვნების ინტერესსა და ცუდის ერთადერთ მტრად გააჩნტაის\*.

მოთხრობაში მხატვრულად დაწერილი ბევრი კარგი აღვლია. ეტყობა, შწერიალი კარგად იცნობს მეცხვარეთა ცხოვრებას. ავტორი გვიხატებს საკომპერნო სოფლის ცხოვრების მთელი რიგ რეალისტურ სურათებს. მიუხედავად ამისა, მოთხრობის ზოგიერთი გმირი მკრთალად გამოიყურება. მთვარისას ავტორი ყოველნაირად აქებს, მაგრამ მისი მოქმედების მიხედვით მკითხველს იგი წარმოუდგება, როგორც წერილმანი, ნგოსტი და ჟინიანი. იგი ყუველითა პირად ინტერესებზე ფიქრობს და არაავითარ ანგარიშს არ უწევს ფირანის საზოგადოებრივ საქმიანობას.

მთვარისას მშობლები ავტორს სათნა და

მოსყვარულე ადამიანებად ჰყავს დახატული და მით უფრო გაოცებას იწვევს მათი განცხადება, როცა თავიანთ ქალს მიმართავენ „მირჩიე ვინმე, შეილა, გინდ ჯოჯო იყოს, ოღონდ ქმარი ერქვას, ჩრდილსაფრად გემქნეს“ (გვ. 9).

მოხუცი მწყემსი იასონი, დინჯი და გამოცდილი, რომელსაც ფირანი გაუმხელს, რომ უყვარს მთვარისა და რჩევას ჰკითხავს, ასე „პროზულად“ უყურებს ფირანის გატაცებას: „მე რომ მკითხო, ქვეყანას მარტო საქმე კი არა, გამარჯლებაც სჭირდება“ (გვ. 32).

დასკვნა ასეთია: მოთხრობა წინდაწინე ავიატებული სქემის მიხედვითა დაწერილი და მკლარ კონფლიქტს ემყარება.

### მ. გოგოჭური

## საბავშვო მოთხრობები ომსა და მშვიდობაზე



აბალაზრდა მწერლის როდამ ჩაჩანძის წიგნი „თეთრი ზომალდი“ ცამეტ საბავშვო მოთხრობას შეიცავს. ავტორი მოგვითხრობს ამერიკელი და ინგლისელი იმპერიალისტების მიერ მშვიდობის მომხრეთა დევნის შესახებ, კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელთა მძლავრი გამოსვლებისა და სამამულო ომში საბჭოთა ადამიანთა გმირული ბრძოლების შესახებ. რამდენიმე მოთხრობა მიძღვნილია ჩვენი ხალხის ისტორიული წარსულისადმი.

მოთხრობაში „თეთრი ზომალდი“ აღწერილია ამერიკელ იმპერიალისტთა მიერ ჯენშულ იავის მცხოვრებთა დარბევა, ამერიკელთა ბარბაროსობა იმ ხალხის წინააღმდეგ, რომელმაც სისხლი დაღვარა სამშობლოს თავისუფლებისათვის იპონელ სამურაებთან ბრძოლაში.

ამერიკელებმა ცეცხლითა და მახვილით გაანადგურეს იავის სოფლები და ქალაქები, მაგრამ თავისუფლებისმოყვარე ხალხის ნებისყოფა ვერ გასტეხეს, ვერ დაიმორჩილეს. აი რა უბასუხა პატარა იაველმა ამერიკელ ოდიცერს: „თუ თეთრი ბატონს სურს დაიპყროს ჩვენი ქვეყანა, იცოდეს, რომ მას უყვლა ინდონეზიელი დაიციეს... სამშობლოს სიყვარულს ვერავითარი კოცონი ვერ დასწევას!...“

მართლაც, ინდონეზიელებმა უკუაქციეს ამერიკელები და მათ დაფრთხილ ქალაქზე ამაყად ფრიალებს ინდონეზიელთა ეროვნული დროშა.

ამერიკელმა იმპერიალისტებმა ცეცხლის კოცონი დაანთეს კორეაში, მათ უდანაშაულო ხალხის სისხლში აქვთ ხელი მოსერილი, ისინი მშვიდობის მომხრეებს დევნიან და ელექტრონის სკამზე წვავენ. მოთხრობა „კლარა ნონდილის საქმე“ სწორედ ამ ამბებს ეხება. მოხუცი კლარას უკანასკნელი წუგეში ჯანი სიკვდილით დაისაჯა მხოლოდ იმისათვის, რომ მან უარი განაცხადა წასულყო კორეაში სამარად და სიტყვა შეუბრუნა სამოხილიზაციო ბიუროს წარმომადგენელს — ის ზანგი იყო და არ ჰქონდა ამის უფლება.

ავადმუფი და ღრმად მოხუცებული კლარა კითხულობს განცხადებას, რომელიც ხალხს აუწყებს „პოლიტიკური დამნაშავეისა“ და ურჩი ზანგის, ჯონ ნონდილის სიკვდილით დასჯას. რა უნდა ქნას მოხუცმა კლარამ, რომელმაც ორი შვილი ფრონტზე დაკარგა, მესამე კი ჯვალთებმა მოუკლეს? იგი გამოდის ქურაში და სახალზოდ აღიარებს შვილის სიმართლეს. მეორე დღეს სასამართლო კლარა ნონდილის საქმეს იხილავდა.

მოთხრობაში „სერ, მომეციო ცოტა ნამცხვარი“ ავტორს აღწერილი აქვს ინდოელ მშრომელთა მდგომარეობა. ინდოელთა მარ-



ცვით გამდიდრებული აღან ვილსონი ზიზლით უყურებს პატარა ბავშვს, რომელიც მისი სამაქალაქოს წინ დგას და ევედრება გამგლეულს: „სერ, დედა შემშლით მიკვდება... ძმა ორი ღლის წინათ გარდამეცვალა... ჩვენი ოჯახი დამშეულა, დამეხმარეთ...“ მაგრამ პატარა ინდოელის თხოვნას ყურს არავენ უგდებს. ბავშვი სიღარიბემ მოთხოვრობამდე მიიყვანა. მიუხედავად ამისა, მისი მორალი უმწიკვლოა. იგი ვილსონს კეთილსინდისიერად უბრუნებს დაკარგულ ფულს და დედისათვის მოწყალებას სთხოვს. ვილსონი კი მას სახეში წილის ჩართვით უმასპინძლებდა. „ყოჩაღ, სერი ზუსტად მოხვდა!“ ხითხითებენ მლიქვნელები და გასისხლიანებულ სხეულს გარეთ მიათრევენ.

სწორედ ასეთი ვილსონები არიან მშვიდობის მტრები. მიღიარდრებს სურთ, რომ ფულის მდინარე შეუწყვეტლად მიედინებოდეს მათ სალაროებში. აფერაველ და ინგლისელ კაპიტანებს სურთ ომი, რადგან ომი მათთვის მილიონების წყაროა. ასეთი ომის გამძაღბელია მოთხოვნა „მტრელების გალის“ მთავარი პერსონაჟი ვან მერდიტი. იგი ქალაქის უმდიდრესი კაპიტალისტი. მერდიტს სძულს დემონსტრაციები, რომლებიც მშვიდობის და საბჭოთა ხალხთან შეგობრობას მოითხოვენ. ვან მერდიტმა შემთხვევით გაიგო, რომ მტრედი მშვიდობის სიმბოლოა, იგი ზიზლით განიმსკველება ამ ფრინველისადმი. მტრელების რიცხვი კი მუზაბელი მუშის აივანზე თანდათან მატულობდა. მერდიტმა ლაქიას უბრძანა მათი განადგურება. აღმოჩნდა, რომ მის ლაქიას, როგორც ყველა რიგეთს აფერაველს, ომი არ სჭირდება. ვანრიჩებულმა მერდიტი თვითონ დაამსჯრეგს გალიებს და ამით თითქოს „სულეტი სიმშვიდეს“ მაღწევს.

მოთხოვნა „მეზადურთა ქალაქი“ სამაშულო ომის ეპიზოდია. გერმანელი ფაშისტები გულგრილად სრიდნენ უღანაშულო აღამიანებს ტანკებით, დღღას შვილს თვალწინ უკლავდნენ. მათ ცეცხლის აღში გახვიეს მთელი ევროპა, მაგრამ საბჭოთა ხალხს წებისყოფა მანუ ვერ გასტეხეს. მოთხოვნის გმირი ვანია ხარტონოვი გმირულად დაიღუბა: მან ჯალათი გერმანელი გადაიყოლა ზღვაში და დახრჩო. ასეთი მაგალითი ცოტა როდ იყო სამაშულო ომის მრისხანე დღეებში.

პიონერი „გავროში“ ომის ქარცეცხლმა გამოაწრო. იგი თავისი საყვარელი ვილინოთი დადიოდა სოფლიდან სოფელში, ქალაქიდან ქალაქში და აგროვებდა საჭირო ცნობებს. გერმანიის „მნათობი“ № 7.

ნელმა ფაშისტებმა სასიკვდილოდ აწამეს იგი. პეგობრებმა მისი სხეული გესტაპოს შინობაში იპოვეს გვაშებს შორის. უკანასკნელ ამონუნთქვამდე უტარადა გავროში თავის საყვარელ ვილინოს, შემდეგ გადასცა მეგობარს და საშუალოდ დალია სული...

და აი, მინელა ომის ქარცეცხლი. ქვეყანა დანგრეულის შენებას შეუდგა. არანაკლებ გმირობა საჭირო იმისათვის, რომ ზარალი აღნაზღაურო და ომამდეღ დონეს გადაკაბრო. მოთხოვნა „ჩვენი სოფლის ყმაწვილებს“ პატარა გმირები იბრძვიან მამებთან და უფროს მამებთან ერთად ქვეყნის ბედნიერებისათვის. ამ მოთხოვნაში მწერალს კარგად აქვს მოცემული ჩვენი ბიონერების ცხოვრება. კარგია, რომ ავტორმა დაგვანახა მათი საზოგადოებრივი შეშობა, მაგრამ სასურველი იყო ეჩვენებინა აგრეთვე მათი მიღწევები სკოლაშიც.

ავტორი არც ჩვენი სახელოვან წარსულს ივიწყებს. მოთხოვნა „გამარჯვების ციხეში“ მოცემული სურათი მეტად დამახასიათებელია ჩვენი ქვეყნის შფოთიანი წარსულისათვის. მოხუცი ჯუანშერი დაიღუბა გმირულად, მაგრამ მან პატარა გოდერძის სახით თავისი საქმის ღირსეული გამგარელებელი დატოვა.

სამ საუწყუნზე მეტია, რაც ფერეიდანელ ქართველები სამშობლოს მოსწყვიტეს, მაგრამ მათ გულში ქართველობა კიდევ არ ჩამკედარა. მოთხოვნაში „სამშობლოდან დაშორებით“ ავტორმა მოგვცა ირანში მოსახლე ქართველების ცხოვრების მძიმე სურათები. ინგლისელმა დასკრა სასიკვდილოდ საბჭოთა შეომრების ბანაკში მიშავალი ფერეიდანელი ქართველი, მაგრამ ჭაბუკმა მანუ მოახერხა გადაეცა თანამემამულეთათვის ფერეიდანელ ქართველთა დანაბარები.

განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ტოვებს მოთხოვნა „ოთხმოცდამეშვიდე“, სადაც მწერალმა ავგისახა ის დრო, როდესაც დიდმა ოქტომბრის რევოლუციამ დაამხო თვითმპყრობლობა. შუა აზიის ხალხი საკვდრო-სასიციოცხლო ბრძოლას აწარმოებდა ბასმაჩების წინააღმდეგ. წითელი რაზმები წარმატებით მიიწვედნენ წინ და ბასმაჩებს ბატონობა აღსახრულს უახლოვდება. ალი-ისმაილი წითელ რაზმს შეადგენს და ბასმაჩებს ანადგურებს. გაბორტებულმა ჰუსეინ ბასმაჩმა ალი-ისმაილს შვილი მოუტლა და მიიშალა, მაგრამ ალი-ისმაილმა ქალის ჩადრში გახვეული ჰუსეინი იპოვა და შურა იძია უღანშიში უღანაშულოდ გაუღვტილი ხალხისათვის.

შოთხობის „ეს იყო აღმოსავლეთ ანატოლი-  
აში“ სიუჟეტი იშლება პირველი იმპერიალის-  
ტური ომის ფონზე. ქართველმა დაეთ ფერა-  
ძემ სიკვდილს გადაარჩინა ლტოლვილი სომე-  
ხი ქალი. ქალმა დაეთს სახსოვრად დაუტოვა  
ვერცხლის სათოთუნე. გაიარა ათეულმა წლებ-  
მა. დაეთ ფერაძე გამოცდილი მკვანახეა. მისი  
გამოცდილებით სარგებლობენ მომე რესპუ-  
ბლიკების მშრომელები. დაეთს არც მისი უც-  
ნობი მეგობარი — სედა შამიკონიანი ჩამორჩე-  
ბა; თავის სამშობლოში იგი აქტიურად იბრძვის  
ვაზის ჯიშების გასაუმჯობესებლად. მან გაზე-  
თიდან გაიგო ენელი სოციალისტური შრომის  
გმიობის დაეთ ფერაძის შესახებ და გუგუზავენა  
წერილი, რომელშიაც იგი სთხოვს ფერაძეს,  
გაუზიაროს ცოდნა და გამოცდილება.

წერილის მეორე ნახევარში სედა შამიკონი-  
ანი ფერაძეს უყვება ამბავს: „რომელიც მთ  
გადახდა აღმოსავლეთ ანატოლიაში, მაგრამ ეს  
მივინება სრულიად არ შეეფერება წერილის  
შინაარსს. მართლაც, სედა შამიკონიანი ზომ  
არ იცის, რომ ფერაძე ის კაცია, რომელმაც  
იგი გადაარჩინა, მამ რატომ უყვება „უცხო“  
კაცს თავის ისტორიიდან ეპიზოდებს? ავტორს  
შეეძლო ეს მომენტი უფრო დამაჯერებლად  
ეჩვენებინა. მაგალითად, სრულიად ბუნებრივი  
იქნებოდა მათი შეხვედრა ჩვენი ქვეყნის მოწი-  
ნავე აღაშინათა ყრილობაზე.

რ. ჩაჩანიძის წიგნი „თეთრი ხოხალი“  
უთუოდ დაეხმარება ჩვენს ახალგაზრდებს  
იღებური დონის ამაღლებაში.

ირ. სურგულაძე

## წიწამურის ტრაგედია



1907 წლის 30 აგვისტოს საგურამოს მახლობ-  
ლად, წიწამურის ველზე, დატრიალდა საშინელი  
ტრაგედია: მეფის ოხბრანკისა მიერ მოსყი-  
დულმა ნაძირალებმა სიცოცხლეს გამოასალმეს  
დიდი ილია.

დიდი იყო ქართველი ხალხის გლოვა ვინ  
არ ღერიდა ცხარე ერემს ილიას ცხედარ-  
თან: მას შთელი საქართველო, დიდი და პატა-  
რა — ყველა ერთნაირი გულსტკივილით დას-  
ტროდა. გულაზრუნენი სტრეიქონებით გამოი-  
ტრეს ილია აკაკი წერეთელმა და ვეა-ფშავე-  
ლამ. აკაკი თავის დიდ თანამოკალმეს ასე მი-  
მართავდა:

ნუ მოწამლავთ მოხუცს გრძნობას,  
და ნუ ამბობთ რაც არ მკერა,  
ნუთუ მართლა დღეს გადაწყდა  
საქართველოს ბედისწერა?

ხოლო ვეა ერემნარევი სტრეიქონებით დას-  
ტროდა დიდ წინამორბედს:

...აფევებული მიმული  
გაგვიზდა დასატრიადა,  
დაეკოცნიან სახესა  
ნათელს არავის გმირები,  
შეილის დაეარკვას გლოვობენ  
ტურფა აღაზნის პირები...

ი. ოდიშელი. წიწამურის ტრაგედია. სახელ-  
გამი, 1953.

ილიას მკვლელობის საშინელ ამბავს, ილიას  
ფიზიკური მკვლელის ეინაობასა და წიწა-  
მურის ტრაგედიის საიდუმლოების ახსნას ეხება  
ი. ოდიშელის წიგნი „წიწამურის ტრაგედია“.

წიგნის პირველ თავში გადმოცემულია ის დი-  
დი სახალხო მწუხარება, რაც ქართველ ხალხს  
დაატყდა თავს ილიას სიკვდილით. აქვე ვეცნო-  
ბით, თუ როგორი ბოროტი განზრახვით მოქმე-  
დებდა ილიას ყოფილი მოურავი — ჯამი, რომე-  
ლიც მოსყიდული იყო ილიას მკვლელობის  
მიზნით.

შემდგომ თავში ნახვებებია გამოძიების ის  
არაობიექტური ხასიათი, რასაც მეფის „ოხრან-  
კა“ ასე თავგამოდებით ატარებდა. მკვლელობის  
კალის დასაფარავად გამოძიება გურიამში იქნა  
გადატანილი. საკითხავია, რატომ გურიაში და  
არა სხვაგან? როგორც წიგნის ავტორი სამართ-  
ლიანად შენიშნავს, „სოციალ-დემოკრატიული  
პარტიის ქსელი აქ ფართოდ იყო გაშლილი...  
1905 წლის რევოლუციის დროს მეფის მთავრო-  
ბის წინააღმდეგ გურიაში დიდ შეიარაღებულ გა-  
მოსვლებს ჰქონდა ადგილი, რამაც საკმაოდ შე-  
აშფოთა მეფის ხელისუფალნი, რომელთაც ეწე-  
დათ ილია ქვეყანაში მკვლელობის გამოძიების  
საბაბით შური ეძიათ გურიის მშრომელთა მ-  
სებზე...“ (გვ. 27).

ამავე თავშია გარკვეული ილიას მკვლელობის  
ერთ-ერთი მონაწილის და ორგანიზატორის —  
ჯამის ეინაობა.

ი. ოდიშელის წიგნი საბოლოოდ გამორკვე-  
ულია, რომ ილიას ფიზიკური მკვლელი ნამდ-

ვილად არის ვიორგი (გიგლა) პეტრეს-ჰე ბერ-  
ბიჟაშვილი.

ფი სხადისხეა მაქინაციებით ბრალდებან თა-  
ვიდან იცილებდა და კარგა ხანს შეუმჩნეველი  
ყო. მაგრამ წლების განმავლობაში წარმოუ-  
ბულმა კვლევებებამ და უდავო ფაქტორმა  
მასალეზმა ნათელყვეს, რომ სწორედ ბერბიჟა-  
შვილმა აღმართა სისხლიანი ხელი ჩვენი სასიქა-  
დულო მწერლის წინააღმდეგ და მისმა ტყუამ  
სიციხლეს გამოასალმა.

ბერბიჟაშვილის საქმე 1941 წლის ნოემბერში  
ვაადეცა საქართველოს უმაღლეს სასამართლოს.  
საბრალდებო დასკვნაში ნათქვამია: „ჯერ კა-  
დე იმდროინდელ (1907 წ.) საკვლევებებო  
ორგანოების არაობიექტიური მასალებიდანაც ნათ-  
ლად ჩანს, რომ 1907 წელს ჩამოყალიბდა ბან-  
დიტთა ჯგუფი, რომელსაც მიზნად დაისახა  
ილია ჭავჭავაძის ფიზიკური განადგურება. სხე-  
ნებულ ჯგუფში შედიოდნენ: ფეაგლიშვილი,  
ბერბიჟაშვილი, ლაბაური (მეეტლე), მომდერი-  
შვილი. სარწმუნო წყაროებიდან დადასტურე-  
ბულია, რომ ამ ბანდიტთა სულისჩამდგმელი,  
ორგანიზატორი იყო ილია ჭავჭავაძის ყოფილი  
მოურავი, მეფის „ობრანკის“ ცნობილი აგენტი  
დიმიტრი ჯაში“ (გვ. 44).

თავში „ვინ იყო დიმიტრი ჯაში?“ ავტორი  
ვრცლად მოგვითხრობს გაიმეერა ჯაშის შავ-  
ბნელ საქმიანობაზე. ფაქტორი მასალებით ნა-  
თელყოფილია, რომ საქართველოში მენშევიკთა  
პატრონობის დროს ჯაში აქტიურ მონაწილეობას  
იღებდა ყოველგვარ ბანდიტშიში. მას მხოლოდ  
ერთ გზა ჰქონდა არჩეული: ტურდობის, მკვლე-  
ლობის და ძარცვისა.

თ ეს ჯაში იყო სწორედ დიდი ქართველი  
მწერლის, ილია ჭავჭავაძის მოკვლის ერთერთი  
ინიციატორი, რომელსაც, როგორც წიგნშია  
ნათქვამი, საგურამოს ტყეში ერთგვარი თათბი-  
რი მოაწყო სხვა თანამონაწილეებთან ერთად და  
დრო და ადგილიც კი დანიშნეს ილიას ვერაგუ-  
ლი მკვლელობის სისრულეში მოსაყვანად.

საკითხავია: რა „ზომები“ მიიღო მეფის სასა-  
მართლომ ამ სამარცხენიო აქტის გამოხორციელე-

ბელთა წინააღმდეგ, როგორ გამოიყვლია საქ-  
მის ნამდვილი ვითარება და რა ვადასწავტილე-  
ბა მიიღო? მეფის სასამართლომ შიქრ, მართლაც,  
ჩატარებულ იქნა გასამართლება და 1908 წლის  
29 დეკემბერს თედო ლაბაურს (ილიას მეეტ-  
ლეს), ივანე ინაშვილს და ვიორგი ხიზანიშვილს  
მიუსაჯეს უმაღლესი ზომა სასჯელისა — და-  
ხერცეა. მაგრამ განა ეს არკვედა ილიას ნამდ-  
ვილი მკვლელის ვინაობას? პირიქით, მიუხედა-  
ვად თვით მსჯავრდადებულთა მიერ აღძრული  
შუამდგომლობისა და ილიას მეუღლის თხო-  
ვისა — პატიებოდით მით — სასჯელი სისრულე-  
ში იქნა მოყვანილი, ამით კი უფრო მიიჩქმალა  
საქმის ობიექტური მხარე, რადგან მეფის „ობრან-  
კის“ ემიზნად ილიას მკვლელის გამომკვლავე-  
ბისა, ერთი მხრით, ხოლო, მეორე მხრით, მეფის  
სასამართლოს სწამდა, რომ სიკვდილიმისჯილია,  
როგორც ამ საქმის მკოდნენი, დაკითხვისას და-  
ასახელებდნენ დიმიტრი ჯაშს — მკვლელობის  
ერთერთ ორგანიზატორს, — რომელსაც მეფის  
„ობრანკა“ კარგა ხანს მჭარველობდა.

მაგრამ ვერავითარმა ხრიკმა ვერ უშველა  
ამ სისხლიანი ტრაგედიის მონაწილეთ: ისინი  
ნიღაბჩამოგლევილი იქნენ და ყველა მათგანს  
თავ-თავისი მიეზლო. ილიას სისხლში ხელგასე-  
რილი ვარეწარი, რომელსაც მეფის „ობრანკამ“  
თავისუფლად პარპაშის საშუალება მისცა და  
რომელიც თურმე ურცხვად იკეხოდა ამ მკვლე-  
ლობის გამო, მსჯავრდებულის სკამზე აღმოჩნდა.

თ. ოდიშვილის წიგნი უაღრესად საინტერე-  
სოა, მასში გამომზებურებელია მრავალი ფაქტი,  
ზოგი მათგანი სრულიად უცნობიცი.

უნდა აღინიშნოს, რომ ავტორს დიდი კეთილ-  
სინდისიერებითა და სიზუსტით გამოუყველეთა  
ფაქტორი მასალა. წიგნში ჩანს დიდი სიყვა-  
რული ილია ჭავჭავაძისადმი და ამავე დროს და-  
დი პასუხისმგებლობაც, რომელსაც ავტორი  
იჩენს ილია ჭავჭავაძის მკვლელობასთან დაკავ-  
შირებულთა ყოველი მოვლენისადმი.

ი. ა. არაბული

### შემსპირის სონეტები ქართულად



გვი გაჩენილანის მიერ ქართულად თარგმნი-  
ლი შექსპირის სონეტების კრებული მნიშვნე-  
ლოვანი მოვლენაა ქართულ თარგმნის ლიტე-  
რატურაში. უდავო ქეშმარტებაა, რომ მთარგმ-  
ნელს ვერ მოვითხოვთ, ორიგინალისათვის დამა-

ხასიათებელი პოეტური ზერებები ხელუხლებლად  
ვადმოიტანოს, ამას წინ ელომება იმ ენის თა-  
ვისებურებანი, საიდანაც ითარგმნა და რომელ-  
ზედაც ითარგმნა ესა თუ ის ნაწარმოები. მთარ-  
გმნელის ვაღაა, უცხოურ მხატვრულ ნაწარ-

მოებს თარგმანში მხატვრული ხარისხი შეუნარჩუნოს. ორიგინალის მხატვრული ხარისხის შენარჩუნება მთარგმნელს იმის შესაძლებლობას მისცემს, რომ მის მიერ შესრულებულმა თარგმანმა, რამდენადაც ეს შესაძლებელია, შეითხველვე ორიგინალის თანაბარი ემოციური ზემოქმედება მოახდინოს. რაც შეეხება ორიგინალის საერთო იდეას, თარგმანში მისი შენარჩუნება აუცილებელია.

მხატვრული ნაწარმოების თარგმნის დროს ჩვეულებრივად ხდება რომელიმე სიტყვის ან ფრაზის დამატება, გამორკვევა ანდა შეცვლა და გადასმა. მაგრამ ყოველივე ეს ისე უნდა შესრულდეს, რომ არ დაირღვეს ორიგინალის მხატვრული ხარისხი და მისი საერთო იდეა.

რამდენიმე მაგალითის მოყვანით ჩვენ შევეცდებით ნათელყოთ, თუ როგორ გართვა თავი მთარგმნელმა ამ არც თუ ისე ადვილად დასაძლევ ამოცანას.

მე-5 სონეტის პირველ ოთხ სტრიქონში სიტყვა-სიტყვით ნათქვამია: „ის საათები, რომლებიც სათეთი შრომით ქმნიან იმ მშვენიერ სანახაობას, სადაც ყოველი თვალი ისადგურებს, ტირანით მოეპყრობიან მასვე და იმას წაართმევენ მშვენიერას, რაც წარმტაცად გამოარჩევს“.

თარგმანში:

ოსტატი ვამი სიღამაზეს ამეფებს ირგვლივ,  
სანახაობას მოელვარეს შეუქმნის თვალებს,  
მაგრამ იმავე სიღამაზეს ჩამოხსნის

გვირგვინს

და წარმტაც სურათს ვაიტაცებს უკანვე  
მალე.

54-ე სონეტის პირველ ოთხ სტრიქონში სიტყვა-სიტყვით ნათქვამია:

ო, რარიგ უფრო მშვენიერა გვეჩვენება  
მშვენიერება  
იმ ტურფა სამკაულით, რასაც გეშვარატება  
იძლევა  
ვარდი ღამაში, მაგრამ უფრო ღამაში  
გვეჩვენება  
იმ საამური სურნელის გამო, რომელიც  
მასში სადგურებს.

თარგმანში:

მშვენიერება უფრო მეტად აფრქვევს  
მშვენიერებას,  
მეშვარატების როცა ახლავს მას სამკაული;  
ღამაში ვარდი უფრო ნაზი მოგვეჩვენება,  
თუ მის ყვავილში დგას სურნელის  
დღესასწაული.

როგორც ორიგინალის სიტყვა-სიტყვით და პოეტური თარგმანების შედარებულმა ჩანს, მთარგმნელი არ მიდის ორიგინალში მოცემული ყოველი სიტყვის პედანტური განმეორების გზით და თარგმანში ორიგინალის პოეტური ექვივალენტს იძლევა.

სონეტების ქართულ თარგმანებში შესანიშნავადაა შენარჩუნებული ბუნების მრავალფეროვანი სურათების ის მომხიბვლელობა, რაც დამახასიათებელია ორიგინალისათვის. ამავე დროს, შექსპირისებური პოეტური შედარებები შესაძლებელი სიზუსტით არის დაცული. ამის ნათელსაყოფად მოგვყავს რამდენიმე მაგალითი:

როდესაც ვხედავ: სიციხისგან რომ იცავდნენ

ღარას,

დგანან ხეები ქარში მიშვლად გამოსახულა,

და საცაეზე დადებული მიჰყვება შარას

ძნებად შეკრული, თეთრწვერება, მკვდარი

ზაფხული.

(მე-12 სონეტი).

33-ე სონეტში მოცემულია დილის არაჩვეულებრივად მხატვრული სურათი. თარგმანში შენარჩუნებულია ამ დიდებული სურათის სიღამაზე:

მინახავს ხშირად: გულმოწყალე ბრწყინავლე

დილა

თავის მეფურ თვალს გადააქვებს ქედებს

ამაყებს,

ოქროს ტუჩებით მწვანე მინდვრებს

დაკოცნის ტკბილად

და ფერგამკრთალ წყლებს ოქროსფერად

მოავარაყვებს.

შექსპირის სონეტებისათვის დამახასიათებელია მულოდის მრავალფეროვნება. მის ყოველ სონეტს აქვს თავისი მულოდია, თავისი ფერადობა. ქართულ თარგმანში ნათლად იგრძნობა ეს ფერადობა და ეს უთუოდ მთარგმნელს მიღწევია. მაგალითად, მე-19 სონეტის ორიგინალის მრისხანე ხმა ისმის მის ქართულ თარგმანშიც:

ღროო მმუსერელო, დაჩლუნგე ლომის

ბრწყალეზი

და მტრად ქცეული მიწის შვილი მიიღე

მსხვერპლად,

დაპგლიჯე რისხვით ვეფხვს კბილები

შეუბრალები,

დასწე ფენიქსი თავის სისხლში, აქციე

ფერულად.

59-ე სონეტის სევდიანი ტონი შენარჩუნებულია თარგმანში:



როგორ ვტყუდებით, თუ ამ ქვეყნად  
დაეძებნებოდა ახალს,  
და რასაც ვპოუვით, თუ ის უკვე აღარც  
ყოფილა,  
როგორ ამოდ მივეყვებით ფიჭისა და  
ზრახვის,  
რომ ვშობოთ ისევ, რაც დიდი ხნის წინათ  
შობილა.

განსაკუთრებით ძნელია სონეტის ბოლო ორი  
სტრიქონის აზრობრივად სწორად და, ამავე  
დროს, მაღალ მხატვრულად თარგმნა, რადგან  
სონეტის ბოლო ორი სტრიქონში სხარტად, ხში-  
რად აფორიზმის სახით, განმეორებულია ის,  
რაც ერთად ნათქვამია მთელ სონეტში. უნდა  
იღვინოთ, რომ გ. გაჩეჩილაძემ იძლევა სონე-  
ტის ბოლო ორი სტრიქონის თარგმნის შესანიშ-  
ნავ ნიმუშს. მაგალითად, მე-11 სონეტში პოეტი  
უჩივებს თავის მეგობარს, შემკვიდრე იყოლისს,  
რათა შემკვიდრის სახით შთამომავლობას შვე-  
ნიერების ნიმუში დაუტოვოს:

შენ ხარ ბეჭედი და ბუნება კვლავ  
შეიძლება  
საუბრეებს მიგცეს უკვდავ ანაბეჭდებალ.

21-ე სონეტში ის აზრია გატარებული, რომ  
პოეტი თავის სატრფოს მაღალფარდოვანი შე-  
დარებებით არ ასხამს ზოტბას:

არა სკირდება ჩემს სიყვარულს შექება  
დიდი:  
მას მე არაის არც ვაწონებ და არცა  
ვყიდი.

33-ე სონეტი: პოეტს თავისი სატრფო მხო-  
ლოდ მცირე ხნით ეჩვენება, მაგრამ იგი მაინც  
არ ემდურის მას:

მაგრამ საყვედურს სატრფოს მაინც არ  
ვეუბნები:  
ქვეყნიურ მზესაც აბნელებენ ზოგჯერ  
ღრუბლები.

ჩვენ შევეცადეთ ზოგიერთი კონკრეტული მა-  
გალითის მოყვანით ნათლგვეყუა შექსპირის  
სონეტების ქართული თარგმანის მხატვრული  
ღირსებები.

ამასთანავე, ვფიქრობთ, რომ ქართული თარგ-  
მანის ზოგიერთ ადგალს ერთგვარი დაზუსტება  
ესაქიროება.

მაგ., მე-20 სონეტის პირველ ოთხ სტრიქონ-  
ში სიტყვაიტყვით წერია შემდეგი:

„ქალის სახე გაქვს, ბუნების, საკეთილი ხე-  
ლით გამოკვეთილი ჩემი ფეხები, შეფევე და დე-  
ლოფალო; ქალის ნახი გული გაქვს; მაგრამ არ  
იციობ ამ ცბიერ ცვალებადობას (ე. ი. დილატს.  
ა. გ.) რაც წესად აქვთ მატყუარა ქალებს“.

თარგმანშია:

ქალის სახე გაქვს, ბუნებისგან გამოკვეთილი,  
ქალის გული გაქვს, თუმცე ლალატი ქალის  
წესია,  
მაგრამ ერთგული შენი გული უფრო  
კეთილი,  
ჩემი მეფევე და დელოფალო, უკეთესია.

თარგმანის მე-2 სტრიქონში წერია: „ქალის  
გული გაქვს, თუმცე ლალატი ქალის წესია“. ამ  
სტრიქონში მთარგმნელი აზოგადებს იმას, რაც  
ორიგინალში არაა განზოგადებული. სახელ-  
დობრ, თარგმანის მიხედვით გამოდის, რომ  
ლალატი წესი ყოფილა საზოგადოდ ქალებისა-  
თვის, შექსპირს კი მხედველობაში ჰყავს არა  
ქალები საზოგადოდ, არამედ მხოლოდ მატყუ-  
არა ქალები.

შექსპირის სონეტების ქართული თარგმანების  
ნაწილი გ. გაჩეჩილაძემ სხვადასხვა დროს გა-  
მოაქვეყნა ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში. მაშინ-  
დელი და ახლანდელი ვარიანტების შედარება  
ცხადყოფს, რომ მთარგმნელს წინანდელი ვარი-  
ანტები საგრძნობლად გადაუმუშავებია და  
დაუახლოვებია ორიგინალისათვის როგორც აზ-  
რობრივად, ისევე მხატვრული ფორმის ძლიე-  
რების თვალსაზრისით. ჩვენი აზრით, ამ მხრივ  
გამონაკლისს შეადგენს 29-ე სონეტის ბოლო  
ორი სტრიქონი.

ორიგინალში სიტყვა-სიტყვით წერია: „შენი  
ტკილი სიყვარულის მოგონებას ისეთი სიმ-  
დიდრე მოაქვს, რომ მე მაშინ მეზარება, რომ  
ჩემი მდგომარეობა მეფეთა მდგომარეობაზე  
გაეცევალო“.

თარგმანშია:

იმდენ სიმდიდრეს მაქლევს შენი ყვლავ  
მოგონება,  
რომ აღარაფრად მიმაჩნია მეფის ქონება.

გაცილებით უკეთესია ამ სტრიქონების ქარ-  
თული თარგმანის პირველი ვარიანტი, რომელიც  
გ. გაჩეჩილაძემ გამოაქვეყნა ჟურნალ „მნათობ-  
ნი“ (1951 წ. № 10).

პირველი ვარიანტია:

თურმე მე შენი სიყვარულის განძი მჭონია  
და ჩემი ბედი მეფის ბედზე დიდი მგონია.

საერთოდ შედარებით ანალიზიდან ჩანს, რომ მთარგმნელმა სონეტებს შეუნარჩუნა შექსპირის პოეტური სახეები, ეპითეტები, მეტაფორები, და, ამავე დროს, ქართულ მკითხველს

აგრძნობინა შექსპირის სონეტების ნამდვილი ლობა როგორც შინაარსის, ასევე მისი მხრის.

ა. ხახოკიძე

### ძველი ქართული მწერლობის ისტორია



უკანასკნელ წლებში ფართოდ გამოიღმა დისკუსიამ საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობის პრობლემების გარშემო და სპ. კ. პ. ცენტრალური კომიტეტის ისტორიულმა დადგენილებებმა იდეოლოგიურ საკითხებზე, განსაკუთრებით კი ი. სტალინის საენათმეცნიერო ნაშრომმა, ცხოველყოფილი გვალენა მოახდინეს პროფ. კ. კეკელიძის მუშაობაზე. ამ ისტორიული დოკუმენტების საფუძველზე მკვლევარმა ბევრი დებულება შეამოწმა და გადასინჯა, შეასწორა და შეცვალა თავის შრომებში.

„ძველი ქართული მწერლობის ისტორია“ არ წარმოადგენს სასკოლო სახელმძღვანელოს (ამ სატყვის ვიწრო გავებით) ესა და ფართოდ წამოწყებული ისტორიულ-ლიტერატურული, უშუალოდ პირველ წყაროებზე დამყარებული, კვლევებითი ხასიათის ნაშრომი, რომელმაც უნდა მოაშალა ბაზა სასკოლო სახელმძღვანელოს შესაღწევად.

შრომში ავტორი იხილავს არა მარტო მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოებებს, არამედ მწერლობის ისეთ ძეგლებსაც, რომლებშიც მხატვრული ელემენტი მოკლებულია არა წამყვანი სახით (პოლიტიკური, ფილოსოფიური, თეოლოგიური, იურიდიული და სხვა ხასიათის ძეგლები). „ჩვენი მიზანია, — წერს ავტორი, — ფარდა ავხალო, რამდენადაც შესაძლებელია, ქართულების ძველ წერილობით კულტურას და ვუჩვენოთ ე. წ. „დიდ“ ერებს კაპიტალისტური სამყაროდან, რომელნიც კულტურტრეკების პრეტენზიებით გამოდიოდნენ და ახლაც გამოდიან, რომ შემოქმედებითი უნარი კულტურულ-ლიტერატურულ დარგში არასდროს არ შეადგენდა მათს მონაპოვასა და პრივილეგიას, რომ ისეთ პატარა ხალხს, როგორც იყო ქართველობა, არამცოდნე მთლიანად აეთვისებია მათ წინავე კულტურის მონაპოვარი, თავისი წვლილი შეუტანია მსოფლიო კულტურისა და ლიტერატურის საგანძურში“.

კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია. მესამე გადამუშავებული და შეკუმშული გამოცემა. ტ. I და ტ. II, 1952.

წიგნი ორიგინალური ლიტერატურის გვერდით უცხოენო სისრულითა წარმოდგენილი მთარგმნი ლიტერატურაც. ეს ვარაუდება საესებით გამართლებულია, რადგან, როგორც ცნობილია, ქართულ მთარგმნელებს უცხოურიდან გადმოღებულ ძეგლებში შექონდათ ქართული ეროვნული შეგნება, ზნე-ჩვეულებანი და ქრისტიანული მსოფლგაგება, რითაც ქართულ იერს აღუედღენ მას. მთარგმნელობითი მუშაობის ისეთი ხასიათი და მთარგმნელების დიდი რაოდენობა მაჩვენებელია ქართულ ხალხის მაღალი კულტურული დონისა და დიდი პოტენციისა.

„ძველი ქართული მწერლობის ისტორია“ დამუშავებულია ორ ტომად. პირველში განხილულია ქართული საეკლესიო-სახელიერო მწერლობა, მეორეში — საერო-მხატვრული.

ავტორი აღნიშნავს, რომ ძველი ქართული სახელიერო მწერლობის შესწავლას ორგანიზაციის მნიშვნელობა აქვს: ქართველოლოგიური და ზოგადმეცნიერული. მართალია, მისი იდეოლოგია მიუღებელია, მაგრამ საფურცადღებია, რომ ამ მწერლობას აინტერესებს ისეთი აქტუალური საკითხებიც, როგორცაა პატრიოტიზმი, სახელმწიფოებრივი მშენებლობა, ტომობრივი-ეროვნული მთლიანობა, მოძალადეთა და დამპყრობთა წინააღმდეგ თავდადებული ბრძოლა, ცოდნა-განათლების შექმნის საკითხობა და სხვა.

ავტორი განიხილავს ქართულ, რუსულ და უცხოურ ცნობებს ქართული მწერლობის დასაწყისის შესახებ და ასევე მისი მიუხედავად იმისა, რომ ქართული დამწერლობის სათავე ქრისტიანობის წინა ხანაშია საძიებელი, ლიტერატურულ ძეგლებზე დამყარებული მწერლობის მეცნიერული ისტორია მხოლოდ მეხუთე საუკუნედან (ახ. წ.) უნდა დაიწყოს, რადგან ადრეული ხანის ლიტერატურულ ძეგლს ჩვენამდე არ მოუღწევია.

წიგნში მოცემულია ძველი ქართული სახელიერო მწერლობის პერიოდიზაცია. მწერლობის პერიოდებად დაყოფისას გამოსავალ პრინციპად აღებულია სოციალ-ეკონომიური ფორმაციები. ძველი ქართული სახელიერო მწერლობის ისტორიას კ. კეკელიძე ყოფს ოთხ პე-





როდღა: აღრიწვლი ფეოდალიზმის, პატრონ-  
ჟერი ფეოდალიზმის, დაცემის და ბატონჯერ-  
ი ფეოდალიზმის ხანებად.

შესავლის უკანასკნელ ნაკვევეში თავმოყრი-  
ლია ცნობები ძველი საქართველოს სწოვლა-გა-  
ნათლებისა და ლიტერატურის ცენტრების შე-  
სახებ, ნაწვენებია ქართველთა სამონასტრო  
კლონიების მნიშვნელობა ძველი ქართული  
სასულიერო შწერლობის ზრდა-განვითარების  
საქმეში. დახასიათებულია ქართული კულტუ-  
რის ცენტრები (ტოკლარჯეთი, სინას მთა,  
ათონი, შავი მთა, ჯგვარის მონასტერი, პეტრი-  
წონი, გელათი და სხვ).

პირველი ტომი დაყოფილია ორ ნაწილად.  
პირველია პატროლოგიური ნაწილი, რომელშიც  
ქრონოლოგიური წესით მოცემულია ისტორი-  
ულ-ლიტერატურული და მხატვრულ-დედური  
მიმოხილვა ამა თუ იმ წყაროებით ცნობილ შწერ-  
ალთა ცხოვრებისა თუ შემოქმედებისა. ცალ-  
კვლ შწერალთა ბიოგრაფიები საზოგადო  
კურსში შეიძლება არც იყოს საკვალდებულო,  
მაგრამ, რადგან ქართველ შწერალთა შესახებ  
სპეკალური მონოგრაფიები არა გვაქვს და ზო-  
გა შწერლის ვინაობაც კი არ ვიცით მთელი  
სისავსით, რასაკვირველია, პატროლოგიურ-ბიო-  
გრაფიული ნაწილის დარჩვა საქირო და აუცი-  
ლებელი იყო.

შრომის ამ ნაწილში წარმოდგენილია და და-  
ხასიათებული 73 ავტორის ცხოვრება და მო-  
ღწეობა. ვრცლად და დეტალურად, — რამდენ-  
დაც ამის საშუალემას ქართული შწერლობის  
ჩვენამდე მოღწეული საგანძური იძლევა, —  
განხილულია ქართული ორიგინალური ავო-  
გრაფიის წარმომადგენელთა ცხოვრება და ლი-  
ტერატურული შემოქმედებობა. ავტორი დიდ  
ადგილს უთმობს ცნობებს ქართველი ავო-  
გრაფების იაკობ კურტაველის, იოანე საბანის-  
ძის, არსენ საფარელის, სტეფანე მტბევიარის,  
ბასილ ზარზმელის, გიორგი მერჩულის და  
სხვთა შრომების განხილვას. სისრულთთაა მო-  
ცემული ცნობები ქართველ პიშნოგრაფთა  
(გრიგოლ ხანძთელი, იოანე მინჩხი, იოანე მტბე-  
ვარი, მიქელ მოდრეკილი, იოანე ქონჭოზისძე,  
ფილიპე და სხვა), ისტორიკოს-ავიოგრაფთა  
(გრიგოლი, ლეონტი მროველი, არსენ ბერი და  
სხვა), ხელიდან მქადაგებელთა (იოანე ბოლნე-  
ლი, ამბროსი ნეკრესელი და სხვა) და მრავალი  
ზოგჯერთა (ტიმოთე გამაშვილი, იონა გუდუვა-  
ნიშვილი და სხვა) შესახებ. განსაკუთრებული  
გულმოდგინებით, დიდი ცოდნითა და სათანა-  
დო მეცნიერული სიღრმითაა განხილული და  
შეფასებული დიდი ქართველი შწერლების —  
ექვთიმე ათონელის, გიორგი მთაწმინდელის,  
ეფრემ მცირის, იოანე პეტრიწის, არსენ ივალ-

თველისა და ანტონ I-ს მრავალმხრივი და მრ-  
ვალფეროვანი მოღვეწეობა.

წინა გამოცემასთან შეტარებულმა ცვლი-  
ცემაში დამატებით განხილულია ორი ავტორი:  
მარტირი საბაწმიადელი (VI — VII ს.) და გრი-  
გოლ დოდორქელი (XVIII ს.). ამ ავტორთა  
თხზულებანი მხოლოდ უკანასკნელ წლებში იქ-  
ნა გამოვლენილი და შესწავილია. ზოგ შემ-  
თხვევაში დამატებულია ამა თუ იმ ძველის  
განხილვა. ასე მაგალითად, დამატებულია წარ-  
მოდგენილი ექვთიმე ათონელის ორიგინალური  
შრომები ქართულ და ბერძნულ ენებზე.

პირველი ტომის მეორე ნაწილს წარმოადგენს  
„უწარობრივი მიმოხილვა ძველი შწერლობისა“,  
რომელშიაც მოცემულია თანდათანობით გან-  
ვითარება ძველი ქართული სასულიერო შწერა-  
ლობისა. ავტორს ღმრად და საესებით ამომწუ-  
რავად განუხილავს ძველი ქართული სასული-  
ერო შწერლობის შემდეგი დარგები: ბიბლიოლო-  
გია, აპოკრიფები, ეგზეგეტიკა, დოგმატიკა,  
პოლემიკა, ჰაგიოგრაფია, ასკეტიკა და მისტიკა,  
პოშილგეტიკა, კანონიკა, ლიტურჯიკა, პოეზია.

მეორე ტომი შედგება შესავლისა და ორი ნა-  
წილისაგან. შესავალში განხილულია ქართულს  
საერო შწერლობის ჩასახვის პირობები და მისი  
აღმოცენების მიზეზები, საერო შწერლობის და-  
საწვისის; ურთიერთობა ძველ ქართულ საეკლ-  
ესიო და საერო შწერლობათა შორის; ძველ  
ქართული საერო შწერლობის შესწავლის საქმე  
ძველი ქართული საერო შწერლობის ისტორიის  
პერიოდები.

ავტორი იძლევა ძველი ქართული საერო-  
მხატვრული შწერლობის პერიოდიზაციას.

რადგან დაცემის ხანაში განსახილველი არა-  
ფერია, მკვლევარი არკვევს საერო შწერლობის  
პირველ და მესამე პერიოდს. ამიტომაც მეორე  
ტომი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნა-  
წილში განხილულია კლასიკური პერიოდის  
ლიტერატურა.

ავტორს სრულად და სათანადო სიღრმით  
ჰყავს დახასიათებული ესა თუ ის შწერალი.  
თითოეული ლიტერატურული ძველი განხილ-  
ულია უოველმხრივ; ნაწვენებია მისი ლიტერა-  
ტურულ მხატვრული რაობა, გარკვეულია ის-  
ტორიულ-ლიტერატურული საკითხები.

ქ. კეკელიძის „ძველი ქართული შწერლობის  
ისტორია“ დიდი მეცნიერული ღირებულების  
შრომაა.

მიუხედავად თქმულისა, გვსურს რამდენიმე  
შენიშვნის გაკეთება.

- 1) წიგნში უგვლბეღყოფილია ძველი ქარ-  
თული საისტორიო შწერლობა. ჯერ ერთი,  
თითქმის არც ერთ ძველ ქართულ საისტორიო  
თხზულებას არ აკლია მხატვრულობა, მეორეც,



თუნდაც არ ჰქონდეს მხატვრული ელემენტი, მწერლობის ისტორიაში ზომ შიანც უნდა შევიდეს?

2) შრომის ნაკვეთებად დაყოფა, დარგებად წარმოდგენა და მიმართულებათა ჩვენება ზოგჯერ იწვევს უხედავობას. ასე მაგალითად, თეიმურაზ I-ის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესასწავლად მკითხველმა მისი ბიოგრაფია 2 ტომის II განყოფილებაში უნდა წაიკითხოს (გვ. 441 და შმდ.). „ქეთევან დედოფლის წამება“ საისტორიო ეპოსში უნდა დაძვინოს (II, გვ. 387—390), ხოლო „იოსებწილისანიანი“ და „ლილიაჯენიანიანი“ რომანტიკულ ეპოსში (II, გვ. 275—287) უნდა გაიკნოს. ეს რამდენადმე ართულებს საგნის შესწავლას და ზოგჯერ აბნევს კიდევ მკითხველს.

3) კ. კეკელიძე აშოტ კუროპალატის დაღუპვის დროდ 826 წელს თვლის (I, გვ. 120), ხოლო თამარის ვარდაცვალებას — 1215 წელს (II, გვ. 187). ამის შესაბამისად, ავტორს რამდენიმე საკითხიც აქვს გადაწყვეტილი. მაგალითად, არსენ საფარელის მოღვაწეობას ის 830 — 877 წლებით ათარიღებს, ხოლო „აბდულმესიას“ 1210 — 1215 წლებში დაწერილად მიიჩნევს. ხსენებულ პირთა აღსასრულის თარიღებს კ. კეკელიძე ადრეც იკვლევდა, ამის შესახებ მას ადრევე ჰქონდა გამოთქმული აზრი, მაგრამ ეს აზრი მეცნიერებაში არ იქნა გაზიარებული. საქართველოს ისტორიის ცნობილ სახელმძღვანელოში აშოტის მოკვლა 826 წელს, ხოლო თამარის ვარდაცვალება 1213 წელსაა მიჩნეული. დღეს ეს დადგენილი ფაქტია. კ. კეკელიძე არამართებულ ცნობას აწვდის მკითხველს.

4) ყოველთვის ზუსტი არაა წყაროების დასახელება. ასე მაგალითად, აპოკრიფული ლიტურატიურის შესასწავლად ფრიად საყურადღებო დოკუმენტი — ექ. ათონელის პასხვი საქართველოდან გავზავნილ შეკითხვაზე პირველად დაიბეჭდა „ერსყარში“ (1866 წ. № 1, გვ. 7—14). ავტორი კი ამ დოკუმს გ. საბინინს მიაწერს (I, გვ. 403).

შველევარი გიორგი მოაწინდელის იამბიკოს ბეჭდავს ხელნაწერის მიხედვით (ასე იყო ძველ გამოცემაშიც), მაშინ როდესაც არსებობს რამდენიმე ბეჭდური გამოცემა („ივერია“ 1895 წ.,

№ 105, გვ. 2; „მოამბე“, 1903 წ. № 1, გვ. 25 და სხვა).

ბიბლიოგრაფია

დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულიანი“ რამდენჯერმეა დაბეჭდილი. უადრესად მიჩნეული იყო მ. საბინინის გამოცემა (1882 წ.). ასეა წარმოდგენილი სარეცენზოთი ნაშრომზეც (I, გვ. 253). მაგრამ ეს არაა სწორი. აღნიშნული ტექსტი პირველად გ. ზელოძემ გამოაქვეყნა („საქართველოს სასულიერო მახარობელი“, 1865 წელი, ივლისი, № 2, გვ. 1—12) და სათანაო განმარტებანიც დაურთო. მ. საბინინმა (მეთითებლად!) გადმობეჭდა იქიდან ტექსტიც და მისი განმარტებანიც.

თანვე ბეგრატინოს მიერ გიორგი XII-დმა წარდგენილი პროექტი რეფორმებისა ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში დაიბეჭდა („მწვენი“, 1894 წ., №№ 11—12, 14; 1895 წ., №№ 2, 5—10, 12, 14—15; 1896 წ. №№ 2, 15—16). კ. კეკელიძე კი ზეღნაწერს მიუთითებს (I, გვ. 75).

ზოგი საკითხი არაა წარმოდგენილი საქმით სისრულეთ, ასეთია მაგალითად, ქართული დი-მწერლობის საწყისი (I, 30), ექ. ათონელის მამის (თანვე — ვარაზუნის?) ენობა (I, გვ. 162) და სხვა; მეტ განმარტებასა და დასაბუთებას მოითხოვს ქართულ მწერლობაში იბერიული ხანის გამოყოფა (I, გვ. 40); არაა დამაჯერებელი მტკიცება „აბდულმესიაში“ ქების ობიექტად დავით აღმაშენებლის მიჩნევის შესახებ (II, გვ. 173—188). ამდენად, თხზულებას სათაურიც — „დავით აღმაშენებლისა და თამარის ქება“ საოკუოდ მიგვაჩნია.

არის ცალკეული ხასიათის შეცდომებიც. მაგალითად, 67-ე გვერდზე (ტ. I.) სულხან-საბა ორბელიანის მძლ დასახელებულ: ვახტანგ ორბელიანი. ასეთი სახელის მქონე მშა საბას არ ჰყოლია; ღრტილა მიჩნეულია არტანუჯის ბუნქტად (I, გვ. 122, 464, 633), სიპაზდიელეში ის ჯეიხეთში იყო.

რა თქმა უნდა ეს მცირე შენიშვნები ოდნავ-დაც არ ფენებენ ზრდილს პროფ. კ. კეკელიძის ფუნდამენტალურ ნაშრომს, რომელშიც გადმოშლილია ძველი ქართული მწერლობის დარგში ავტორის ზანგაძლივი და ნაყოფიერი მუშაობის შედეგები.

ლ. მინაბაძე

წიგნი საზამთრო ომის პართიელ მიომიგაზე



„უქველია, — ამბობდა სამამულო ომის დღეებში ი. სტალინი, — რომ თავისი სამშობლოს დაცვის იდეამ რისთვისაც ზვენი ადამიანები ომობენ, უნდა წარმოშვას და ნამდვილად წარმოშობს კიდევაც ზვეს არშიაში გმირებს, რომლებიც წითელ არმიას აღუღებებენ“.

ქართულმა ხალხმა, ისე როგორც მომეგრებმა, მართლაც წარმოშვა გმირები, მამაცი მებრძოლები, რომლებმაც ასახელეს სამშობლო. დიდ სამამულო ომში გმირობისა და მამაცობისათვის საქართველოს 120 ზეილს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, ხოლო 40 ათასზე მეტი დაჯილდოვებულ იქნა საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით. ყოველივე ეს მითითებებს იმაზე, რომ ქართველმა ხალხმა ღირსეული წვლილი შეიტანა გერმანიის ფაშისმის განადგურების საქმეში. „სამამულო ომის წლებში, — ნათქვამია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსა და სსრ კ. კ. (ბ) ც. კ-ის მისალმებაში საბჭოთა საქართველოს 25 წლის თავზე, — ქართველმა ხალხმა პატრიონულ შეასრულა თავისი ვალი სამშობლოს წინაშე“.

საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში ქართველი ხალხის ბრძოლის ისტორიის გაშუქებისადმი არის მიძღვნილი მიხეილ დავითაშვილის ნარკვევთა კრებული: „საბრძოლო დიდების ფურცლები“. „წიგნის ავტორს დიდი წინასწარი საუშუაო შეუსრულებია დიდ სამამულო ომში ქართველ მეომართა მონაწილეობის მასალების შეგროვება-დამუშავებით“, — აღნიშნავს წინასიტყვაობაში ნარკვევების რედაქტორი საბჭოთა კავშირის შარშლი თ. ტრალუხინი. მართლაც, ავტორი ბევრ საინტერესო მასალას აწვდის მეთხველის დიდი სამამულო ომის ქართული მებრძოლების შესახებ.

წიგნი საკმაოდ ვრცელადა მოთხრობილი ისეთ სახელმძოხვეუელ მხედართმთაგრებზე, როგორიც არიან კონსტანტინე ლესელიძე, პორფირე ჩანჩიბაძე, მიხეილ მიქელაძე და სხვ. აგრეთვე საბჭოთა კავშირის გმირების ო. ჩენელაშვილის, ა. წურწუშის, ი. ციციშვილის, მ. ჭანთარის, ვ. ლესელიძის და სხვთა საბრძოლო დამსახურებაზე.

წიგნის ბოლოს მოცემულია ამავეთა ქრონიკა, რომელშიც, მცირე გამოწკლისის გარდა, თანმიმდევრობითაა დალაგებული დიდ სამამულო ომში ქართველი ხალხის მონაწილეობის ამსახველი ძირითადი თარიღები.

1 მ. ბ. დავითაშვილი, „საბრძოლო დიდების ფურცლები“.

ამასთან ერთად გვაქვს რამდენიმე შენიშვნა წიგნში მოცემული მასალის შესახებ.

1. არ იყო საჭირო ცალკე გამოყოფა თავისა „მამაცობა და ოსტატობა“, რადგან მთლიანად წიგნი ქართველი ხალხის მამაცი ზეილების საბრძოლო სურათების გადმოცემისადმი არის მიძღვნილი. ასევე უმართებულთა ცალკე გამოყოფა პარაგრაფისა „საბრძოლო ეპიზოდები“, რადგან სხვა შემთხვევებშიც ავტორი საბრძოლო ეპიზოდების შესახებ მსჯელობს. პარაგრაფში „უქარიის მიწაზე“ ავტორი მოგვითხრობს ცნობილი პარტიზანი გმირის დ. ბაქრაძის ბრძოლების შესახებ, შემდეგ კი ცალკე გამოყოფს პარაგრაფს „კოვბაქლები“. მაგრამ დ. ბაქრაძე ხომ კოვბაქელია.

2. ვინაიდან წიგნში მასალის თემატური დალაგება უმართებულად არის მოცემული, ამან გამოიწვია ქრონოლოგიური პრინციპის დარღვევა, ერთსა და იმავე ეპიზოდების განშორება. მაგალითად, მე-12 გვერდზე შოთა გამცემლის საგმირო საქმეების შესახებ ნათქვამია: „სიამაყის გრძნობით აღავსო საქართველო და მთელი საბჭოთა კავშირი უმცროს სერჟანტ შოთა გამცემლის უკუდავმა გმირობამ. იგი კრიტიკულ მომენტში, როდესაც გერმანელთა ტანკები ცდილობდნენ გაეზღვიათ ზვენი საბრძოლო წყობები, ზეღუფმბარებით კანით შეუვარდა ტანკს ქვეშ, ააფეთქა ის და თავისი სილციხლის ფასად ზაფუშა მტრის კონტრაიერიში“. ამავე ეპიზოდზე მსჯელობს ავტორი 211 — 212-ე გვერდებზე: „უქმბარებით ზელში შოთა გამცემლი შეიჭრა წინა ტანკის მუხლუხებს ქვეშ. ტანკი შეტრატმანდა, ცეცხლის ალი ავირდა, მოწინააღმდეგის რიგებში არეუ-დარევა მოხდა. ამან შესაძლებლობა მისცა საბჭოთა მეომრებს მოეგერებინათ საათგებელი ბუნქტი, რომელიც რამდენიმე კანთის წინ წართვეს ჰიტლერულებს“. ასეთსავე განშორებას აქვს ადგილი მე-12 და 210-ე გვერდებზე საბჭოთა კავშირის გმირის გიორგი მასიტრაძის შესახებ. მსგავსი მაგალითების მოყვანა მეტიც შეიძლება.

3. ავტორი ძალიან მცირე მასალას გვაწვდის ანაბის 414-ე წითელდროშოვანი მსროლელი დივიზიის შესახებ, ამ სახელგანთქმულმა დივიზიამ ბრძოლით გაიარა დიდი გზა თერგიდან სევასტოპოლამდე და ბრწყინვალე ბრძოლები ჩაატარა კავკასიის დაცვისათვის და ტამანის ნახევარკუნძულისა და ყირიმის გასათვისუფლებლად გერმანელი დამპყრობლებისაგან.

ყოველივე ეს ავტორის ისე სქემატურად და

გაკრით აქვს გადმოცემული, რომ მკითხველს არ რჩება ნათელი წარმოდგენა დივიზიის მიერ ჩატარებულ სახელოვან ბრძოლებზე. ამასთანავე, მასალა არაა გადმოცემული ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, რითაც დარღვეულია ისტორიული ნარკვევის ელემენტარული მოთხოვნა.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ წიგნის ეს ნაწილი ავტორის მიერ დაწერილია არსებული მდიდარი წერილობითი მასალის გამოუყენებლად.

4. ხშირ შემთხვევაში გვეხვება არაიონიზებული მსაგებობა ამა თუ იმ ფაქტის შესახებ, გვერდი აქვს ავლილი დროისა და ადგილის გაარკმის. მაგალითად, 105-ე გვერდზე ლაპარაკია საბჭოთა კავშირის გმირის პ. პირტაძის საგმირო საქმეების შესახებ, მაგრამ არაა მითითებული, თუ როდის იყო ეს, ან სად. 129-ე გვერდზე ავტორი მოგვითხრობს ორდენოსანი პოლკოვნიკის გ. ჩიტაიშვილის მფრინავთა მიერ საბრძოლო ამოცანის შესრულებაზე ქ. კენიგსბერგის დასაბრძოლებად. მაგრამ ავტორს შეეძლო მინიმუმ გამოარჩენა, თუ როდის იყო ეს, როგორც ცნო-

ბილია, საბჭოთა ავიაცია კენიგსბერგის საჰაერო ობიექტებს ბომბავდა დღევანდელ რუმის მანძილზე.

5. სარეცენზიო წიგნში ხშირად ვხვდებით ისეთი ფაქტების გადმოცემას, რომელთაც არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ წიგნის შინაარსის გამდიდრებისათვის. მაგალითად, 132—133-ე გვერდებზე ლაპარაკია ვოჯასპირ ტრაილაშვილის საბრძოლო საქმიანობის შესახებ, მაგრამ ვანყენებულად, დროისა და ადგილის მითითების გარეშე. — წინა გვერდზე კი მისი სახელის დაქმნის მთელი ისტორიაა გადმოცემული. როგორც ჩანს, ავტორს არ ეხერხება ისტორიული ფაქტების დალაგებისას არსებითი გამოკუსი არაარსებობისაგან, რაც წიგნის ნაკლად უნდა ჩათვალოს.

მთუხედავად ამისა, კრებულს შეუძლია ერთგვარი დახმარება გაუწიოს ჩვენს მკითხველს საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში ქართული ხალხის მონაწილეობის ისტორიის შესასწავლად.

ი. ტაყაელაშვილი.

სახალსო მხატვრის ცხოვრება და შემოქმედება



ო. ფირალიშვილის მონოგრაფიაში გაშუქებულია მოსე თოიძის შემოქმედებითი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ეტაპები, მოცემულია სწორი შეფასება მხატვრის ამა თუ იმ ნაწარმოებისა, ხაზგასმულია ის, რაც ყველზე მთავარი და დამახასიათებელია მოსე თოიძის, როგორც ქართული საბჭოთა ფერწერის ფუძემდებლის, ცხოვრებისა და შემოქმედებისათვის.

ავტორი გვიჩვენებს იმ სოციალურ და ყოფით გარემოს, რომელშიაც გაატარა თავისი ბავშვობა მოსე თოიძემ. ზენე ეხედავთ მხატვრის გაქირავებულ ყრობას, სახელსნო სასწავლებელს, სადაც იწყება მისი ახალგაზრდული შეგნების ჩამოყალიბება მკვლევარი ხაზს უსვამს იმ გარემობას, რომ მოსე თოიძის შემოქმედებითი ხასიათის პირველი ცდები დაკავშირებული იყო დემოკრატიულ იდეებთან და მათ სააგიტაციო, პროპაგანდისტული ხასიათი ჰქონდათ.

1896 წელს მოსე თოიძე — ახალგაზრდა ზეინკალი — მასწავლებელი — მიემგზავრება

ო. ფირალიშვილი, „მოსე თოიძე“, სახელგამი, 1952 წ.

პეტერბურგს, რათა დაიწყო სწავლა პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში.

საინტერესოდ არის გაშუქებული ეს მეტად მნიშვნელოვანი პერიოდი მხატვრის ცხოვრებისა. დიდ რუს მხატვარ ო. რუბინთან გაცნობა და მასთან დაახლოება, რუბინის მიერ თოიძესადმი გულისხმიერი ყურადღების გამოჩენა და ყოველმხრივი დახმარება უშუალოდ დააკავშირებულა იმ დიდ ინტერესსა და სიყვარულთან, რომელსაც რუსი მხატვარი იჩენს საქართველოსადმი, ქართული სახეობის ხელოვნების პერსპექტივებისადმი.

პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში სწავლის პერიოდში შესრულებული ნაწარმოებებიდან განხილულია „რუსი გლეხი“ (1896), „თანამოსწავლე ანუ პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის სტუდენტის პორტრეტი“ (1897) და „მზარეული“ (ეტრუდი „მცხეთისათვის“ 1899). ავტორი იძლევა იმ ნამუშევრების მხატვრულ ანალიზს (საგულისხმოა, რომ შ. თოიძის შესახებ არსებულ ლიტერატურაში დღემდე ამ ნაწარმოებების ანალიზის ცდაც კი არ ყოფილა). ავტორი არკვევს ზემოაღნიშნული ორი პორტრეტის ღირსებებს და მათ მნიშვნელობას მოსე თოიძის მთელი შემოქმედებითი გზის ძირითადი ხაზის გარკვევისათვის. „მცხეთა-

ბა" პირველი დიდი სურათია, რომლითაც ქართველმა საზოგადოებამ გაიყინა მოსე თოიძე, როგორც ფართო დიპლომატიის მხატვარი, როგორც ბრწყინვალე კოლორისტი და კომპოზიციის ოსტატი.

მოსე თოიძე, როგორც მშრომელი ხალხის წილიდან გამოსული, ხალხის დღეობის ცხოვრებასთან დაახლოებული, დემოკრატიული იდეების პოზიციებზე მტკიცედ მდგარი მხატვარი სახალხო დღესასწაულს აგვისახავს არა როგორც ეთნოგრაფიული ხასიათის „თვალისათვის სასიამოვნო პანორამას“, არამედ იძლევა ხალხის ცხოვრების ფართო ეპიკურ ტილოს, საეჭს მინაგანი დრამატუზმითა და სოციალური კონფლიქტებით. რაც მთავარია, მხატვარი ვარკვევით ამჟღავნებს თავის აქტიურ დამოკიდებულებას სურათში ასახული აღმანიების ცხოვრებისადმი.

მკვლევარის მიერ „მცხეთობის“ სწორ ანალიზს ერთგვარად ამდებლეს არაბუსტად ფორმულიზებული დასკვნა: „მცხეთობა“ ძლიერი იდეური ნაწარმოებია და არა დროსტარების მომენტის გადმოცემა ქართული სურათი. იგი ქართული სურათის ფარგლებს თავისი სოციალურ მიზანდასახელობითა და იდეური სიმბოლით შორის სცილდება“ (გვ. 24). უნდა ითქვას, რომ „დროსტარების გადმოცემა ქართული სურათი“ სრულადაც არ გამოირიცხავს „ძლიერი იდეურობის“ მომენტს (გვიხსენეთ თუნდაც პეროვის, მაკოესკის და სხვა რუსი ქანობისტების სურათები). „მცხეთობის“ კომპოზიციის აღწერისას ავტორი კარგად ახერხებს სიტყვიერი მასალით სურათის პლასტიკური თავისებურების გადმოცემას.

ასევე კარგად გვიხსნის მკვლევარი „დღის პორტრეტის“ (1904) ფსიქოლოგიურ შინაარსს: „ტილოზე წარმოდგენილია ღმერთი და ქართულ კაბაში გამოწყობილი დარბაისელი, გონიერი და პირგამოვლილი ქალი, რომელიც რაღაც ფიქრს გაუტყავს. მის ოდნავ უხერხულ პოზას, ჩამოცოცხებულ სათვალეს და წიგნზე სიმბოლიურად დაყრდნობილ ხელს პორტრეტში ერთგვარი ქართული თხრობის მომენტები შეიკეთ, ხოლო ფიქრი ვატაკებული თვალეში იმაზე მტკიცეა, რომ იგი ასეთ შემთხვევაშიც კი, როცა მას ხატედნენ დროს არ კარგავდა, მზრუნველ ფიქრებს არ წყდებოდა“.

მოსე თოიძის ცხოვრების მომდევნო წლების შემოქმედების განხილვისას მკვლევარი ეხება სურათის „მრეცხავი ქალი“ და დამაჯერებლად ასაბუთებს ამ სურათის რივი ვარიანტის არსებობას. „ხელოვნის პორტრეტის“ ანალიზის დროს მკვლევარი კარგად ახერხებს იმ დემოკრატიულ განწყობილებების დანახვას, რომლებიც მ. თოიძემ ღრმა ფსიქოლოგიური პორტრეტის სახედ ამერ-

ყველა და ქართული საზოგადოების ნათესაურად გახადა. ეს შესანიშნავი პორტრეტეტი მანამდე უურაღდებოდ იყო მიტოვებული. სწორედ ქართველთა მიერ და კარგია, რომ მას წიგნში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა.

მენშევიეური ხელისუფლებისადმი უპაუროფითის დამოკიდებულებაში მყოფი მოსე თოიძის შემოქმედება საბოლოოდ თავისუფლება ყოველგვარი არტახებისაგან და მას ესხნება ფართო გზა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. მოზოგრაფიაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი 1922 წ. მოსე თოიძის მიერ დაახსენებულ უნიკალ სახალხო-სამხატვრო სტუდიას.

ავტორის ბეჭედი საინტერესო ცნობა მოპყავს მ. თოიძის სამხატვრო სტუდიის სტრუქტურის შესახებ, ხაზგასმულია სტუდიის სახალხო ხასიათი, მისი უდიდესი როლი ქართული საბჭოთა სახეობის ხელოვნების განვითარების საქმეში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სტუდიის მიერ მოწყობილ მოძრა გამოყენების საქართველოს სხვადასხვა რაიონში. ეს იყო საბჭოთა ხელოვნებისა და მისი რეალისტური, ცხოველყოფელი პრინციპების უდიდესი პროპაგანდა მასებში.

მ. თოიძის შემოქმედებითი მუშაობის შესახებ ავტორი ჯერ კიდევ მუშაობის შესავალიში ამბობს: „ხაზგასმით უნდა აღინიშნოს მისი დიდი როლი ქართულ ხელოვნებაში ისტორიულ-რევოლუციური ქანობის დამკვიდრებისა და განვითარებაში“. ამ თვალსაზრისით იგი იხილავს კომპოზიციის „ამხანაგ სტალინის სიტყვა აღ. წულუკაძის დასაფლავებაზე ქ. ზონში“. ამ შესანიშნავი ნაწარმოების შესახებ მოზოგრაფიაში ვკითხულობთ: „ისტორიულ-რევოლუციური შინაარსის სურათებს შორის ქართულ საბჭოთა ხელოვნებაში არსებობდა ეს პირველი სერიოზული კომპოზიციული იყო... თოიძემ როგორც უხერხულმა მხატვარმა ამ ნაწარმოებით ქართველ მხატვრებს ისტორიულ-რევოლუციური ქანობის მუშაობის მაგალითი მისცა“ (გვ. 48) ავტორის მიერ ხსენებული კომპოზიციის მაღალი შეფასება უდავოდ სამართლიანია. ეს კომპოზიციული მართლაც საეტაპო მნიშვნელობის ნაწარმოებია ქართული საბჭოთა მხატვრობის ისტორიაში. მომდევნო წლებში მოსე თოიძე ჰქმნის ოპტიმიზმითა და სიციხლის აღტაცებული შეგრძნებით საესე მთელ რაგ ნაწარმოებებს, ასეთებია „ბედნიერი ცხოვრება“, „უხვი მოსავალი“ და სხვა.

ავტორი ახასიათებს მოსე თოიძის შემოქმედებას უახლოესი წლების მანძილზე, განიხილავს მის ფერწერულ მანერას და წერს: „უნდა აღინიშნოს, რომ ფეროვანი პერსპექტივის მსუყე მონასმებით შესრულება საერთოდ დამახასიათებელია თოიძის შემოქმედებისათვის. თოიძე ხშირად შორეულ საგნებს

მსუყვე მონასმებით იძლევა და მათ შინს ინტენსიური ელვარების ფუნქციასაც არ აყლებს" (გვ. 49). სამართლიანი შენიშვნაა. ეს თვისება უდავოდ ახასიათებს მ. თოიძის ფუნჯს და მეტყველებს მხატვრის კოლორიტული ოსტატობის შესახებ. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა „ქართული ქალის ცეკვა“ და ღრმად იღვრი სურათი — „ქართული ქალები ამზადებენ საჩუქრებს ღრონტისათვის“. მონოგრაფიის დასასრულს ავტორი აჩერებს მკითხველის ყურადღებას „გამარჯვების სიმღერაზე“, რითაც მსოფლიო ოსტატი შთაგონებულად გამოეხსნა საბჭოთა ხალხის გამარჯვებას გერმანულ ფაშიზმზე. აქვე ავტორი იხილავს სურათს „ამხანაგი სტალინი და კალინინი თბილისის რკინიგზის სახელოსნოებში“. ამ სურათის შესახებ ავტორი წერს: „მ. კალინინი ღვას სახარატო დაზავასთან. მას ერთი წამით შეუჩერებია მუშაობა და უსმენს ი. სტალინს. მხატვარი მთელი გატაცებით ცდილობს გადმოსცეს რთული ფსიქოლოგიური მომენტი. მან მოსაუბრეთა გამომეტყველებაში

აღბეჭდა ის დიდი მნიშვნელობა და კონსპირაციული ხასიათი, რასაც საუბრის წინააღმდეგობა წინააღმდეგობით და შინაგანი ექსპრესიითაა შესრულებული. ყოველივე ეს მაყურებელზე მოქმედობს, ძაბავს მის ყურადღებასაც, დიდი ამბის მოლოდინის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში აყენებს" (გვ. 50).

წიგნის ბოლოში დართულია სურათების რეპროდუქციები. საშუალოდ, არც ერთი მათგანი ფერადი არ არის, ეს კი მნიშვნელოვანად ამაღლებს მათ ღირსებას. რეპროდუქციების შერჩევის საკითხი ძირითადად კარგად არის გადამწყვეტილი; ზოგიერთი მათგანი ქვეყნდება პირველად. მინც საჭირო იყო მეტი რეპროდუქციების მოთავსება.

ეს ფირალიშვილის მონოგრაფია სასარგებლო სამსახურს გაუწევს ყველას, ვინც კი დაინტერესებულია ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების შესწავლით.

**მ. ძვლივიძე**

### პირველი ქართული სტამბის წიგნი



არავისათვის სადავო არ არის ის გარემოება, რომ პირველი ქართული სტამბის დაარსების საკითხს და ამ სტამბიდან გამოსული წიგნების შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი კულტურის ისტორიისათვის.

დღემდე ჩვენს ხელოვნებათმცოდნეობაში ქართული წიგნის გაფორმება-კაზმულობის შესწავლას მეტად უმნიშვნელო ადგილი ჰქონდა დათმობილ. ყველა მკვლევარი მართოდენ ლიტერატურულ ტექსტზე აწარმოებდა მუშაობას და უყურადღებოდ სტოვებდა წიგნის გაფორმების საკითხებს. ამ გარემოებამ, როგორც სარტყენი წიგნის ავტორიც სამართლიანად აღნიშნავს, ცალმხრივი მიმართულება მისცა ქართული პოლიგრაფიული ხელოვნების მეცნიერულ შესწავლას.

მ. კვასხვიძის ნაშრომში მოცემულია ერთგვარი ცდა ვახტანგ მეექვსის სტამბიდან გამოსულ წიგნთა მხატვრულ-პოლიგრაფიული სახის დასადგენად.

ავტორს დიდი შრომა ჩუტარებია ვახტანგის სტამბის წიგნის სამკაულების და ილუსტრაციების შესწავლის საქმეში. ეს მუშაობა ბევრად უფრო დამაჯერებელი და სასარგებლო იქნებოდა, რომ ავტორი აღებული თემით დაემყუ-

თილებულიყო, მთელი გულსუფრა ამ მთავარი თემისადმი მიეყრო და არ შექტილიყო ისეთ ზოგად საკითხებში, როგორიც არის „ქართული წიგნის გრაფიკული ხელოვნება“ ანდა „მასალები ქართული ბეჭდური წიგნის ხელოვნებისათვის“.

ამის შედეგად ნაშრომი, ნაკლებად იქნებოდა გადატვირთული ზედმეტი სიტყვებით, გამოვარებით და ვახტანგის სტამბის წიგნების მრავალჯერ გამოქვეყნებულ „წინასიტყვაობებით“ და „ბოლოსიტყვაობებით“, რომელთა მოტანას ამ ნაშრომში არავითარი მიზანდასახულება და ლოგიკური თანმიმდევრობა არ ეძლევა.

გაუგებრობას იწვევს ჩვენი მკვლევარის უსუფუძელო თავდასხმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაზე, მისი მიმართვა „მკითხველისადმი“ (თითქმის მთელი წიგნი მკითხველისათვის არ იყოს დაწერილი) და კიდევ სხვა მრავალი შეუსაბამობანი; გარდა ამისა, წიგნში მრავლად მოიპოვება ქართული ენის დამახინჯების, ბუნდოვანი და გაუმართავი სტილის მაგალითები.

გავეცნოთ ზოგიერთ მათგანს, ავტორი წერს: „სახარების“ თავფურცლის ანაწყობი (ნაბეჭდი) ლაქა (ტექსტი) დაყოფილია განედლებული ჯვარის ნაწყობი ორნამენტული ზოლით, „სახარების“ მილიანი გვერდი, პოლიგრაფიული

მ. კვასხვიძე, ვახტანგ VI სტამბის წიგნი. „ხელოვნება“, 1952.

გამთლიანებულია ზემოაღბედილ თავსამკით (ტექსტის ქუდი) (გვ. 28).

გაუგებარია მხატვრული თვალსაზრისით რა განსხვავებაა ნაბეღსა და ტექსტს შორის? რა არის ეს „თავსამკი“? როგორ შეიძლება „თავსამკისა“ და „ტექსტის ქუდის“ იგივეობა? რას ნიშნავს „ბოლოვარფილად გამთლიანება“?

შემდეგ: „თავსამკის მიწარის (?) შემშუშავებული შტრიხი ხაზი ორნამენტული ჩარჩოს ნახატის ძალა და ქვეტექსტის შრიფტი, მათი მხატვრული გააზრებისა და გადაწყვეტის მხრივ ხაზის ძალის ხშივრების მსგავსებისა და ნათესაობის ემყარება: ზოლო მედლიონთა ვარემომოწერი ხაზის და მისი ნახატის ნოუიერი შტრიხი აქ, თავწერის (ტექსტის) გრაფიკული შტრიხის ხასიათთანაა შეთანხმებული“ (გვ. 30).

საინტერესოა ვიცოდეთ, როგორ შეიძლება შტრიხი იყოს „შემშუშავებული“? ანდა შეიძლება ისეთი შტრიხი, რომელიც გრაფიკული არ იყოს?

შემდეგ: „ეხატანვის პორტრეტი, წარმოდგენილი მისივე სტამბიდან გამოსულ წიგნებში არ შეიძლება ჩათვლილ იქნას მთლიანად რეპრეზენტატულ-რეტროსპექტულ ასახვად დასახული პირისა“ (გვ. 44).

ორი უცხოური ტერმინი „რეპრეზენტატული“ და „რეტროსპექტული“ სრულიად უადგილოდ არის აქ ნახმარი, როგორც ცნობილია, პირველი ნიშნავს „წარმომადგენლობას“ მეორე „უკანდახედებას“, ამა რა აქვთ საერთო ამ ტერმინებს ვახტანვის პორტრეტთან?

„სამოციქულოს“ თავწარწერათა შემშუშავებული ხაზი — შტრიხი, — პლასტიკის თვალსაზრისით, შტრიხის ბაროკალურ გააზრებას ემყარება. აქ იგი ფაქიზია, მისი სილუეტი ნატიფი, მოქნილია და ღუნადი“ (გვ. 66).

აქ ყველაფერი არეულია. ავტორის აზრით ხაზი თურმე შტრიხის ნიშნავს, შტრიხი „ბაროკალურ“ გააზრებას ემყარება (თუ როგორ შეიძლება ეს, ამხზე ავტორი არაფერს ამბობს), შტრიხის სილუეტი ჰქონია, ეს სილუეტი ნატიფი (?) უფილა. უფილევე ეს ძნელი წარმოსადგენია და გასაგებია.

შემდეგ: „ანაწყობია არა თუ მკეროვად წვება გვერდზე, არამედ რამდენადმე სიფაშრით, დასაცოლობითაც კი ხასიათდება: იგი არაა მკეროვად და კონსტრუქციულად არაპროპორციულია წიგნის ფორმატის სქემასთან შეფარდებით“ (გვ. 92).

გარდა იმისა, რომ ანაწყობის გვერდზე მკეროვად ან არამკეროვად დაწოლა პირდაპირი შრიფტისა წარმოუდგენელია, ჩვენ არ გვესმის, რისი თქმა უნდა ავტორს: ანაწყობი ერთსა და იმავე დროს მკეროვად არის და არამკეროვად,

თუ წინააღმდეგ? რას ნიშნავს ეს „სიფაშრით“ „დასაცოლობით“, „კონსტრუქციულად“ არა პროპორციული“?

„შრიფტის რაგვარობა ამა თუ იმ ერის ასოთა ღუნის დაწერილობაზე, მისი არქიტექტონიკის ხასიათზე მისი სტილისტიკურ-ქარქტერულ თავისებურებაზეა დამოკიდებული“ (გვ. 183).

შრიფტის სხვადასხვაობა, მისი აგებულება გავიგია, მაგრამ „რაგვარობა“ პირველად გვესმის. „დაწერილობის“ ღუნადი რომ შეიძლება იყოს, ესეც ვიცით, მხოლოდ „ასოთა ღუნის დაწერილობა“ როგორ შეიძლება, ეს ვერ გავიგეთ.

ავტორი არაფრად აგდებს აკადემიკოს ივ. ჯეგაბიშვილის მიერ გამოვლენილ ქართულ ტერმინებს და გეთავაზობს ისეთ უხეიროდ შეკოწიწებულ სიტყვებს, როგორიცაა „თავსამკი“, „ბოლოსამკი“, „ოლე“, და ა. შ. ამ ტერმინებს კი წიგნის მხატვრულ შემოკლბასთან საერთო არაფერი აქვთ.

ავტორი ფიქრობს, რომ პირველი ქართული წიგნი 1709 წელს კი არ დაიბეჭდა, არამედ 1702 წელს. იგი ამბობს: „ქართული სტამბის დაარსებისა და წიგნის ბეჭდვის შემზადების დასაწყისის ქვედათარიღად აღებული გვაქვს არა უადრესი ხანა 1701 წლისა, ზოლო ზედათარიღად არა უგვიანესი 1702 წლისა“ (გვ. 232). ამ უსაფუძველო აზრს ავტორი მრავალ გვერდს ანდობებს.

ცნობილია, რომ როგორც ვახტანგი, აგრეთვე უნგროვლახელი და ვახტანვის წიგნებზე მომუშავე ყველა პირი ნათლად და ცხადად აღსატურებენ, რომ უნგროვლახელის ჩამოსვლამდე საქართველოში სტამბა არ არსებობდა. გამორკვეულია, რომ უნგროვლახელი ჯერ კიდევ 1706 წელს ისევ რიმინიკის საეპისკოპოსო სტამბაში იმყოფებოდა, მაშ როგორღა ამუშავებოდა სტამბა თბილისში 1702 წელს?

როგორც ზემოთ მოყვანილი ამონაწერიდან ჩანს, ავტორი სტამბის დაარსებასა და ბეჭდვის შემზადების დასაწყისს ერთმანეთში ურევს.

ისევე უმართებელია ავტორის აზრი უნგროვლახელის როლისა და მისი შემოქმედებითი მუშაობის შესახებ — ქართული წიგნისა და მისი მხატვრული სახის შექმნის საქმეში. იგი წერს: „უდავოა, რომ უნგროვლახელს ვახტანვის სტამბის ქართული ნაბეჭდი შრიფტის ღუნის შექმნასთან თუ წიგნთა შემკულობის შემოქმედებით შექმნა-შემშუშავებასთან საერთო არაფერი აქვს“ (გვ. 186).

ასეთი მსჯელობით ავტორი უარყოფს უნგროვლახელის თანამედროვეთა მოწმობას და იმ ფაქტორ მდგომარეობას, რომელიც ღუნ-



დღე, სრულიად სიშარტილიანად, ეკვიპოტანად არის ცნობილი. როგორ შეიძლება მკვლევარმა მხედველობაში არ მიიღოს ის გარემოება, რომ ერთი უმოძრაო ასოს დაწერა (გრაფიკული სახე) და მეორე — ამ დაწერილიდან მოპირავე ასოს (შირიფტი) შექმნა.

ცხადია, უნგრულსებელს ვახტანგმა კარგა მხედრული ხელნაწერი დაახვედრა, ამ ხელნაწერის შემსრულებელი, რასაკვირველია, ქართული კალიგრაფი იქნებოდა, მაგრამ ასოების ამოკრა, (რაც ნახატის დაზუსტებას, შირიფტის ხაზის დადგენას, ასოთა შეატანის, ზედატანისა და ქვედატანის შეფარდებას გულისხმობს), მათი ჩამოსხმა, ტექსტის აწყობა, ანაწყობის გამართვა და ბეჭედა მხოლოდ უნგრულსებელს შეეძლო, რაც დიდ შემოქმედებით შესაბამის მოითხოვდა. ეს საკამათო არ არის და არც არავის უთქვამს, რომ ქართული ასოები უნგრულსებელმა დახატა.

არანაყვებ გაუგებარია ავტორის შესამეღებულეზა: „სამაირისპიროდ გაბატონებულ შეხედულებისა, ვახტანგის სტამბის ქართული წიგნის ყოველი მხატვრული — დეკორის — ელემენტი, ყველა შემთხვევაში შემუშავებული და განხორციელებული იყო ადგილობრივ ზეენში, საქართველოში და ისიც უდავოდ ქართულ მხატვართა მიერ“. ამას ამბობს ავტორი 64-ე გვერდზე, ხოლო შემდეგ ხშირად უხდება მას უარყოფის ეს „უდავო“ ღებულება.

ავტორი „სამოციქულოს“ სურათებს ავთენტებს უპირატესობას და მათ რეპროდუქციებს აქვეყნებს. ჩვენ მხოლოდ ერთ-ერთი სურათის ანალიზზე შევჩერდებით. ამ ერთი მაგალითიდანაც ნათელი იქნება მკითხველისათვის ავტორის კვლევის შეთოღ.

როდესაც ავტორი პაეღე მოციქულის სურათს ეხება, ასეთ ანალიზს უკეთებს მას: „ვერტიკალური ღერძი ფიგურის ყველის არესა და ღაწის ძეალის შორის გადის და გულის კოეზსა და ბარძაუზე გაეღოთ მიემართება ფუნქციონირებს. ასე რომ ფიგურის სიმძიმის ცენტრი მხატვარს გამოსახული პირის ჯდომის არეზე აქვს გადატანილი. მისგან მარჯვნივ, ე. ი. ღერძისაგან, განთავსებულია ფიგურის

თავი, ხელები და ფეხის ტერფები“ (გვ. 72). ამრიგად არის განხილული დაწარმოებული სურათებიც. ჩვენი ფიქრით, უმჯობესი იყო ავტორის მერ დაკვირება გამოეჩინა და მეტი ობიექტრობით მოპყრობოდა როგორც სურათებს ისე საგრაფიურ დაღებზე ამოღებულ ქართულ წარწერებს; მაშინ ის მიხვდებოდა, რომ ამ სურათებს ოსტატობის მხრივ საერთო არაფერი აქვთ ქართულ წარწერებთან, რომ წარწერების შემსრულებელს საერთოდ არ ეხერხება ასომთავრულით წერა, უაზრავ შეედომებს უშვებს, ასოებს ტოვებს, უეღმა წერს, ქარავმებს თავის ადგილზე ვერ უყვრებს, ვერ ახერხებს ასოთა კომპოზიციურ განაწილებას, ასომთავრულ ოს-ს უში ურევს, რის შედეგად მიითერ ქრისტეს ერთ-ერთ მიწაფეს იღდას ოღდას უწოდებს და სხვ.

ავტორი ასეთ წარწერებთან დაღებს უნიკუმებადაც აცხადებს: „სამოციქულოს“ ესტამპები, — მათი ღედნები, — საგრაფიურ ფიგურები, მე-18 საუკუნის ქართული ხელოვნებისა და მის ოსტატთა დიდი სკოლის ტრადიციის შემთხვევით გადარჩენილი ანატგლია, უნიკუმებია“ (გვ. 85).

ცხადია, ისეთი მნიშვნელოვანი საქმის განხილვა, როგორც იყო ჩვენი ქვეყნისათვის სტამბის გახსნა და წიგნების ბეჭდვის დაწყება, მეცნიერულად ნაკლოვანი იქნება, თუ ეს პრობლემა არაა დაკავშირებული ეპოქის სოციალურ და პოლიტიკურ ვითარებასთან. არაფერს ვამბობთ, ავრეთვე, არც იმის თაობაზე, რომ ავტორი ფაღბ კომენტარებს უკეთებს პირველი ქართული სტამბის მკვლევართა ნაწერებს.

შემოთქმულიდან გამოშდინარეობს, რომ ამ წიგნს ახალი არაფერი შეატქვს ვახტანგის სტამბის წიგნის კვლევის ისტორიაში, ზოგ შემთხვევაში კი არეუ-დარევისაც აქვს ადგილი.

წიგნის რედაქტორს (მხატვარი ამოღონ ქუთათელაძე), ვერ მიუცია სწორი გეზი ავტორისათვის და ვერ დახმარებია მას ზოგიერთი რთული საკითხების გარკვევაში.

ბ. გორდოზიანი.





შინაარსი

საინფორმაციო ცნობა . . . . . 3

პარტიის, მთავრობის, საბჭოთა ხალხის შრეში მართიანობა. „პრაქტის“  
10 ივლისის მოწინავე . . . . . 4

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ორგანიზაციის წელი  
(1903 — 1953) . . . . . 9

ვლადიმერ მაიაკოვსკი — მარცხენა მარში, თარგმ. კ. ბობოხიძისა; სიყვარუ-  
ლო, თარგმ. გ. ხუჩაშვილისა; პარიზის კაფეში თარგმ. ალ. აბაშვილისა;  
მიმართვა პროლეტარულ პოეტებისადმი, თარგმ. გრ. ცეცხლაძისა; ჭორიკანა,  
თარგმ. ალ. შირცხელაძისა; ამბავი კუნძუცესტროისა და კუნძუცელი ად-  
მინებისა, თარგმ. არჩ. სულაქაურიისა; სიმღერა საბჭოთა პასპორტზე,  
თარგმ. ხუტა ბერულავისა . . . . . 29 — 40

ილიანის ბეზირი — მაიაკოვსკი, ლექსი, თარგმ. ა. ცეცხლაძისა . . . . . 41

იოსებ ნუნაშვილი — ვლადიმერ მაიაკოვსკის, ლექსი . . . . . 42

გიორგი სამხარაძე — მაიაკოვსკი ჩვენს სოფელში, ლექსი . . . . . 43

შალვა ფორჩხიძე — მაიაკოვსკის, ლექსი . . . . . 44

დავით სულაშვილი — დუცხრომელი გული, ბიოგრაფიული მოთხრობა . . . . . 46

მარტინ მარაშიანი — სიტყვა პარტიზე, ლექსი, თარგმ. გრ. აბაშვილისა . . . . . 72

ბალატიონ ტაბიძე — ნაწევრები რკალიდან „ყრმობის ლექსები“ . . . . . 73

მ. ბილ-ბელოცერკოვსკი — ხუთი დღეა, მოთხრობა, თარგმ. ერ. ტორტაძისა . . . . . 78

ბ. ქაბახიძე — ბელუბოხაევი, ლექსი . . . . . 87

ალიო ალაშვი — ციკლიდან „ლექსები სომხეთზე“ . . . . . 88

ილია ხოშტარია — ქუთაისელი მეფეობის დღეები, ლექსი . . . . . 91

თეიმურაზ ჯანაშვილი — თარგმ. ლექსი . . . . . 92

ნაზი კილაშვილი — თუ გყვარება მართლაც სულამის, ლექსი . . . . . 93

მიძაბა ქაბიძე — ჩუქურთმისმჭერელის სიმღერა, ლექსი . . . . . 94

---

პარლმ კალაძე — მაიაკოვსკი, წერილი . . . . . 95

ს. არამიძე — მაიაკოვსკი და დემოკრატიული გერმანიის პოეტები, წერილი . . . . . 101

მლ. ჯანაშვილი — მგზნებარე რევოლუციონერები და დიდი მეცნიერი, წერილი . . . . . 105

ლ. კალანდარიძე — შენიშვნები 1953 წ. ქართული საბჭოთა პოეზიის ზოგიერთ ნაწარ-  
მოებზე, წერილი . . . . . 118

ბ. მიტროპოლი — ლიტერატურის ეროვნული ფორმისა და სოციალისტური შინაარსის  
ზოგიერთი საკითხისათვის, წერილი . . . . . 133

---

ალ. ბოლშაქოვი — რომანი სოციალისტური ყოფა-ცხოვრების შესახებ, ბიბლიოგრაფია . . . . . 157

ბ. ბოლშაქოვი — მოთხრობა მეცხვართა შრომის შესახებ, ბიბლიოგრაფია . . . . . 158

ირ. სურგულაძე — საბავშვო მოთხრობები ომსა და მშვიდობაზე, ბიბლიოგრაფია . . . . . 160

ირ. არაბული — წიგნების ტრაგედია, ბიბლიოგრაფია . . . . . 162

ა. ბახრაძე — შექმნილის სონეტები ქართულად, ბიბლიოგრაფია . . . . . 166

ი. ტყეშელაშვილი — წიგნი სამამულო ომის ქართულ მეორეზე, ბიბლიოგრაფია . . . . . 169

მ. ბელინიძე — სახალხო მხატვრის ცხოვრება და შემოქმედება, ბიბლიოგრაფია . . . . . 170

ბ. გორდუნიანი — პირველი ქართული სტამბის წიგნი, ბიბლიოგრაფია . . . . . 172

ახალი წიგნები . . . . . გარეკანის მე-3 გვ.

რედაქტორი

ალიო შირცხულავა

სარედაქციო კოლეგია:

ნიკოლოზ აბიაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), დიმიტრი ბენაშვილი,  
ნიკო კაცოშვილი, სანდრო შანშიაშვილი, ოთარ ჩხეიძე, სერგი ზილავა.

---

ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/VIII-53 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 11.  
№ 06025. შეკე. № 413, ტირაჟი 6.000.

---

საქ. სსრ კულტურის სამინისტროს შთავარბოლოგრაფიკამოცემლობის  
ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.  
Комбинат печати Главполиграфиздата Министерства Культуры  
Грузинской ССР. Тбилиси, улица Марджанишвили, 5.

---

რედაქციის მისამართი: მარჯანიშვილის ქ. № 5. ტელეფ. 3-23-42.

ფან 8 8.

29 11 12

ГОСНИЗДАТ



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-  
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„М Н А Т О Б И“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ